

ଖନ୍ୟାଳ

୭

75
06 1974
06 1974

KANVASU

საქართველოს მწერალთა
კავშირის როგორი

5 3 8 5 6 8 6 0



336368

8 8 8 0 8 0 8

8 8 8 0 8 0 8


8 6 0 8 0 8

7



0 8 0 8 0 8 0

1974



ვთავარი რედაქტორი
გიორგი მერაბილაძე

8 Г
899.962.1(092)
გ. 847

პასუხისმგებელი მდივანი

კუმშარ თითმარის

სარედაქციო კოლეგია:

გერამ ასათიანი,
აკაკი ბაქრაძე,
დიმიტრი ბენაშვილი,
მამი დუღუჩავა,
გივი ვარდოსენიძე,
ლევარისი კალანდაძე,
გიორგი მარგვალაშვილი,
შალვა რაფიანი,
მრემის ქარელიშვილი.

КРИТИКА

Альманах

Орган Союза
писателей
Грузии

(на грузинском
языке)

№ 7

1974 г.



△ △

Издательство «Мерани»
Тбилиси,
пр. Руставели, 42

მისამართი: 380008. თბილისი, რუსთა-
ვლის პროს., 42;

ტელ. 93-18-69.

7—2—3

«ჩვენი ეპოდის გონიერება, რიცხვება და სინდისტ»

მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს კბილაა. მთელი ამ ხნის მანძილზე საბჭოთა მწერლობა იყო ჩვენი ხალხის ცხოვრების — მისი შრომისა და ბრძოლის, შენებისა და შემოქმედების მხატვრული მემატიანე.

რთული და მძიმე, მაგრამ სახელოვანი გზა განვლო საბჭოთა ხალხმა. ეს გზა კომუნიზმისაკენ მიდის. ამ გზაზე ჩვენს ხალხს დროშად მიუძღვის ლენინიზმი — ყველა დროის უდიდესი მოძღვრება. ლენინური კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხის შრომისა და ბრძოლის მედროშე.

„პარტია — ჩვენი ეპოქის გონიერა, ღირსება და სინდისია“ — ეს სიტყვები მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელს ვ. ი. ლენინს ეკუთვნის.

სწორედ ამ დევიზით — „პარტია ჩვენი ეპოქის გონიერა, ღირსება და სინდისია“ გაიმართა თბილისში მწერალთა და კრიტიკოსთა სრულიად საკავშირო შემოქმედებითი თათბირი.

საბჭოთა მწერლებისა და კრიტიკოსების შემოქმედებითი შეხვედრა თბილისს გარდა ეწყობოდა რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში, სადაც მეტთხველ მასებთან ერთად განიხილეს თანამედროვე ლიტერატურაში კომუნისტის სახის ხორცშესხმის საკითხები.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანშა კრიტიკოსმა ვიტალი ოზეროგუმა.



— საბჭოთა ადამიანებმა იციან, — თქვა ვ. ოზეროვმა, — რომ ყოველივეს, რასაც კი ამ ათწლეულების მანძილზე მივაღწიეთ, კომუნისტურ პარტიას უნდა ვუმაღლოდეთ. უსაზღვროა კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ავტორიტეტი. გრანდიოზულმა პროგრამამ, XXIV ყრილობამ რომ წამოაყენა, აღაფრთოვანა ჩვენი მრავალეროვნული ქვეყნის მშრომელები მცხოვრებ ხუთწლედის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის...

ასლა, როგორც ამბობს ლ. ი. ბრეუნვი, პარტიამ მიაღწია იმას, რომ ინტერნაციონალიზმი, რომელიც იყო ერთი მუჭა კომუნისტების იდეალი, გადაიქცა საბჭოოთა ყველა ერისა და ხალხის მილიონობითა და მილიონობით ადამიანის ღრმა რწმენად და ქცევის ნორმად.

შემდეგ ვ. ოზეროვი განაცრძობს: ჩვენ გვახსოვს და გვეხსომება მაია-
კოვსკის სიტყვები:

«Хочу»

снять заставить заново

величественнейшее слово «Партия».

სიტყვა პარტიაზე — ასე შეიძლება გუწოდოთ იმ მშერლურ საუ-
შარს, ამ დარბაზში რომ უნდა დავიწყოთ. დიდად სასიამოვნოა, რომ ვ. ი.
ლენინის დაბადების 104 წლისთავის ამ ღირსშესანიშნავ დღეებში ჩვენს
საუბარში მონაწილეობს რეპუბლიკის პარტიული და საბჭოთა პრტივი.

ვ. ოზეროვმა ვრცლად ისაუბრა იმ უდიდეს გამოცდილებაზე, რაც კომუნისტის სახის ხორცშესხმის თვალსაზრისით საბჭოთა ლიტერატურამ დააგროვა. მან დაახასიათა დღევანდელ საბჭოთა ლიტერატურაში კომიტეტის სახის ჩვენების უმთავრესი ტექნიკები.

— ამ ბოლო წელებში, — თქვა ვ. ოზეროვმა, — საგრძნობლად გაიზარდა და გაცხოველდა მწერალთა ინტერესი პარტიის თემისადმი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობაზე მაღალი შეფასება ხვდა მხატვრულ ლენინიანას და ეს ნიშანდობლივია: ვ. ი. ლენინი ჩვენი ეპოქის უდიდესი კომუნისტია, მისი ნათელი სახე შთავაგონებს მოელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანების საქმეებს და გულისოჟმას. არცთუ ცოტა წარმატებას მიაღწია ისტორიულ-რევოლუციურ მა პრონაზამ. სულ უფრო და უფრო მეტი გამოდის საინტერესო

წაწარმოებები, რომლებიც აგვიწერენ კომუნისტებს — ჩვენს თანააზედ როგორ გებს და, რაც ძალზე ნიშანდობლივია, ეს თანაბრად ეხება ჩვენს ყველა ლიტერატურას. გარდა ამისა, კომუნისტთა პარტიის, მისი ურთვეული შეილების შესახებ მნიშვნელოვანი ნაწარმოებები შეიქმნა საზღვარგარეთის ქვეყნებში, პირველ რიგში და განსაკუთრებით — სოციალისტურ ქვეყნებში.

ახალი ადამიანის სახის შექმნა ლიტერატურული ოსტატობის საუკეთესო სკოლაა. ოსტატთა გამოცდილება მოგვავონებს: წარმატება ხელია იმ მწერლისა, ვინც შეძლო დაენახა და შთამბეჭდავად ეწვენებინა შებრძოლისა და მოქალაქის ხასიათის შემდგომი მოძრაობა-განვითარება. ამ ხასიათისათვის ძირითადია კომუნისტის დამახასიათებელი თვისებები: მარქსიზმ-ლენინიზმის უანგარო ერთგულება, პარტიულობა, იდეურობა და მიზანსწრაფულობა, საბჭოური პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი, საბრძოლო აქტიურობა პარტიის ხაზის გატარებაში, სწრაფვა მასებთან ყოფნისაკენ, მათი დარაზმეისაკენ.

ყოველი ჯურის „სოვეტოლოგები“ — მემარჯვენენიც და „მემარცხენენიც“ ჯიუტად ბურდღუნებენ ერთსა და იშვევს: თითქოსდა ვიღაც მოითხოვს, რომ უკლებლივ ყველა ნაწარმოებში გამოვიყვანოთ პარტიის წარმომადგენელი და თითქოსდა ეს სახე შემკობილი უნდა იყოს „დაკანონებული“ და სავალდებულო თვისებებით. მორიგი უგუნური მონაჭორია! ჩვენი ლიტერატურის ძალა სწორედ იმაშია, რომ იგი სულ უფრო და უფრო ფართოდ წარმოაჩენს სოციალისტური საზოგადოების მიერ წარმოშობილ ადამიანურ ხასიათთა მრავალფეროვნებას. ადამიანურ ინდივიდუალობათა მრავალფეროვნება, ჩვენი თანამედროვის სულიერი სიმდიდრე — აი, ახალ შემოქმედებით აღმოჩენათა საფუძველი. და პირიქით, ხალხის ცხოვრების, მისი ფართო ინტერესების უცოდინარობის შედეგია ლიტერატურული სქემები. ზოგი ასეთი სქემა ძალზე გამძლე და სიცოცხლისუნარიანია. კარგია, რომ სქემატიზმის გამოვლინება დღეს უკვე უარყოფილია, როგორც აშკარა ანაკრონიზმი.

ხშირად ამბობენ, განაგრძობს ვ. ზუროვი, ლიტერატურის ავანსცენაზე ახლა, როგორც იქნა, „ჩვეულებრივი ადამიანი“ გამოვიდაო. ეს მთლად ასე არაა. ჯერ ერთი, საბჭოთა ლიტერატურის ყველა საუკეთესო ნაწარმოებში მოქმედებდნენ არა განსაკუთრებული პიროვნებანი, არამედ გუშინდელი მწყემსები, როგორიც იყო ჩაბაევი, რიგითი მუშები, როგორიც იყო დავიდოვი. მეორეც, „მშვიდობიანი ცხოვრების“ ამსახველი

ნაწარმოებებში, თუკი ისინი მხატვრულად სრულფასოვანია, „ჩვეულებრივი“ ადამიანები სულაც არ გახლავან უმნიშვნელო, სულიერად, ზეობრივად უღიძლამო ადამიანები. დას, ჩვენს წიგნებში ასახულია მიმდინარე ცხოვრება, ყოველდღიურობა, ჩვეულებრივი სამუშაო დღეები. ორგანიზატორს, ხელმძღვანელსაც იგივე ინტერესები ასულდგმულებს, რაც მის ირგვლივ მყოფთ — სამუშაო, ოჯახი, სწავლა, ყოფა, სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი და პირადი ურთიერთობანი, სიმპათიები და ანტიპათიები, მაგრამ ნუ დავივიწყებთ: სოციალისტური საზოგადოების მოქალაქეს, ყოველივე ამას გარდა, ახასიათებს მაღალი იდეურობა, ყოველდღიური შრომისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება. კომუნისტი ნებაყოფლობით კისრულობს ყველაზე მძიმე საქმეს, მიაშურებს ყველაზე წინა უბანს. ესაა მისი მთავარი უფლება და ერთადერთი — უმაღლესი პრივილეგია!

ვ. ოზეროვი ყურადღებას ამახვილებს საქმის კაცის დახატვაში დღევანდელი მწერლობის ზოგ მომენტზე და ამბობს: კომუნისტური შენებლობის ორგანიზატორის, მუშაკისა და ადამიანის თანამედროვე ტიპზე საუცხოოდ იღება ამასაც ამხანაგმა ლ. ი. ბრექნევმა თავის მოელ რიგ გამოსვლებში. ასე, მაგალითად, შარშან კიევში წარმოთქმულ სიტყვაში მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენ გვჭირდება, ძალიან გვჭირდება ჩვენი სოციალისტური ფორმაციის საქმიანი ადამიანები, რომელიც კომპეტენტურობასა და ინიციატივას შეათავსებდნენ ღრმა პარტიულობასა და საზოგადოებრივი ინტერესებისათვის ზრუნვასთან.

სწორი არ იქნებოდა, განაგრძობს ვ. ოზეროვი, თუ სათანადოდ ვერ დავაფასებდით იმას, რაც შექმნა ჩვენმა ლიტერატურამ. იგი სწორი ვზით მიემართება და წარმატებაც ბევრი აქვს, მაგრამ ასევე სწორი არ იქნებოდა იმის დავიწყება, თუ რამდენი რამ აქვს მას კიდევ გასაკეთებელი საიმისოდ, რომ ჩვენი წიგნების გმირები გაუტოლდნენ თვით ცხოვრების გმირებს. ჩვენს სახელოვან ისტორიულ გზაზე ახალ ბრწყინვალე ეტაპად მოგვევლინება სკვპ X XV ყრილობა. მნიშვნელოვანი ლიტერატურული ნაწარმოებები რამდენიმე დღეში არ იქმნება, უკვე დროა ვიფიქროთ იმაზე, თუ რითი შეხვდებიან მწერლები ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას, როგორ ჩაერთვებიან საყველოთაო-სახალხო საქმიანობაში, რა წიგნებს მიუძღნიან ჩვენს დროს, პარტიას.

რა თქმა უნდა, მწერლები კვლავაც განახორციელებენ მოელ რიგ

შნიშვნელოვან ღონისძიებებს. ჩვენი ესოდენ წარმომადგენლობითი თათბირი ადასტურებს ამგვარი მუშაობის აქტუალობას და ნაყოფიერებას. არის წინადადებანი, რომ კარგი იქნებოდა, თუ ეს თათბირი დაგვირჯვინდებოდა შემაჯამებელი საუბრით, რომელზეც თავს მოიყრიდნენ ჩვენი ქვეყნის ლიტერატორები, რათა XIX ყრილობის კარიბჭეზე მშობლიურ ბარტიას მოახსენონ თავიანთი შემოქმედებითი მიღწევები. შესაძლოა ამ სრულიად საკავშირო საუბარში მონაწილეობა მიიღონ სხვა სოციალისტური ქვეყნების მწერლებმაც.

დასასრულ, ვ. ოშეროვი ამბობს:

ჩვენ ვცხოვრობთ ძლევამოსილი კომუნიზმის ეპოქაში — კომუნიზმი აჩრდილივით კი აღარ დადის ევროპაში, მთელ მსოფლიოში, არამედ გვევლინება ახალი ცხოვრების შემტენელად და შემოქმედად. თანამედროვეთათვის, შთამომავალთათვის მხატვრულად უნდა აგსახოთ ადამიანები, რომლებიც ჭეშმარიტად შეადგენენ ეპოქის გონიერას, ღირსებასა და სინდისს, — აი, ჩვენი მოწოდება და არაფერი არ შეიძლება იყოს ამ მოწოდებაზე უფრო მაღალი და მშვენიერი.

თათბარზე ვრცელი და შთამტეჭდავი სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ედუარდ შვერდლი და ნაძერ ამხ. ე. ა. შევარდნაძის სიტყვა დაიბეჭდდა ურნანა „საქართველოს კომუნისტში“ (1974 წ., № 5) და გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“ (1974 წ., 14 ივნისი).

მოხსენებებით გამოვიდნენ რსფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ფერი იქნა კუზნეცოვი, აზერბაიჯანის მწერალთა ტაგიშირის გამგეობის პირველი მდივანი მირზა იბრაჟი მოვი, უკრაინის რეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, კრიტიკოსი იგორ ძე-გერინი, ყაზახთის ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი აძირ შარიფოვი, ლიტერატურის ალგიზანტას ბუჩისი.

კომუნისტი — ესაა სიმბოლო ჩვენი დროისა, — თქვა ფ. კუზნეცოვმა. — ახალი ეპოქის ახალი ადამიანი, — სწორედ ეს ხასიათი უნდა ასახოს ლიტერატურა და ხელოვნება, რათა შემოუნახოს შთამომავლობას თანამედროვეობის ის დინამიური ძალა, დღეს რომ განსაზღვრავს მთელი მსოფლიოს მომავალს...

მე შესაძლებლობა არა მაქვს მიმოვიხილო ჩვენი მრავალეროვნული ლიტერატურის ყველა ნაწარმოები, სადაც კი მოცემულია ეს ხასიათი: ჩემი ამოცანა სხვაა — შევეცადო გავაანალიზო ჩვენს ლიტერატურაში გამოყვანილი ნამდვილი, ჭეშმარიტი კომუნისტის ხასიათის ტიპიური, განმსაზღვრელი თვისებები...

რევოლუციური იდეურობა, კომუნისტური მრწამსი — აი არსი სამჭურ ლიტერატურაში დახატული კომუნისტისა, ლენინელისა. კომუნისტური მრწამსი ჩვენს ლიტერატურაში გააზრებულია არა როგორც მარტოდენ რწმენა, არამედ როგორც საზოგადოების განვითარების ძირეულ კანონზომაერებათა ცოდნა, მათი დაუფლების უნარი... ამ ბოლო წლებში ჩვენს მრავალეროვნულ ლიტერატურაში შეიქმნა მთელი ციკლი ეპიკური ნაწარმოებისა, რომლებიც უძღვნება არამარტო რევოლუციის, არამედ ახალი ცხოვრების შენებლობის შემდგომ ეტაპებს, სოციალიზმის ისტორიას ჩვენს ქვეყანაში. მათი ავტორები დღეგანდელი დღიდან გასცემრიან ხასიათებსა და გარემოებებს, რომლებიც ახასიათებდა სოციალისტური მშენებლობის პირველ წლებს, კოლექტივიზაციის წლებს...

ჩვენი ისტორიულ-რევოლუციური, სამხედრო პროზა თავისი სულის-კვეთებით ღრმად თანადროულია. იგი გვეხმარება გადავჭრათ ყველაზე თანადროული, სადღეისო, საქმიანი და ზნეობრივი საკითხები.

თანამედროვე საბჭოურ ლიტერატურას ძნელი მოვალეობა აწევს — შეისწავლის და დახატოს ჩვენი დღეების კომუნისტის ჭეშმარიტად ზალ-ზური სახე. ჩვენი ლიტერატურა მხარს ვერ უსწორებს დროს, რომელიც არნახული ტემპებით მიიწევს წინ. ჯერ კიდევ არ შექმნილა 70-იანი წლების კომუნისტის, ჩვენი დროის ნამდვილი გმირის ტიპიური ხასიათი, რომელიც ისევე მიმზიდველი და მისაბამი იქნებოდა ახალგაზრდობისათვის, როგორებიც იყვნენ ჩაპაევი ან პავლე კორჩაგინი 20-30-იანი წლების აზალ-გაზრდობისათვის...

კომუნისტისათვის დღესაც პირადულზე მაღლა დგას საზოგადოებრივი ინტერესები, როდესაც ეს ესაჭიროება პარტიას, საქმეს, ადამიანებს, ქვეყანას. ეს სრულიადაც არ ნიშნავს საკუთარი თავის უარყოფას. პირი-ქით — ესაა გზა პირადისა და საზოგადოებრივის ერთიანობისაკენ, ვინაიდან საზოგადოებრივ საქმიანობაში, კოლექტიურ შეგნებულ შრომაში, ადამიანთა საკეთილდღეოდ გარჯაში ყველაზე მეტად ვლინდება და სულიერად მდიდრდება პიროვნება. (ამის საილუსტრაციოდ უ. კუზნეცოვს

შოთავაც ი. ტრიფონოვის რომანის „წყურვილის მოგვლის“ გმირი, მშენებლობის უფროსი ერმაჩოვი)...

როგორია ჩვენი ლიტერატურის წარმოდგენით კომუნისტის დამოკიდებულება მატერიალური კეთილდღეობისა და ცხოვრების ფასეულობათადმი? ბუნებრივია, ამ დამოკიდებულებას საერთო არაფერი აქვს ასკეტიზმთან. კომუნისტი ხარ მანამდე, სანამ მატერიალური კეთილდღეობა მიგანია ნამდვილი ადამიანური არსებობისათვის აუცილებელ პირობად; როგორც კი მატერიალური კეთილდღეობა გვეცვა თვითმიშნად, შენი ყოფის აზრად — უკვე ხდები ბურუჟა, მეშჩანი, ობივატელი, უბადრუკი, საცოდავი ადამიანი, ვინაიდან ჭეშმარიტი სიმდიდრე ადამიანისა მისი სულის ძალა გაზლავთ. იდეათა მთელი ეს კომპლექსი ძალუე საინტერესოდ და ღრმად დაამუშავა ქართველმა მეცნიერმა გ. ბანძელაძემ.

ჩვენი ლიტერატურა წარმოაჩენს მოქალაქეობრივ საწყისს, როგორც კომუნისტის, თავისი დროის მოწინავე ადამიანის ხასიათის განმსაზღვრელ ფისებას, განამტკიცებს შეგნებული სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობას საზოგადოების, ხალხის, სახელმწიფოს ბედ-იღბლისათვის, ადამიანთა ბედნიერებისათვის. (მომხსენებელი საილუსტრაციოდ განიხილავს ნ. პროსკურინის რომან „ხვედრს“, ასახელებს აგრეთვე ვ. ფომენკოს, ი. ტრიფონოვის, დ. გრანინის და სხვათა რომანებს, ვ. კოუვნიკოვის, ა. მალცევის და სხვ. მოთხოვნებს).

თანამედროვე საბორური ლიტერატურა და მისი გმირი, ჩვენი დროის აპალი, მოწინავე ადამიანი, კომუნისტი ებრძევის მეშჩანის სოციალურ უგოიზმს, წვრილბურუჟუაზიულ ანარქიზმსა და თავაშვებულობას, ბიუროკრატიზმსა და კარიერიზმს, გულგრილობას, ნაციონალიზმსა და შოვინიზმს. სამწუხაროდ, ეს ანტისაზოგადოებრივი თვისებები კომუნისტთა მორისაც იჩენს თავს. ამ მოწინააღმდეგებსთან ბრძოლა დღესაც არაა იოლი. საჭიროა არა უბრალოდ ზნეობრივი, არამედ სოციალური ბრძოლა. ეს ბრძოლა მოითხოვს გმირობას, რომელიც განსხვავდება ომის წლების გრიორბისაგან (ამასთან დაკავშირებით განიხილავს დ. გრანინის რომანს „ვეგებები ქარიშხალს“). თანამედროვე პროზამ თვალნათლივ დაგვანახა, რომ ორი სოციალური ტიპი პიროვნებისა — კომუნისტისა და მეშჩანისა — არ შეიძლება გამუდმებით, აქტიურად არ ებრძოდნენ ერთმანეთს, და ეს ბრძოლა უკომპრომისოა...

დღეს საზოგადოება განსაკუთრებით დიდ ზნეობრივ მოთხოვნებს უყენებს კომუნისტებს. ეს კანონზომიერია; რაც უფრო მაღალი იდეალი

და ზნეობრივი თვისებები ექნება თითოეულ კომუნისტს, მით უფრო მა-
 ღალი იქნება პარტიის ავტორიტეტი... კომუნისტს უფლება არა აქვს ჩა-
 მორჩეს დროს, ეგ კი არა, უნდა გაუსწროს კიდევაც, რაღაც სულ უფრო
 და უფრო ვითარდება და როგორდება ეპოქის მოთხოვნები (ამის საილუს-
 ტრაციოდ ვრცლად განიხილავს ფ. აბრამოვის რომანს „გზები და გზა-
 ჯვარედინები“)...

დღევანდვლი კომუნისტის სახის მიგნებაში, კაცმა რომ თქვას, ყვე-
 ლაზე მეტი წარმატება აქვს საბჭოურ დრამატურგიას. მისი წარმატებანი
 განაპირობა როგორც გამოცდილი დრამატურგების — მაკაიონოვისა და
 საფრონოვის, არბუზოვისა და შტეინის, სალინსკისა და როზოვის, ისე
 უფრო ახალგაზრდა, დღემდე ნაკლებ ცნობილი მწერლების ნამუშევრებ-
 მა. მაყურებელთა და კრიტიკოსთა ყურადღება შიიცყრო ისეთმა ხასია-
 თებმა, როგორებიც არიან ინჟინერი ჩეშკოვი (დვორუცის „უცხო კაცი“),
 ლაგუტინი (ბოკარევის „მეფოლადეები“) და სხვ. თანამედროვე კომუ-
 ნისტების: მუშების, ინჟინერების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათ-
 ვის მებრძოლ მეცნიერთა ხასიათებს წარმოაჩენს აანამედროვე პროზაც
 (ვ. ლიპატოვი, მ. კოლესნიკოვი, ვ. პოპოვი, გ. ფანჯიკიძე, პ. ზავრე-
 ბელნი და სხვ)...

დარწმუნებული გართ, ამბობს დასასრულ ფ. კუზნეცოვი, რომ ჩვენს
 დღევანდვლ, ხვალინდელ ლიტერატურაში განხდება კომუნისტთა ახალი
 ნამდვილი, მხატვრულად სისხლსავეს ხასიათები... საბჭოურ ლიტერატუ-
 რას შეაქვს და კვლავაც შეიტანს თავის დიდ წელის ჩვენი საჭოადოებ-
 რივი ცხოვრების მორალური, სულიერი ატმოსფეროს ჩამოყალიბებაში,
 საბჭოთა ადამიანების კომუნისტური შეგნებით აღზრდის საქმეში.

მირზა იბრაჟიმოვა თავისი გამოსვლის მნიშვნელოვანი
 ნაწილი დაუთმო აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი მწერლების შე-
 მოქმედებაში კომუნისტთა ხასიათების შექმნის ტრადიციებს.

სოციალისტური რეალიზმის ერთ-ერთი ფასდაუდებელი ესთეტიკუ-
 რი თვისება ისაა, — თქვა მ. იბრაჟიმოვმა, — რომ იგი ასახავს ცხოვრე-
 ბას მუდმივ მოძრაობაში, ყველა მისი დამახასიათებელი გამოვლენით,
 წინააღმდეგობებით, ტენდენციებით. სოციალისტური ლიტერატურის ეს-
 თეტიკური პრინციპებისათვის სავსებით უცხოა ადამიანთა ხასიათების გა-
 უბრალოება, პიროვნების ცალმხრივი დახატვა. სამწუხაროდ, ზოგიერა-

ნაწარმოებში ჯერ კიდევ ვხვდებით ამგვარ მოვლენებს, და ამის მიზანიც ნათელია; როდესაც მწერალი გულგრილია თავისი გმირებისა და მათ ირგვლივ მიმდინარე მოვლენებისადმი, იგი ვერ შექმნის ისეთ ნაწარმოებს, ჟყითხველის გულსა და გონებას რომ შესძრავს. ამის საპირისპიროდ, ზოგი ავტორი ვითომდა მწვავე სიუჟეტიანი ნაწარმოების შექმნის მიზნით, თავის გმირს აიძულებს ჩაიდინოს ისეთი საქციელი, რაც არ შეესაბამება მის ბუნებას და ცხოვრების პირობებს. გმირის შრომითი საქმიანობა მეორე პლანზე გადადის და ნაწარმოები იქცება წვრილმანი ვნებებით, სატრფიალო თავადასავლებით (ვთქვათ, ალი აღაბეილის ჩომანი „ყოველივე ამის მერე“). სამწესაროდ, ასეთი სუსტი ნაწარმოები ვვხდება ქართულ და სომხურ ლიტერატურაშიც...

რეალისტური ნაწარმოებები, რომლებშიც გამოყვანილია გმირთა რეალური სახეები, წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენენ მეთხველზე. ასეთია აზერბაიჯანელი მწერლის აბულქასანოვის დიდი სამამულო ომის ამსახველი სამტომანი ეპოქეა. რომანში მხარდამხარ იბრძვიან აზერბაიჯანელები, ქართველები, სომხები, რუსები, უკრაინელები... ამ ადამიანთა ძეგობრბა, ძმური თავდადება კეთილშობილ იღებს აღუძრავს მკითხველებს. იგივე ითქმის პ. ქოჩარის, გ. სევუნცის, ნ. დუმბაძის, აკ. ბელიაშვილის და სხვათა ნაწარმოებებზე.

ჩევნი ლოტერატურა გამუდმებით მდიდრდება ახალ-ახალი ტალანტებით. ახალგაზრდა თაობიდან მინდა დავასახელო ქართველები — შ. ნიშნიანიძე და გ. ფანჯაიკიძე, სომხები — გ. მათევოსიანი და ვ. პეტროსიანი, აზერბაიჯანელები — ა. აილისლი და ანარი...

სომხური, ქართული და აზერბაიჯანული ლიტერატურები სამართლიანად ამაყობენ, — თქვა მ. იბრაჰიმოვმა, — თავიანთი გმირებით — კომუნისტებით. კომუნისტებს ეხვდებით საბჭოური საზოგადოების განვითარების ყველა უტაპის ამსახველ ნაწარმოებებში. მათი კეთილშობილი, გმირული თვისებებიც, მათი შეცდომებიც და ნაკლიც ცხოვრებისეულია და ამიტომაც — დამაჯერებელია (ვრცლად განიხილავს კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარს“, ს. რაპიმოვის „საჩლის“, ნ. ზარიანის „აცავებს“) ...

უნდა ალვინიშნო, რომ იდეალური გმირის კრიტიკა თავის დროშე გამოიწვია დადებითი გმირის, კერძოდ — კომუნისტის სახის ზერღვე, სქემატურმა ჩვენებამ. ამ კრიტიკის მიზანი ის იყო, რომ ლიტერატურულ ნაწარმოებებში ასახულიყო ადამიანი მთელი თავისი ფსიქოლოგი-

ური სიღრმითა და მრავალფეროვნებით, რთული ხასიათით. მაგრამ, სამ-წესაროდ, ზოგმა მწერალმა, მეტადრე ახალგაზრდებმა, კრიტიკის მოწოდება — გმირი მთელი მისი წინააღმდეგობითა და რთული ხასიათით დახატეთო, არცთუ მთლად სწორად გაიგეს და მაინცდამაინც მანკიერ ადამიანებზე დაიწყეს წერა. ამგვარ ნაწარმოებებში თითქმის ვერ ვხდებავთ გმირს — კომუნისტს, მის საზოგადოებრივ, პარტიულ საქმიანობას, ადამიანებთან მის ურთიერთობას...

ქმნის რა ნოვატორულ ნაწარმოებებს, სადაც უარყოფით მხარეებთან ერთად მოცემულია ის კარგი და მშვენიერი, ადამიანს რომ ახასიათებს, საბჭოური ლიტერატურა ავითარებს და ამდიდრებს მსოფლიო კლასიკის პროგრესულ, დემოკრატიულ ტრადიციებს... მე მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მომიხდა მოგზაურობა და ყველგან ვნახე, რა დიდი ინტერესით ეკიდებიან იქაური მკითხველები ჩვენს მრავალეროვნულ საბჭოურ ლიტერატურას.

ყოველივე ამან არ შეიძლება არ აღგვიძრას პასუხისმგებლობის განსაკუთრებული გრძნობა. უფრო ღრმად უნდა შევისწავლოთ ჩვენი დრო, ჩვენი რთული საუკუნე, გულისყურით უნდა ჩავუკვირდეთ, თუ რა გავლენას აქდენს ადამიანებზე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცვლილებები და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია...

ეჭვი არ არის, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია მთელს მსოფლიოში ზემოქმედებს ადამიანთა — მრეწველობის მუშაკთა, მუშათა და სხვათა ხასიათზე, იცვლება შრომის პირობები, კვალიფიკაცია, კულტურული დონე, მოკლედ — ადამიანის შინაგანი სამყარო, ფსიქოლოგია.

სამეცნიერო-ტექნიკური ოქმატიკის ამსახველ საუკეთესო ნაწარმოებში კომუნისტის სახე აერთიანებს წარმოების ნოვატორს და გულსა-თუთ ხელმძღვანელს. კომუნისტი — ესაა ცოცხალი განსახიერება შემოქმედებითი დამოკიდებულებისა ყველა იმ მნიშვნელოვანი პროცესისადმი, ჩვენს საზოგადოებაში რომ ხდება. მის საქმიანობაში, სამუშაოსადმი, ადამიანებისადმი მის დამოკიდებულებაში მთავარია შემოქმედებითი საწყისი, შემოქმედებითი სულისკვეთება. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქის ადამიანის მკაფიო სახე შეიქმნება მხოლოდ მაშინ, როდესაც შევძლებთ კომუნისტის ხასიათის ამ თვისებათა დანახვას და მხატვრულად ხორციელდება...

ყოველ რესპუბლიკაში იღვწის მწერალთა დიდი კოლექტივი, იღ-

ვწიან ტალანტები. მე გულშიც არ გამივლია მელაპარაკა ამ უდიდესი სიმ-დიდრის — ამიერკავკასიის ხალხთა ლიტერატურის ყველა მნიშვნელო-ვან მოვლენაზე. ვიცოდი, რომ ეს შეუძლებელია. ამიტომაც მხოლოდ ზო-გიერთი მაგალითი მოვიყვანე, რათა დამესაბუთებინა ჩემი შეხედულებანი.

დასასრულ, მ. იბრაჟიმოვმა თათბირის მონაწილეებს მოუწოდა:

მოდით, მთელი ჩვენი შთაგონება, მთელი ჩვენი მგზნებარება მოვაპ-მაროთ საპატიო ამოცანას — ჩვენი დროის საუკეთესო იდეალებისათვის მებრძოლის — კომუნისტის მონუმენტური სახის შექმნას!

იგორ ძევერი ნ მ ა საუბარი დაიწყო კომუნისტის სახის ხორც-შესხმაში უკრაინული მწერლობის გამოცდილების გაზიარებით.

ორმოციოდე წლის წინათ, — თქვა მან, — 1933 წლის ნოემბერში, გა-ზეთ „პრავდაში“ დაიბეჭდა პ. ტიჩინას ლექსი „პარტია მიგვიძლვის“. ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანოს მოწინავე, რომელიც ამავე სიტყ-ყვებით იყო დასათაურებული, წერდა: „საბჭოთა უკრაინის გამოჩენილმა უპარტიო პოეტმა პავლო ტიჩინამ სწორად შენიშნა მიღწეულ გამარჯვე-ბათა ძირითადი მიზეზი. „პარტია მიგვიძლვის“ — ასე პევია დღევანდვლ „პრავდაში“ გამოქვეყნებულ მის ლექსს“.

უფიქრობთ, ეს დამახასიათებელი ეპიზოდია და მიგვითითებს იმაზე, თუ ლიტერატურასა და ხელოვნებას როგორი საოცარი სიზუსტითა და უმოციურობით შეუძლია უთხრას ხალხს მისი ცხოვრების არსებით მხარე-ზე. შემთხვევითი როდია, რომ ტიჩინას უკანას პოეტური ფორმულა — „პარ-ტია მიგვიძლვის“ — მიღიონნობით საბჭოთა ადამიანისათვის კომუნის-ტური პარტიისადმი მათი დამოკიდებულების თავისებურ დევიზად იქცა. შემდეგ ი. ძევერინმა ვრცლად ისაუბრა იმაზე, თუ როგორ აისახა მრა-ვალეროვან საბჭოთა მწერლობაში კომუნისტის ამაღლვებული სახე.

საბჭოთა მწერლისათვის, როგორც ყველა საბჭოთა ადამიანისათვის, კომუნისტური პარტია განხორციელება „ჩვენი ეპოქის გონიბისა, ღირ-სკიბისა და სინდისისა“.

აი, რატომ ეძღვნება პარტიასა და მის ერთგულ შვილებს საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ფურცლები. გორკიდან და მაიაკოვსკიდან მო-კიდებული, საბჭოთა მწერლებმა ბევრი რამ გააკეთეს უდიდესი კომუნის-ტის, რევოლუციის გენის, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ისტორიულად მართალი სახის დასახატავად. შეიქმნა დიდი ლენინის თანამედროვეებისა და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღ-ვაწეების ჭეშმარიტად მხატვრული პორტრეტები. მწერალთა მუდმივი

ყურადღების ცენტრში დგანან ლენინური იდეებისადმი ერთგული ადამიანები. ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე დაიწერა მ. გორკის „დედა“, კარგა ხანა შეიქმნა სერაფიმოვიჩის „რკინის ნიაღვარი“, დ. ფურმანოვის „ჩაპავევი“, ნ. ოსტროვსკის „როგორ იშროობოდა ფოლადი“, თ. გლადკოვის „ცემონტი“, ვ. ლაციის „ქარიშხალი“, კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“, ა. გოლოვკოს „შამბარარი“, ნ. ზარიანის „აცვანი“ და სხვ. მაგრამ ამ ნაწარმოებებში ასახული კომუნისტები მუდამ ჩვენს გვერდით არიან და კვლავ გვხიბლავენ თავიანთი იდეური სიმტკიცითა და ზეობრივი სილამაზით.

როგორაა გამოხატული ეს უმდიდრესი ტრადიცია უკანასკნელი შემდების ლიტერატურაში, საბჭოთა მწერლების შემოქმედებაში?

ჩვენი ლიტერატურის გამოცდილებას რომ გუკირდებით, აშეარად
ჩანს, რომ იგი ცხოვრებას, სინამდვილეს არ დალატობს და კომუნისტის
გვიხატავს, როგორც ნამდვილად გმირულ პიროვნებას.

ჩვენი ლიტერატურა უკანასკნელ ხანებში გამდიდრდა კოლექტივიზაციის თემაზე დაწერილი ნაწარმოებებით. ბუნებრივია, რომ ამ ნაწარმოებთა ცენტრშიც ყოველთვის დგას კომუნისტი. რაღა თქმა უნდა, კომუნისტის, ნამდვილი გმირის სახეს ავლენენ ჩვენი მწერლები იმ ნაწარმოებშიც, რომლებიც სხვა ოემებს, უპირველეს ყოვლისა, მუშათა კლასის თქმას ეძღვნება.

ბურუჟუაზიული კრიტიკა საბჭოთა მწერლებს ბრალს სდებს იმაში, თითქოს ისინი უარყოფენ ტრაგიკულობის პრობლემას. თუ ყურადღებით ჩავუკვირდებით ამ ბრალდებას, ნათელი გახდება, რომ ჩვენს იდეურ ოპონენტებს უფრო მეტად „აღელვებთ“ ჩვენი მწერლების პოზიცია, რასაც ისინი ადგანან ამ პრობლემის გადაწყვეტისას, რაკიდა შეგნებულად უარყოფენ სკეფსისა და უიმედობას. მაგრამ სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებას არ შეიძლება ჰქონდეს სხვა პოზიცია, როცა იგი სინამდვილეს მის რეალობუციურ განვითარებაში ასახავს! (შემდეგ ორატორი

ვრცლად ლაპარაკობს უკრაინელი მწერლების რომანებსა და მოთხრობებში დახატული გმირი კომუნისტების სახეებზე).

— საბჭოური ლიტერატურის ნოვატორობა, — თქვა ა. შარიაული ვ მ ა, განსაკუთრებული ძალით გამოიხატება კომუნისტ-ლენინელთა ასახვაში. ლიტერატურა აპოეტურებს გმირობას, პატიოსნებას, ახალი სამყაროს მშენებლის სულიერ სიღამაზეს.

ლიტერატურის ახალი გმირი მხოლოდ ხალხური იდეების მატარებელი კი არა, ამ იდეათა განმახორციელებელიც არის. ასეთია იგი შუა აზიისა და ყაზახეთის მწერალთა შემოქმედებაშიც. როგორც წესი, ხალხის გამოცდილება ამ რესპუბლიკების მწერალთათვის — განსაკუთრებით უფროსი თაობის მწერალთათვის — იყო მწერლის პირადი გამოცდილებაც-ძნელი და რთული გზა განვლონ ხალხმა, ვიდრე რევოლუციის არსს ჩაწვდებოდა, და სოციალისტური რეალიზმის ძალაც იმაში მდგომარეობს, რომ მას არასოდეს აურჩევია მიხვეულ-მოხვეული გზები ცხოვრების რთული პროცესების ასახსნელად. ახალი კომუნისტური იდეოლოგიისა და მორალის განსამტკიცებლად. დამადასტურებლად ამისა საგარისია გავიხსნოთ, თუ როგორ აისახა საბჭოთა აღმოსავლეთის მწერალთა საუკეთესო ნაწარმოებებში ადამიანთა ცხოვრება. კომუნისტის კეთილშობილური ხასიათი იწლება მწვავე, ცხოვრებისეულ კონფლიქტება და სიტუაციებში, ადამიანთა ურთიერთობაში, აზროვნებაში არსებულ გადმონაშოთან ბრძოლაში. ასეთია, მაგალითად, საღრიდინ აინის მიერ თავის პირველ რომანში დახატული კომუნისტისა და მტკიცე რევოლუციონერის აბდულეხოვის რთული სახე.

უნდა აღინიშნოს, რომ უზბეკი, ყაზახი, ყირგიზი და ტაჯიკი მწერლების ისტორიულ-რევოლუციურ თემაზე შექმნილ ნაწარმოებებში დასამახსოვრებელია სახეები რუსი კომუნისტებისა, ისინი რევოლუციური იდეების პირველი გამავრცელებელნი იყვნენ შუა აზიასა და ყაზახეთში.

ჩემი აზრით, კომუნისტის სახეს ამა თუ იმ ერის ლიტერატურაში უნდა ვიკვლევდეთ ღრმად და ყოველმხრივ, რაც შეუძლებელია შედარებით-ტიპოლოგიური მეთოდის გარეშე.

კომუნისტის ნამდვილი სახის შექმნა შეუძლებელია, თუ მწერალს არა აქვს დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა ისტორიის, ხალხის, ეპოქის წინაშე. აქ მხოლოდ თემის აქტუალობა როდი კმარა. კომუნისტის სახე მოითხოვს მწერლისაგან მყაფიო იდეურ პოზიციას, საფუძვლიან მომზადებას, დიდ გამოცდილებას, შემოქმედებით წვას.

ჩვენ, კრიტიკოსებსა და ლიტერატურისმცოდნებს, დიდი საქმე მოგვილის — კომუნისტის სახის შექმნაში თანამედროვე მხატვრული გამოცდილების განზოგადება, სოციალისტური რეალიზმის აქტუალურ პრობლემებზე მსჯელობა, ინტერნაციონალური ერთიანობის პრობლემებისა და ლიტერატურების ეროვნული თავისებურების კვლევა, მოძმე ხალხთა ლიტერატურების ურთიერთგავშირისა და ურთიერთგანდიდების პროცესის წესწაგლა. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ 70-იანი წლების ადამიანის, კომუნისტის სახემ ჯერაც ვერ პოვა სრული ასახვა მხატვრულ ლიტერატურაში.

ჩვენი ცხოვრება უფრო გმირულია, ვიდრე ჩვენი წიგნები. კომუნისტები იყვნენ იმათ რიგებში, ვინც აითვისა ყამირის თვალუწვდენელი სივრცეები, ვინც აშენებს ახალ ქალაქებსა და სოფლებს, ახალ ელექტროსადგურებს, იღებს უხევ მოსავალს... რომელი ერთი ვთქვათ! მცითხველებს სურთ თავიანთი საყვარელი მწერლების ნაწარმოებებში იხილონ შრომის ეს გმირები, ის ხალხი, რომელსაც შესწევს ძალა ვადალახოს სიძელეები და დაბრკოლებანი.

ეჭვი არ არის, აუცილებლად შეიქმნება ნაწარმოებები, რომლებიც დირსეულად ასახავენ ჩვენს დროს, ჩვენს ქვეყანაში გაშლილ კომუნისტურ მშენებლობას.

ა. ბუჩის მა თავისი გამოსვლა მიუძღვნა ამ დიდად საპატიო, უპოქალური მნიშვნელობის საქმეში — ჩვენი დროის მოწინავე ადამიანის, კომუნისტის სახის შექმნაში — ბალტიისპირეთის ხალხთა მწერლობების წალილს.

ესტონეთს, ლატვიასა და ლიტვას, -- თქვა ბუჩისმა, — უკვე ჩვენი საუკენის დასაწყისში ჰქონდათ რევოლუციური ბრძოლისა და არალეგალური პარტიული მუშაობის დიდი გამოცდილება, რაც დაკავშირებული იყო რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობასთან. მაგრამ ესტონელების, ლატვიელებისა და ლიტველების მოწინავე ნაწილსაც კი ზოგჯერ ვერ გაეგო, თუ რას ნიშანვდა სიტყვა კომუნისტი. ამის მაგალითად შეიძლება გამოგვადგეს 1909 წელს გამოსული ლიტველი მწერალი ქალის ლაუდინუ პელადას რომანი „შეცდომა“. ამ რომანში, პირველად ლიტვურ ლიტერატურაში შეიქმნა კომუნისტის სახე.


ა. გუდაიტის-გუძივიჩიუსი იყო პირველი ლიტველ მწერლებს შო-

რის, რომელმაც აღწერა 1918-1919 წლების რევოლუციური მოვლენები. იგი მარქსიზმს იატაკებეშეთსა და ციხეებში სწავლობდა. მან შექმნა იმ ჭლების მოვლენათა პანორამა, რომელშიც მონაწილეობდნენ ერთმანეთი-საგან განსხვავებული სოციალური ძალები. მაგრამ მისი ეპიკური რომანების ცენტრში ყოველთვის იდგნენ კომუნისტები, რომლებიც თავდაუზოგად იბრძოდნენ ისტორიულ მოვლენათა მსვლელობის შესაცვლელად.

შემ 1945 წელს, როდესაც ლიტერატურული კლასობრივი ბრძოლის მეტად რთულ ვითარებაში უნდა გაეზიარებინათ კარგინალურად შეცვლილი ლიტერატურისა და ცხოვრების ურთიერთობა, მწერალი იუიტებული წერდა: „ასე გვინია, ეს ყველაფერი ახლახან იყო, მშრალი ციფრები გვეუბნებან, რომ იმ დღიდან გავიდა ხუთი წელი. მაგრამ გზა, რომელიც ჩვენ განვვლეთ და ბრძოლა, რომლიდანაც ჩვენ გამარჯვებულნ გამოვედით, ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაეტევა ამ ხუთ წელიწადში. ჩვენ წინ წავედით, ჩვენ მივემართებით ძველი სამყაროდან ახლისაკენ, სამამულო ომის მკაცრი დღეებიდან მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე. ამ გზას ვერ გაზომავ ვერც დროითა და ვერც კილომეტრებით“. მაგრამ, დავუმატებ, იგი იზომება, ნიკოლოზ ოსტროვსკის „შემოქმედებას თუ გავისხენებთ, „ფოლადის წრთობის“ ძალით. ამისათვის კი მხოლოდ გაბედული და ლამაზი სიტყვები არ გმარა. აღამიანი-კომიუნისტის ყველაზე ინტიმური განცდები უნდა შეერწყას მის კლასობრივ მორალსა და ნებისყოფას, ისე ვერ გაუძლებ სოციალისტური რევოლუციის გამოცდას.

სწორედ ეს პრობლემები იდგა ბალტისპირეთის მწერლების წინაშე, — განაგრძობს ა. ბუჩისი, — ომისშემდგომ პირველ წლებში, როცა ბევრი ადამიანის გონიერაში ხდებოდა რთული ფსიქოლოგიური, სულიერი გარდატეხა, ერთი შეხედვით შეუმჩნეველი, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანი, რადგან მაშინ მწერალი, პ. ცვირკას სიტყვებით რომ ვთქვათ, იყო მოშემ როგორც „ადამიანური დაცემისა, ასევე ახალი ცხოვრებისთვის მისი გარდაქმნისა, ადამიანის არარაობისა და სიღიადისა, ძველი სამყაროს, ძველი ფორმების ნგრევისა და ახალი ადამიანის დაბადებისა“. ასეთი იყო ამ დროის დამახასიათებელი ნიშნები.

მაგრამ მათი მსატერიული გააზრება არ იყო იოლი. ისეთი გამოცდილი და ნიჭიერი მწერალიც კი, როგორიც პ. ცვირკაა, აღიარებდა, რომ „დღევანდელი საბჭოთა თემაზიგა მოითხოვს რაღაც ახალ აკორდს, ახალ გრძნობებს. ეს კი ქმნის ბევრ სიძნელეს“. თუმცა ეს ინტენდი 1947 წელს 2. „კრიტიკა“ № 7.



12596

ითქვა, ისინი, უფრო გამოხატავენ ბალტიისპირელი მწერლების საერთო განცყობილებას.

შავრამ ცხოვრება მოითხოვდა რთული კონფლიქტების დაუყოვნებლივ გადაწყვეტას და მწერლებიც, პირველ რიგში მწერალი-კომუნისტები, ითვალისწინებდნენ ცხოვრების მოთხოვნებს.

არ შეიძლება არ გვიხარიდეს ის, რომ საბჭოთა ბალტიისპირეთის მწერლები, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების წარმომადგენლები, ასე მეგობრულად მუშაობენ ყველაზე რთული სახის — კომუნისტის სახის შესაქმნელად.

მოხსენებების მოსმენის შემდეგ გაიმართა კამათი.

ნივჭმა მწერალმა ვლადიმერ სანგიმ თავისი გამოსკვლა მიუძღვნა საბჭოთა ჩრდილოეთის ხალხთა მწერლობის ჩასახვასა და განვითარებას. როგორც ცნობილია, რევოლუციამდე ნივჭი ხალხი სიბრელეში ცხოვრობდა, ნივჭურ მწერლობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. მოძმერეს ცუდლიკების ძმური დახმარებით ნივჭებმა შექმნეს თვითმყოფადი კულტურა და საფუძველი ჩაუყარეს თავიანთ ლიტერატურას. ჩვენ, წარმომადგენლები ყველაზე ახალგაზრდა საბჭოური ლიტერატურისა, — ოქვა ვ. სანგიმ, — რომელიც სულ თოთხმეტ წელიწადს ითვლის. სიამაყის გრძნობით მივაკუთხნებთ თავს დიდ საბჭოთა მწერლობას. ორაპორმა ვრცლად ისაუბრა ცნობილი ჩრდილოელი მწერლების — გორგის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ნანაელ გრიგოლ ხოჯერის, ჩუქჩ იური რითხუას, მანს იუვან შესტალვის და სხვათა შემოქმედებაზე. აღორძინებული ხალხების პირველმა მწერლებმა თავისი პოეტური სიტყვა უძღვნეს დიდ ღენინს. მას შემდეგ კომუნისტის სახე მთავარი გახდა ჩრდილოეთის ხალხთა მწერლების შემოქმედებაში. ეს სახე დღეს მთავარი და წამყვანია ჩვენთვის და ასეც დარჩება.

— ხასიათები ხასიათებს ქმნიან, — ამბობს ა ნატოლ სოფრონი
ნოვი (მოსკოვი), — ეს ჭრიშმარიტებაა. მოელი ისტორია ჩვენი ლიტე-
რატურისა ამის დადასტურებაა, ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი ხასიათები,
რომლებიც კეთილისმყოფელურ გავლენას მოახდენენ თანამედროვე ადა-
მიანზე. თითოეული ჩვენთაგანი აღსავსეა ასეთი ჟურნალით: სწორად
გაქცესნათ ხასიათი თანამედროვე ადამიანისა, უპირველეს ყოვლისა, კომუ-
ნისტისა, ჩვენი დღეების მშენებლისა. ეს ხასიათი ჯერ კიდევ ღრმად ვერ
ისახება ლიტერატურაში და განსაკუთრებით დრამატურგიაში. ა. სოფრო-

ნოვი აღნიშნავს საბჭოთა დრამატურგების მიღწევებს თანამედროვე, მოწინავე მშრომელი ადამიანის ტიპიური სახის შექმნაში, მაგრამ შენიშნავს, რომ ამ მხრივ დრამატურგია ჯერ კიდევ ვალშია მაყურებლის წინაშე. თანამედროვეობა არ არსებობს ბრძოლის გარეშე, ლიტერატურა არ არსებობს თანამედროვეობის გარეშე. ეს ეხბა განსაკუთრებით დრამატურგიას, სადაც მუდამ მთავარი იქნება ბრძოლა ტენდენციათა შორის, მთავარი იქნება ცხოვრებისეულ-იდეური კონფლიქტები. მწერალთა და კრიტიკოსთა ეს შეხვედრა, — თქვა ა. სოფრონოვმა, — გასცდება რეგიონი თათბირის საზღვრებს, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა ჩვენი ლიტერატურული ცხოვრებისა.

ლაზი კაიუმ გმა (უზბეკეთი) აღნიშნა: ჩვენი უდიდესი მონაცოვარია ხალხთა ლენინური მეგობრობა, ურთიერთდასმარებისა და ურთიერთგამდიდრების ფაქტორი. ინტერნაციონალიზმის თემა ჩვენი მწერლობის წამყვანი თემა უნდა იყოს. ორატორი ამ მხრივ სანიმუშოდ მიიჩნევს რ. ფაიზის რომანს „მისი უდიდებულესობა—ადამიანი“, რომელშიც დახატულია თანამედროვე მუშის სახე. დიდი სამამულო ომის წლებში მან შეიფარა და აღზარდა 16 ეროვნების ბავშვი. ეს ნამდვილად დიდი, ინტერნაციონალური ოჯახი იყო. ასეთ კონკრეტულ ფაქტებში აისახა ჩვენი სინამდვილე და ის ახალი, რაც საბჭოთა ადამიანის მრწამსიდან და ზნეობრივი სიმაღლიდან გამოდის. ახლა ჩვენი ადამიანების ინტერნაციონალისტური სულისკვეთება მსოფლიო მასშტაბებს იძნეს. მაგრამ ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ინტერნაციონალიზმი კლასობრივი ცნებაა. ამასთან დაკავშირებით ორატორი ლაპარაკობს ჩილეს ტრაგედიაზე, ჩილეს პროგრესული და რეაქციული ძალების ბრძოლის კლასობრივ ხასიათზე. სწორედ ინტერნაციონალიზმის გრძნობაა დამახასიათებელი საბჭოთა ლიტერატურისათვის და ეს გვიჩვენებს ჩვენი იდეოლოგიისა და ჩვენი ცხოვრების უპირატესობას.

· მარია პრილეჟავა (მოსკოვი) თათბირის მონაწილეებს შეახსენებს მაიკონების ცნობილ სიტყვებს:

...Долгую жизнь
 товарища Ленина
 надо писать

и описывать заново

და ამბობს: მიუხედავად საბჭოთა ლენინიანის უდიდესი მიღწევებისა, საჭიროდ და აუცილებლად მიმჩნია, რომ ჩვენი ძროის მწერლებმა საერთო ძალით შექმნან კლადიტერ ილიას ჟე ლენინის შთაგონებული მხატვრული სახე. ეს ძნელი, ძალზე ძნელი აშოცანაა, მაგრამ ეს სიძნელე უნდა გადაილახოს. ვ. ი. ლენინისათვის დამახასიათებელი საქმიანი და რომანტიკული ატმოსფერო იყო გამეცებული XIX ყრილობაზე. ამ ყრილობას ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა პერნა, იმიტომ, რომ მასზე საბავშვო წიგნი უნდა დამეწერა. ბავშვებისათვის წერა ძალზე ძნელია. უნდა შეგეძლოს როულზე ისაუბრო ნათლად, უბრალოდ და სინ-ტერესოდ. ლ. ბრეჯნევისა და ა. კოსიგინის მოხსენებებმა დახატეს გრანდიოზული სურათი ჩვენი საზოგადოების გუშინდელი, დღვევანდელი და ხვალინდელი დღეებისა. ყრილობის დელეგატების გამოსვლები ამ სურათს უმატებდნენ რაღურ, კონკრეტულ, ცხოვრებისეულ ფაქტებს.

5. კ. კრუპესკაიამ ერთ-ერთ ანგეტაში ლენინზე ოქვე: „გაბედულია
და მამაციო“. მართლაც, იგი ყოველთვის გაბედული იყო და მამაცი. მა-
შინაც, როცა ოცდასამი წლის ახალგაზრდა კაცი ჩამოვიდა ციც სანკტ-
პეტერბურგში და მუშაო მოძრაობის სათავეში დადგა, მაშინაც, როცა
შეშენსკოეს გადასახლებაში პარტიის პროგრამის პროექტს ქმნიდა, რო-
ცა იქვე „ისკრას“ შექმნაზე ფიქრობდა; მამაცი და გაბედული იყო, როცა
რევოლუციას ახდენდა, მამაცი ზა გაბედული იყო, როცა საბჭოთა კავ-
შირის სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნა გამოაცხადა...
ლენინიანას ოქროს ფონდი სულ უფრო და უფრო უნდა ვამდიდროთ, ეს
ჩევენი შემიდათაშემიდა გალია.

გურამ ასათიანმა ისაუბრა რესპუბლიკის ცხოვრებაში მომზდარ მნიშვნელოვან მოვლენებზე, სოციალური და ზნეობრივი ხასიათის ცვლილებებზე. გულისტკივილი გამოთქვა, რომ შორიდან ზოგს ჩვენი რესპუბლიკის მკვიდრთა ცხოვრება გამძული თავშეუცევა უგონა და ჩვენში ეგზოტიკურ ხედებსა ამჩნევდა. ერთხანს ინერგებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომელს ყველა პრობლემა მოგვარებული გვქონდა, და ვითარებას ისე სახავლენ, თითქოს ჩვენი თანამემამულები თავიანთი ფინანსური, გონიერივი, სულიერი ძალების დაძალვით კი არ ქმნიდნენ ცხოვრებას, არამედ ცხოვრებობანას თამაშობდნენ. ვფიქრობ, თათბირის მონაწილე მშერლებმა ოვალნათლივ ნახეს, თუ რა ენერგიას, რა შრომას ხარჯავს ჩვენი ხალხი მის წინაშე დასახული ამოცანების გადასაჭრელად. ცხოვრებაში

გვიჩვენა და გვიჩვენებს, — განაგრძობს ორატორი, — რომ ჩვენ დღეს განსაკუთრებით გვჭირდება ჩვენი ლიტერატურული და სოციალურ-პოლიტიკური პრობლემებისადმი რეალისტური მიდგომა. გვინდა მაქსიმა-ლური კრიტიკული სიფხიზლე, მოვლენების ღრმად შეფასება, არამარტო იმისთვის, რომ ძველი შეცდომები არ განმეორდეს, არამედ იმისთვისაც, რომ არ დავუშვათ ახალი შეცდომებიც.

კომუნისტის სახე მრავლისმომცველი ცნებაა, რომელიც მთელ რიგ ასპექტებს, წარმოდგენებს, ასციაციებს გულისხმობს. კრიტიკოსი ლაპარაკობს ამ ცნების პრეტური პროცეცირების საქმეში არსებულ მდიდარ ტრადიციებზე და ამ მიმართებით მაგალითად მიიჩნევს მაიაკოვსკის შე-მოქმედებას.

ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ჩვენი მკითხველი, რომელსაც დიალექტიკა ესმის როგორც კამათი. და იგი მარტო მტერს, იდეოლოგიურ ოპონენტს კი არ ეკამათება, არამედ მისი კამათი ხშირად მძაფრი შინაგანი დიალოგის ფორმას იღებს და მას სჭირდება არამარტო დამაჯერებელი, დამარწმუნებელი საბუთები, არამედ დაზვეწილი, გონებისა და ახალი სულიერი გამოცდილების სასწორზე აწონილი არგუმენტები. ჩვენი მთავარი მკითხველი სწორედ ამ ახალ სულიერ გამოცდილებაზე დაყრდნობას მოითხოვს, ჩვენ კი მას ხშირად ახალი მასალის ნაცვლად ვთავაზობთ ძველებურად, კარგად გამომწვარ, მაგრამ დღევანდელი წნევისა და ტემპერატურისთვის უვარვის აგურს. ჩვენს დროში მოწოდებული გართ საკუთარი სულიერი ციტაციელი ავაგოთ და იგი უნდა აგაშენოთ დროის შესაბამისი მასალით.

გ. ასათიანი ლაპარაკობს თანამედროვე ქართული პოეზიის მთავარ ტენდენციებზე, მის არსებით ნიშნებზე, იმაზე, თუ როგორ აისახა ქართულ ლიტერატურულ-მხატვრულ აზროვნებაში ცხოვრების კომუნისტური ხასიათი. ორატორი მოუწოდებს ლიტერატურის მოქალაქეობრივ-სოციალური პათოსის გაძლიერებისაკენ, შემოქმედებითი ძალების შეტი აქტიურობისაკენ.

ბელორუსმა მწერალმა ივანე ჩიგრინოვმა დამსწრე საზოგადოებას მოაგონა ბელორუსი მწერლების საქვეყნოდ გახმაურებული ნაწარმოებები, რომლებშიც მთამბეჭდავადაა გახსნილი კომუნისტის ხასიათი. როგორც ცნობილია, ბელორუსია ემზადება ფაშისტური გერმანიის უღლისაგან თავდახსნის 30 წლისთვის შესახვედრად. ორატორმა თავისი საუბარი კომუნისტებზე მჭიდროდ დაუკავშირა ამ დღესასწაულს, კიდევ

ურთხელ გაუსვა ხაზი ბელორუსი კომუნისტების თავდადებულ ბოძოლას ფაშისტ დამპყრობელთა წინააღმდეგ. ორატორმა თავისი სიტყვის დიდი ნაწილი დაუთმო ბელორუსის კომპარტიის გმირულ თავდადებას მეორე მსოფლიო ომში, რადგან ამ თავდადებაში გამოვლინდა ბელორუსი კომუნისტების დიდი ნებისყოფა, სიმტკიცე, პატრიოტიზმი. ი. ჩიგრინოვს მოჰყავს ასეთი მრავლისმთქმელი ეპიზოდი:

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1941 წლის 30 ივნისს საოლქო და სარაიონო კომიტეტებს დაუგზავნა დირექტივა, რომ მტრის მიერ ოკუპირებული რაიონების პარტორგანიზაციები იატაკევეშეთში გადასულიყვნენ. ამ დროისათვის მინსკი უკვე მტრის ხელში იყო. და აი, რივითმა კომუნისტებმა, მინსკელმა მუშებმა და მოსამსახურებმა გადაწყვიტეს შეექმნათ იატაკევეშა საქალაქო კომიტეტი. მათ არ იცოდნენ, რომ ქალაქში დატოვებული არ იყო პარტიული ცენტრი. ამიტომ ისინი თავიანთ საქალაქო კომიტეტს დამატებით კომიტეტად აცხადებდნენ. ეს კომიტეტი მოქმედებდა თითქმის 1943 წლამდე. და უკვე შემდეგ, როცა მშეიღობიანობა დამყარდა, ეს დამატებითი კომიტეტი მინსკის ძირითად და ერთადერთ კომიტეტად იქნა მიჩნეული.

ი. ჩიგრინოვმა საგანგებოდ გაუსვა ხაზი ჭარსულსა და აწმყოს შორის განუწყვეტელ კავშირს, აღნიშნა, რომ ბელორუსის კომუნისტები დღესაც თავდადებით იღვწიან შრომით უბნებზე და თავიანთი მამების ღირსეულ შვილებად რჩებან. ბელორუსული ლიტერატურა ასახავს კომუნისტთა დღევანდელ საქმიანობას, მათ ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

პროზაიკოსმა ვლადიმერ ფომენკომ (დონის როსტოვი) საეპრის დასაწყისში გამოთქვა გულისტკივილი, რომ შედარებით ნაკლები ათევა კომუნისტების სახის შეექმნაში საკუთარ, ინდივიდუალურ გამოცდილებაზე, ამ სფეროში ლიტერატურულ ოსტატობაზე, იმაზე, რასაც ძწერლის ლაბორატორია პქვია. იმისთვის, რომ დღევანდელი ცხოვრება სრულად და მრავალმხრივად, მასშტაბურად ვაჩვენოთ, — ამბობს ორატორი, — ჩვენი რომანების, ეპიკური ნაწარმოებების ცენტრში უნდა დაუაყენოთ კომუნისტი. თვითონ ცხოვრება მოითხოვს ამას, თვითონ სინამდვილე სვამს საკითხს ასე. რა თქმა უნდა, მე არ მოვითხოვ, რომ კომუნისტი-ადამიანი ჩვენს წიგნებში თავიდან ბოლომდე მხოლოდ გრანიტია-ვან იყოს გამოკვეთილი. საზოგადოებრივ ასპარეზზე თუ პირად ცხოვრე-

ბაში სულ ყოველთვის შეუმცდარი, სულ ყოველთვის მართალი კაცი ზეა-
დამიანური იქნება ცხოვრებაშიც და ლიტერატურაშიც. როგორიცა უნდა
განვითარდეს ასეთი კაცის ხასიათი, როგორიცა უნდა შეიცვალოს იგი?

ვ. ფომენკომ იღაბარაკა თავის შემოქმედებით გამოცდილებაზე კო-
მუნისტების სახეების შექმნაში, იმაზე, თუ როგორ აფასებს იგი კომუნის-
ტის მოვალეობას, როგორ უყურებს კომუნისტის პირად ცხოვრებას. პი-
როვნულ ინტერესებს.

— სავსებით კანონზომიერი ამბავია, თქვა ვიღემ ვროსმა
(ესტონეთი), — რომ საბჭოთა ლიტერატურის კლასიკაში ყველა ურთავ-
რესი ვმირი კომუნისტია. ვმირი, რომელიც თავისი ნებით, რწმენით, მო-
წინავე მსოფლმხედველობით ზემოქმედებს საზოგადოებრივ/პროცესებ-
ზე, ახალი მოვლენაა, რითაც საბჭოთა ლიტერატურაში გაამდიდრა კაცობ-
რიობა. ეს პროცესი კანონზომიერი და ორგანული იყო ესტონურ ლიტე-
რატურაშიც. ამას ორატორი ცხადყოფს იუქან სმუულის, აუგუსტ იაკობსო-
ნის, იოანეს სემიშერის უმთავრესი ნაწარმოებების მაგალითით. და მაინც,
ამბობს ორატორი, ამ პერიოდის ლიტერატურის საერთო დონე, ლიტერა-
ტურული ოსტატობის ხარისხი სასურველი სიმაღლისა ვერაა. ამის მიზე-
ზია ის, რომ მაშინ სოციალისტური რეალიზმის მეთოდს სათანადოდ ჭრ
ვფლობით და ვულგარული სოციოლოგიზმიც გვიშლიდა ხელს. დღეს
ჩვენი ლიტერატურა ახალ სიმაღლეზე ადის და ახალ სიღრმეს წევდება
კომუნისტების ხასიათების შექმნაში. ორატორი განიხილავს პაულ კუუს-
ბერგის, ეგონ რანგტის და სხვათა ფრიად მნიშვნელოვან ნაწარმოებებს,
რომლებშიც დამაჯერებლად, სიმართლით აისახა კომუნისტთა ხასიათები.
ესტონელი მწერლების სულ უფრო და უფრო მეტ ნაწარმოებში მთავარ
როლს ასრულებონ მოწინავე ადამიანები, კომუნისტები, თუმცა ჩვენი
მწერლები ჯერ კიდევ ვალში არიან ჩვენი თანამედროვის, ჩვენი დროის
გვირის წინაშე.

იაკუტელმა მწერალმა სოფონ დანილოვმა გააკრიტიკა
რსფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნის ფ. კუშნეცოვის მოხსე-
ნება, რომელშიც არ აისახა თათრეთის, ბაშკირეთის, ჩუვაშეთის, მარეთის,
ბურიატის, იაკუტის, ტევიმთა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკე-
ბის მწერალთა შემოქმედება. ეს მწერლები ხომ რუსეთის ფედერაციაში
ცხოვრობენ და მუშაობენ. რა თქმა უნდა, აქ ვერ მოხერხდება ამ რესპუბ-
ლიკათა მწერლების ნაწარმოებების დაწვრილებითი ანალიზი, შაგრამ უმ-

თავრესი ჭიგნების თუნდაც დასახელება მაინც აუცილებელი იყო, თქვა მან.

საბროთა ლიტერატურის მსოფლიო ავტორიტეტს, უწინარეს ყოვლისა, ის ქმნის, — ამბობს ს. დანილოვი, — რომ მან მსოფლიო ლიტერატურაში პირველად ასახა არა საერთოდ რევოლუციონერის (ამის მაგალითები აღრეც იყო ცნობილი), არამედ კომუნისტი-ლენინელის ხასიათი. ორატორმა ვრცლად განიხილა იაკუტელი მწერლების ნაწარმოებები, რომ-ლებმც ღრმად და საინტერესოდ აისახა ბოლშევიკისა და კომუნისტის სახე და ხაზი გაუსვა: რუსეთის ფედერაციის რესპუბლიკათა მწერლები გან-ჟე როდი დგანან საერთო საკავშირო ლიტერატურული პროცესებისაგან. წევნი ლიტერატურის ისტორიამ გვიჩვენა, რომ მხდალებს, იმათ, ვინც ფიქ-რობს იარის გატკებილი გზით, ლიტერატურაში არაფერი ესაქმნათ, წევნში არ არის და არც შეიძლება იყოს ხელშეკებელი თემები თუ აელშეუხებელი სახეები.

პოეტი ა ნატოლ ჩეკუროვი (ლენინგრადი): ჩემა მებსისერებაში არასოდეს დაიჩრდილება ლიტერატურული გმირების — კომუნისტების: ლენინსონის, კორჩაგინის, დავიდვის, ჩაპავების სახეები. ჩემი თაობის ახალგაზრდობა ომში რომ ჩაება, მათი ნებისყოფითა და იდეური რწმენით, ვაჟაცორძითა და შეუძლებელითაც იყო ჩაგრონებული. დღეს გმირის პოვნა უფრო ძნელია, ვიდრე უშუალოდ ბრძოლის ველზე თუ გააფთრებული, აშ-კარა კლასობრივი ბრძოლის პროცესში, მაგრამ დღევანდველ გმრის სხვა გარეგანი ნიშნები აქვს, გმირები ჩვენს ირგვლივაც არიან და მშერლის გა-ლია იპოვოს ივი. კომუნისტის შინაგანი სამყაროს გადმისაცემად უსაზ-ღვროდ დიდი შესაძლებლობანი აქვს ლირიკულ-ეპიკურ უანრს. მრავალ-ბლანიანი ნაწარმოები საშუალებას იძლევა ერთმანეთს შევურწყათ პირა-დული და საერთო-სახალხო სულისკეთება.

აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ი ვა 5 ეთარბამ ვრცლად მიმოიხილა აფხაზი მწერლების — სამსონ ჭანბას, რუსე პაპასქირისა და სხვათა კოლექტივიზაციის თემაზე შექმნილი ნაწარ-მოები და აღნიშნა, რომ აფხაზმა მწერლებმა დაბატეს სამჭოთა ხელი-სუფლების გამარჯვებისათვის მებრძოლ თანამებამულეთა — კომუნისტების დასამახსოვრებელი ხასიათები. ახლა ისე გვეჩვენება, თითქოს კოლექტივი-ზაციის დროიდან დიდი ხანი იყოს გასული, სინამდვილეში კი მას აქვთ

სულ ორმოციოდე წელი გავიდა. ახლა ჩვენი საზოგადოების წინაშე სულ სხვა ამოცანები დგას. შეცდომა იქნება იმის ფიქრი, თითქოს კომუნისტის სახე უცვლელი დარჩა; იცვლება ცხოვრება, შეიცვალა კომუნისტის სახეც. თუ ადრე გმირი კომუნისტები ერთეულები იყენენ, დღეს გმირობა მასობრივი ხასიათისაა. კომუნისტს არა აქვს არავითარი პრივილეგია დანარჩენ ადამიანებთან შედარებით, მისი ერთადერთი პრივილეგია დიდი პასუხისმგებლობა აღებული ვალდებულებისა და საქმის გამო, პასუხისმგებლობა იმ ადამიანთა გამო, ვისაც იგი ხელმძღვანელობს. ცხოვრებაში არავინაა ისეთი, ვინც მეცნიერებისა და პრაქტიკის ყველა სფეროში თანაბრად ერკვეოდეს, მაგრამ კომუნისტი, განსაკუთრებით კი ხელმძღვანელი, დაუფლებული უნდა იყოს ერთ მეცნიერებას, რასაც პირობითად შეიძლება ადამიანისმცოდნეობა ცუშოდოთ. კომუნისტ-ხელმძღვანელს უნდა ესმოდეს ფიზიკოსისაც, მწერლისაც, მუშისაც, გლეხისაც, ჯარისკაცისაც, ყველა ადამიანისა, ადამიანებს კი. მოგეხსენებათ, განსხვავებული ბუნება და ხასიათი აქვთ. სამწუხაროდ, ბევრ ნაწარმოებში კომუნისტის სახე სქემატურია, სტანდარტულია და ჩვენ დაუფარავად უნდა წარმოვაჩინოთ ამგვარი სახეების უმწეობა და უდიმღამობა. ჩვენ, აფხაზი მწერლები, ქართველ თანამოგალმეობთან ერთად, მთლიანად და ერთსულოვნად ვუჭიროთ მხარს საკართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ენერგიულ გადამჭრელ ღონისძიებებს.

სიტყვის დასასრულ ი. თარბამ წაიკითხა დ. გულიას ლექსი „პარტია“.

პოეტმა ატა ატაჯანოვმა (თურქმენეთი) ისაუბრა თუ როგორ ემზადებიან მისი მშობლიური თურქმენეთის მშრომელები რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის შესახედრად. ერთ დროს ჩამორჩენილი ქეყანა იქცა მძლავრი ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რესპუბლიკად. და ყოველივე უს მიღწეულია პარტიის ხელმძღვანელობით, ლენინური ეროვნული პოლიტიკის, საბჭოთა კავშირის ხალხთა ურდვევი მეობრობის მეობებით სწორედ ამის გამოა, რომ ჩვენს ცხოვრებაშიც და ლიტერატურაშიც კომუნისტს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ჩვენს მწერლებს საპატიო საქმედ მიაჩნიათ აჩვენონ კომუნისტი — ხალხის წინამდღოლი, მისი კეთილდღეობისათვის მებრძოლი ადამიანი.

შემდევ ორატორმა ვრცლად დახასიათა ყურბანსახატოვის რომანი

„ტოილი მერგენი“, ბერდი ქერბაბაევის რომანი „წვეთი წყალი — ოქტომბერის მარცვალი“, თურქეთი ლიტერატორებისათვის, — თქვა მან დასასრულს, — კომუნისტის სახე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემაა, რადგან, სადაც არ უნდა ვიყოთ, რა უბანზეც არ უნდა ვიღვწოდეთ, ყველგან ფრენბობთ პარტიის წარმმართველ ხელს და მზრუნველ რჩევას.

შურნალ „გოლგას“ (სარატოვი) მთავარმა რედაქტორმა ნიკო ლოზუნგი დიკი კმა ძირითადად ილაპარაკა ანტისაბჭოლებზე, ანტიკომუნისტებზე. მან საბუთიანად, დამაჯერებლად გააბათოლა ანტიკომუნისტების ყოველბერი ბრალდება და ნათელყო, რომ ყველაფერი, რასაც ჩვენი იდეოლოგიური მტრები კომუნისტებს ცოდნად უოვლიან, სინამდვილეში უდიდესი ღვაწლი და დამსახურებაა მშრომელი ხალხის წინაშე. განა გასაკვირია, — თქვა მან, რომ ანტისაბჭოლთა ისტერია სულ უფრო და უფრო იზრდება? ეს სავსებით კანონზომიერი ამბავია, რადგან რაც უფრო ძლიერნი გართ, მით უფრო აფრთდებიან ჩვენი მტრები.

საბჭოთა მწერლებს ვალად გაქვს, — თქვა ნ. შუნდიკმა. — ეიშრომოთ ძალ-ღონის დაუზოგავად, რათა თითოეულმა ჩვენთაგანმა, თავისი ნიჭისა და უნარის შესაბამისად. კიდევ ერთი მტრიხი შევმატოთ ჩვენი ეპოქის მთავარი გმირის — კომუნისტის პორტრეტს.

პოეტმა ბორის ოლენიკმა (უკრაინა) თქვა: საბჭოთა ადამიანებს გვყავს იდეალი, ყოველფის მისაბაძი მაგალითი ყველა თაობის ადამიანებისათვის, ეს არის დიდი ბელადი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი და ჩვენ თამამად შევვიძლია თქვათ, რომ კომუნისტის ნამდილად სრულყოფილი სახე ჩვენს ლიტერატურაში არის ლენინის სახე.

ჩვენს ლიტერატურაში ლენინიანას საფუძველი ჩაუყარეს გორკიმ, მაიაკოვსკიმ, გალაკტიონ ტაბიძემ, პავლო ტიჩინაშ და სხვა გამოჩენილმა მწერლებმა. ისეთმა პოეტებმა, როგორებიც არიან ნ. ტიშონოვი, ა. სურკოვი, მ. ბაჟანი, პ. ვორონკო, ე. მეუელაიტისი, გ. აბაშიძე, მ. ლუკონინი და უხვ. თავიანთი საუკეთესო ნაწარმოებები მიუძღვნეს კომუნისტებს.

კომუნისტის სახის შექმნის საპატიო მისია წილად ხვდა ჩვენს მრავალეროვნულ საბჭოთა ლიტერატურას. ნამდვილი კომუნისტი არის ყოველმხრივ სრულყოფილი ადამიანი.

ლევ იაკიმენ კომ (მოსკოვი) გაიხსენა, თუ რა დიდი გავლენა მოახდინეს მისი თაობის ჩამოყალიბებაზე პავკა კორჩაგინმა და ჩა-

პაევმა, დავილოვმა და ლევინსონმა. ეს ის თაობაა, რომელიც 19-20 წლი-
სა შეხვდა მეორე მსოფლიო ომს. დღევანდელ ჭაბუკებსა და ქალიშვი-
ლებსაც უყვართ ეს გმირები, ამბობს კრიტიკოსი. მაგრამ მათ თავიანთი
ახალი საყვარელი წიგნები აქვთ და ახალი საყვარელი გმირებიც ჰყავთ.
ოზეროვის, ნოვიჩენკოს, აბუსალავეის და სხვა კრიტიკოსთა შრომებში სა-
ინტერესოდაა განხილული დადგებითი გმირის პრობლემა, მაგრამ ეს უმ-
თავრესად კეთდება საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის მაგალითზე. და-
დებითი გმირის პრობლემა უმთავრესი პრობლემაა ჩვენი ლიტერატური-
სა, მაგრამ ჩვენ უნდა ვუპასუხოთ კითხვას: როგორია ეს გმირი 70-იან
წლებში, რას წარმოადგენს იგი? რა მოთხოვნებს ვუყენებთ მას? როგორი
ასახვა პოვა ამ გმირმა მწერლობაში, არა საზოგადოდ, არამედ სწორედ
ჩვენი დღეების მწერლობაში? პრობლემების თეორიულად გააზრების გა-
რეშე მიზანს ვერ მივაღწვთ. ჩვენი წიგნების გმირები ცხოვრებაში უნდა
ვეძიოთ. ამისათვის ცხოვრების შესწავლაა საჭირო. მთავარია ახალი ტიპის,
ახალი გმირის აღმოჩენა. ლ. იაკიმენკო შეასენებს დამსწრეთ, რომ გორ-
კის „მეშჩანების“ წაკითხვის შემდეგ ჩეხოვს განსაკუთრებით ნილი მოხ-
ვდა თვალში. „ნილი ძალზე საინტერესოა“, წერდა ჩეხოვი ავტორს.
საქმე ისაა, რომ ნილი ახალი გმირი იყო ლიტერატურისა. თანამედროვე
პროზის დახასიათებისას კრიტიკოსი ახალ ზნეობრივ ფასეულობებს გამოჰ-
ყოფს თ. აბრამოვის, ს. კრუტილინის, ნ. შუნდიკის, მ. ალექსეევის, ი. მე-
ლეუის ნაწარმოებებში და განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სა-
მამულო ომის ამსახველ პროზაზე (კ. სიმონოვის ტრილოგია, ი. ბონდა-
რევისა და ვ. ბიკოვის მოთხოვნები და რომანები).

— დღევანდელ ოსურ ლიტერატურაში, — თქვა ოსმა მწერალმა
რიურიკ თედეთიმ, — კომუნისტის, თანამედროვეობის მოწინავე
ადამიანის მრავალი სახეა შექმნილი. „კომუნისტის“ ცნება გავტვებული
რამ კი არაა, იგი განუწყვეტლივ იცვლება კაცობრიობის ცოცხალი გამოც-
დილების შესაბამისად, ვითარდება და სრულქმნილი ხდება. 70-იანი წლე-
ბის კომუნისტთა ხასიათში თავს იჩენს „დროთა გავშირი“, იგრძნობა
ჩვენი. დღეების კომუნისტთა ორგანული კავშირი წინა თაობების კომუნის-
ტებთან. მაგრამ 70-იანი წლების კომუნისტებზე, რა დასამალია, არა
გვაქვს ისეთი წიგნები, 20-იანი, 30-იანი წლების კომუნისტებზე და-
წერილ წიგნებს რომ შეედრებოდეს მკითხველებზე ზემოქმედების
თვალსაზრისით. ჩვენ გადამეტებულად გაგვიტაცა ხასიათების ნატურიდან
გადმოღებამ, ყოფისაღმწერლობამ, მთავარი კი მხატვრული განზოგა-

დებაა, ხასიათების რომანტიზირებაცაა საჭირო და ა. შ. თვითონ მწერლის, შემოქმედის პიროვნულ-სულიერი თვისებები აუცილებლად ასვამს ბეჭედს მის წიგნებს, მის პერსონაჟებს. მწერალი თავისი ზნეობით, სულიერი წყობით ღირსი უნდა იყოს არჩეული დიდი თემისა, წმინდა მასალისა. ჩვენი მწერლების პოზიცია, ისევე როგორც ყველა კომუნისტისა და ყველა პატიოსანი მოქალაქეების პოზიცია, ახლა გამოჩნდება ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელთა იმ აქტუალურ, ენერგიულ ღონისძიებებთან დამოკიდებულებაში, რაც ახლა ტარდება ჩვენში ატმოსფეროს გაჯანსაღებისა და ცხოვრების ლენინური ნორმების დამკვიდრებისათვის.

— რევოლუციური ბრძოლების თემატიკას, — თქვა ლატვიელმა მწერალმა პეტერის ზეილემ, — ჩვენმა მწერლებმა ადრევე მიაქციეს დიდი ყურადღება. ეს განსაკუთრებით გამოვლინდა ლატვიელ წითელ მსროლელთა ცხოვრებისა და ბრძოლის თემასთან დამკიდებულებით. მარტო ანდრეი უპიტის წვლილი რად ღირს ამ საქმეში! თვით წითელ მსროლელებშიც ბევრი მწერალი ერია და მათაც ჩინებული წიგნები დაწერეს. ლატვიაში საბჭოთა ხელისუფლების ადგენის შემდეგ ისტორიულ-რევოლუციურმა თემამ დიდად განაპირობა რომან-ეპოდების წამყანი როლი (ანა საქსეს, ვილის ლაციისი, გუნის ცირულისის, იან ნიუდრეს, ა. ბელას, ა. იანსონის და სხვათა ნაწარმოებები). რატომაა ჩვენს ლიტერატურაში ასეთი დიდი ინტერესი ისტორიულ-რევოლუციური თემისადნი? იმიტომ, რომ ყოველმხრივ გავიაზროთ, თუ როგორ მოვედით დღევანდელ დღემდე, ხოლო ამის გააზრება კი დაგვეხმარება დღევანდელი დღისა და მომავლის გააზრებაში. ჩვენი მწერლების მეობებით წინა თაობების რევოლუციონერები თითქოს ჩვენი თანამედროვენი გაზდნენ, ჩვენთან ერთად იღვწიან და იბრძვიან ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის. ჩვენი ცხოვრება მძლავრ სტიმულს გვაძლევს ჩვენი დროის რევოლუციონერის — ნამდვილი კომუნისტის სახის შესაქმნელად და ჩვენც ამისთვის ნიჭი დაუნარი არ უნდა დავიშუროთ.

ვრცელ და ძალზე ემოციურ, მღელვარე სიტყვაში გამოჩენილმა საბჭოთა მწერალმა ვალენტინ კატაევმა დამსწრეთა თვალშინ გააცოცხლა თავისი შეხვედრები სახელოვან ადამიანებთან — ნ. კრუპსკაიასთან, ვ. მაიკოვსკისთან, მ. გორკისთან, ა. ლუნაჩარსკისთან, დ. ბედნისთან... მან გაისხენა რევოლუციური ოდესა, აჯანყებული „პოტიომკინი“, ფათე-

რაკები სამოქალაქო ომის გზებზე, ნეპის პერიოდი, შემდეგ სამაშულო ომის უმძიმესი, გმირული წლები...

ვ. კატაევის გამოსვლა იყო ცოცხალი, შთამბეჭდავი საუბარი დრო-სა და საკუთარ თავზე. ამ გამოსვლისათვის მე თითქოს მთვლი სიცოვხლე ვერზადებოდი, — თქვა ვ. კატაევმა. — ვიცით, რომ ყოფიერება განსაზღვ-რავს ცნობიერებას. ამ სიჭარმავის უამს უკვე შემიძლია შევაჯამო ყოფიე-რება, რომელიც შექმნა ჩემმა ცნობიერებამ, კომუნისტის ცნობიერებამ.

ვ. კატაევმა დიდი კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში შესამჩნევება დიდი შრომითი აღმავლობა. ამის ნიმუშია აღაზნის სარ-წყავი სისტემა, დიდია ამ მშენებლობის მასშტაბი — თქვა ვ. კატაევმა. აღტაცებას იწვევს საბჭოთა საქართველოში დღეს დასადგურებული სუ-ლისკვეთება, რომელიც შრომისა და შემოქმედების ყველა უბანზე იგ-რინობა.

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატმა, ლენინის თრდენოსანმა ტრიფონ როსტიაშვილმა აღნიშნა, რომ მწერლობამ უფრო საფუძვლიანად, უფრო ღრმად უნდა გაიცნოს მუშათა კლასის ცხოვრება და ასახოს თანამედროვე მუშებისა და ინჟინ-რების საინტერესო და რთული, დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელო-ბის შრომა, ამ ადამიანების ცხოვრება, მათი სიხარული და ტკივილები. დღევანდელი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, რევოლუციის უკან დგას ადამიანი. ჩვენ გვინდა მწერლობამ ასახოს ამ ადამიანის შემოქმე-დებითი შრომა და ბუნება, მისი სული, მისი ხასიათი. დღევანდელ ქარ-ხნებში სადღა ნახავთ ძეველებურ უროებს, ახლა აქ დგას ურთულესი აგ-რეგატები. და სულიერი სამყარო მუშისა, რომელიც მარტივი უროთი კი არ მუშაობს, არამედ ამ ურთულეს მანქანებს მართავს, უდავოდ, საინტე-რესოა.

ზორი ბალოიანი (სომხეთი): ათობით წიგნის დასახელება შეიძლება, რომლებშიც მოქმედებენ კომუნისტები. ზოგი მეტად დაგვამახ-სოვრდა, ზოგი ნაკლებ. მაგრამ, აი, ჩვენს ცხოვრებაში ისინი იმგვარად ვერ შემოვიდნენ, როგორც ოდესლაც შემოვიდნენ ფურმანვის, ოსტროვ-სკის, ფადევევის გმირები. კომუნისტის სახის შექმნისას, რა დასამალია, ჩვენ შტაბი, ტრაფარეტი გვჯაბნის ხოლმე. ჩვენი გმირი თითქოს მიწი-ერი არაა, ნამეტანი სერიოზულია, მეტისმეტად „საზოგადოებრივი“, მო-საწყენი მამაკაცია. როცა კომუნისტის სახეს ქმნიან, იგი მაინცდამანც რაიკომის მდივანი თუ არა, პარტორგანიზაციის მდივანი მაინც გამოკ-

$\approx 30 \approx$

ყავთ. ასეთი სქემატურობა ბოჭავს მწერალს. ვ. კატავემა თქვა: „მთავარია, რომ ნაწარმოები საინტერესოდ იყითხებოდეს, სხვაგვარად იგი ვერ მიაღწევს მიზანსო“. ასეა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენს ეკვივანაში კო-მუნისტთა 15 მილიონიანი არმიაა. საჭიროა შეიმნას რიგითი კომუნისტის განზოგადებული სახე. ორმად მწამს, რომ ჩვენი სიტყვის ოსტატები შექმნიან ამგვარ ცოცხალ სახეს კომუნისტისა, რომელიც წიგნიდან ცხოვრებაში გადმოინაცვლებს, გახდება ჩვენი მეგობარი და შემწე გაჭირვების ფასს.

პოეტმა ალექსანდრე მეჭიროვა გაიხსნა, თუ ამ ოცდათი წლის წინათ უშუალოდ ცეცხლის საზღვე, მან, მაშინ ასეულის მეთაურის მოადგილემ, როგორ დაწერა ლექსი — „კომუნისტებო, წინ!“

ი ვ ა ნ ე ს ტ ა დ ნ ი უ კ ი (მოსკოვი): ძალზე ხშირად კრიტიკა გვერდს უვლის ჩევნი ნიჭიერი მწერლების მნიშვნელოვან ნაწარმოებებს. აქ უკვე იყო საუბარი ნიკოლოზ შუნდიკის შესანიშნავ რომანზე „ლურჯთვალა ქვეყანაში“, რომელსაც ჩევნი დღვევანდველი საუბრის თემასთან პირდაპირი კავშირი აქვს. ეს რომანი მკითხველთა ინტერესის სფეროში უნდა მოვაჭიოოთ. ანდა ავიღოთ უკრაინულად გამოსული რომანი ზარუდნისა — „გილეა“ — აქაც კამტნისტის სულიერი სიმაღლე, მისი როული ხვედრი კარგადაა ნაჩვენები. კარგ წიგნებზე არ იწერება იმდენი, რამდენიც უმნიშვნელოვანებზე იწერება. ამ სტატიების უმეტესობა ხომ ცარიელი ქებათა ქებაა.

უკანასკნელ წლებში ბევრი წიგნი დაიწერა სამამულო ომშე, კარგი წიგნები დაიწერა: კ. სიმონოვის „ტრილოგია“, ი. ბონდარევის „ცხელი თოვლი“, ა. ჩაკოვსკის „ბლოკადა“... განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწევეს ის თავები, რომლებშიც ასახულია სისხლიანი დრამის ყველაზე გრიზისული დღეები — ომის დასაწყისი... ამ დღეებზე ახლა ბევრი იწერება, ვინ რას წერს და ვინ რას... მოქალაქეობრივ, მშერლურ მოვალეობად მიმაჩრია, რომ ჩემი აზრიც გავაცნო ხალხს და ამას ვაკეთებ კიდეც რომან „ომში“. შესაძლოა ჩემი მოსაზრება ტენდენციური იქნეს, მაგრამ ეს იქნება პარტიული ტენდენციურობა, რაც მსჯალავს ჩემს რომანებს — „ადამიანები ანგელოზები არ არიან“ და „ომი“.

დაწიელ გრანი (ლენინგრადი): მე შევეხები თემას, რო-
მელიც ძალზე მაინტერესებს ამ ბოლო ხანს. ესაა პარტიული ხელმძღვა-

წელის თემა. სწორედ უკანასკნელ წლებში მომიხდა ყოფნა მრავალ მხარესა და ოლქში: არხანგელსკში, უზბეკეთში, ტოლიატში, სახალინშე, შევხდი სხვადასხვა რანგის პარტიულ ხელმძღვანელებს. უნდა გითხრათ, რომ ესენი ახალი ტიპის ხელმძღვანელები არიან, ახალი ტიპის კარგი ხელმძღვანელები. ქვეყნის განაპირა კუთხებშიც კი მე გამავირვა რაიკომის მდივნის ინტელიგენტურობამ, დიდმა გონიერებამ, გამედულებამ ამა თუ იმ საქმის გადაწყვეტაში. თანამედროვე პარტიულ ხელმძღვანელს უხდება არამარტო თრგანიზაციული, არამედ ზნეობრივი ხასიათის საკითხის გადაჭრაც (ორატორი იხსენებს რამდენიმე კონკრეტულ შემთხვევას). ჩვენ შევეჩიეთ — კრიტიკაშიც და მკითხველთა წარმოსახვაშიც — გმირების დაყოფას დადებითად და უარყოფითად. მე მონია, რომ ამგვარი დაყოფა, როცა საქმე ეხება პარტიულ მუშაკებს, უინტერესობა და არცაა საჭირო, ეს ხელს უშლის მშერალს. მთავარია ადამიანი ვაჩვენოთ მრავალ-მხრივი ასპექტით.

მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ ცოტა იღუზია როდი გავიჩინა. დისკუსიებს ვმართავთ ხოლმე თუ როგორ ზემოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე ეს რევოლუცია და ა. შ. მაგრამ უნდა ვთქვათ: წარმოების ავტომატიზაციამ, შრომის მექანიზირებამ, იმავდროულად მრავალი პრობლემაც დასვა. შრომა რაღაცნაირად მონოტონური, ერთფეროვნული, უინტერესო ხდება. ამ ჩინებულ სამწროებში, სადაც პაერი კონდიცირებულია და კედლებიც, ინჟინერული ფსიქოლოგიის შესაბამის ნაირ-ნაირ ფერადაა შეღებილი, უნებურად გებადება კითხვა: როგორ იცვლება ამისთანა პირობებში ადამიანის სული? რა ემართება მას? მდიდრდება? ღარიბდება? ყველაფერი ეს უნდა გავიცნობიეროთ. მართალია, პარველადია ყოფიერება, ცნობიერება კი მეორადია, მაგრამ პარტიული ცნობიერება პირველადია, ადამიანის ცნობიერება პირველადია. იმის გაცნობიერება, თუ რის-თვის ცოცხლობ, რისთვის შრომობ, ამის გაცნობიერება — პირველადია. უფლება არა გვაქეს, ვიფიქროთ, თითქოს განვითარებადი ტექნიკური რევოლუცია, რომელსაც სარგებლობა მოაქვს ადამიანებისათვის, ჩვენს მაგივრად აღზრდის ადამიანის სულს, ვერავითარი ტექნიკური რევოლუცია ვერ შექმნის ვერც იდეალებს, ვერც ადამიანის სულის მშვენიერებას. ეს ჩვენი შრომა და ჩვენი მოვალეობაა.

ქამალ აბუკოვი (დაღუსტანი): თემა—კომუნისტის სახე საბჭოთა ლიტერატურაში — სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის მაგისტრალური თემა. სწორედ მიღწევებით ამ სფეროში, მიღწევებით

იმ გმირთა სახეების შექმნაში, რომელთაც უნდა მივბაძოთ, რომელთაგანაც ბეჭრი რამ უნდა ვისწავლოთ, განისაზღვრება ჩვენი ლიტერატურის ძირითადი იდეურ-მხატვრული მონაპოვრების მნიშვნელობა, მისი სიმწიფე, მისი წელილი მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში.

ორატორი ლაპარაკობს დაღესტნის მწერალთა (რ. გამზათოვი, ი. ქარამოვი, ფ. ალიევა, გ. სულიმანოვი, მ. გაჯიევი...) მიღწეულბზე კომუნისტის სახის შექმნაში.

ჩვენი თაობირის თემა და საუბრის დონე, — ამბობს ორატორი, — შორს სცილდება ამ აუდიტორიის ფარგლებს. ამიტომ კარგი იქნებოდა, ამ თაობირის მასალები ცალკე წიგნად გამოგვეცა.

ბორის ვასილიევი (მოსკოვი) ხაზს უსვამს თუ რა დიდ ადგილს იჭერს ამ ბოლოდროინდელ პროზაში სამამულო ომის თემა, მიმოიხილავს ზოგიერთ ნაწარმოებს და დამსწრეთ საკუთარ გამოცდილებასაც უზიარებს. მწერლისათვის, — ამბობს ბ. ვასილიევი, — უდიდესი კრიტერიუმი უნდა იყოს სიმართლე. ყოველი მწერლის არსებაში ზის რეალურობის ჩარიცხვა უნდა გვიქმნას და არა იმაზე, რომ დავწეროთ ის, რისი დაბუჭდვაც გაიოლდება. და თუ მხატვრის პოზიცია ნაღდია, პარტიულია, მას არაფერში სჭირდება ქარაგმები, შარადები და კრისორდები, მას ვინც ბევრ დროსა და ენერგიას კარგავს რებუსებზე, თვითონ იდეა ხელიდან ეცლება, ეს იდეა უმქრქალდება, მეორე პლანზე გადაუდის. მაგრამ მთავარი ხომ ისაა, რომ ვაჩვენოთ როგორია ჩვენი გმირი და არა იმის გაგება, ვინაა იგი. სხვაგვარად ხასიათი ბიოგრაფიით იცვლება. ცოცხალი სახის ნაცვლად ხშირად ხელთ შეგვრჩება ხოლმე ნიღბები: პარტორგი-ნიღაბი, ვეტერანი მუშა-ნიღაბი, წარმოების მოწინავე — ესეც ნიღაბი. ლიტერატურა კარნავალად არ უნდა გადავაქციოთ.

ადამიანებს სჭირდება დიდი მიზანი, დიდი იდეა, იდეა-ჩირალდანი, იდეა-იარაღი; მიზანი, იდეა, რომელიც ეფუძნება მარქსისა და ენგელსის მოძღვრების მეცნიერულ ფუნდამენტს. ეს იდეა მეოცე საუკუნის არსთა არსია. ლიტერატურაში უნდა ვაჩვენოთ ამ იდეის ცხოველმყოფელობა, უნდა ვაჩვენოთ ამ იდეის ხორცისშემსხმელნი.

ფაზიდინ მუჰამედიევი (ტაჯიკეთი): ტაჯიკური საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებლებმა და დღევანდელი მწერლების უფროსი

თაობის წარმომადგენლებმა კომუნისტების სახეთა შესანიშნავი გალერეა შექმნეს. მაგრამ ბოლო ხანებში ასეთი შთამბეჭდავი სახეები არ შექმნილა. რატომ? ვითომ ცხოვრება არ იძლევა სათანადო მასალას? ეს სწორი არაა. ნამდვილმა მწერალმა დაკვირვებული თვალით, შინაგანი ხილვით უნდა შენიშნოს და წარმოაჩინოს ის, რაც ახალია ჩვენს ცხოვრებაში, ადამიანთა ურთიერთობაში, ხოლო ჩვენს ირგვლივ აურაცხელი გმირი გომუნისტია. ახლა ძალზე ხშირად ვლაპარაკობთ „ჩვეულებრივი“ კომუნისტების ხასიათებზე, მათს „მიწიურობაზე“, ვშიშობთ, რომ კომუნისტი პერსონაჟი „ზეადამიანი“, უშეცდომო, უნაკლო ადამიანი არ გამოგვიყიდეს. ამგვარმა მოთხოვნებმა შეიძლება სულ სხვა შედეგი მოგვცეს. პირადად მე მინდა ლიტერატურაში ვიხილო კომუნისტების გმირული, უზვეულო ხასიათები, რომანტიკულიც კი. ცხოვრებაში მათ ბევრჯერ შესვდები.

ს ა რ ლ ა მ პ კ ო რ ბ უ (მოლდავეთი): როდესაც თვალს ვაღევნებთ საბჭოთა ლიტერატურის განვითარების მთელ გზას, დიდი გარჯის გარეშე შევნიშნავთ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი მხატვრული ხასიათები მოგვევლინა ისტორიის დიდ გზაჯვარედნზე, ყველაზე მძაფრი ისტორიული, ზნეობრივი და სოციალური შეჯახებების პროცესში: რევოლუციის, სამოქალაქო ომის, ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციის, დიდი სამამულო ომის, სახალხო მეურნეობის აღორძინების პერიოდში და ა. შ. ხასიათები თითქოს რეალური ისტორიული დროის და რეალური ისტორიული მოვლენების განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა. რამდენადმე სხვაგვარი ვითარებაა დღეს. თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანი და ორმა სოციალური და ზნეობრივი პროცესები ხდება, ვიდრე წინა პერიოდებში, მაინც ეს პროცესები სიღრმისეულია, ზედაპირზე არაა მოქცეული და ყველასათვის როდია შესამჩნევი. ჩვენ უნდა გვაღულებდეს და უნდა გავიაზროთ ის, რაც ხდება ჩვენს ხასიათში, ჩვენს ფუნქციაში მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში. უნდა ვაღიაროთ, რომ ჭოველვის როდი ვასწრებთ ცხოვრების მხარდამხარ სიარულს, ზშირად ჩამოვრჩებით.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავშეჯდომარე — გრიგოლ აბაშიძე ლაპარაკობს, რომ თვით ეს თათბორიც მეტყველებს იმაზე, თუ რა დიდია ჩვენი მწერლების ინტერესი ხალხის ცხოვრებისადმი. ჩვენი თათბირის საუბრის თქმა, — თქვა მან, — მეტად ღრმა 3. „კრიტიკა“ № 7.



და საპასუხისმგებლოა. თანასწორუფლებინ ხალხთა ძმურ ჯაახში აყვავ-
და და გაიფურჩქნა ქართული კულტურა. მოძმე ხალხთა ლიტერატურა და
კულტურა ვითარდება ურთიერთგავლენით, ურთიერთგამდიდრებით. ჩვენი
ხალხის სულიერი დახსლოების ამ კეთილშობილურ საქმეში მნიშვნელო-
ვან როლს ასრულებს რუსული ენა, რომლის მეშვეობითაც ერთი მოძმე
ხალხის ლიტერატურის მიღწევები ხელმისაწვდომი ხდება სხვა მოძმე
ხალხების ლიტერატურებისთვისაც. აქ ამხანაგმა ე. შევარდნაძემ იღაბარა-
კა რუსული და ქართული ლიტერატურის წარმტაცი მეგობრობის დიდ
ტრადიციებზე, — თქვა გრ. აბაშიძემ, — იმ შესანიშნავი რუსი პოეტების
მუშაობაზე, რომელთა თარგმანის შეოხებითაც ქართულმა პოეზიამ შორს
გაითქვა სახელი. ესტაფეტა გრძელდება და ახალგაზრდა თაობის ნიჭიერი
რუსი პოეტები სიყვარულით თარგმნიან ჩვენი პოეზიის ახალ-ახალ მიღ-
წევებს.

აქ დასახლებული იყო საბჭოთა მწერლების, მათ შორის ქართველი მწერლების, მრავალი შესანიშნავი წიგნი, რომლებშიც მოცემულია კომუნისტთა მომხიბვლელი სახე, მაგრამ ჯერ ცოტაა გაკვთებული, ჯერ კი დღე ვალში ვართ ჩვენი პარტიისა და ხალხის წინაშე. ჩვენს სტუმრებს, — განაგრძო ორატორმა, — შესაძლებლობა მიეცათ საკუთარი თვალით ენახათ, რა ძერტი ხდება ჩვენს რესპუბლიკაში, გასცნობოდნენ იმ ადამიანებს, ვისი მარჯვენითაც ხდება ეს ძერტი. მათ ნახეს და შეიტყვეს, რითი სულდგმულობს დღეს ჩვენი ხალხი, როგორ ახორციელებს იგი ჩაის პლანტაციებზე თუ სამშენებლო ხარაჩოებზე უფროდის გეგმას უნდა მოგახსენოთ, რომ ამ მოგზაურობის პირველი შედეგი უკვე გვაქვს — „კომუნისტში“ დაიბეჭდა ვილ ლიპატოვის ნარკვევი ქუთაისის ქარხნის მუშავე, რომელსაც იგი ორი დღის წინ შეხვდა.

დაქასრულ გრ. აბაშიძემ მაღლობა მოახსენა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს იმ მაღალი შეფასებისათვის, რომელიც მან მისცა ქართველ მწერალთა შემოქმედებით აქტიურობას და აღნიშნა, რომ ქართველი მწერლები არამარტო სიტყვით, არამედ საქმით მიპყვებიან სწორ ლენინურ კურსს, რომელსაც ატარებს პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ამჟამად საუკეთესო ქართველი პოლიტები და პროზაკონსტიტუციური სამსახურის უმთავრეს მიმღებები და მიყოფებიან ხუთწლედის უმთავრეს მიმღებებზე. სადაც შრომობენ თავიანთი მომავალი წიგნების გმირთა მხარდამხარ და უთუოდ შექმნიან მნიშვნელოვან ნაწარმოებებს, სადაც ღირსეულად იქნებიან გამოყავილი

ჩვენი ახალშენებლობების მოწინავე ადამიანები. ჩვენი თათბირი, — თქვა ორატორმა, — განსახილველი პრობლემების მნიშვნელოვანებისა და დონის გამო, ძალზე პოპულარული გახდა მთელს რესპუბლიკაში. ვფიქტობ, თათბირის მონაწილენი ერთსულოვნად დაუჭერენ მხარს ამხანაგე. შეგარდნაძის წინადაღებას, რომ ამგვარი თათბირები ყოველწლიურად ჩატარდეს საქართველოში აპრილში, ჩვენი პარტიის ფუძემდებლის — ღილი ლენინის დაბადების თვეში.

ჩვენი ლიტერატურა გამუდმებით გრძნობს პარტიის დიდ მხარდაჭერას და დახმარებას. ამგვარი ზრუნვისა და ჩვენი შრომისადმი ნდობის გამოვლენა იყო სკაპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეზნევის გამოსვლა კომკავშირის XVII ყრილობაზე. ასეთი ნდობა კიდევ უფრო მეტად შთაგვაგონებს გუძღვნათ ჰიმნი პარტიას, ჩვენი წიგნებით უკვდავეყყოთ ჩვენი ეპოქის გონების, ღირსებისა და სინდისის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დიალი საქმენი.

თათბირის მუშაობა შეაჯამა ვიტალი ოზეროვმა, მან დაწერილებით, საფუძვლიანად ისაუბრა თათბირის შემოქმედებით და პრაქტიკულ შედეგებზე და დასასრულ თქვა:

— უკველია, უფლება გვაქვს მივიჩნიოთ, რომ ჩვენი შემოქმედებითი თათბირი იყო შინაარსიანი, სასარგებლო, და მან თავისი წელილი შეიტანა საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ძალზე მნიშვნელოვანი საკითხის გაშუქებაში, კიდევ უფრო მშიდროდ დარაზმა საბჭოთა მწერლები აქტიური, ნაყოფიერი და მომთხოვნელური შრომისათვის, კიდევ უფრო ახლობელი გახადა მათვის საბჭოთა ხელოვნების კარდინალური თემატიკა — საბჭოთა ხალხის, კომუნიზმის მშენებელი ადამიანების ცოვრებისა და შრომის, კომუნისტური პარტიის გმირული საქმიანობის თემატიკა, მოღვაწეობა კომუნისტებისა, რომლებიც განასახიერებენ ჩვენი ეპოქის გონებას, ღირსებასა და სინდისის.

ამას ხელს უწყობდა ის სასიხარულო, დიდად შთამაგონებელი მოვლენა, რაც ამ დღეებში მოხდა. ჩვენ დიდი სიხარული მოგვანიჭა და სიამაყის გრძნობა აღვიძრა ლიტერატურისა და ხელოვნების დამსახურების მაღალმა შეფასებამ, რომელიც მათ მისცა ლეონიდ ილიას ძე ბრეზნევმა კომკავშირის XVII ყრილობაზე. ჩვენ აღფრთოვანებული ვიყავით იმით, რომ ამ გამოსვლაში მოვისმინეთ ჩვენი შემდგომი ცოვრებისა და შემოქმედებითი მუშაობის საპროგრამო სიტყვები.

საბჭოთა კავშირის მწერალთა და კრიტიკოსთა სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილეებმა მისალმების წერილი გაუგზავნეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.



„პრიტიპის“ რედაქციაშ სთხოვა საპავშირო თათბირის მონაწილე ქართველ გზერლებს გამოეთვათ თავიანთი აზრი ამ დიდზენალოვან ღონისძიებაზე.

აი, რას ამბობენ ისინი:

თენგიზ ბუაჩიძე

საბჭოთა ლიტერატურაში არიან გმირები, კომუნისტები — ლევინსონი, კორჩავინი, დავითოვი, ჩაბაევი და ბევრი სხვა, რომლებიც არასოდეს წომლებან ჩვენს მეცნიერებაში.

კომუნისტებს ისტორიული მისია აკისრით საბჭოთა საზოგადოებაში. „კომუნისტებო, წინ!“ — ეს მოწოდება ხშირად გაისმოდა სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, ხუთწლედების დიად სახალხო მშენებლობებზე.

მართლაც, კომუნისტები არიან იქ, სადაც წყდება საბჭოთა ქვეყნის არსებობის, განვითარების, წინსკლის მთავარი ამოცანები, მოწინავე ხაზზე დგანან საზოგადოების, პარტიის საუკეთესო შვილები.

და არ არსებობს ლიტერატურისათვის უფრო დიდი, უფრო საპატიო ამოცანა, ვიღრე სწორად ასახოს კომუნისტების სახეები. მათი გმირობა, მათი მაორგანიზებელი და წარმმართველი როლი საბჭოთა საზოგადოების განვითარებაში.

23-27 აპრილს თბილისში შემდგარი საკავშირო თათბირი — „ჩვენა ეპოქის გონიერი, ლიტერატურის და სინდისი“ — მეტად წარმომადგენლობითი ფორუმი იყო. საბჭოთა კავშირის ყველა სამწერლო ორგანიზაციის წარმომავნილი გამოვიდა ამ ფორუმზე, ილაპარაკა

თმ ნაკლსა და მიღწევებზე, რომლებიც გვაქვს კომუნისტის სახის ხორციშესმის საქმეში. ყერ კიდევ ცოტაა გაკეთებული, ყერ კიდევ ვალში ვართ ჩვენი პარტიისა და ხალხის წინაშე — ეს აზრი გამოთქმული იყო მრავალი ამხანაგის გამოსვლაში, მათ შორის ქართველი მწერლების სიტყვებშიც.

თუ გავითვალისწინებთ, რა ძვრები ხდება ჩვენს რესპუბლიკაში, რათა სულდგმულობს დღეს ჩვენი ხალხი, მართლაც, უნდა ვაღიაროთ, რომ დღევანდელი ქართული მწერლობა უფრო ძეტიურად უნდა იყოს ჩამომული ცხოვრების ფერხულში, უფრო სრულად, სისხლსავსედ და ნათლად უნდა ასახავდეს ხალხის საუკეთესო შეიღწიას — ქართველი კომუნისტების ყოველდღიურ შრომას.

არსებობს ყველა პირობა იმისათვის, რომ სახელმოვანმა ქართულმა მწერლობამ ღირსეულად გაართვის თავი ამ საპატიო ამოცანას და შექმნას ჩვენი დიდი ეპოქის შესაფერისი მაღალმხატვრული ნაწარმოებები: სწორედ ამაში მდგომარეობდა აპრილის საკავშირი თათბირის არსი. მწერლების საპატიო მოვალეობაა, უკვდავყონ თავიართ წიგნებში ჩვენი ეპოქის გონიერის, ღირსებისა და სინდისტის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დიალი საქმენი.



ნოდარ დუმბაძე

პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ქართველი მწერლების ინიციატივით თბილისში ჩატარებული კრიტიკოსთა და ლიტერატორთა სრულიად საკავშირო თათბირი, რომელიც მიეძღვნა ჩვენს ლიტერატურაში კომუნისტის სახეს, დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება იყო. თათბირზე გაიმართა საქმიანი, დროული სჯა-ბაასი საბჭოთა ლიტერატურის ყველაზე საჭირობოროტო საკითხებზე. უეჭველია, რომ ეს თათბირი სტიმულს მისცემს კომუნისტისა და მისი სახელოვანი საქმეების ამსახველ ახალ ნაწარმოებთა შექმნას.

ქართველი მწერლები დიდი აღმავლობით შეხვდნენ პარტიის მოწოდებას, — რაც შეიძლება ღრმად ჩასწვდნენ ჩვენი სახელმოვანი მუშებისა და კომლეურნების ცხოვრებას, რათა შემდეგ ნაწარმოებებში ასახონ მათი გმირული აღმშენებლობითი შრომა. ამ მო-

წოდების პასუხად ქართველ მწერალთა რამდენიმე ჯგუფი შემოქმედებით მივლინებაში გაემგზავრა. თქვენ ალბათ წაგიცითხავთ უკანასკნელ ხანს შექმნილი ნაწარმოებები, რომელთა ავტორები არიან ლადო მრელაშვილი, გურამ ფანჯიშვილი, შოთა ნიშნიანიძე, ხუტა ბერულავა, ჯანსულ ჩარქვიანი, მორის ფოცხიშვილი, მერაბ ელიოზიშვილი, გიორგი ნატროშვილი, ნოდარ წულეისკირი, მიხეილ ლოხვიცევა და სხვ. გამომცემლობა „მერანნა“ უკვე გამოუშვა წიგნების სერია „ქართველი მწერლები — ხუთწლების მხარდამხარ“.

სულ უფრო და უფრო მტკიცლება ჩვენი კავშირი მოძმე საბჭოთა ხალხებთან. „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი“, ამბობს ხალხი. ეს გრძნობა ჩვენთვის მახლობელი და ძვირფასია.

განა ხალხთა ძმური სიყვარულის დადასტურება არ იყო გალაკტიონ ტაბიძის საიუბილეო საკომი, რომელიც მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა?

განა ძმური სიყვარულის დადასტურება არ იყო დღესასწაული, რომელიც ჩვენთან, საქართველოში გაიმართა კაცობრიობის სიამაყის, დიდი პუშკინის დაბადების 175 წლისთავის აღსანიშნავად?

განა შეიძლება დავივიწყოთ ამაღლელებელი დღეები. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში რომ მოეწყო? განა ეს დღეები არ იყო ორი ძმის — ქართველი და აფხაზი ხალხების მეგობრობისა და მოყვრობის დიადი გამოვლინება, მათი დიდი სიყვარულის დემონსტრაცია, საგალობელი?

„ჩვენი ეპოქის გონება, ღირსება და სინდისი“ — ამ დევიზით თბილისში გამართული საკავშირო თაობირი დიდად დაგვეხმარება, რათა უფრო სისხლსავსედ, უფრო შთამბეჭდავად, მეტი შთაგონებით ვაჩვენოთ ჩვენი დროის მოწინავე ადამიანის — კომუნისტის სახე.

რევაზ მარგიანი

თბილისში ჩატარებული საკავშირო თათბირი დევიზით — „ჩვენი ეპოქის გონიერა, ღირსება და სინდისი“ მნიშვნელოვანი მოვლენაა მთელი ჩვენი მრავალეროვნული მწერლობისათვის. ფრიად სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ამ დიდ ფორუმში მონაწილეობდნენ უკელა ეროვნული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლები, უკელა თაობის მხატვრული სიტყვისა და კრიტიკული აზროვნების გამოჩენილი ოსტატები.

ჩვენი ეპოქის მოწინავე ადამიანის — კომუნისტის სახის შექმნა ყველა საბჭოთა მწერლის საპატიო და უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამ მხრივ ჩვენს ლიტერატურას უმდიდრესი გამოცდილება აქვს — შეიძლება ითქვას, რომ უკვე შექმნილია დიდი ტრადიცია. ყველა ეროვნულ მწერლობაში, საკუთარი ეროვნული გამოცდილების საფუძველზე გამოკვეთილად ჩანან მებრძოლი და მოაზროვნე, უაღრესად აქტიური, სამშობლოს კომუნისტური იდეალებისთვის თავგანწირული ადამიანები...

თვალი რომ გადავავლოთ მრავალეროვნულ საბჭოთა მწერლობას, ჩვენს თვალში გაცოცხლდებან კვირული ხასიათები, რომლებიც საბჭოთა ადამიანების თაობებისთვის იდეალად გვესახებიან, ისინი ჩვენს გვერდით არიან დღესაც, ჩვენთან იბრძეიან და შრომობენ.

ჩაგრამ ის, რაც ათწლეულების მანძილზე შეიქმნა, უკვე ისტორია და დღეს ჩვენ გვჰქირდება ახალი, 70-იანი წლების გმირი კომუნისტების სახეთა გალერეა, გვჰქირდება ვაჩვენოთ არამარტო დოკუმენტები. არამედ ხვალინდელი დღის გმირიც, რომლის გონიერა და მარჯვენა სასწაულებს ახდენს. ამ პათოსით იყო გამსჭვალული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამ. ედუარდ შევარდნაძის ვრცელი და შინაარსიანი სიტყვა ამ თათბირზე. ამაზე ამახვილებდნენ ყურადღებას ვალენტინ კატავე და ვიტალი ოზეროვი, გრიგოლ აბაშიძე და დანიელ გრანინი, მარია პრალექსავა და მირზა იბრაჰიმვი, გურამ ასათიანი და ალექსანდრე მეურიოვი და სხვანი და სხვანი.

ეს მეტად საინტერესო შემოქმედებითი თათბირი რამდენიმე დღეს გაგრძელდა და, რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, თათბი-

რის მონაწილეებმა — სტუმარმა და მასპინძელმა მწერლებმა მოიარეს მთელი საქართველო, თვალნათლივ ნახეს, თუ როგორი საყოველთაო სახალხო შრომითი შემართება სუფევს ჩვენს რესპუბლიკაში დღეს, როგორ იძრდეს ქართველი ხალხი პარტიის XXIV ყრილობის გადაშეცვეტილებათა განხორციელებისათვის. მწერლებმა პირადი კონტაქტები დაამყარეს თავიანთი ნაწარმოებების მომავალ გმირებთან — ენგურჭესისა და ალაზნის არხის მშენებლებთან, რუსთაველ მეფოლადეებთან და ქუთაისელ ავტომშენებლებთან, სახელგანთქმულ მეჩაიერებთან და მევენახეებთან. ყველგან და ყველაფერში იგრძნობოდა, რომ ჩვენი ხალხი თავდადებით იღვწის რესპუბლიკის შემდგომი წინსვლისათვის, მთელი ჩვენი საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ.

პირადად მე ამ ბოლო ხანებში დავშერე ჩვენი დღევანდელი ცხოვრებისადმი მიძღვნილი ნაწარმოებების ციყლი, რომელიც გამოვა ცნობილ სერიაში „ქართველი მწერლები — ხუთწლედის მხარდამხარ“. ეს იქნება ჩემი სიტყვა, ჩემი პასუხი იმ ლირსშესანიშნავ მოვლენებზე, რომლებიც ამ ბოლო ხანს ხდება ჩვენს რესპუბლიკაში.

ხალხთა ძმობა და მეგობრობა, პატრიოტულ-ინტერნაციონალური სულისკვეთება მსჭვალვს დღევანდელ ქართულ მწერლობას და მწამს, რომ ახლო მომავალში ჩვენ ვიხილავთ ახალ და ახალ ძალზე საინტერესო, ჩვენი დროის ჰეროიკის ამსახველ მხატვრულ ტილოებს.



ნაზი კილასონია

(ღია ბარათი რომანტიკულ თანამედროვეს)

მშვენიერებას მრავალი სახე აქვს, — მრავლად ფეროვანია. მშვენიერია ოთხკედელშუა შემოტანილი სოსანი — ვით სალამი ყანებისა.

მშვენიერია მოლოდინი სიტყვისა, რომლის აბრუშუმის წვერს უკვე წაატანე ხელი და აპა — საცაა უნდა ამოჰევეშო შრიალა გორგალი, დღეებით, თვეებითა და წლობით რომ ფეროვნებდა შენში.

მშვენიერია წამი თვალახელისა, პირველი ყვირილისა, — რადგან მილიარდობით შესაძლებელ სიცოცხლეთა შორის მაინც მაინც შენ გაიმარჯვე — შენ მოხველ ქვეყნად.

მშვენიერია....

მშვენიერია!..

უფრორე მიორმ, რომ მხოლოდ სიცოცხლისთვის არ მოვლენიხარ ქვეყანას: შენ მოხველ, როგორც მოწმე ეპოქალურობისა და აკვანი შენი მიჩნად უდგა შუქსა და ჩრდილს, ჭიდილს უწყალოს, მაინც მშვენიერს.

მე მახსოვს ბავშვისათვის ძნელად გასატეხი სიტყვა — „კოლექტივიზაცია“...

მტკრიან შარაგზაზე მივღოლავდი და ვიმეორებდი: კოლექტივი-ზა-ზაცია! ო, როგორ მიჰირდა ამის გამოთქმა. და ჯერ არაფერი მე-საქმებოდა იმ ყამირებთან, რომლის გატეხვა მართლა უჭირდათ ადამიანებს.

თავმლით პირახვეულ ქალებს გრძელ ხონჩებზე ეყარათ ხორბალი. ისინი სათითაოდ არჩევდნენ მარცვალს. ცხელი შუალე და მზისფერი ხორბალი. მას შემდევ მოწიწებით გეთაყვანები, ქვეყნის სასწაულო, კრიალა მარცვალო. დამპურებელო, სისხლო და ხორცო.

აი, კიდევ: ძნის ჩრდილს შევფარებივართ ბალდები. პერანგზე საკინძაბსნილი, გაოფლილი კაცები ხარბად სვამენ წყალს ღოქე-ბიდან. წყალი წულწურათ დასლით ყელსა და მკერდზე. თვალი კევრებისაკენ უჭირავთ. აქ, ამ ცხელ ალოობაზე შევხვდი ლმობიერებას, კეთილშობილებას ადამიანსას: კაცი ფეხდაფეხ მისდევს კევრში შებმულ ხარს, ჩაშლილი ძნიდან იღებს ერთ ბლუჭა ოქროს და საჭმელად უწვდის დაუნანებლად, დაუყვედრებლად... შენ, ძმობავ ხარისა და კაცისა, — განა არ ღირსი ღიდი პოემებისა, უმაღლესი ლექსისა?.. იმ ფიცრულში, საღაც ჩვენ ზაფხულის ღა-შეებს ვტეხავთ, მინდვრებიდან, ანეულებიდან გუგუნ-გრიალით შემოდის ჩვენში ახალი ყოფა, ეპოქა რკინის ხარებისა. საბანს თავ-

ზე ვიფარებ და ლოცვასავით ვამბობ ლექსს პირველ ტრაქტორისტზე,
 კულაკებმა რომ დასწვეს თურმე:

„შუაღამეა, კოლექტივს სძინავს,
 ზეცა იტუტებს მთვარეს დალეულს,
 მხოლოდ დიაკონს არ ეძინება,
 სოფლის გარეთ ხნავს პეტრე ანეულს...“

მერე ცრემლები მახრჩობს:

„გაჰკრეს ასანთი და მიიმალნენ,
 იდგა ტრაქტორი გაუზრეველად,
 და დიაკონი დამწვარი ფერფლი
 რიცრავის სიოს გაჰკრონდა ველად...“

მაგრამ კაკლების იქით ამოდის დიდი მზე და ქალებს საუზმე
 მიაქვთ დაღლილ ტრაქტორისტებთან. მაში, ყველაფერი კარგადაა. მაგ-
 რამ ასანთი მაიც გაჰკრეს: ჩვენ მივრბოდით თავზარდაცემულნი
 კალოზე. იწვოდა ძნა და ბავშვები ვტიროდით. ცეცხლი ანათებდა
 ღამეულ მინდობს, სახეებს, ცრემლებს... ეს უკვე პირველი შეხვე-
 დრა იყო ულმობელობასთან, „ჩემისა“ და „ჩვენის“ მცენებათა
 ბრძოლასთან, უკანასკნელ კონვულსიასთან. პირველი სკოლა იყო
 ჩემი, პირველი ანბანი.

რაკილა სიტყვა ანბანზე ჩამოვარდა, იმასაც მოგიყვები, რო-
 გორ სწავლობდნენ ჩვენი ქალები ანბანს:

მაში, კაკლებს იქით დიდი მზე ამოდიოდა. ჩვენ ვიღვიძებდით
 და თარო-წალოებს გჩხრეკდით, ვეძებდით, ვყიყოფდით, ვჭირდით.
 მერე აკვნიდან ვაყენებდით პარაწებს და მინდვრად, დედებთან
 მიგვყავდა. დედები სამარგლავიდან თუ სათოხარიდან წელს იმარ-
 თავდნენ, ხელგაშლით გვეგებებოდნენ და გულში იქრავდნენ თოთო
 ბალებს, ძუძუს უწვდიდნენ. განა ასე არ იყო, მინდვრებო, ბალე-
 ბო, ვენახებო? ასე არ იყო განა? და თუ ეს ასე იყო, — განა არა
 ხართ ლირსნი მრავალზე მრავალი წიგნი დაიწეროს თქვენზე, წიგნი,
 სადაც შრომის ადამიანთა სინდისი ცასავით იქრიალებს.

ბინდისას ბრუნდებოდნენ ისინი, ჩვენი ქალები, ოლონდ კა-
 ცებზე ცოტა ადრე, რომ ვახშის თაღარიგი დაეჭირათ. და ვიდრე
 ზეღადგარებზე შემდგარ ქვაბებში იხარშებოდა კარტოფილი, ცხვე-

შოდა კეცებზე ნაკვერჩხალწაყრილი ხმიადები, — ოჯახში მო-
 დიოდნენ ახალგაზრდები („კომკავშირელები“) — ვამბობდით ბავ-
 შვები მოწიწებით) ისინი ანსა და ბანს ახაზვინებდნენ რვეულებში
 იმ დაღლილ ხელებს. მითხარ, ხომ არის ამაში რომანტიკა, მკაცრი
 რომანტიკა? განა არ ელის იგი რომანტიკა თავის მხატვარს, თავის
 პოეტს? იჩქარე, მეგობარო, მანამ გახსოვს, მანამ არსებობ, ვით
 მომსწრე და მოწმე. ეს შენი ლირუებისა და სინდისის ვალია!

შენი ცხოვრება, ჩემი ცხოვრება სავსეა ეპოქებით, რადგან
 ყოველ წელს კი არა, ყოველ ღლეს მოჰქონდა ჩვენთან პლანეტის
 ძრები. რომელი ერთი ჩამოგითვალო, რომელი ერთი გაგასხენო?
 და ყოველი მათგანი მშვენიერებით, თუნდაც მკაცრი მშვენიერე-
 ბით, არის სავსე. აი, რა თქვა ამას წინათ მიხაილოვსკოეში, პუშკი-
 ნისეული ნაკრძალის მომვლელმა იმ ადამიანებზე, ყოველღლე რომ
 აწყდებიან ერთიან ნაკადად ამ წმინდა ადგილს: „ისინი ეძებენ რა-
 ღაცნაირ სიხარულს თავისთვის, რაღაც ახალ რწმენას, რაღაც მშვე-
 ნებას. ისინი წერენ ამის შესახებ, ისინი ჩამოდიან და როცა ასეთი
 მომხილველი აქ აღმოჩნდება, მისთვის ფრინველთა გალობაც, ყვა-
 ვილთა გამლაც — რაღაც ლიტურგიულია, რაღაც ღვთაებრივია!“...

ეს ღვთაებრიობა, ეს ზეგარდმო ნიჭი ისევ და ისევ შენი ლირუ-
 ეული ხალხისთვის უნდა გამოაბრწყინო, შენი ლირუეული წარსუ-
 ლისთვის, შენი იმედიანი მომავლისთვის. ამას თხოულობს აწყო
 შენგან, ჩვენგან, — მათგან, ვინც მხატვრული სიტყვის მონა და
 მსახური გახლავართ. უანგაროა ეს სამსახური, წმინდა და მოუსყი-
 დველი. იცი? კარგა ხნით აღრე, ვიდრე ჩვენ გავჩნდებოდით,
 საბჭოთა მწერლობის სინდისი მაქსიმ გორკი ერთ-ერთ ამერიკელ
 მილიონერს ესაუბრა:

— „რას ფიქრობთ ხელოვნებაზე?

— რა ბრძანეთ? — მკითხა მან.

— რას ფიქრობთ-მეთქი ხელოვნებაზე?

— ა! — წყნარად მომიგო — მე კი არ ვფიქრობ, არამედ ვყი-
 ღულობ მას...“

ფულისმიერი ცინიზმი ამაზე შორს ვერ წავა.

...

— „ლექსები კი როგორ მოგწონთ? — ვკითხე მე.

— ლექსები? — კითხვითვე მიპასუხა მან. — ლექსები?

ო, დიახ! ძალიან მომწონს. ცხოვრება ძალიან სასიხარულო იქნება, როცა ყველა დაიწყებს ლექსად რეკლამების ბეჭდვის.

— ვინ არის თქვენი საყვარელი პოეტი? — უმაღვე მივაგებე კი-თხვა.

მოხუცმა გაკვირვებით შემომხედა და ნელა მკითხა:

— რა ბრძანებოდა?

მე კითხვა გავუმეორე.

— ჰმ... — თქვა მან და ეჭვის ნიშნად თავი ჩაიქნია. — რისთვის უნდა მიყვარდეს პოეტი და რა საჭიროა მისი სიყვარული?“

ასე ბრძანა უიტმენის ქვეყანაში კაცმა, რომელმაც საუბრის დასაწყისიდანვე განაცხადა: „ცხოვრებას სწორად ხელავ მხოლოდ ოქროს გორიდანო.“

მას შემდეგ მოდის და მოდის:

უმდიდრესები ოქროს გორებზე ისხდნენ.

უღარიბესნი ბარიკადებს სწირავდნენ პოეტურ სულს.

„კაცს აქვს შურისგების უფლება, — ამბობდა იქვე გორვი.

— ამ უფლებას მას აღამიანები ანიჭებენ“.

ზოგჯერ სიმღერაც შურისგებაა, ისევე როგორც სიმღერა-გამარჯვება, სიმღერა-სიყვარული, სიმღერა-ბეღნიერება. ასეთი შურისგებელი სიმღერაა „ინტერნაციონალი“ — და არა მხოლოდ პურისთვის, არამედ მაღალი იდეალებისათვის... სიმღერა სიყვარულია პუშკინისეული:

«И сердце бьется в упоенье
И для него воскресли вновь
И божество, и вдохновенье,
И жизнь, и слезы, и любовь».

სიმღერა — სიმამაცეა ბაგრიცის, სვეტლოვის პოეზია, სიმღერა — იარაა ლადო ასათიანის „კრწანისის ყაყაჩოები“, სიმღერა — ამაღლებაა გალაკტიონის „ნიკოლწმინდა“, სიმღერა — ბედისწერაა ბარათაშვილის „სულო ბოროტო“ და ანა კლანდაძისეული „თქვა სატანაშ“. ზღვას ფოლადის ხელი დაპკრა...“

და ყველა მათი გამაერთიანებელია — პოეტური სინდისი. აბა, შეძლოს და იყიდოს იგი ოქროს გორაზე შემომჭდარმა კაცმა!

მაგრამ ხომ არ დაგვავიწყდა? — ჩვენ მუხლზე გადავტეხეთ

ცხელი ხმიადი, გავინაშილეთ და ჭრიჭინობელებით სავსე ღამეში
 ეს იყო ახალი მილიონერების (რაღან ჩვენ მილიონები ვიყავით) —
 უგემრიელესი ტრაპეზი. მილიონები მოდიოდნენ ჩვენთან მარიამ
 დემენტენჯოსა და პაშა ანგელინას, ალექსი სტანოვისა და პაპანინე-
 ლების, ჩვალოვისა და ჩელუსკინელების სახელით, კოლხეთის ჭაო-
 ბის დაშრობთა და პირველი ქართველი მფრინავი ქალების სახე-
 ლით მილიონები იხრებოდნენ ჩვენს ბავშვურ თავებთან და ჩაგვა-
 ხოდნენ, რომ უკვე დაიწყო ახალი ერა და რომ ჩვენ ამ ერის პირ-
 ველი ბავშვები ვიყავით. დაწერე, დახატე, შექმენი, თქვი — შენ
 თავიდათავი მოვალე ხარ ამისა! გაიხსენე, როგორ მოვიდა შენამდე
 გქო შორეული ცეცხლოვანი ესპანეთისა. როგორ გაიგონე სიტყვა
 „პასიონარია“. როგორ შეიყვარე იმ ბავშვობიდან საოცარი ქალი დო-
 ლორეს იბარური, რომელიც დღემდეც არ გინახავს. უამბე ახლებს,
 როგორ გვეხურა ყველას თავზე ესპანური ქუდები. ჯერ კიდევ არ ვი-
 ცოდით, რას ერქვა ფაშიზმი, ვინ იყო გარსია ლორკა, — მაგრამ
 ჩვენი პატარა, ესპანურქუდიანი თავები თავისებურად იყვნენ მი-
 ცემულნი იმ ქარტეხილებს. დღეს ვტირი, როცა დახვრეტილ პო-
 ეტს — ლორკას ვიხსენებ, პატივს ვცემ დიდი მოწამის — სამ-
 შობლოსდაუბრუნებელი მოწამის — დოლორეს იბარურის გუტე-
 სელობას, ვეთაყვანები ადამიანებს — ყოველი მხრიდან რომ შეეშ-
 ველნენ რესპუბლიკური ესპანეთის დამცველებს. „ესპანია ენ ელ
 კორასონ“ — „ესპანეთი გულში“ — პაბლო ნერუდას ეს წიგნი ესპა-
 ნელმა რესპუბლიკელებმა დაბეჭდეს ფრონტულ სტამბაში:

„დე, ვარსევლავებმა, ვით თავთუხმა კასტილიისამ
 აღნიშნოს თქვენი სახელები, თქვენი ბრძოლები,
 რაღან მაგ მსხვერპლით აღიდგინეთ ნდობა მიწისა,
 მაგ გულუხვობით, მაგ სიკვდილით —
 ო, სისხლიანო ფლატეებმ მღინარეები...

ანდა:

„დედებო,

ცრემლის, მწუხარების და სიკვდილს იქით
 შეხედეთ, დგება განთიადი და დახოცილებს
 მოაქვთ სალამი ბზელ მიწიდან, როგორც თავთავებს“.
 1938 წ.

...მე ძრწოლით ვიღებ ფანქარს, რათა გამოვთვალო:

—	1973
—	1938
—	35

35 წლის შემდეგ, 1973 წლის სექტემბერში ჩილეს პოეტი ეფ-
რაინ ბარკერო კივილგარეული ლექსით ამბობს:

„შენ მოკვდი, პაბლო? არა, არ მჯერა!
სწებამ დაგაგდო? ესეც ტყვილია...“.

„ჩილე გულში“ — ასე შეიძლება იმ ლექსის დასათაურება,
რომლის გულიდან ამოღება ვერ მოასწრო. ასე ტრაგიკულად დაუ-
წყვილდა ერთმანეთს პოეტისა და სამშობლოს გული...

ერთმა საბჭოთა პოეტმა აღნიშნა: „იგი იყო ჩილეს პატრიოტი
და პატრიოტი სამართლიანობისათვის ბრძოლისა, სადაც არ უნდა
ყოფილიყო იგი — მადრიდის კედლებთან თუ სტალინგრადის კედ-
ლებთან. ნერულს პოეზია ღალადებს იმაზე, რომ შეუძლებელია
იყო მოქალაქე და არ იყო ინტერნაციონალისტი“.

ეს სტრიქონები ყველაზე მეტად ჩვენ გვესმის, ჩვენ მიგვაქვს
გულთან, რადგან თავისთვისა და ჩვენში, ჩვენს გულში არსებობს იგი
— ვით უდიადესი მაღლი კაცობისა. გული ჩვენი ახა უბრალოდ
გული, რომელიც მხოლოდ სასიცოცხლოდ ფეთქავს — მას ჩვენთან
ერთად გზრდიდით, ვამაღლებდით, ვამდიდრებდით, ვაკეთილშობი-
ლებდით. გულით შევხაროდით მონაპოვრებს ტრაქტორებიდან, პი-
რველი კომბაინებიდან — კოსმიური ერის დაწყებამდე და... დარტ-
ყმებსაც გულით ვიღებდით. ჩვენ, როგორც წილნი ისტორიისა,
სრული უფლებით ვამაყობთ ჩვენი მამებით, საძულველ ფაშიზმს
რომ მოერივნენ, ფერხთით რომ დაგვიყარეს მათი დაფლეთილი
დროშები. და ჩვენ გამარჯვების მზისკენ აგვშიეს. დიახ, მამებთან
ერთად ჩვენც ვაჩო ისტორია ჩვენი ქვეყნისა. და ჩვენი ისტორიის
პირველ თავში ორი ქალიშვილი, ორი ზორა გვყავს ჩაწერილი; ვით
სიმბოლო ერთი მრწამისია, ერთი გულისთვემისა, ერთი სინდისისა,
ერთი ლირსებისა.

მშვიდობით, ჩემო მეობარო, უკეთ — ნახვამდის. რადგან

კვლავ შევხვდებით ერთმანეთს იმ წიგნებში, ოდესმე რომ დაწე-
რენ ჩვენზე, იმ ფერებში, ოდესმე რომ შეჰქმნიან ჩვენთვის...

ოღონდ უნდა ვეცადოთ — დარჩენილი წლები ისე შეუმღვრე-
ვლად მოვიხმაროთ, რომ ისტორიის სარკემ ნათლად აგვრეკლოს.
მაშინ ვიქნებით მშვენიერნი, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ.



ჩიცენაცეულება და ცხოვრება

6. ფილოსოფიური რომანი

დრო ფიზიკურად შევრძნება-
დია, სივრცე მხოლოდ წარმოსა-
ხვას ემორჩილება. მწერლის მიერ
დროისა და მისი მოქალაქეობრი-
ვი პათოსის გამოხატვა ყოველ-
თვის არ გულისხმობს ფიზიკური
დროის გამოხატვასაც. მწერალს

ქართული პროზის განვითარების ზოგიერთი საკითხი

შეუძლია დაარღვიოს ეს კანონე-
ბი, დრო გადაიტანოს სივრცეში
და დაეყრდნოს მითოს... ეს ძა-
ლზე სახიფათო და რთულია, რა-
დგან სულ იოლია ფანტასტიკაში,
უფრო მეტიც. ზღაპრულობაში
გადაჭრა, ისევე, როგორც იოლია
მითოსის ტყვე აღმოჩნდე.

ეს ფიქტები წამოიჭრება, როცა
ო. ჭილაძის რომანს —
”გზაზე ერთი კაცი მი-

როსტომ ბეზანიშვილი

▽ ▽

შერილი მეორე.

დ ი ო დ ა” — კიოხულობ. საგულისხმოა, რომ ერთ-ერთმა ნიჭიერ-ჩმა პოეტმა. რომელიც გამოირჩევა პოეტური წარმოსახვის უკიდურესობამდე მასული გამხოლებით, დაწერა დილტანიანი რომანი.

ჩვენს სინამდვილეში არ ყოფილა შემთხვევა პირიქით მომხდარიყოს, რომანისტს ლექსები დაწერებოს. ასე მოვიდნენ პროზაში ნ. დუმბაძე, თ. ჭილაძე, ა. სულაკაური, ა. გერაძე და სხვები. პოეტი რომ რომანს დაწერს, იცვლება მისი არა მხოლოდ ჟანრული ხელშეჩა, არამედ დამოკიდებულების ფორმებიც სამყაროსა და მოვლენების მიმართ. ო. ჭილაძის პოეზიაში აზრის, ძიების, დიდი სათქმელის მძაფრი სურვილი ყოველთვის შეინიშნებოდა, ბუნებრივია, რომ იგი რომანად იქცა. ჩვენთვის ეს მოულოდნელიც იყო და ლოგიკურიც. ყოველივე ეს დიდ მოთხოვნილებებს უყენებს ო. ჭილაძეს. მით უმეტეს, რომ იგი, სხვა მწერლების მსგავსად, პატარა მოთხოვნებით კი არ შეუდგა ახალ ჟანრში მუშაობას, არამედ დილტანიანი რომანით. ეს არის აღიარებული და საინტერესო პოეტის რომანი, ერთგვარი ჟანრული გაბეჭდულება, რაც სერიოზულ, გულდასმით ანალიზს მოითხოვს.

4. „კრიტიკა“ № 7.

ო. ჭილაძის რომანი — „გზაზე ერთი კაცი მიღიოდა“ ფილოსოფიური რომანია. ქართულ პროზაში ამ სახის არათუ რომანის, არამედ მოთხოვნების ტრადიციაც არა გვაქვს. ამას განსაკუთრებით უნდა გაესავას ხაზი, რაღაც ფილოსოფიური რომანი დამეტრალურად განსხვავდება ყოფითი, ემპირიული რომანისაგან და მას სხვა საზომებით უნდა მიღვომა. შემთხვევითი არ იყო, რომ ლ. სანიკოძის წერილში, რომელიც „მნათობში“ გამოქვეყნდა, მოხმობილი იყო ქართული და ბერძნული მითოლოგია, შუა საუკუნეების თეოლოგიური სამყარო, აჯორძინების ეპოქის კულტურა და ამ ამ დიდი სიმაღლეების ფონზე იყო ცდა ა. ჭილაძის რომანის წარმოჩანება-განხილვისა. პოზიციას, თუ რა კუთხით იქნება განხილული ეს რომანი, უღიერესი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ უნიკალური ექსპერიმენტის მოწმენი გავხდით. მითი, რომელიც სხვა ერების ლიტერატურაში დიდიხიანია დომინირებდა (ევრიპიდე, სენეკა, კორნელი) პირველად იქცა ქართული რომანის თემად.

ნაცნობ სიუჟეტზე, მითი იქნება ეს თუ რომელიმე მწერლის მიერ შექმნილი სიუჟეტი, ყოველთვის შეიძლებოდა წერა და ძა-

ლიან საინტერესო შედეგების მიღწევაც. გოეთე ეკერმანთა საუბარში პირდაპირ მიუთითებდა, რომ მშერალმა თავი უნდა შეიკავოს უსათუოდ ორიგინალური სიუჟეტის მოთვერებისაგან, რადგან მსოფლიოში, რომანებისა და პოემების კოლოსალური რაოდენობის მიზეხდავად, ძალიან ცოტა არიგინალური სიუჟეტები. აქ სიუჟეტის წინააღმდეგი კი არ არის ვინმე. პირიქით, ორიგინალური სიუჟეტი, თავისთვალზე, უკვე აღმოჩენაა, მაგრამ ძალიან ძნელია ამ აღმოჩენის წარამარტვამ არ არის ვინმე. მშერლის ისტატობა იზომება იმითაც, თუ როგორ დაამუშავებს იგი ნაცნობ სიუჟეტს. გოეთე სწორედ ამას გულისხმობდა. ამიტომაც არის. რომ მთელი ანტიური ტრაგედია ორ-სამ სიუჟეტს უტრიალებს. ამიტომაც არის, რომ შექსპირის თითქმის არც ერთი სიუჟეტი არ იყო ორიგინალური. ასევე, ფაუსტის სიუჟეტი რამდენიმე მშერალმა გამოიყენა, მხოლოდ გოეთემ კი შექმნა ჭეშმარიტი „ფაუსტი“.

ასეთი ბევრი მაგალითის დამოწმება შეიძლება მსოფლიო ლიტერატურის ისტორიიდან. ეს შეეხება როგორც ქართულ, ასევე ეკარპულ თუ აღმოსავლურ მწერლობებს.

ყოველივე ამის გასხვნება ა.
ჭილაძის რომანში უძველესი მი-
თის არსებობის გამო დაგვეირდა
და უკვე ოვით პრობლემის ამ ას-
ცექტით წარმოჩენა გასაგებს უნ-
და ხდილეს ხსენებული რომანის
განსაკუთრებულ მნიშვნელობას.
იგი შედეგა ძველი მითის და
მამზე დამყარებული ფილოსო-
ფიური სისტემის თანამედროვე,
ახლებური წაკითხვისა. „გზაზე
ერთი კაცი მიღიოდა“ სპეციალუ-
რი განხილვის და ანალიზის სავ-
ნალ უნდა იქცეს. ჩემი შეხედუ-
ლებანი პირველი შთაბეჭდილე-
ბების პათოსს არ სცილდება და
კონკრეტულად კი რომანის
სტრუქტურულ ანალიზს მიეძღვ-
ნება.

რომანი ასოციაციების, სიმბო-
ლოების, რთული პოეტური სა-

ხეების ეპიკური დინებაა, სადაც დრამატიზმი (ვანსაკუთრებით რომანის პირველ ნაწილში) სიუჟეტურ კოლიზიებში კი არ არის. რადგან სიუჟეტიც და ფაზულაც ცნობილ მითს ემყარება, არამედ აზრის პარადოქსულად აგების ხელოვნებაში, ფრაზის ემოციურ და ფსიქოლოგიურ შინაგან სტრუქტურაში, ფრაზის დინამიკაში. აქ ამბავი კი არ არის არაჩვეულებრივი, პირიქით, სიუჟეტი განვებ დამდორებულია, ე.წ. დაყოვნებული პლანით არის თითქოს გადაღებული. არაჩვეულებრივია თვით ამბის თხრობა, თვით მწერლის გამხოლობული აზროვნება, მხატვრული სახეების სტრუქტურა.

კოლხეთის სამეფო, მოხუცია აიეტი და მისი შვილები ქარისა, აფრასიონი და მედეა, ნაშვილები ფრიქსე, რომელმაც აიეტის ჩრდენით უპედესება მოუტანა სამეფოს, ყველაზე მეტად კი მედეა, რომლის ხელშეწყობით და დახმარებით გაოტაცა იასონმა ოქროს საწმისი, არის რომანის პირველი ნაწილის სიუჟეტური ქარგა. გზადაგზა მწერალი ხატავს საინტერესო პორტრეტებს, რომლებიც მითოსს ყოფითი ეგზოტიკურ იქნას იქნას ანიჭებენ. ესენი არიან: მეზოვაური და მეთევზე ბეღია, ვინც გადაარჩინა პატარა

ფრიქსე, აკვნის ოსტატი ბოჩია და მისი ცოლი ფოთოლა, შავთვალება მაღალო, თავისი ექვსი ქალიშვილით, აიეტის და ყამარი. ღვინის ეპჭარი ბახა და მისი სარდაფი, ორმოცუაფეხურიანი კიბით რომ შეიძლება იქ ჩასვლა... რომანში სიტყვა თვით ეძებს ასოციაციას, ასოციაცია კი კონკრეტული ხდება სიტყვაში, სადაც დროს, ყოფით ფაქტურას უკვე ალარა აქვს არსებითი მნიშვნელობა. ასეთი სტილით მწერალი აღწევს უმთავრეს მიზანს. აღამიანის სიცოცხლეზე, ხალხის უკვდავებაზე მოთხრობილია დიდი არტისტიზმით, პარადოქსული წიაღსვლებით, ფიზიკურ ტკივილებამდე მისული გულახდილობით.

ყოველი ფრაზა ო. ჭილაძის აქ ნაწარმოებში სახიერი სურათია. ეს სურათები ჩვენ ბრჭყვალებით კი არ გვჭრიან თვალს, არამედ სიზუსტით და ფერადოვნებით. ამ სურათების ლოგიკა და ურთიერთკავშირი ქმნის ყოველი ეპიზოდის, სცენისა თუ კოლიზიის სილამაზეს.

რომანი მოზაიკურია, სადაც ყოველ დეტალს თავისი ფუნქცია აქვს, მთლიანად კი ისინი საერთო განწყობილების შესაქმნელად „მუშაობენ“.

პერსონაჟთა უმრავლესობა სიმბოლურია. ბახა მხოლოდ ღვინის

ვაჭარი არ არის, რომანში ის ეპი-
კურეული საწყისის გამოხატვაა.
ბოჩია და მისი ცილი ფოთოლა,
თავიანთი ურიცხვი შვილებით,
სიკედილთან შექიდებული სიცო-
ცხლეა. ცოლ-ქმარს თავისზე მო-
ხუცი შვილები ჰყავთ, თვითონ
კი მარად ახალგაზრდანი არიან.
ფრიქსე ნისტალგით შეპყრობი-
ლი ჭაბუკია, რომელიც შეეწირა
ამ გრძნობას. აფრასიონი მეოც-
წებე და ილუზიებზე შეყვარებუ-
ლია და ამიტომაც დაიღუპა. ქა-
რისა პატივმოყვარეობის განსახი-
ერებაა, პატივმოყვარეობაშ უქ-
ვია მას თვალი, როცა ბედი ფრი-
ქსეს დაუკავშირა; ვეღარ შეძლო
ნისა უკუგდება და ბოლოს, ქმრი-
სა და შვილებისაგან მიტოვებული
მეფე ლირის სკეფსიზმ ეზიარა.
ერთადერთი შვილი აიეტისა, რო-
მელსაც ადამიანური თვისებების
სრული კომპლექსი აქვს — მე-
დეა. მან სიყვარულის გამო გა-
წირა მამა, სამშობლო, სახელი და
ღიღება. მედეა გრძნობს ამ საბე-
დისწერო ნაბიჯს, მაგრამ მაინც
თამამად მიღის სისხლიან და ეკ-
ლიან გზაზე.

რომანის სტილი ელვარეა, კაშ-
აშა, ამიტომ თითქოს არც იგრ-
ძნობა ისეთი მნიშვნელოვანი
სტრუქტურული ელემენტის
მთლიანად განდევნა, როგორიცაა
დიალოგი. მაგრამ დიალოგის უა-

რყოფა მაინც ორ საშიშროებას
შეიცავს: შეიძლება დამძიმდეს
სტილი, უარეს შემთხვევაში კი
მოსაწყენი, მონოტონური გახდეს.
ო. ჭილაძის ნაწარმოებში ეს სა-
შიშროება არ უნდა ივრძნობო-
დეს. დიალოგი შეცვლილია ოხრო-
ბის დინამიზმით, ფრაზის შინაგა-
ნი ფერადოვნებით. უფრო ფარ-
თო მასშტაბით ო. ჭილაძის რო-
მანი დიალოგია მწერალსა და მკი-
თხველს შორის. აუტორი მკითხ-
ველთან ერთად უკირკიტებს მი-
თხა და მის საფუძვლებს და ამ
ფსიქოლოგიურ ანალიზში ერთა
წუთითაც არ ანელებს მკითხვე-
ლის ყურადღებას. ცნობასმოყვა-
რეობა იღვიძებს, მასთან ერთად
— მკითხველის მეხსიერების
ჩრდილშაფარებული უჯრედებიც,
სადაც შესაბამისი ინფორმაცია
არის შემონახული. ამიტომ, ეს
წიგნი, ერუდირებული, ამ სიტყ-
ვის კარგი გაგებით, მკითხველი-
სათვის არის გათვალისწინებული.
შედარებით დაბალი კვალიფიკა-
ციის მკითხველს იგი შეიძლება
მოსაწყენად და არასაინტერესოდ
ეჩვენოს, რაღაც ასეთი მკით-
ხველი რომანში ჩვეულებრივ
მძაფრ სიუჟეტს და დრამატულ
ინტრიგას ეძებს. ო. ჭილაძის
რომანის სიუჟეტი კი ნახევარ

გვერდზე შეგვეძლო მოგვეთხრო, ჩაღვან აქ სიუკეტი არ არის მთავარი. აქ მთავარია მწერლის დამკიდებულება მითთან და სინაზღვილესთან. ამ მხრივ იგი უჩვეულო მოვლენაა ქართულ პროზაზ.

სხვა მდგომარეობა გვაქვს რომანის მეორე ნაწილში, რომლის სახელწოდებაა „უხეირო“, ამ ნაწილში გამოყვანილი მეომრის სახელის მიხედვით. რომანის ეს ნაწილიც იწყება საკმაოდ დინამიკურად. ვანში, კოლექთის სამეცნიეროში ბრუნდებიან მეფე აიეტის მიერ განდევნილი ლტოლვილები. მათთან ერთად ბრუნდება უცხო ხალხიც, ბრუნდება მრავალი პროფესიონალი მეომარი, რომელთაც ომი და კაცის კვლა ხელობად აქვთ გადაქცეული. მშვიდ ქალაქში შემოდის ადამიანთა ექსპრესიული ტალღა და მათთან ერთად მეომარი უხეიროც, რომელსაც იღლიაში ფიჩხივით აქვს ამონჩრილი ნაღავლი შუბები და ფარ-იარალი. ამ დინამიკური სურათის მეტე ვეცნობით თვით მეომარს, მას ცოლს მარებს და მარე მოწმენი ვხდებით უხეიროს მძიმედ დაჭრისა, რამაც იგი სარეცელს მიაგაჭვა. აქ წყდება რომანის დინამიზმი.

თავისთვალ ცხადია, რომანის მეორე ნაწილს მითი აღარ უდევს

საფუძვლად და ამიტომ მკითხველის წარმოსახვა ლოკალიზებულია. რომანში ოქროს საწმისის მითი მედეას გაჭერით და აიეტის სიკვდილით შეწყდა. მეორე ნაწილში მწერალი საჭიროდ აღარ თვლის ამ მითს მიუბრუნდეს. ნაცვლად ამისა, იგი თვითონ თხზავს მითს, მისაღაებულს თვის ეპიკურ ამოცნასთან და არა იმ სიუკეტურ კოლიზიებთან, როთაც წიგნის პირველი ნაწილი დასრულდა.

„უხეიროში“ რამდენიმე სიუკეტური ხაზია, ისინი ცალ-ცალ-კე ეფინებიან სივრცეს. პლასტიკურ ხატვას სცვლის მსჯელობა პერსონაჟთა ნამოქმედარის შესახებ და მათი მოქმედების დაწერილებითი ანალიზი. ავტორი პერსონაჟების მოქმედების კომენტირებას იწყებს, ცდილობს ჩაგვანებლის მათ სულში, დაგვანახოს ის უფსკრული, რაც ჰყოფს პრაქტიკულ შედეგს მათი სურვილებისაგან. რომანის ამ რთულ ამოცანას მწერალი მთლიანად იღებს თავის თავზე და ძალიან ცოტას. უზოვებს პერსონაჟებს დამოუკიდებელი მოქმედებისათვის. აქ დიდი ზომიერების დაცვა საჭირო, რადგან სულ აღვილად შეიძლება ასეთი პერსონაჟები აღამიანების ნაცვლად იქცნენ ცალკეული იმპულსებისა და ინსტინქტების გამო-

ზატულებებად. ამ შემთხვევაში ფრესკებს არ გასცილდებიან.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ნაწილში ძალიან ბევრი პერსონა-ჟია (უხეირო, მარეხი, ოყაჯადო, ცუცა, ინო, პოპინა, ფარნაოზი, ფილამონე, კამა, კუსა, ქალუკა, პატუ, რახილო, შუბუ), რომელ-ნიც პირველ ნაწილში არ იყვნენ. ამას თუ დავუმატებო „აიე-ტიდან“ გადმოსულ პერსონაჟებს (მეოთხე ბედია, შავთვალება მა-ლალო თავისი ექვსი ქალიშვი-ლით, ღვინის ვაჭარი ბახა, ფაშ-ვიანი ყასაბი და სხვ.), ადვილად მივხვდებით, რომ მკითხველი ამ-დენი პერსონაჟის ხეირიანად გაც-ნობასაც ვერ ასწრებს, ისე გა-დიან ისინი მოქმედებიდან.

რომანი, ჩვეულებრივი გაგე-ბით, თავებს არ შეიცავს. იშვია-თია პაუზები გრძელი პერიოდე-ბის შემდეგ. ასეთ დიდტანიან ჭიგნში კი მკითხველს შესვენება უნდა, არა ფიზიკური, არამედ — ემოციური. მკითხველს უნდა ნამ-დვილი პაუზა. პაუზა ხომ ერთი თავისაგან მეორე თავის მხოლოდ ფორმალური გამოყოფა არ არის. პაუზას თავისი სიუჟეტური ფუნ-ქცია აქვს. პაუზის გარეშე შეიძ-ლება მხოლოდ ეტიუდი, ესკიზი, წოველა იწერებოდეს. ზოგ შემთ-

ხვევაში — მოთხოვობაც. მაგრამ რომანი არ შეიძლება პაუზის გა-რეშე, მით უმეტეს, ისეთი რომა-ნი, საღაც სიუჟეტურ ქარგას კი არ მისდევს მკითხველი, არამედ — აზრობრივ წიაღსვლებს. მკი-თხველს ამის გასავებად, აღსაქმე-ლად და გასაანალიზებლად დრო სკირდება. სწორედ ამისთვის არის საჭირო პაუზა. ისეთი პაუ-ზა შეიძლება პეიზაჟი, დიალოგი და სხვა მრავალი სტრუქტურული ხერხი იყოს, რაც შეენაცვლებოდა მსჯელობას, ამოსუნთქვისა და გონჩე მოსვლის შესაძლებლობას მისცემდა მკითხველს. ასეთ რო-მანს ერთბაშად ვერც წაიკითხავ და ვერც გაიგებ. მწერალმა ივა უნდა წაგავითხოს, ამას ემსახუ-რება სწორედ პაუზა. რაც არ უნდა საინტერესო გამოდგეს მსჯელობა, მისი მომდევნო პასა-ჟი უსათუოდ უნდა იყოს ემო-ციური განტვირთვის სცენა, რა-თა მკითხველმა შეისვენოს შეზ-დეგი, ფსიქოლოგიურად დაძაბუ-ლი და აზრობრივად ძლიერი. სცენის გასაგებად ასეა დაწერო-ლი ბალზაკის „შაგრენის ტყავი“ და „უცნობი შედევრი“. ყოველ ღრმა მსჯელობას ამ რომანებში სცვლის შედარებით მსუბუქად აღსაქმელი ეპიზოდები, ამიტომ მკითხველი კარგად ითვასებს იმ

ფილოსოფიურ აზრს, რაც მწერლის უმთავრესი მიზანი იყო.

რომანის მეორე ნაწილს არა აქვს ფაზულა, სიუჟეტის განვითარებაც სრულად შეწყვეტილია; დრო „უხეიროში“ სრულიად შეჩერებულია, მოქმედება მხოლოდ სივრცეში ვითარდება. მწერალი მსჯელობს სამართლიანობასა და უსამართლობაზე, პატიოსნებასა და ვერაგობაზე, მოვალეობასა და ღალატზე, სიყვარულზე, რწმენაზე. ყველა ეს მსჯელობა საღად არის წარმართული და ფილოსოფიური ქვეტექსტით სწორია, მაგრამ რომანი მხოლოდ მსჯელობა ხომ არ არის? მსჯელობამ თუ არ შეიძინა კონკრეტული ადამიანური სახე პერსონაჟთა მოქმედებაში, შეიძლება ვერ შესარულოს თავისი ემოციური ამოცანა. ჩვენ ხომ მხატვრულ ნაწარმოებთან გვაქვს საჭირო და არა ფილოსოფიურ ესესთან.

ჩვენ პერსონაჟების წარამარადამოჩენას კი არ მოვითხოვთ (თითქოს, ამით რელიეფურობა და სახიერება მიემატებოდა მათ!). რომანის პირველ ნაწილში აიეტიც იშვიათად გამოჩნდება, მაგრამ ქვეტექსტით, სიმბოლური თუ ფილოსოფიური მინიშნებით იგი ყველა გათამაშებული კოლიზის აშკარა თუ ფაზული მონა-

წილება; რაც მთავარია, მას აქვთ პიროვნული ბედი. დრამატულობა მბავი მის სამეფოში ხდება, მეითხველი მზარდი დრამატიზმით ელის მეფის დამხობას, რაც მოხდა კიდეც. მეორე ნაწილში კი, მეომარი უხეირო ვერ იქცა ცენტრალურ გმირად, წარმმართველ ძალად. მან ვერ „შემოკრიბა“ თავის ირგვლივ ეპიზოდები და პერსონაჟები. ამიტომაც არის, რომ რომანის მეორე ნაწილში ცალკე აღებული ყველა სცენა ინტერესით იკითხება, ბეჭრი მათგანი ემოციურადაც მიმზადველია, მაგრამ ისინი არ გროვდებიან ერთი, ძირითადი ფოქტსს ირგვლივ.

რომანისტისათვის ეპიკურიათხობის კარგი უნარი, უფრო მეტიც, ჩინებული უნარი არ კიარა, თუ თხჩობა დამორჩილებული არ არის რთული ნაწარმოების, სტრუქტურას. რომანში ფაზულა გაინც უნდა იყოს საერთო. სიუჟეტის უარყოფა გვხვდება სხვა მწერლებთანაც, მაგრამ იქ უსიურეტობა თავისითავად გულისხმობს პერსონაჟთა სიმცირეს. უსიურეტო ნაწარმოებში შეიძლება კარგად მოხხობობილი იყოს ერთი ან ორი ადამიანის ამბავი, მათთვის ცხოვრება. მრავალ პერსონაჟს კი, როგორც ამ რომანშია, ფაზულა მაინც უნდა აერთიანებდეს.

మహాబరివిద స్వేచ్ఛలో క్రించుకేలు-
గ్రేడిల్సిన స్వేచ్ఛిక్కా, రంగు మాప్య-
ర్లేబ్లో ఉర్తటాలులూడ శ్యేషిల్లే-
బా అతి ఎదామిగానుసార ఉప్పుర్చేభట్టే,
మాగ్రామ అన్న ఉర్తటిలే రామాక్షసువ్రాతే
అన తించున్నట్లి భేదిలే ప్రాణిలు మా-
స్తవిలే అన న్యాయికారు. రంఘాన్థి
క్రి, తవిత గెపిథించ్చుర తేహసున్మాయ-
సారు, తావిసి సింగ్యుర్తురు ఉప్పేచ్చిలు
లూ తించున్నట్లి భేదిలు జున్డా త్యో-
న్ఫ్రేసు. క్రాలుసింగ్యురు మాగాల్చితా
చిల్లాలు „అంతారాంత జ్వరివిదు“. ఏజ
స్వుల ఉఱ్చురు, రామింద్రునిమే సత్కరి-
ఖోన్చి గామహిన్ఫ్రేబా సుసా మెషి-
చ్చోల్లు. మాగ్రామ అమ వెంకుపు అజ్ఞు
తించున్నట్లి భేదిలు, తుమ్చు మతావా-
రు మంతక్కంబాశి అంతారాంత జ్వరి-
విదులు లూ గింపుగిలు డ్రేఫాష్చోల్లం-
బా.

ఇస రంఘాన్థిలే దూ అంతారాంత రం-
ఘామిన్సిలు దూ మంతక్కంబిలు ఉప్పువ్వేల్లుగి
గున్మంబా, మిసి గామేంర్చేబా శ్యేషిల్లే-
బా భాంచుల్లురులూడ ఉద్దేర్చేబా, మాగ్-
్రామ న్యాయికమ్మేబసి త్యాగమాత్రుబిలు సా-
ంపుఫ్పేల్లు నెసిపుా, రంఘ ఇగ్గ తొ-
గ్యోర్త ఉప్పువ్వేలుగి లూ ఉమార్తుల్లుగ్గుపు
గున్మంబా జున్డా ఉమంహిల్లుబండ్లేబా.

ఓ. తొలుసు రంఘాన్థి మేసామే న్యాయి „జ్వారినాంథి“ గ్యేసప్పుర్సింగ్-
ల్లాడ ఇష్యుబా. ర్యుల్లోప్పురులు అనిలు
లూబాత్తులు క్ర్యుత్తాంజ్య గాలూబ్బెషిల్లి
జ్వారినాంథి, మిసి మాహిత్తమంబా, శిథ-
శీలిలు లూ మిష్టసాఫ్టమంబా. న్యాయాం-
గ్యురులు చ్చెంచ్చుర్చేబా క్యార్గాడ అనిలు
అణ్ణేర్చిల్లి. ఏజ్జ్యె శతామిభేష్టులుగి

జ్వారినాంథిలు డాబర్చున్చేబా జున్చా,
ప్రాంబిలున్చి సివ్వర్చు, రంఘేలుసారు ఇగ్గి
సిబార్చులులిత మించుల్లుగ్గేబా, రాంగామ
ఇస మిసి సామిశ్చిల్లంబా. ద్లోయేర్చి స్వే-
చ్చు జ్వారినాంథిలు జున్చి శ్యేస్వలు లూ
గియి డ్రేఫాబ్రిసి మాసించ్చుల్లంబా.
డ్రేఫాబ్రిసి శ్యేస్వతాల్లేబా మాల్చాల్లంబా,
ఇగ్గి తాగ్సు లూమ్చాశ్చాచ్చే గ్రహిన్మంబసి
సినుసా లూ జ్వారినాంథిలు సిప్పుగార్చు-
ల్లిలు లూమ్చస్క్యుర్చుగ్గేబా. సాయ్యితండ్ర,
రంఘాన్థిలు ఇస న్యాయిల్లి ద్లోయేర్చిల్లి, మ్చేరాల్లి ఉప్పు-
ర్లున్ఫ్రేబా తించుగ్గేల్లి న్యాయిల్లి త్యోగ్-
త్తుర త్యోగ్రాంచుప్పేబాలు, మిసి త్యాం-
శి జ్వల్చాడ హిన్ఫ్రేబా సిల్చరమీ లూ డి-
మొమిపుా, ఏ. ఏ. త్యాగ్రాంత్యోగ్లుగిపుా మిక్కుర్చుల్లి, రాప అమ రంఘాన్థిలు
సత్కర్మిప్పుర్లున్ఫ్రేబా ఉప్పుమెన్చ్తిలు లూ
శిన్చార్సెచ్చుల్లిలు గార్చులా తావిసుతావాఫి సిల్లామాంజ్య లూ
మంచిబ్బుల్లుల్లంబా అజ్ఞు.

మేసామే న్యాయిల్లి మింతిదాబ అలా-
ర్లాఫ్యేర్ గ్వాజ్చి రంఘ్రునిమే తేహి-
సున్మాస గాల్దా (ఉగ్ముల్లిస్క్మేబా అవ-
శ్చురిలు మియ్ర శ్యేటిక్షుల్లి మింతి).
స్త్రిల్లి తించుబిలు ల్యూలాలిస్క్ముర్-
పుఫ్ఫితి అమ్చెబిల్స్క్మేబా నెర్చేబా.

రంఘాన్థిలు ఉర్త-ఉర్తి సాంక్రమ్యే-
సు గెపిథిందిలు మెట్టెవ్చ్చే భేదిలులు
లూల్లుక్కు లూ ప్రాంలులు మియ్ర మిసి
ఫాక్రుమాల్లు. మ్చేరాల్లి ఇస స్వేచ్చ
భీదిలు సాబ్బెగ్గెబితా లూ త్యిష్చుక్కు-
ప్రువ్విల్లుగ్గేబిల్లు మిస్టుల్లి సించ్చు-

ტით აქვს აღწერილი. სიმბოლურია ბედიას ზღვაში დაკრძალვა, ზღვა მისი სახლი, სიცოცხლე იყო, ზღვა, რომანის სხვა პერსონაჟებისათვისაც, ხმელეთთან შედარებით, წმინდა ადგილია.

ფსიქოლოგიური სიღრმითა გადმოცემული ფარნაოზის სიყვარული ინოსადმი, ამ სიყვარულის მომნუსხველი ძალა, ფარნაოზის გაორება, ანუ ფარნაოზის იდეალისა და ცხოვრებისეული სინამდვილის კონფლიქტი, ფარნაოზის რთული შინაგანი სამყარო. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ო. ჭილაძე ძლიერია ფსიქოლოგიური წიაღსვლებისა და მოტივირების დროს, როგორც მხატვარი და მოაზროვნე.

მთლიანად წიგნში აშერად შეივრნობა მირაჟების, სიმბოლოების, სუმბურული სამყაროს მონაცელება წერის რეალისტურ მანერასთან. ამ ტიპის რომანში არც შეიძლებოდა სხვანაირად ყოფილიყო. ჩვენი მციოთხველი გადაეჩია სიმბოლოების ენას, რის გამოც, ყოფითი რეალიზმის სწორხაზონება, ზოგჯერ სანიმუშოდაც ეჩვენება. ხელოვნება უფრო რთულია, ვიდრე სინამდვილე. უფრო ზუსტად, ხელოვნება ივიცე სინამდვილეა, ოლონდ მხატვრული სახეებით აგებული. ამ ტიპის ხელოვნებასთან გვაქვს

საქმე ო. ჭილაძის რომანში — „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“.

7. ისტორიული რომანი

ლ. ტოლსტოის წერილებში „ხელოვნების შესახებ“ გამოთქმულია ერთი საინტერესო აზრი, როცა იგი იხილავს რომანისტების მიერ სტანდარტიზებულ ფინალურ სცენებს. „ბევრი რომანისტი, — ამბობს ტოლსტოი, — რომანს ცოლ-ქმრის ქორწინებით ამთავრებს და ძალიან ცდება, ასე რომ ამთავრებსონ“. გენიალური მწერალი იქვე დასძენს, რომ რომანის ასე დამთავრება ივივეა, მკითხველს უამბო მოგზაუროთა შესახებ და თხრობა იქ შეწყვიტო, როცა ისინი ავაზაკებს ტყვედ ჩაუვარდნენ. სიყვარული ქორწინების მერეა ძნელი მოსათხრობი, თორემ იქამდე პოეზიაა...

შეგავსაზ ამისა, ძნელია ვისაუბროთ რომანზე, რომელიც ავტორს სამ წიგნად აქვს გამიზნული, მკითხველი კი ჯერჯერობით მხოლოდ პირველ წიგნს იცნობს. ტრილოგიაში პირველი წიგნი. ჩვეულებრივ, საექსპოზიციო ნაწილია. ჩ. ჯაფარი ძირის რომანი „მ ძირე ვ ვ ა რ ი“, რომელიც სულ ახლახან გამოვიდა, ადამტურებს ამ მოსაზრებას. მართლაც. რომანის მეორე და მესამე წიგნებმა შეიძლება სულ ყირამალა

თანამედროვე რომანების მეტე
რ. გაფარიძემ გამოაქვეყნა სტო-
რიული რომანი. რას მივაწეროთ
ფაქტურის ასეთი კარლინალური
შეცვლა? ისტორიულ თემაზე რო-
მანი — ეს რ. გაფარიძის ღრეუ-
ლით გატაცებაა, თუ მისი პრინ-
ციპული პოზიცია თანამედროვე-
ობის ზოგიერთი საკითხის ისტო-
რიული მასალის ფონზე წარ-
მოჩენის დროს. ჩვენ ხომ რ. გა-
ფარიძის რომანის „ენების კვა-
რის“ მეორე წიგნს ველოდით,
რომანისა, რომელიც ეპოქით,
ფაქტურით, გამომსახველობითი
ხერხების მთელი კომპლექსით
უაღრესად თანამედროვე და სა-
ჭირო წიგნი უნდა ყოფილიყო.
ზუნებრივია, მშერალს არავინ არ
ართმევს უფლებას, შეაჩეროს
ერთ რომანზე მუშაობა და მეო-

რეს მოჰკვიდოს ხელი, თუ რო-
მანი მისი მსოფლმცხველობის,
მისი ესთეტიკური პოზიციის ახ-
ლებური ან გამსხვავებული ხილ-
ვების წარმოჩენას ემსახურება.
მაგრამ ამჟამად ყოველივე ამას
აღარა აქვს შინიშვნელობა, რადგან
ჩვენ ხელთა გვაქვს უკვე ისტო-
რიული რომანის პირველი წიგნი.

როგორ აღიქვამს თანამედროვე
მკითხველი თავის ისტორიას გან-
ვითარების დღევანდელ ეტაპზე?
მკითხველის დამოკიდებულებაში
ისტორიასთან ხომ არ არის ერთ-
გვარი სქემატიზმი, ერთგვა-
რი პოსტ ფაქტუმ, მომხდაოს
ფაქტის კონსტატაცია? რა შეიძ-
ლება აინტერესებულებას მწერალს
ისტორიულ ფაქტიზმი, როცა შემე-
ცნებითი თვალსაზრისით, ეს ფა-
ქტი ისტორიკოსების, სოციოლო-
გების, ეკონომისტების შეერ უკ-
ვე საფუძვლამანად არის შესწავ-
ლილი, გაანალიზებული და მეფა-
სებული? ყოველივე ეს სრული
ჯეშმარიტებაა. ისტორიკოსების,
სოციოლოგების, ეკონომისტების
შეერ გაანალიზებულია ფაქტი,
რაც სინამდვილეში მოხდა. მაგ-
რაც ხომ გვახსოვს არის ისტორიულებას
გაფრთხილება: „ისტორია წერს
მხოლოდ იმაზე, რაც ნამდვილად
მოხდა, პოეტი კი იმაზეც, რაც

შეიძლება მომხდარიყო...” მაშასა-
 დამე, თანამედროვე მწერალს ის-
 ტორიაში აინტერესებს არა მხო-
 ლოდ ის, რაც მოხდა, არამედ
 ისიც, რაც შეიძლება მომხდარი-
 ყო, და ამ, მომხდარისა და შესა-
 ძლებლის არა მხოლოდ ისტო-
 რიული, სოციოლოგიური და ეკო-
 ნომიური მხარე, არამედ პირ-
 ველ რიგში ემოციური ასპექტი...
 თუ ამ თვალსაზრისით მივუდგე-
 ბით თანამედროვე მწერლის შე-
 ჩერებას ისტორიულ რომანზე,
 ინტერესი უკვე გამართლებული
 იქნება.

მეორე საკითხია იმ „დამაკავ-
 შირებელი ხილების“ არსებობა,
 რამაც ჩვენს დროსა და ისტო-
 რიულ ფაქტს შორის შინაგანი,
 შემეცნებით-ემოციური კავშირი
 უნდა დაამყაროს. მეოცე საუკუ-
 ნის ადამიანს უნდა აინტერესებ-
 დეს ასაჭრი ისტორიული ფაქტი
 არა ანტიკვარულ-სამუზეუმო
 მინიშვნელობით, არა მხოლოდ ის-
 ტორიის წინაშე მამულიშვილური
 ვალის მოხდის მნიშვნელობით;
 არამედ თანამედროვე ტკივილებ-
 თან შეფარდებაში, თანამედროვე
 სოციალურ მიზნებთან და ეთი-
 კურ ნორმებთან ურთიერთობაში.
 მაშასადამე, ისტორიული ფაქტი,
 ისტორიულობის მიუხედავად, თა-
 ნამედროვეთათვის აქტუალური
 უნდა იყოს, აქტუალური თავი-

სი სოციალურ-ისტორიული აქ-
 პექტით.

ისტორიულ თემაზე შექმნილ
 რომანს სხვა მნიშვნელოვანი მი-
 ზეზებიც უძლვის. ეს არის თანამე-
 დროვე ტკივილების ისტორიულ
 ანალოგიებში გადატანა ანუ თა-
 ნამედროვე სოციალურ-ეთიკური
 ამოცანების გადაწყვეტა ისტო-
 რიული მასალით. ეს გრძა მისასა-
 ღმებელია, რადგან ამ ტიპის რო-
 მანი თანამეჯაროვეობის სამსახუ-
 რში არის ჩაყვნებული, ზოგჯერ
 ცეტად ემოციურიცაა, რადგან
 მკითხველი ასეთ რომანს გარკ-
 ვეულ ტრადიციებზე დაყრდნო-
 ბით აღიქვამს.

გარდა ამისა, ისტორიულ რო-
 მანს აქვს წმინდა შემეცნებითი
 მნიშვნელობა. აქ ორი ასპექტია,
 ისტორიული რომანი დოკუმენ-
 ტის რომანი უნდა იყოს თუ მხო-
 ლოდ ფანი ისტორიული დრამის
 გასათამაშებლად? რამდენად მო-
 ეთხოვება მწერალს დაიცვას ის-
 ტორიული სიზუსტე, სიზუსტე
 მნიშვნელობის პრობლემას ეხება თუ
 ყოფასაც, წვრილმანებსაც? აქაც
 არანაკლები საშიშროება ელის
 მწერალს, რომ ისტორიული ნილ-
 ბები არ გადააჭციოს თანამედრო-
 ვე აზრების რეპორტებად, რაც
 კლასიციზმის ესოეტიკური ნორ-
 მა იყო. როგორც ვხედავთ, იმ-
 დენი საკითხი მოგროვდა, რომ



თამადა შეიძლება ითქვას, ყველა ამ საკითხის გათვალისწინებით, მწერალს, რომელსაც ისტორია მხოლოდ რაინდული ან მზაკვრული ეგზოტიკა არა ჰქონია, არანაკლები სიძნელეების გადალახვა დასჭირდება, ვიდრე თანამედროვე მასალაზე. მუშაობის დროს.

რ. ჯაფარიძის რომანის პირველი წიგნი კომპოზიციურად კარგად არის შეკრული. მის სტრუქტურას ეტყობა გამოცდილი მწერლის ხელი. გამოკვეთილია მთავარი გმირის სახე — მეფე სოლომონი, მისი მეუღლე დედოფალი თინათ. დამაჯერებლად დახატულია მეფის ძიძიშვილი დათურანისაგან, მეფის ერთგული თავადები — წულუკიძები, მეფის ძმები — მიტრონოლიტი იოსები და აჩჩილი. რომანის გეოგრაფიული მოქმედების არე ფართოა, მეტად დინამიურია. ჩვენ ვხედავთ ასკებს, იმერეთის, სამეგრელოს, ვესხეთის ციხეებსა და გადასასვლელებს, სოფლებსა და მიუვალ სიმაგრეებს, ვეძებთ ფონს რიონსა და ცხენისწყალზე, ხნისწყალსა და მტკვარზე. ფართოა სოციალური წრეცი: თავადები, მთავრები, აზნაურები, გლეხები, სამღვდელებია და ა. შ. იყო საშიშროება ავტორი გაყოლოდა ყოველთვის, დეტალიზაციას (რაც

დარღვეული ა. გაფარიძის ზოგიერთ ნაწილში ამონები შეინიშნებოდა), მით უშეტეს, რომ ძალის ულ რომანში არის ამ ცდუნების საშიშროება: აქ არის ეგზოტიკა, აქ არის ფოლკლორი, აქ არის თვითი ისტორია და ხალხის მექსიკურება-ში შემონახული ტრადიციები. მაგრავ მშერალი არ გაყვა ამ მაც-დუნებელ გზას. რომანში ყველა-ფერი დამორჩილებულია ერთ ძირითად თემას, იმერეთის მეფის სოლომონას ცდებს დაიბრუნოს არაშეპრო კანონიერი ტახტი, არამედ სახელიც, აღადგინოს სამეფოს ერთანანბა, მოსპოს შინაური მტრები, რათა ხელ-ფეხი გაეხსნას გარეშე, ნამდვილ მტერთან საბრძოლველად.

როცა რომანი „მთიდე ჯვარი“
დამთავრდება, პირველი წიგნი
აღმატ იქცევა ტრილოგიის საკე-
სპოზიციონ ნაწილად, თუმცა უკ-
ვე ამ ნაწილში სოლომონის მე-
ფობის საკმაოდ დრამატულ სი-
ტუაციებთან გვაქვს საჭმე. პირვე-
ლი წიგნის ფინალში ვხედავთ სო-
ლომონს, რომელიც იწყებს ძლე-
ვაშოსილ მსვლელობას იმ სახე-
ლისაკენ, რაც მას ისტორიაშ შე-
მოუნახა. ჯერჯერობით კი ვნახეთ
გამწარებული მეფე, რომელმაც
სავარელი მეუღლები კი დასთ-

მო, ანაცვალა სახელმწიფოს ინტერესებს, თავისი ქვეყნის მომავალს. პირველი წიგნის დასასრულს სოლომონი მართლაც ისეთად იქცა, როგორც იწინასწარმეტყველა თავის ძმასთან, მიტროპოლიტ იოსებთან საუბრის დროს:

„...ამიერილან მე კაცი, ადამიანი. აღარა ვარ. რაც ადამიანური გამაჩინდა, დღეს სამუზამოდ დავკარგე, გულშივე ჩავიკალი... დღეის ამას იქით ყველა, ვისაც სიცოცხლე არ მოყირჭებია, მიფრთხილდეს! სისხლისლვრას, იცოდე, არ მოვერიდები, თუ დამჭირდა, მკვდარს მკვდარზე მივაბამ, მთელ სამეფოს კიდით კი დემდე სახრჩობელებით მოვფენ. ჩემი ცოდვა იმათ ზიდონ, ვინც ამ ზომამდე მიმიყვანა და მეორეთ-მოსვლის დროს ღმერთსაც იმათ გასცენ პასუხი“.

რომანი ერთი გმირის, ამ შემთხვევაში, სოლომონის ირგვლივ აერთოანებს ყველა სიუჟეტურ კოლიზიას. მაგრამ ასეთი მრავალ-პლანიანი რომანი პოლიტიკურიც უნდა იყოს. სიუჟეტური კოლიზიები და სხვა პერსონაჟები ანტურაჟისათვის არ უნდა იყოს მოხმობილი. თითოეულს, ბუნებრივია, სჭირდება პიროვნული ბედი და დრამატული ისტორია ამ ბედის შესაქმნელად, რათა მათ

ფონზე უფრო გამოიკვეთოს მთავარი გმირის სახე. ჯერ ნაადრევია თითოეული პერსონაჟის განვითარებაზე გარკვეულად რაიმეს თქმა, რადგან რომანის ორი წიგნი დასაწერია, ფაქტიურად, დასაწერია რომანის ძირითადი დრამა.

ეპიკურად არის აღწერილი სურათი ალექსანდრე მეფის გარდაცვალებისა. ასევე კარგად არის ნაჩვენები სამეფოს ძალაუფლების მიზტაცებლთა სახეები ამ ეპიზოდში — ლევან აბაშიძე და როსტომ ერისთავი. რელიეფურია მეფე სოლომონი, რომელიც ამ ეპიზოდში, ახალგაზრდობის მიუხედავად, იჩენს ნებისყოფის სიმტკიცესა და გაბედულებას. ეს სწორად მიგნებული სახასიათო შტრიხი, შემდგომ, სამწუხაროდ, იკარგება. გულწრფელია სოლომონის პირველი რეაგირება ოტია დაზიანის წინადადებაზე. დრამატულია სოლომონისა და არგვეთის ბატონის, მეფის ბაბუის ლევან აბაშიძის შინაგანი ქიში. სოლომონ მეფის საუბარი გლეხი იქრია ბრევვაძესთან კი ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ტოვებს. გლეხი იქრია ძალიან „დალაგებულად“ სთავაზობს მეფეს სოციალური რეფორმების პროექტს. ამ ეპიზოდში მწერლის ტენდენცია წინ უსწ-

რებს მხატვრულ სამოსელს, მით უმეტეს, რომ ეს გლეხი შემდგომ ალარსად გვხვდება. კარგი კი იქნებოდა, მეფე სოლომონის ხასიათის განვითარებასთან ერთად მწერალს ეჩვენებინა გლეხის ხასიათიც არა ეპიზოდურად, არამედ — მოელი წიგნის მანძილზე.

რომანტიკითა შემოსილი სოლომონისა და მისი მხლებლების ღამეული მგზავრობა და სტუმრობა ძიძის ოჯახში, იქ გატარებული ღამე, დედოფალ თინათის მოსვლა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მყითხველი რომანის პირველივე გვერდებიდან ეცნობა შეფის მტრებს ძალიან პირდაპირ და გაშიშვლებულად. ლევან აბაშიძისა და რაჭის ერისთავის მოქმედებაში აშკარად ჩანს მათი სიძულვილი მეფისადმი, ეს კი დრამატიზმს ანელებს. უმჯობესი იქნებოდა, უფრო შენიღბული ყოფილიყვნენ ლევან აბაშიძე და რაჭის ერისთავი, ასევე მათი თანამზრახველი. ასევე ძალიან აშკარად და გულაბზილად უზიარებს მეფე თავის ეჭვებსა და სახელმწიფო გეგმებს ახლობლებს, იქნება ეს გიორგი წულუკიძე, ძიძიშვილი ოუს სხვანი. ისინც, თავის მხრივ, ძალიან ფამილარულად ერევიან ყოველგვარ საუბარში.

ძიძის სახლში, მეუღლის —

თინათის წინაშე, მამულის დასაცავად სოლომონის მიერ წარმოთქმული მონოლოგი პათეტიკურია. მეფის მსმენელი მხოლოდ თინათია, რომელსაც ძალიან უყვარს ქმარი და მონოლოგის გარეშეც მისი თანამზრახველია. ეს მონოლოგი დიდ აუდიტორიას გულისხმობს და არა ინტიმურ სიახლოეს. საერთოდ, რომანის ამდაგვარ ეპიზოდებში ძალიან ბევრს ხომ არ ღაპტაკობს სოლომონი მამულისადმი თავლადებაზე. ხალხისადმი ერთგულებაზე? ეს გრძნობები და მისწრაფებები ჩვენ მის მოქმედებაში უნდა დავინახოთ. აქვე ერთი რამეც უნდა შევნიშნოთ: ვართალია, ისტორიულ რომანში აუცილებელი არ არის ენბძრივი არქაზმი, მაგრამ არც ასე მეტისმეტად თანამედროვე ლექსიკოთ მეტყველება შეიძლება. ენაში მეტად უნდა ვიგრძნოთ, რომ ამბავი მე-18 საუკუნეში ხდება. ეს განსაკუთრებით ეხება დიალოგებს და არა ავტორის მეტყველებას. დიალოგები თანამედროვე ქართული ენისაგან სინტაქსურად მარც უნდა იყოს განსხვავებული, ე. ბ. მოიძებნოს რაღაც ლექსიკური ერთეულები, რითაც ვიგრძნობთ ისტორიულ დროს, პერსონაჟების

სოციალურ განსხვავებას; არ შეიძლება, რომ შეფერ, კათალიკოსი, ბერი, გლეხი, თავადი, ქართლის დესპანი, ახალციხის ფაშა და ოღიშის მთავარი — ყველა ერთნაირად გამართულად, ერთი ლექსიკოზ შეტყველებლეს. დიალოგებში ეს მკაფიოდ უნდა იგრძნობოდეს, მით უმეტეს იმ მასალის მახევით, რაც მწერალს ხელთა აქვს — ოდიშის, რაჭის, გურიის. მესხეთის და საქართველოს სხვა კუთხებსათვის ღამახასიათებელი კილოკავები, ენობრივი თავისებურებანი.

რომანის მომდევნო წიგნებში სასურველია კარგად გამოიკვეთოს დრომატული კვანძი — რატომ შეიკრა სამთა კავშირი (ლეგან აბაშიძე). მამა გურიელი, როსტომ ერისთავი) მეფის წინააღმდეგ, გამოიკვეთოს წინააღმდეგობა თვით ამ სამ დიდგვაროვანთა შორის, რაღაც ასეთი ურთიერთშინააღმდეგობა უნდა ყოფილიყო მათი სისუსტის მიზეზი სოლომონის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჯერჯერობით, რომანის პირველ წიგნში ამ დრომატული ამბების მხოლოდ ფასაზია ნაჩვენები და არა კულისები, სამზარეულო, სადაც მწიფებება და მზაღდებება მათი ფეოდალური სულმდაბლობა და მზაღდებება მათი ფეოდალური სულმდაბლობა და მზაღდებება, მათი ღია მეფის მეფისა და ერის წინაშე.

შემოხვევაში, მწერლის კომენტირება ისე რელიფურად ვერ დახატავს სურათს, როგორც თვით პერსონაჟთა პიროვნული ბედის თამაში. კონკრეტულად: მწერალი იგვიწერს იმერეთის სამეფოს ძალზე არეულ დროს, მაგრამ ძალზე ძუნწად არის ნაჩვენები უამთა სიავე. უამთა სიავე არამარტო ლეგან აბაშიძისა და მამია გურიელის მოქმედებით შეიძლებოდა გამოხატულიყო. იგი უნდა გამეტლავნებულიყო თვით მეფის ერთგული თავადებისა და აზნაურების ხასიათებშიც, რაღაც ისინი, ერთგულების მიუხედავად, ფეოდალური საზოგადოების შვილები იყვნენ. ისტორიულად ხომ შესწავლილია და დადგენილი, რომ იმ დროს იმერეთისა და ქართლკახეთის სამეფოებში ბევრი რაც სიბრელით, უმეტრებით, გაუგებრობით, ბურუსით იყო მოცული. ფეოდალურ საქართველოში, უმრავლეს შემთხვევაში, უფრო მდაბალი ინსტინქტები მოქმედებდნენ და არა მხოლოდ სალი გონების ადამიანები. ეს ითქმის შეფერ სოლომონის ერთგულ ადამიანებზეც კი, რაღაც ისინი თავის მოქმედებაში არ შეიძლება მხოლოდ ალტრუისტულ პრინციპებს დამყარებოდნენ. ისინი, მართალია, დიდ საქმეში მხარს უჭირდნენ მეფეს, მაგრამ მათ ჰქონ-

დათ თავიანთი მიკროინტერესებიც, რაც ღრმა ხსიათების დრამატიზმს ქმნიდა. ამ ინტერესების გარეშე მათი ჩვენება გააღარიბებდა სოციალურ სურათს.

მომდევნო წიგნებში მკითხველმა უნდა იგრძნოს სოლომონის ეჭვიც, იძულებითი მოქმედებანიც და სიბრძნეც, რაც მისი ახალგაზრდული ოცნებების პრაქტიკული შემოწმება იქნება.

ტახტდაკარგული მეფე ხოტევ-შია გახიზნული ერთგულ თანამოქმედებთან ერთად. მერე მიყრუ-ებულ სოცელ სხარტალში გადავიდა, რაღაც რაჭის ერისთავის მხრივ თავდასხმის შიში ჰქონდა. სხარტალში მეფე ორ თვეს აპირებს დარჩენას, სანამ ჯარს შეკრებს ტახტის დასაბრუნებლად. მართალია, სოლომონი ახალგაზრდაა, მაგრამ ერთგული თავადებისა და თანამებრძოლების გარემოცვაში მაინც არ უნდა იყოს აწრიალებული. პარალელს არ ვავლებო, მაგრამ გვიხსენოთ გოთეს შეხედულება ნაპოლეონზე, რომ „მან (ნაპოლეონმა) ყოველთვის იცოდა: რა უნდა გვაკეთებინა დამარცხებისა და გამარჯვების შემთხვევაში, და, რომ ის, ყველა სიტუაციაში, ორივე ფენით მაგრად იდგა დედამიწაზე“. გვიქრობ, ეს სოლომონმაც უნდა იცოდეს.

დედოფლალ თინათის სოფლებთან შეხვედრა, მისი „გაოვალვა“, მერე შელოცვა და ქალების სხა-ბაასი ცოტა რამით არის დაკავშირებული რომანის ძირითად ამბავთან. მეფე სოლომონის თანამეცხელრე ასეთი მიამიტი არ უნდა იყოს, სახელმწიფო საქმეებზეც უნდა ფიქრობდეს და არა — მხოლოდ თავის სიყვარულზე ახალგაზრდა ქმრისადმი. გულქანთან ურთიერთობაში თინათი ამჩატებულია, თითქოს საკუთარ დარსებაში არ არის დარწმუნებული, ქალურ ეჭვებს აცყოლა, რაც მის სახელმწიფოებრივ აღლობზე ნაკლებად მეტყველებს. საერთოდ, რომანში დიდი ადგილი ეთმობა მეფე-დედოფლის ინტიმურ საუბრებს, რაც მათ საზოგადოებრივ მდგომარეობას თითქოს ერთგვარად აუბრალოებს. ფოიერბახი სწორად შენიშვნავდა: „ქოხში სხვანაირად აზროვნებენ, ვიდრე სასახლეში“.

თინათის სრული ანტიპოლია ოდიშის მთავრის ოტია დადიანის ასული მარიამი, სოლომონის მომავალი თანამეცხედრე. მარიამი პირველი წიგნის ფინალში სულ რამდენიმე სტრიქონში გამოჩნ-

დება, მაგრამ საოცარი რელიეფურობით აგრძნობინებს მკითხველს თავის პატივმოყვარეობასაც, გაყინულ გულსაც და ომერტის დედოფლის გვირგვინისადმი სწრაფვასაც.

რომანში არის ერთი ასეთი ეპიზოდი. ნაშუალამეეს სოლომონი მცირე ამალით მიღის, რათა ჯრუჭულის წისქვილებთან შეხვდეს პაპუნა და ქაიხოსრო წერეთლებს. წიგნში კითხულობთ: „მოდინახის გადასახედმა მთლად მოაჯადოვა. განოქმული ციხის ქონგურებიდან მნახველის თვალში განსაცვიფრებელი სანახაობა იშლებოდა...“ მერე აღწერილია ეს ზღაპრული ადგილები, მაგრამ მწერალს ავიწყდება, რომ ღამეა, უფრო მეტიც. შისივე თქმით, „წყვდიადია“, „შუალამეა“ და ყრველივე ეს არ გამოჩნდებოდა. ერთი აბზაცის მერე, როცა პეიზაჟის აღწერა მთავრდება, აღნიშნულია „მზიანი დარი იღგონ“, მაგრამ როდის გათენდა, არ არის ნათვეამი. ლამაზი პეიზაჟის აღწერა წინ უძლვის ამ უკანასკნელ ფრაზას და მოხვედრილია ლამის კონტექსტში.

რომანში პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება სოლომონისა და მისი ძმის იოსების საუბარს. იოსები დესპანად გაგზავნა სოლომონმა ქართლსა და კახეთს. იონ 5. „კრიტიკა“ № 7.

სები ძალიან სწორად, საღად და გამართულად აანალიზებს იმდროინდელ პოლიტიკურ ცითარებას, ქართლ-კახეთის, ოსმალეთის, ახალციხის ფაშის, რუსეთის მისწრაფებებს. სოლომონი კი მოწავის როლშია, იმასაც ვერ ხვდება, მეფე ერეკლეს რატონ არ შეუძლია იმერეთს ჯარითა და იარაღით დაეხმაროს. ძმების ეს პოლიტიკური საუბარი დღევანდელი ისტორიკოსის თვალით დანახული პოლიტიკური სურათია, ეს ავტორის სწორი თვალსაზრისია, რომელიც მაშინ არ შეიძლება ასე ზედმიწევნით სცოდნოდათ, რაღაც ყოველივე ეს მომხდარი კი არ იყო, არამედ ხდებოდა ან უნდა მომხდარიყო; თვით ყველაზე შორსმჭვრეტელ სახელმწიფო მოღვაწეთათვისაც კი ეს მხოლოდ ვარაუდები შეიძლება ყოფილიყო. ამიტომ იოსებიც ასეთი ლოგიკური და კატეგორიული ვერ იქნებოდა თავის პოლიტიკურ დასკვნებში. გავიხსენოთ ისტორიული ანალოგიები. ბარათაშვილის პოემა „ბერი ქართლისა“ სულ სხვა იღეურ-პოლიტიკური პოზიციიდან არის დაწერილი, ვიღრე ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“. სოლომონისა და იოსების საუბრით რომანში ნაჩვენებია პოლიტიკური ბრძოლის შედეგი, რაც ასე

గాసూగెడాడ శెంక్లూరుడ క్రీడ, మే-20 సాంక్షేపికిల్లిని అధిపాఠీగా విచిత్ర. మీరోల్మా కీ ట్రైట శంక్లింట్రీక్యూశ్రూ శరీరంలూ ఉన్నా గవిహిగ్వెన్లు, రంఘల్లిల్లిస శేర్డేగ్రిప శేశ్చమ్లేబెల్లొస అన్న నొటల్లాడ చీనాసింగ్ లిప్రాల్డ్స్ బ్రెస్ట్ సోల్మిన్స్ లూ ఒంస్ట్రేబ్లా.

మేఘ సంఘమణి గానిథర్కాబువు కొల్పించిని ఔశాలు సంకొవులు లూక్-మార్కెబా లూ మిసి ఖారిం డాయిప్లోన్లు-ను త్రాక్త్రి, డాయిప్లోనులు ల్యేగ్జాన్ అబాశిండ్ లూ మామిస గుర్రించులు. మాగ్-సామ్మోర్కెతల్లు ల్యేగ్జాన్ అబాశిండ్ శేమోగ్స్ఎస్... గల్ఫ్స్కెబొస్ అంబెగ్జెన్ లూ కొల్పొ, రంఘేల్లిప రంఘేబొమ్మె డాల్సిల్ లంటాప్రోబ్స్లుల్లి శేక్విల్ సంఘమణిల్లి మంధందాన్బెబాస్. అంల్లు లూస్టంగ్వా-గ్రింబిత ఉమాసంక్రమించ్చు-బా మాస్. ఏస ఔసింట్రోల్మోగ్యూర్లా దాలొస్ థ్యుస్ట్రి లూ మ్ట్ర్యుగ్స్ట్రోల్లుల్లి స్ట్రేబొ. ఎసెతొ ట్రైపిల్లోబిత ఉన్నదా మింపింట్లే సంఘమణి మిగ్రేబిస సామేతులు లంఘగ్వెన్సాగ్జెన్. ఏస అంల్లు ట్రిపింట్రి ఉమతా సింప్యూ ఔమండాల్ముర్ సాక్సార్త్వేల్మణ్ణి, రాప థేమంత అంవ-్స్సెన్స్. గామ్స్చార్గేబ్స్లుల్లి బంధం మేఘే సంకొవులు కెస్టుక్స్ లార్బెగ్విల్లి గామం లూ డాక్మార్గేబాలు గమాప్యింరిండా తావడా-సాక్సెన్స్లాడ. మేఘే క్లొప్స్ శేంగ్-ట్రీస్ ప్రింగ్ మంధినాథేశ్షి. రంఘు మాస బాక్సు సంఘర్షణాంధ్ర మంట్రాంబ్స్ సా-సింబార్కుల్లి అంబాగ్స్ ల్యేగ్జాన్ అబాశి-దిల్లి గంధర్వున్బెబిల్ శ్యేసాక్షేబ్, మేఘే క్యెల్త అంట్యేరొ ఎంబ్స్ లూ ఇంప్లిం-బ్యుల్లొ మంబార్బెల్లు తావిసి కొ-

కొంబాల్ముస్ ఉబోమిల్. ఏస మేంఱ్రో మెర్కిప్పెన్ముల్లా లూ ఔసింట్రోల్మోగ్యూ-ర్లాడ కార్గుండ మంధేబ్బిల్లి డ్యూట్-ల్లాం. మాగ్రూమ అమ మెంప్రోల్ శెర్మి-క్కెబిల్ మీరోల్లి అం అంర్మాగ్వెబిల్, అం మిందిల్ డారామాత్శుల్లి గామ్చువ్యుబిల్ గెంట, రంఘు క్రొన్ఫ్లోల్మీట్రో అం మెంల్లాడ మంలొంబా నుష్టామంగ్యేబ-్మిల్, అంమేడ ప్రోవ్యుల్ క్యాప్రోషిల్, ప్రోవ్యుల్ సింప్లూప్రాబ్బిల్.

రంఘాన్శి కార్గుండ అంల్లి అం-మీర్చిల్లి సామ్మోర్కెతల్లాబా సంఘమణిల్లి గామ్గుంగ్రేబా, అంల్లి ప్రింగ్-టొన్ ఇస్ క్సెన్లి గ్రాసింటాబిల్ శేక్-వ్యుల్లొ లూ కూరితల్లి డిండ్బ్యుల్లొ మింగ్ మిసి గాపింల్యేబా అంల్పింబి-సాక్యెన్. ఎంజ్ ఉన్నదా శ్యేగ్నిశ్సంంత, రంఘ మెంప్యుల్లొబా ఇంసాన్-తుప్పుక్కెతిల్ పంఘి-ట్రిక్యూ ర్యుస్ఎతిల్ మింమార్త లూ ఇం-ప్రింబ్లుల్లి గ్వరొబిల్ పంఘింట్రోల్లి మెంగ్లుల్లి పంఘింప్రోల్ అం అం — క్యెల్సింబాస్యేబిల్ సాక్యుతారొ క్రొ-ప్రోప్లుల్.

నుష్టామంగ్యేబిల్ ర్యుల్పోఫ్యుర్కాడ అంల్లి గామ్పుక్కెతిల్ సంఘమణిల్లి అండ్లోగ్రుం అంల్పింబిల్లి ఔశిల్ కెంపి-అంమార్తిల్ కూరించ్చె. అమ ఇంథింప్-శి గాధాప్యార్గేబ్స్లుల్లి ఇస క్రి అం అంల్లి, కెంగ-అంమార్తిల్ రంఘ బింబింపోఫ్యుల్లి, క్యుల్మాత-సాప క్రి చ్యుగ్నెబిల్ శ్యుగ్వార్ధుల్లేస్, మాగ్-రూమ కెంగ-అంమార్తిల్ బింబింపోఫ్యుల్-

ბაშიც კი, მკითხველმა უნდა და-
ინახოს მისი მზაკვრული სახე,
ე. ი. ყოველი კოლიზია უნდა მუ-
შაობდეს ძირითადი დრამატურ-
გიული ხაზის წარმოსაჩენად.

ახალციხის ფაშამ სოლომონის
მისცა სამი ათასი მხედარი და კა-
რგული ტახტის დასაბრუნებლად,
სანაცვლოდ კი ტყვევების გალი-
ვა და სხვა მძიმე ბეგარა და აღლ.
ჰავია-აჭმალმა მძევლად დატოვა
ეპისკოპოსი მაქსიმე, სოლომონის
ერთგული მარჩეველი. ეს სრუ-
ლიად ბუნებრივია. ამიტომ გაუგე-
ბარია და მოტივირებას არის მოკ-
ლებული წიგნის ფინალში მაქსი-
მეს თავდასწანა ტყვეობილან, მოთ
უზეტეს, რომ სოლომონს მან ვე-
რავითარი საგულისხმო ცნობები
ვერ ჩამოატანა.

ემოციურია საქართველოში
მობრუნებულ მეფესთან ტყვეების
შეხვედრა. სოლომონი მათ ვერ
შველის. ტყვეები სწყევლიან. ეს
არის პირველი შედეგი სოლომო-
ნის სამშობლოში გამოლაშქრები-
სა ახალციხის ფაშის საექსპედი-
ციონ კორპუსთან ერთად.

ძალზე ცოტა რამეს ვგებუ-
ლობთ ლევან აბაშიძისა და რა-
ჭის ერისთავის ზრახვებისა და მა-
თი ხასიათის შესახებ. ისინი მე-
ფის მტრები არიან, ჩვენ მათ სო-
ლომონის თვალით ვუყურებთ.
ხასიათების სრულყოფის მიზნით

კი საჭიროა პირუკუ სიტუაციე-
ბიც, მეფეს მტრის ბანაკიდან უნ-
და შევხედოთ, ლევან აბაშიძისა
და რაჭის ერისთავის თვალით. ეს
აცცილებელია, რადგან სოლო-
მონის მტრები გავლენიანი ადა-
მიანები არიან და თანამზრახვე-
ლიც ჰყავთ. მწერალმა მათ პი-
როვნებაშიც უნდა მოძებნოს სა-
ხასიათო ნიშაბი, უარყოფითთან
ერთად დადგებითი თვისებებიცი,
რაც მათ უსათუოდ ჰქონდათ.
ლევან აბაშიძე და რაჭის ერის-
თავი მკითხველმა მხოლოდ ერთ-
ხაზ, სოლომონის შეფერ
კურთხევის ჟამს, მერე ამ პერ-
სონაებს აღარ ვხვდებით, მათ
მხოლოდ ახსენებენ საუბრებში
მეფის ბანაკის წევრები.

ახალციხის ფაშის საექსპედიციო
კორპუსს, რომელსაც რუსტამ-
ბეგი სარდლობდა, თავს დაესხნენ
ლევანი, ლევან აბაშიძემ და რა-
ჭის ერისთავმა რომ დაიქირავა
მეფის წინააღმდეგ საბრძოლვე-
ლად. კორპუსი მთლიანად განად-
გურდა. ოხმელისკიხეში თავშე-
ფარებულმა ბეგებმა სოლომონი
მოღალატედ გამოაცხადეს, თავ-
დასხმა მისი მოწყობილი ჰქონიათ.
ახლა სოლომონს მტერი მიემატა.
ებრძიან შინაურებიც და გარეშე-
ნიც საექსპედიციო კორპუ-
სის გადარჩენილმა ნაწილმა კი
ჯავრი ხანისწყლის პირას განლა-



զեծուլ սուլուս մօսաելլցոնձիք ոյսած. Տողոմոնն որ Արէկէլլ՛յա թույվը. Կռնըշուս Հաղութզուս ցա-
մո տեսլութիւն դամնիսացած Տոյց-
Հոլու ըլուս, ցանջողմոլու տաւա-
ջեցի Կո Շըսապյոհնծած Ըստցըեն.
Ժօմինշուունու տանէլլցեցի Ցեց մո-
ջուս Տեսահիմակաց, Տաճաւ ունա-
տո. Ցիսաց Հարուցեցուլու.

ასეთ მძიმე სიტუაციაში, ფილოგნიურად გაუმართლებელი უნდა იყოს ძიძიშვილთან სოლომონის სიზმრებზე საუბარი, როგორ ეზმანა თინათის რომ სტაცებდნენ. ამით მწერალს სურს მიგვანიშნოს სოლომონის მოსალოდნელ პირად უბედურებაზე, მაგრამ ჯობდა ეს უბედურება მოულოდნელი ყოფილიყო, იმ უბედურებასთან ერთად, რაც სოლომონს უკვე თავს დაატყედა.

ხოტევის ცახეში სოლომონის
მეუღლესთან შეხვედრის სცენა,
სამწუხაროდ. არ ითვალისწინებს
სიტუაციის ტრაგიკულობას. სო-
ლომონი ცოლს ბოდიშს უხდის,
რომ უსაჩუქროდ მოვიდა. საქმე
ზოლოდ იმამ როდი ეხება, მეფე
ეტყვოდა თუ არა. დედოფალს „ეს
ერთხელ მაპატიე, ნუ გამებუტე-
ბიო...“ განა სოლომონი — მეფე-
და სარდალი — ახლა იმ მდგომა-
რეობაშია, რომ უსაჩუქროდ მის-
ვლისათვის ცოლს პატიება სთხო-
ვას? მას ხომ მტრები ფეხდავთ

მოსლევენ შესაბყრდაღ და მისი
სამეცნი ყოფნა-არყოფნის საკი-
თხი ბეჭვზე ჰკითა!

ეპოციურია სცენა თინათის აღ-
საჩებისა, როცა მეფეს უჩქევს
შეირთოს ოტია დაღიანის ქალი
შარიამი, რათა ამ გზით ტახტი
დაიბრუნოს. ამ ეპიზოდში თინა-
თი მსხვერპლს გაიღებს, სოლო-
მონი კი მხოლოდ ღიღსულოვნე-
ბასა და კეთილშობილებას იჩენს.
ფინერლოგიურად ძალიან საპასუ-
ნისმგებლო სცენაა. იქნებ სჯობ-
და ამ ცისტოდში თინათი უფრო
სიტყვაძუნწია ყოფილიყო. თინა-
თი ხომ საკუთარ სიყვარულზე,
დედოფლის გვირგვინზე ნებაყო-
ფლობით ამბობს უასს. აյ ნაკ-
ლებადმიშვნელოვანია პატივმო-
ცვარების გრძნობა, რომელიც
ჭალს შეაკავებდა ამგვარი ნაბი-
რის გადადგმისაგან. სარწმუნოა,
რომ ჰკვიანი მასულიშვილი ასე
მოიქცეოდა. ოლონდ ეს ტრავე-
ლია და მელოდრამა არ უნდა
გადაიქცეს. თინათის მზრივ მინი-
შენებაც კმარა, აღარ არის საჭი-
რო დეტალებზე საუბარი. დეტა-
ლები თავისთავად ცხადია, რო-
გორიც იქნება. დეტალებზე საუ-
ბარი ამცირებს თინათის, ჩრდილს
აუნებს მას ქალურ კლემოსი-
ლებას. ამას ისედაც მიხვდება

მეოთხველი. მკითხველმა ქალის მორთოლვაზე გული უნდა იგრძნოს, რომელიც ქვეყნის ინტერესებისათვის საკუთარ სიყვარულს სომობს. სიყვარულზე ძვირფასი კი მისთვის ქვეყნად არაფერია. თინათისაგან სიყვარულს დამობა, ფაქტიურად, სიცოცხლის დათმობაა, განკორწინებული დედოფალი ხომ მონასტერში უნდა აღიკვეცოს მონაზენად. ეს დიდი ტრაგედია ქვეტეშსტებზე უნდა იყოს აგებული, ნახევარტონებზე და არა—აგუმენტირებულ მსჯელობაზე. მსჯელობა პათეტიკურს წარის. სცენას, რომელიც სევდიანი და ტრაგიკული უნდა იყოს.

რომანში ფსიქოლოგიურად ძლიერი და დამაჯერებელია სოლომონისა და მისი ძმის მიტრონიტი იოსების მეორე საუბარი, როცა მათ გადაწყვეტეს ოტია უაღიანთან დამოყვრება და ამით სახელმწიფო-სამხედრო კავშირის შექმნა. ამ შეხვედრის დროს მეფე გამოიტირა თავისი სიყვარული.

შთამბეჭდავია პირველი წიგნის ფინალური სცენები, ცხენისწყა-

ლზე გასვლა, ოტია დაღიანის მიწვევა და გორდში სტუმრობა, დაღიანის მასპინძლობა, ქორწილისათვის სამზადისი და მეფის სულიერი მდგომარეობა. ამ სცენებში კარგად იგრძნობა, როგორ იყრებს ძალებს სოლომონი, რწმუნდება რომ მის უბედურებას მალე ბოლო მოედება და იგი ოდიშის შეცვლობით, მიქელაძისა და წულუკიძის მხედრობით ტახტს დაიბრუნებს და ამბოხებულთ დასჯის. ჯვარისწერის წინ სოლომონს ავონდება თინათი და ცრემლით სავსე თვალებით ხვდება თავის მომავალ თანამეცხედრეს, მარიამს. ეს სცენა შინაგანი დაძაბულობით არის სავსე, გვჩერა პერსონაჟების მოქმედებისა, ვერდავთ და ვგრძნობთ მათ, იქნება ეს მოხუცი ოტია, პატივმოყვარე კაცო ჩიჩუა თუ მთავრის გაური...

სოლომონისა და თინათის დიდი პირადი ტრაგელიით დაიწყო იმერეთის სამეფოს მტკიცე ბალავრის ამოშენება. როგორი კედლები აჰყვება ამ ბალავარს, რომანის მომღევნო წიგნები დაგვანხებენ.

აი, კიდევ ერთი ახალი რომანი — ვახტანგ გოზალიშვილის „უამი სიბრძნისა და სიყვარულისა“ (ნაწილი პირველი, 1973 წელი).

გამომცემლობა — „ირისთონის“ მიერ წიგნისთვის წამძლვარებულა ანოტაცია გვაუწყებს, რომ „მყითხველი ნაწარმოების გმირებთან ერთად განიცდის ჩვენი დღეების

ერთი რომანი სა რ ვ ე ზ ე ბ ე ნ

მჩქეფარებას, ახალგაზრდების მისწრაფებებს, წრფელ სიყვარულს, იმას თუ ისინი თავისდაუნებურად(!) როგორ გადადიან სიბრძნის ასაკში...“

მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ეს რეკომენდაცია ყალბია და არ შეეფერება რომანის შინაარსსა და დედაზრს. მძიმეა ამის თქმა, მაგრამ ფაქტს ვერსად გავეძლევთ: ჩვენს ხელთაა არა რომანი, არამედ განყენებული მსჯელობებითა და სქემატური პასუხებით შეკორწინებული ნაწარმოები, სადაც ვერც ახალგაზრდათა ნამდვილ მი-

△ △

ნუგზარ აფხაზავა

▽ ▽

სწრაფებებს ვხედავთ, ვერც მათ ურფელ სიყვარულს (მას შეშველი, მდგალი ვნებები ცვლის). მით უმეტეს, ბოლომდე გამოუცნობი რჩება, „თავისდაუნებურად როვნო გადადიან“ ეს ახალგაზრდები „სიბრძნის ასაჟში“ (ყოველ შემთხვევაში, ამას ვერ ვხედავთ რომანის პირველ წიგნში).

ჯერ ერთი, ასასაც ჩანს ანოტაციაში ნახსენები „ჩვენი დღეების შექეფარება“, არც შრომა, არც ახლის შენების პათოსი, არც საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი წვა და გატაცება. ავტორი, ჩვეულებრივ, არ ხატავს პერსონაჟთა საქმიანობის სურათებს (ამ მხრივ, შედარებით, ყურნალისტებს სწყალობს). სამაგიეროდ, წიგნი საცეკვა სასიყვარულო სცენებით, ქეიფისა და ხელჩართული ჩხუბის აღწერით, ცარიელი, არაფრისმთქმელი დალოგებით, ყურით მოთრეული ენამახვილობით.

ვინ არ იცის ფ. ენგელსის ცნობილი გამონათქვევი: „რეალიზმი, ვარდა დეტალების სიმართლით გადმოცემისა, გულისხმობს ტიპიურ ვითარებაში ტიპიური ხასიათების სწორ წარმოსახვას“. ვ. გოზალიშვილის ნაწარმოებს რეალისტური „საყოფაცხოვრებო“ რომანის პრეტენზია აქვს. მდგრად, იგი უნდა აქმაყოფილებდეს შემოთხასენებ პირობებს. მაგრამ რო-

მანის ზერელე გადაკითხვაც კი ცხადყოფს, რომ აქ არც ტიპიური გარემოა დახატული, ვერც მართალ დეტალებს ვხედავთ (მცირე გამონაკლისის გარდა) და არც ტიპიური ხასიათებია წარმოსახული. ამას თუნდაც ის ადასტურებს, რომ ასოთხმოცვერდიან ნაწარმოებში არ არის ერთი ჭეშმარიტად დადებითი გმირიც კი.

ექიმი ლევანი შვილს ასე არიგებს: „რას აიჩემე კრიტიკულ კორესპონდენციებს! წერა. გინდა მთაბარი შენ გასწორო? მამაშვილობას გაფიცებ, ნუ გადაიკიდებ რაიონის ხელმძღვანელებს“... (გვ. 3). სწორედ ასე, ამ შევინებით იწყება რომანი. ლევანი განაწყენებულია იმით, რომ „ჯანგანის გამგეობილან“ გაათავსუფლეს და „მოწინააღმდეგეთა ჯიბრზე“ „ორ წელიწადში შესანიშნავი მკურნალის რეპუტაცია მოიხვეჭა“ (გვ. 94) (!). იგი ანგარიშიანი მამა, ცდილობს, როგორმე მინისტრის მოადგილის ქალიშვილი მოაწონოს თავის ვაჟს: „ზურაბს ჰქონა რომ ჰქონდეს იმ ქერთა გოგოს ვერ დაითანხმებდა?.. ასეთ კარგ საცოლეს ვერც ინატრებს კაცი. შესანიშნავი თანამდებობის სასიმამრო, დედისერთა, ლიმაზი ქალიშვილი“ (გვ. 102)... რაიონული გაზეთის ხელმძღვანელი სანდრო ჭუკულაშვილი

„ღვარძლიანი და ჭორიკანა რედა-
ქტორია“ (გვ. 66). კომედიურის
რაიონის პირველი მდივანი გივა
კაკალაშვილი „სადაც საჭიროა
ქედმაღალია, ხოლო ზოგჯერ წელ-
ში ოთხად იყეცება“ (გვ. 50).
(ისაუც შეუნიშვნას: „ქსეც კარგი
პინგვინი ყოფილა! არა, ეს მლიქ-
ვნელები თითქოს ყველას ეჭავ-
რება, მაგრამ სიამოვნებთ კია
და“ (გვ. 54)...).

ნაწილობრივ, ზურაბი თუ გა-
მოდგება დადებითი გმირის როლ-
ში, ისეთი გმირისა, „მჩქეფარე
დღეებს“ რომ შეეფერება, მაგ-
რამ რაღაც ძალზე მკრთალი პორ-
ტრეტი გამოუვიდა ვეტორს.
ხშირად ეს ვითომდა მებრძოლი
უურნალისტი ყოყოჩა, ბაქია კა-
ცისა და მიზანსწრაფული კარიე-
რისტის შთაბეჭდილებას ახდენს.
„ჯერ რაიონის გაზეთის რედაქ-
ცია, — მსჯელობს ზურაბი, —
ამასთან ცხოვრების ლაბირინთები
უნდა გაიაროს კაცმა და მერე ისე
უნდა ავიდეს ამ უმშვენიერეს
გადასახედზე, მაააშ!“ (გვ. 10).
იგი ზედმეტად თავდაჭრებულია
და სხვებს ჭკუს ასწავლის, თუმ-
ცა ხშირად თვითონვე სცოდავს
ხოლმე. თვით უურნალისტობაც
ზურაბმა სხვის ჭიბრზე (ალბათ
მამის მოწინააღმდეგეთა ჭიბრზე)
გადაწყვიტა: „უურნალისტი ვიქ-
ნები! უურნალისტი! თოო, რო-

გორ გავამასხებ საქვეყნოდ, ისე
გავათახსირებ, რომ ალაზანმა და
იორმა ვერ გარეცხოს! ამობდა
მაშინ, მაგრამ როცა უკვე უურ-
ნალისტი მართლაც გახდა, ძვე-
ლი მოსაზრება დაივიშა, ვინაი-
დან ცხოვრებაში იმდენი ავკარ-
გია მოსაგვარებელი, რომ მხო-
ლოდ პირაღულზე ფიქრი სათაკი-
ლოცა“ (გვ. 94).

ნუ გაგაკვირვებთ ამ უქვესიოდე
სტრიქონის მანძილზე მომხდარი
მეტამორფოზა ზურაბისა. ასევე,
სავსებით მოულოდნელად და
ულოგიკოდ, 158-ე გვერდზე „გა-
მოსწორდება“ შიო, ეროსის „კორ-
პორაციის“ ძველისძველი წევ-
რი; ცოტა მოგვიანებით, 176-ე
გვერდზე ასევე უცებ და უცნაუ-
რად გარდაიქმნება ქარაფშუტა,
ავი და ეგოსტი ევა (თუმცა, მა-
ბატიეთ, ორი გვერდით წინ მამავ
აცნობა ზურაბს: „ევა სულ გამო-
ცვლილა, დადინჯებულა“).

საერთოდ, წიგნში არ არის არც
ერთი თანმიმდევრული ხსიათი.
არც ერთი ტიპი, რომელიც შეიძ-
ლება დაგამახსოვრდეს. ყველა-
ფერი ძალზე სქემატურია — პერ-
სონაჟიც, სიტუაციაც, დიალო-
გიც... სქემატურია აფროლიტას
და ეროსის, გვენჯისა და გრამი-
ტონის, სანდროს და თურმანის სა-

ჩემი; სქემატურია ხორნაბუჭის სურა; სასტუმროში გამართული ჩხების სურათი... არაფრის-მთქმელი დიალოგის მაგალითად მხოლოდ ორ ადგილს დავიმოწმებ:

— ზურაბ, რატომ ხდება ისე, რომ აღაშიანს თითქოს ახსოვს, უფრო სწორედ, უნდა ახსოვდეს და ამბობს ხოლმე მახსოვსო (?) . სინამდვერულში კი აღარ ახსოვს. რატომ?

— როგორ გითხრა.

— მოსახუენებლად ხომ არ აკეთებენ ამას?

— ვინ იცის! — ზურაბი სარკე-ში დაკვირდა იას ჩაცმულობას, მაბეს.

— ნუ თუ?

— ააა...

— რა?

— არაფერი.

— შენ ვერ გამიგვა.

— ია, ია!

— რა, ზურაბ, რა მოხდა?“
(გვ. 70).

და კიდევ:

— რა კარგია, უშიშრად დავი-ძინებ, ხომ ზურაბ?

— ვისი გეშინია, ია?

— არა, ისე. რატომ უნდა მე-შინოდეს?

— ია, გახულე რა ლამაზია ვარ-შეკვლავებით მოჰკელილი ცა, რო-

მელიც ყოველთვის ჩემს სოფელს ლეღვთახევს მაგონებს.

— აქედან შორს არის შენი სოფელი?

— სულ ოცი წუთის სავალია.

— პოო...

— რა, ია.

— არაფერი. ასეთ ღამეში არ შეიძლება ოცნებამ არ გაგიტაცის, ხომ?

— სწორეა. პოეტური ღამეა. ღაცული ტყე მარტო ქიზიში კი არა მთელს კახეთში ერთ-ერთი კარგი ადგილია: იცი, ია, ამბობენ, აქ რუსეთის მეფისნაცვლის ჭლე-ჭით მძიმედ დაავადებული ძმა განიკურნაო“ (გვ. 78).

ყოველ მხატვრულ ნაწარმოებში, მით უმეტეს რომანში, ყოველი დეტალი, ყოველი წვრილმანი პირდაპირ თუ არაპირდაპირ მთავრი ამბის განვითარებას, მთავარი საჯმელის ცხადად გამოხატვას უნდა ემსახურებოდეს. სარეცენზიონ ნაწარმოებში კი ეს ჭეშმარიტება უგულებელყოფილია. რომანის სიუკეტური ხაზი არაფრისაქნისი დეტალებითაა გადატვირთული. მაგალითად, გაჭიანურებული და ზეღმეტია ზურნალისტების — გვანჯისა და გრამიტონის ისტორია. არაფერს მატებს ნაწარმოებს თურმანს სახე და მასთან დაკავშირებული ამბები.

ავტორისეულ თხრობაში ჭარბობს გულუბრყვილო და განყენებული მსჯელობანი (აქვე უნდა ვთქვათ: უურნალისტ ზურაბის სახე და ავტორი ხშირად ისე ეძოხვევიან ერთმანეთს, როგორც ეკრანზე გაორებული გამოსახულება სწორი ფოკუსირებისას). იგრძნობა მწერლის გატაცება ბუნდოვანი სენტენციებით. აი, ამას ორიოდე მაგალითი: „ადამიანი ხომ უფრო მეტს ფიქრობს, ვიდრე მეტყველებს! თუმცა კაცი რასაც ფიქრობს, ყველაფერს რომ ლაპარაკობდეს, მაშინ ადამიანები ერთმანეთს მტკრად აქცევდნენ“ (გვ. 4). „აზამიანი დედამიწაზე ერთადერთი სულიერია, რომელიც ორჯერ წამოჰკრავს ხოლმე ფეხს ერთსა და იმავე ქვას. ცხოველები კი ამას არ აკეთებენ“ (იქვე). „რას ვგმოდავ. კაცის სილამაზე სად თქმულა: ლამაზი კაცი და ჭიუანი ჯერ არ შემჩველობა. კაცი ინტელექტუალ ფასდება. ალვის ხე მაღალი იზრდება, მაგრამ მისი არც ჩრდილი ვარგა და არც ფიცარი“ (გვ. 23). „მესამე დღეს ზურაბი თბილისს დაბრუნდა. პირველი სიყვარულით ანთებული გული სამუშაო კაბინეტში ისევე მოიწყენს, როგორც ბულბული გალიაში“ (გვ. 120).

ძალზე ხშირად გვხვდება ნაწარმოებში ყალბი პათეტიკა, ორმა

ფსიქოლოგიურობის ან პოეტურობის პრეტენზით აღმდეგილა ადგილები. ყალბია „გაბრაზებული ახალგაზრდების“ ევროპულ პრობლემაზე მსჯელობა (გვ. 180)-ან კიდევ შემდეგი პასუხები: ზურაბის „სახეზე სისხლი მოაწვა, ცოტაც და იფეთქებდა, მაგრამ გონებამ სძლია გრძნობათა აღტკინებას და სიწითლემაც გაუარა...“ (გვ. 134). „ერთმანეთს კარგახანს უცემერობდნენ, თვალებით ებასებრდნენ. ასეთ შემთხვევაში ხშირად ერთმანეთის გულში ჩაწვდომას ლამიბენ ადამიანები. მაგალის შორის თვალთა დუელის მთელი შინაარსის გამომხატველი „ვინ-ვის!“ იყო“ (გვ. 99). ზურაბმა „საქართველოს თითქმის ყველა კუთხე მოიარა. პატარა, მაგრამ (!) ულამაზესი ქვეყნის სხვადასხვა ბუნებოვანი (!) კუთხების ხილვით უურნალისტი აღფრთოვანებულია. მზად არის ხმამაღლა იყივლოს (!); ცას შესწოდეს, იალბუზზე, მყინვარწვერსა თუ ყაზბეგზე(?) მარტოდმარტო ავიდეს და იქიდან ყველას გასაგონად ხმის ჩახლებამდე იყივლოს—„ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო, ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი საქართველო“. აფხაზეთის, აჭარის ზღვისპირეთი,

შესხეთ-ჭავახეთი, რაჭა-ლეჩხუმი-სა და სვანეთის მთები, ყველა, ქინისა და არაგვის ხეობა — ყველა ჩემი სამშობლოა, ყველა!“ (გვ. 138).

საერთოდ, რომანში ხშირად წარწყდებით უაზრო, გულუბრყვილო, პათეტიკურ მსჯელობასა და შეძახილებს. ეროსის ჭიჭაზე მოყვანას ზურაბი ასეთი შეკითხვით აპირებს: „ნუთუ ვერ ხვდებით, რომ გზას ასცდით!“ (გვ. 165), ან: „ამხანაგო ეროსი, ვინ მოგცათ უფლება ქალიშვილს უქეშად მოექცეო?“ (გვ. 156). ხოლო ეროსის ავტორი ასე ალპარაკებს: „ჩვენ უბრალო აღამიანები ვართ, ვვიყვარს დროსტარება, გართობა, ამაში ცუდი რა ნახე? — ეს თითქმის ვეძრებას (?) ჰგავდა, მაგრამ ცისფერ თვალებში ჩა-საფრებულმა შურისძიებამ (?) ვაინც გამოანათა“ (155).

თუ არა ავტორის ენის სიღარი-ზით, სხვა რით უნდა აიხსნას, რომ ორ-სამჭერ, ზოგჯერ უფრო ხშირად მომსახურებლად მეორდება ერთი და იგივე პასაუი, სურა-თი, სახე. აი, მაგალითად: „მღე-რის ზურაბი, მღერის გატაცებით, მღერის თავისებურად. მის სიმ-ღერის აკომპანიმენტი არა სჭირდება, მღერის თავისთვის“ (გვ. 5): „...კრინით მღერის. ასე ჰგო-ნია, მხოლოდ მას ესმის და არც

კი ფიქრობს, რომ სხვაც ვინმე უს-მენს. მღერის თავისთვის, ემღე-რება და მღერის!“ (გვ. 6); „ავ-თანდილივით მიიმღერის კორეს-პონდურტი, თავისთვის მღერის, ემღერება და მღერის!“ (გვ. 10).

ზოგიერთი სცენის აღწერისას 3. გოზალიშვილს აშკარად ღალა-ტობს ზომიერების გრძნობა და ზუსტად დახატული სურათის ნა-ცვლად რაღაც უცნაურ, დამა-ხინჯებულ გამოსახულებას ვღე-ბულობთ:

სცენა ხორნაბუჯში: ზურაბმა ხევში გადაჩეხვას გადაარჩინა ია: „ზურაბს თვალები გაუფარ-ოვდა, ფერი დაეკარგა და აკან კალდა. ხელები უმშეოდ გაასვ-სავა, ის იყო უნდა დაცუმულიყო, რომ მუხლებში უცნაური ძალა იგრძნო (!). თვალის დახამხამება-ში ვეფეხის სისწრაფით ისკუპა და ია მარწუხებივით (!) შემოაჭ-დო მელაცები“ (გვ. 26). ხომ გა-გონებთ კლასიკური ჭიდაობის ილეთებს?

სცენა მამა-შვილს შორის: „მოწოლილმა ბოლმამ ითვეტქა და ლევანი ელვის უსწრაფესად ეცა ზურაბს, მძლავრ მკლავებში მოიმ-წყვდია“ (გვ. 98); „ლევანმა მარ-ჭენა მკლავში მოიმწყვდია ზურა-ბის კისერი, მერე თმებში სწვდა, თვი გადაუწია“ და ა. შ. (გვ. 99). ხომ ჰგავს ძიუ-დოს ილეთებს?

უსათუოდ უნდა ვუსაყველუროთ ავტორს ზეღმეტი ეროტიზმით გატაცება. შიშველი ნატურალობითაა სავსე მის მიერ აღწერილი სცენები. ამასთან, ეს სცენები, უმთავრესად, სტერეოტიპულა.

აი რამდენიმე, ყველაზე დამახსიათებელი მაგალითი: „უოჩრა ევამ და ბეჭებზე ხელი მოუთათუნა, თან კბილები ვნებიანობის ნიშნად გააკრაჭუნა“ (გვ. 31). „ეგ რომ სხვაგან კვერცხს არ დებდეს, არც ასე დაუმსხვილდებოდა ბარძაყები“ (გვ. 56). „ქვრივმა თითქოს ადგილი დაუტოვა, მაგრამ თეძნები სკამიდან სულაც არ გადაუშევია“ (გვ. 57). „ცალი თვალი შავგვრემანი ქვრივის აფუებული ბარკლებისაკენ მიუჩბოდა... აღარ დააყოვნა და ხელი მისი ბარძაყისკენ გააპარა“ (გვ. 57). „ცხელი, კაცის ხელმიუკარებელი ძუძუები ზურაბის შიშველ მკლავებზე აცეკვდნენ“ (გვ. 71)... შეიძლებოდა უამრავი ასეთი მაგალითის მოყვანა (გვერდები 24, 29, 30, 31, 35, 39, 55 და ა. შ.).

ყველაზე მოუშესრიგებელი რომანში მაინც მისი ენა და სტილია. წიგნი სავსეა ორთოგრაფიული და სინტაქსური შეცდომებით. ავტორი მეტად უგულისყუროდ, მეტაც — უპასუხისმგებლოდ მო-

ქცევია ენას. ამის საილუსტრაცია მაგალითი შეიძლება ყოველ გვერდზე (მერწმუნეთ, არ ვაჭარბები!) მოიძებნოს, მაგრამ დავასახელებ მრავალთაგან მხოლოდ რამდენიმეს: „იხლართება უამრავი უხილავი ძაფები“ (გვ. 15). „მაგრამ საჭამზე მეტად გაფარჩხული ობობა ბადეს ქსელავდა“ (16). „არც მე ვარ გულუბრყვილო, დაწინწკლული კალმახი, რომ უბრალოდ გავება შენს მახეში“ (გვ. 16). (კალმახი შეიძლება გაებას ბადეში და არა მახეში!) „ზურაბმა ვერ გაუძლო ცეცხლოვან, წყლიან (!) შავ თვალებს, თავი ძირს დახარა. მერე ისა წვივების-კენ გაეჭცა თვალი, რომელსაც მოკლე კაბა მუხლებს ვერც კი უფარავდა“ (გვ. 37). „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია: შინ მაინც ხელების დაბანვა ექიმს ჩვეულებად აქვს“ (გვ. 93). „მე განა თბილისში გადასვლაზე წინააღმდევოვნარ?“ (გვ. 97). „დილხანს იქრავდნენ ერთმანეთს გულში. გონის ზალე მოეგნენ“ (გვ. 121). „ეს არ იყო ვნებისალმძვრელი კოცნა. ეს განსაცდელგამოვლილი (?) ქალიშვილის ამბორია, სატრიტოს ისე რომ სჭირდება ასეთ დროს. მაგრამ ამაზე ისა სულაც არ უფიქრია. ასეთ დროს ყველაფერი ინსტინქ-

ტით, თავისუთავად ხდება ხოლმე“ (გვ. 124). „უცერხულობისაგან ლამაზ მებუფეტე ქალს ორივე დაკვირვებით უცქერის“ (გვ. 179). „საზამთრო გადმონარცხა და ნაწილ-ნაწილ დაამსხვრია“ (გვ. 160)...

ვ. გოზალიშვილი პროფესიით უურნალისტია, და არცთუ ურიგ უურნალისტი. მაშასადამე, იგი პატივს უნდა სცემდეს თავის პროფესიას. მაგრამ წავმში ეს არ იყრძნობა. თავი გაფანებოთ გვანჭისა და გრამიტონს — „ძველ უურნალისტებს“. მაგრამ რა ცუყოთ ასეთ ფრაზას: „უურნალისტებიც საწერ მაგიდას ხელპირდაუბანელი მიუჩდებიან (!) ხოლმე და იწყებენ ტყინის ჰყულეტას“ (გვ. 6). ან კიდევ: „უურნალისტიც ხომ ცხოვრების ლაბირინთებში დავვრება (!), მოუსვენრად დასუნსულებს (!) ხან აქ, ხან იქ და იშერს

ყოველივეს... უურნალისტიაც ფხიზელი თვალი-უური უნდა ჰქონდეს... უურნალისტის შიშის გრძნობაც საქმაოდ უნდა ჰქონდეს“ (გვ. 9). არა მგონია, ვ- გოზალიშვილის რომელიმე კოლეგას ესიამოვნოს თავისი პროფესიის ასეთი დახსახოება, საღაც უურნალისტი, ბევრი რომ არ ვთქვათ, ლამას ჩვეულებრივ მეძებართანაა გაიგივებული.

ვ. გოზალიშვილს თავის რომანში ერთგან ასეთი რამ აქვს ნათებები: „ყველა ხომ ვენერალი ვერ იქნება. ზოგი ოფიცერია, სხვადასხვა რანგის ოფიცერი. მწერლობაც ასეა, ყველა ერთი რანგისა ვერ იქნება. სხვადასხვა რანგის მწერლები ერთმანეთს ავსებენ, საჭირო საქმეს აკეთებენ“ (გვ. 75). რაც მართალია — მართალია!..

მაგრამ ჰქვია კი ამას „საჭირო საქმის გაკეთება“?

ქართული მენიშვნები ქრისტიანული

უკვე ორ წელზე შეტი დრო
გავიდა მას შემდეგ, რაც გამოქ-
ვეუნდა სკაპ ცენტრალური კომი-
ტეტის დადგენილება ლიტერა-
ტურულ-მხატვრული კრიტიკის
შესახებ. ამ დიდმნიშვნელოვან
დოკუმენტში ერთხელ კიდევ მკა-
ფიოდ ალინიშვნა, თუ რა დიდი
როლი ეკისრება ლიტერატურულ
კრიტიკას მხატვრული ლიტერა-

ესთი პათონი!

ტურის წინაშე მდგომი გრანდიო-
ზული ამოცანების შესასრულებ-
ლად.

ორი წელი სავსებით საქმარისი
დროა იმისათვის, რომ ჩვენს ლი-
ტერატურულ და შემოქმედებით
ორგანიზაციებს სათანადო დაკ-
ვნები გაეკეთებინათ სკაპ ცენტ-
რალური კომიტეტის დადგენილე-
ბიდან და თავიანთი მუშაობა გა-
რდაექმნათ პარტიის მითითებათ
განსახორციელებლად. ახლა უკვე
შეიძლება ვილაპარაკოთ ამ მუშა-
ობის პირველ შედეგებზე და ვა-



ზურაბ ჭუმბურიძე



ნესაზღვროთ მიღწეული წარმატებანი თუ ჭერ კიდევ აღმოუფხსრელი ნაკლოვანებანი.

საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ლიტერატურულ-შემოქმედებითი ორგანიზაციების მუშაობაში და ჩვენს სალიტერატურო პრესაში უკვე იგრძნობა გარკვეული დადგებითი მოვლენები: განშირდა დისკუსიები, იმატა კრიტიკულმა წერილებმა და წიგნებმა, რომლებშიც უფრო საფუძვლიანად არის გაანალიზებული ლიტერატურული პროცესის დამახასიათებელი ნიშნები თუ ცალკეული ნაწარმოებები, გაიზარდა მომთხოვნელობა კრიტიკის პროფესიული დონისადმი, გამანვილდა ყურადღება თანამეგროვეობის ქტიულურ სოციალურ, ესთეტიკურ და ეთიკურ პრობლემებზე. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სალიტერატურო კრიტიკის გააქტიურების, მისა პროფესიული დონის ამაღლების პროცესი ჯერჯერობით ნელა მიმდინარებს; ჭერ კიდევ ცოტაა მებრძოლი, პრინციპული კრიტიკული წერილები, რომლებშიაც მოცემული იქნებოდა „თანამედროვე მხატვრული პროცესის მოვლენების, ტენდენციებისა და კანონზომიერებათა ღრმა ანალიზი“, ჭერ კიდევ არაიშვიათია სახოტო წერილები,

რომლებიც „შეიცავენ დაუსაბუთებელ კომპლიმენტებს, სჭერდებიან ნაწარმოების შინაარსის ზერელე გადმოცემას, წარმოდგენას გერგმენიან მის რეალურ მაიშვნელობასა და ღირებულებაზე“; ჭერ კიდევ იწერება რეცენზიები შედარებით უმნიშვნელო ნაწარმოებზე, მაშინ როცა უყურადღებოდ რჩება ბევრი უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო ნაწარმოები.

ყოველივე ამას აღვილად დანახავს მკითხველი, თუ თვალს გადავლებს ჩვენს ლიტერატურულ პერიოდიკას.

„ლიტერატურულ საქართველოს“ ჩვენს სალიტერატურო ორგანოთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია. მისი ვალია იყოს ჩვენი მწერლობის სარკე და ოპერატიულად ეხმაურებოდეს ყოველ ახალ მოვლენას, მაგრამ გარდა ამისა, რაკი ჭერებობით ჩვენს რესპუბლიკისა რა ასეცპობს სპეციალური გაზითა, რომელიც ქართული კულტურის საქითხებს გააშუქებდა, „ლიტერატურულ საქართველოს“ უხდება ნაწილობრივ მაინც შეავსოს ეს ხარევზი და სათანადო ყურადღება დაუთმოს ხელოვნებისა და მეცნიერების საკითხებსაც. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ართუ-

ლებს ოედაქციის მუშაობას, მაგრამ გაზითი საერთოდ წარმატებით არამევეს თავს მის წინაშე მდგომ ამოცანებს და ფართო პოპულარობით საჩვენებლობს მკითხველთა შორის, მის ხმას ინტერესით უგდებს ყურს ქართული კულტურის გულშემატკივართა მრავალათასიანი არმია.

ცხოვრება წინ მიღის, იზრდება „ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველთა წრე, მათი გემოვნება, მოხარვნილება, იზრდება გაზეთის ტირაჟი, მაგრამ მისი პერიოდულობა და მოცულობა კი უცვლელი რჩება. დიდი ხანია მომწიფდა საყითხი, რომ გაზეთს დაემატოს ორი ვერდი მაინც, თუ მეტი არა, მაგრამ ეს საყითხი ჯერჯერობით კვლავ გადაუჭრელი რჩება.

ასეთ პირობებში გაზეთს მით უფრო მოეთხოვება სრულად ვამოიყენოს თავისი შესაძლებლობანი, თავისი ფურცლები დაუთმოს მხოლოდ განსაკუთრებით საინტერესო და მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს, მხოლოდ პრინციპულ და საქმიან კრიტიკას, მხოლოდ აქტუალური საყითხებისა და მნიშვნელოვანი მოვლენების გაშუქებას.

ამ მხრივ „ლიტერატურულ საქართველოში“ ზოგი რამ მოსაგვარებელია: ზომაზე მეტია საზე-

რმო და საიუბილეო წერილები, საინფორმაციო ხასიათის მასალები, სხვადასხვა უურნალ-გაზეობილან გადმობეჭდილი წერილები და რეცენზიები...

ხშირად, თუ მთელი ნომერი არა, მთელი გვერდები მაინც დათმობილი აქვს მწერალთა საუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილ მასალებს. რასაკვირველია, ამაში ცუდი არაფერია, როცა საქმე ეხება კლასიკოსებს, რომელთა შემოქმედების ანალიზი და პრიპაგანდა სალიტერატურო გაზეთის უშუალო მოვალეობაა.

შარშან დიდი ზემით აღინიშნა ვლადიმერ მაიკოვსკისა და გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 80 წლისთვის. საბჭოთა ლიტერატურის ამ კორიფეულს სალიტერატურო გაზეთმა დამსახურებულად მიუტლვნა სპეციალური ნომრები; მათდამი მიძღვნილი არაერთი საინტერესო წერილი დაიბეჭდა გაზეთის სხვა ნომრებშიც. მათ შორის აღსანიშნავია ბ. ულენტის „უკანასკნელი შეხვედრები ვლადიმერ მაიკოვსკისთვის“, გრ. აბაშიძის „ჩვენი ეპოქის დიდი პოეტი“, ა. ვასაძის „ესმოდა სახე მელოდიების“, ვლ. ლეონოვიჩის „გმაფლობა, ქართველნო, გალაკტიონისთვის“. საუბილეო ხასია-

თის სხვა წერილებიდან ინტერე-
სით იყითხება გრ. აბაშიძის „შან-
დორ პეტეფი“, მ. ჭგუბურიას „პოეტის გახსენება მისივე სტრი-
ქონებით“ და სხვანი.

მაგრამ, ჩვენი აზრით, ზოგჯერ
გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყ-
ნებულ სარგებლეო წერილებსა
და მილოცვებში დაცული არ არის
ზომიერება, გვხვდება კარბი ქება-
დიდება, გამეორებანი. კეთილი
სურვილებით სავსე მძალოცა
წერილების სიმრავლეს, ვფიქ-
რობთ, აზობებზა გაზეთს გამოე-
ქვეყნებინა ერთი ან ორი კვალი-
ფიურული კრიტიკული წერილი,
რომელშიც შოცემული იქნებოდა
მწერლის ლიტერატურული პორ-
ტროტი ან მასი შემოქმედების
ანალიზი.

„ლიტერატურულ საქართვე-
ლოში“ (ასევე სხვა ჟურნალ-გა-
ზეთებშიც) წესაც არის ქცეული
გაღმობეჭდვა იმ წერილებისა,
ორმალურად ჩვენს მწერლებზე თუ
მათ ცალკეულ ნაწარმოებებზე
ქვეყნდება მოძმე რესპუბლიკებ-
ში ანდა უცხოეთში. მარტო შარ-
შან გაზითმა ათამდე ასეთი წერი-
ლი გაღმობეჭდა. მათი უმეტესო-
ბა ქართველ მკითხველს ახალ
ბევრს არაფერს ეუბნება. მითობ
შეიძლებოდა დავგერებოდით
მხოლოდ მოკლე ინფორმაციას.
რომ მაფანი ავტორის წიგნი მავარ
დ. „კრატიკა“ № 7.

ენაზე გამოიცა და მას მავან გა-
ზეთია თუ ჟურნალში ასეთი და
ასეთი რეცენზია მიეძღვნაო. გად-
მობეჭდვა კი სასურველია მხო-
ლოდ მაშინ, როცა წერილს რაი-
ტე განსაკუთრებული და პრინცი-
პული მნიშვნელობა აქვს, როცა
ქართველი მწერალი ან მისი ნა-
წარმოები ალებურად, ორიგი-
ნალური კუთხით არის დანახული.

„ლიტერატურული საქართვე-
ლოს“ ღირსებაა, რომ იგი არ
იფარგლება მხოლოდ ვიწრო ღი-
რერატურული სფეროთი და ამჟა-
ქებს მეცნიერებისა და კულტუ-
რის საკითხებს, აქვეყნებს რეცნ-
ზიებს თეატრალურ დადგმებზე,
კინოფილმებზე, მეცნიერულ ნაშ-
რობმებზე, ადგილს უმობს მცი-
რეორმიან მეცნიერულ გამოკვ-
ლევებსაც ფართო მკითხველი სა-
ზოგალოებისათვის საინტერესო
საკითხებზე. ყოველივე ეს კარგია,
მაგრამ ზომიერების დაცვა ამ
მარივაც საჭიროა. მაგალითად,
შარშან 13 პრილის ნომერში
დაიბეჭდა ს. სხირტლაძის წერილი
„ორი სახელის იდენტურობის
გამო“, რომელიც ეხებოდა საკუ-
თარი სახელის ორ ფორმას: ნი-
კოლოზ და ნიკოლოზ. ამ საკ-
მაოდ ვრცელი წერილის თემა არ-
სებითად შეიძლებოდა მოკლე შე-
ნიშვნით ამოწურულიყო.

მისასალმებელია, რომ გაზეთმა

საგანგებო ყურადღება დაუთმო
 მეცნიერულ-პოპულარულ ლიტე-
 რატურას და 30 ნოემბრის ნომე-
 რში გამოაქვეყნა ნ. ღუმბაძის, მ.
 წიკლაურისა და ა. შენგელიას წე-
 რილები ნ. კეცხოველის, ა. ლე-
 კიაშვილის, ე. ხარაძისა და ჭ. ნა-
 დირაძის წიგნებზე. ეს წერილება
 თუ რეცენზიები დაზი სიჯვარუ-
 ლით და საქმის ცოდნითა დაწე-
 რილი, მაგრამ ერთი კი მაინც უნ-
 და ითქვას: იმავე წიგნებს „ლი-
 ტერატურულ საქართველოში“
 აძრეც (ოღონდ სხვადასხვა
 ღროს) მიეძღვნა ცალ-ცალკე რე-
 ცენზიები, ხოლო ერთი წიგნის
 რამდენჯერმე რეცენზირება ერთი
 ორგანოს ფურცლებზე მხოლოდ
 მაშინ არის გამართლებული, თუ
 შეფასება სხვადასხვაგვარია. ამ-
 გრერად კი საქმე ასე არ ყოფილა.
 მაგალითად, ჭ. ნადირაძის „არ-
 ქოლოგიური ნარკვევების“ შე-
 სახებ „ლიტერატურულ საქართ-
 ველოში“ ჭერ 19 იანვარს დაიბე-
 ჭდა გ. ნათენაძის რეცენზია, შემ-
 დგა კი — 30 ნოემბერს ა. შენ-
 გელიასი. ორივე რეცენზი წე-
 რადღებითად აფასებს წიგნს, რ -
 ცენზიების სათაურიც სავსებრა
 ერთნაირია (გამეორებულია წიგ-
 ნის სათაური).

„ქართული ხალხური პოეზიის“
 I ტომის გაზიერა ჭერ 19 იანვარს
 ვრცელი ანოტაცია უძღვნა, შემ-

დეგ 13 აპრილს — ალუდა არ-
 ბერის რეცენზია „მცირე შენიშ-
 ვნების“ სათაურით, ბოლოს კი —
 31 აგვისტოს ალექსი შინქარაუ-
 ლის წერილი, რომელსაც გაზიერის
 მხელი გვერდი უჭირავს. მა რე-
 ცენზიებში (განსაკუთრებით —
 მესამეში) წიგნის ბევრი არსები-
 თი ნაკლია აღნიშნული და საყუ-
 რადღებო შენიშვნებია გაკაებუ-
 ლი, მაგრამ მაინც იძალება კით-
 ხვა: რამდენად გამართლებულა
 ასეთი ინტერესი ხალხური პოეზი-
 ის ერთი ტომისადმი, როცა თანა-
 მედროვე ქართული ლიტერატუ-
 რის არაერთი ნაწარმოება გაზი-
 რის ყურადღების გარეშე დარჩა?

ყოველივე ეს საფუძველს გვა-
 ძლებს ვთქვათ, რომ „ლიტერა-
 ტურულ საქართველოს“ შეუძლია
 უფრო ერთობისურად გამოიყენოს
 თავისი ფურცლები და მეტი ყუ-
 რადღება დაუთმოს თანამედროვე
 ლიტერატურული ცხოვრების ძი-
 რა:თად და აქტუალურ მოვლე-
 ნებს.

„ლიტერატურული საქართვე-
 ლოს“ ფურცლებზე შარშან გამო-
 ძევნებული წერილებიდან აღსა-
 ნიშნავა ჩვენი ცნობილი მწერ-
 ლისა და კრიტიკოსის გიორგი ნა-
 ტროშილის ორი წერილი: „მწე-
 რალი და ცხოვრება“ (9. II) და

„დღევანდელსა და სახვალიოზე“ (3. VIII). მართალია, ეს წერილები უფრო პუბლიცისტურია და არა ლიტერატურულ-კრიტიკული, მაგრამ მათში დაყენებული მეტად აქტუალური და საჭირობო საკითხები განხილულია ლიტერატურასთან მყიდრო კავშირში, ლიტერატურული მასალის მოშევლით.

როგორც გ. ნატროშვილი აღნიშნავს, მორალური ატმოსფეროს გაწმენდისა და გაჯანსაღებისათვის ბრძოლა მწერლობის უპირველესი ამიცანაა. როცა გარკვეულ წრეებში მოხდა საზოგადოებრივი შეგნების დეფორმაცია, გაიღვიძა მოხვეჭის ბნელმა ინსტინქტმა, გაჩნდა სოციალური წყლულები და ეს წყლულები თვის დროზე გამოიტანა მზის სანათლებები ქართულმა მწერლობამ. თანამედროვე ქართულ მწერლობას, კერძოდ ჩვენს პროზას ამ მხრივ დიდი დამსახურება მიუძღვის: „მან ჯერ ისევ ადრე შეაშჩნია ბევრი რამ და შეამზადა საზოგადოებრივი აზრი და ფინანსოლოგიური ატმოსფერო იმ მძიეული, დაძაბული, არა იოლა, უკომპრომისო ბრძოლისავის, რაც რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციის ესოლენი წარმატებით დაწყო და აგრძელებს ყოველგვარი მანკურების, ხარბი მოხ-

ვეშეღური ინსტინქტების აღმოსაფხვრელად“.

კრიტიკოსი საგვებით სწორად შეიძინავს, რომ „ნეგატიურს, ჩამორჩენილს, ჩრდილოვანს ჩვენი პროზა კარგად ებრძვის, მაგრამ პოზიტიურს ვერ აჩვენებს. არა და, ბრძოლის წარმატებისა და თვით რეალიზმის პრინციპების შესაბამისად, სწორედ ამ წაოულისა და ჩრდილოვანის ესოდენ მძაფრი კონტრასტები, კეთილი და ბოროტი საჭყისების ბრძოლის, ჩვენება არის საჭირო, თორებუამისოდ სურათი ცალმხრივი გამოდის“.

აქედან გამომდინარე, კრიტიკისი ჩვენი სიტყვის ასტატებია წინაშე აყენებს ამოცანას: ახაო ქართულ რომანებსა და მოთხრობებში ასახონ ჩვენი დროის მთავარი გმირი, მშრომელი ქართველი ვაჟა-ცა, ვინც განასახიერებს დღევანდელ საქართველოს, ისე როგორც თვის დროზე საქართველოს განასახიერებდა ოთარაანთ ქვრივი ან ელგუჯა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ქართული კრიტიკა ბოლო დროს სულ უფრო და უფრო ხშირად აყენებს მწერლობის წინაშე თანმედროვე გმირის პრობლემას. ეს საკითხი დასმულია ტ. კვანკილაშვილისა და ა. ბაქრაძის წერილებშიც (ტ. კვანკილაშვილის

წერილი „მისაბაძი გმირიც გვჭირდება“ დაიხეტა „ახალგაზრდა კომუნისტში“ 9. VI, 1973 წ., ა. ბაქრაძისა — სათაურით „ზეობრივი გმირისათვის“ — „ლიტერატურულ საქართველოში“ 26. X. 1973 წ.).

ა. ბაქრაძე თავს წერილში საკითხს თავისებური კუთხით აყენებს: „ქართული კრიტიკა ხშირად წერს და ითხოვს, შრომისა და ბრძოლის გმირები უნდა ასახოს სიტყვაკაზმულმა ლიტერატურამ. მართალი და აუცილებელი მოთხოვნაა, მაგრამ რატომ-დაც უყურადღებოდ ვტოვებთ გმირობის კიდევ ერთ სახეობას— ზეობრივ გმირობას.“

ვფიქრობთ, ნამდვილი გმირი წარმოუდგენელია ზეობრივი სიწმინდისა და სიფაქიზის გარეშე. ასე რომ, როცა ჩვენი კრიტიკა მოითხოვს შრომისა და ბრძოლის გმირთა დახატვას, ეს თავისთვის ზეობრივი სისპეტაკის ჩვენებასაც გულისხმობს. გასაგებია, რომ ა. ბაქრაძე ყურადღებას ამახვილებს გმირობის გამოვლინებაზე სწორედ ზეობის სფეროში, მაგრამ მანც, ჩვენი აზრით, მის დებულებას სჭირდება ერთგვარი დაზუსტება, რათა ზეობრივი გმირისა და შრომის ან ბრძოლის გმირის არსებითა დაპირისპირება არ გამოგვიდეს.

ა. ბაქრაძის ხსნებული წერილი კიდევ ერთ შენიშვნაც იწვევს: როცა კრიტიკოსი თანამედროვე ქართულ მწერლობაში ზეობრივი გმირის დახატვის ცდებს ეხება (გიორგი კალანჩარია ნ. წულეისკირის „თეთარჩელადან“, ზაალ ანჯაუარიძე ე. ყიფიანის „ცაში ასროლილი ქუდებიდან“), მას აქვე უნდა ვასხსენებოდა გ. ფანჯიკიძის „ოვალი პატიოსანის“ მთავარი გმირი ოთარ ნიურაბეც.

შარშან „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე რამდენიმე საყურადღებო წერილი გამოაქვეყნა ახალგაზრდა კრიტიკოსმა ჭაბულ ღვინჯილავმ. ესენია: „დამაფიქრებელი კითხვა“ (23. III), „ლიტერატურული პაექტობის კარგი ტონისათვის“ (24. V), „ერთი ლექსის სივრცე“ (28. IX), „ქართული კულტურის ღვიძლი საქმე“ (21. XII) თუ გავიხსენებთ კ. ღვინჯილავს იმ წერილებსაც, რომლებიც გასულ წელს რესპუბლიკის სხვა ქურნალ-გაზეთებში დაიხეტდა; სიამოვნებით უნდა დავასკვნათ, რომ მათი ავტორის სახით ქართულ კრიტიკას საიმედო ძალა შეემატა.

წერილში „ლიტერატურული

პაექტობის კარგი ტონისათვის“ ავტორი სავსებით სწორად აღნიშნავს, რომ „თანამედროვე ქართული სალიტერატურო კრიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ნაკლიკამათის კულტურის დაბალი დონეა“ და კონკრეტული მაგალითები მოჰყავს ამის საილუსტრაციოდ.

„დამაფიქტებელი კითხვა“, რომელიც დასმულია კ. ლვინჯილის მეორე წერილში, შემდეგია: საითენი მიღის ქართული ლექსი? ამავე საკითხს გაზეთი კვლავ უბრუნდება 30 წლის გამოქვეყნებულ წერილში „ფიქრები თანამედროვე ქართულ პოეზიაზე“. ზემოხსენებული ორი წერილი დანართ უფრო ვრცელი და საინტერესოა „ფიქრები თანამედროვე ქართულ პოეზიაზე“. წერილის ავტორის აზრით, დროა გაირკვეს ტრადიციულ ქართულ ლექსთან მიმართება და დაღვინდეს, რა გვესმის ჭეშმარიტ ტრადიციულობად: ზედაპირული ნიშნებით სიღრმისეული სულისკვეთება. „ტრადიციულობასთან მიმართება გასარკვევია იმიტომაც, რომ თანამედროვე ქართულ პოეზიაში შეიმჩნევა ტენდენციები საუკუნეობით ჩამოყალიბებული ქართული ლექსის მდიდარი ნიშნების კარგვისა, შეიმჩნევა უსახო განცდის, ასაქართული სულის-

კვეთების, ხელოვნურად გაუცხა-ებული ფსიქოლოგიის და ნასხვისაზი განწყობილების დემონსტრირება“.

განსაკუთრებით საყურადღებოდ მიგვაჩნია წერილის ის ნაწილი, რომელიც შეეხება ვერ-ლიბრს ჩვენს პოეზიაში. „ქართულ პოეზიაში ვერლიბრი იმდენად მომძლავრდა, — წერს ავტორი, — რომ თავისთავად გაჩნდა კითხვა, იგი ჩვენი პოეზიის განვითარების გზის ბუნებრივი ნაყოფია, თუ ერთგვარი ლიტერატურული მოღურობა?.. არის თუ არა ვერლიბრი ქართული ლექსის განვითარებისათვის ბუნებრივი გზა და შეერწყმის თუ არა იგი ქართულ პოეტურ კულტურას? ვერლიბრი უცხოური პოეზიის გავლენამ მოამძლავრა, თუ იგი ისტორიული წიაღიდან ამოიზარდა? თანამედროვე პოეზიის ეს საყოველთაოდ გავრცელებული ფორმა მართლა უფრო სრულყოფილად გამოხატავს დღევანდელი ადამიანის სულიერ ცხოვრებას, თუ იგი მხოლოდ ზოგიერთი ერის სულიერი წყობის შესაფერია მხოლოდ და სხვებისთვის, კერძოდ ჩვენთვის, ორიგინალურობის წყურვილით ატა-ებული ფორმა?“

„შესასწავლია თანამედროვე ქართული პოეზიის რითმის პრო-

შლემა, — განაგრძობს კრიტიკოსი. — გალარიბდა თუ არა ივი თვისობრივად გალაკტიონის შემდეგ და ამის მიზეზი უფრო ობიექტურია თუ სუბიექტური, ე. ი. სულიერი ცხოვრების გამოსახატვად გამოყენებული ახალი ფორმები იწვევს რითმისადმი ყურადღების მოდუნებას თუ, უბრალოდ, ძლიერი ტალანტი არ ამაგრებს მას?“

მართალია, აქ ძირითადად მხოლოდ კითხვებია დასმული, შაგრამ ამ კითხვების ასე ჯიქურ დაყენებაც დამსახურებად უნდა ჩაუთვალოთ წერილის ავტორს და უნდა დავეთანხმოთ მას, რომ ამ საკითხებზე ლიტერატურული დისკუსიის გამართვა ყოველმხრივ შომწიფებულია და ფრიად სასარგებლო იქნება.

პოეტური ფორმის საკითხებს, ბურნებრივია, გაზეთში გამოქვეყნებულ სხვა წერილებშიც ეთმობა ყურადღება, კერძოდ, ისეთ წერილებშიც, რომლებიც ცალკეულია პოეტების შემოქმედებას ან კონკრეტულ ნაწარმოებებს ეხება. მხედველობაში გვაქვს, სახელდობრ, გ. ასათიანის „ვიზრე ის ტოტი ოჩხევა“ (24. VIII) და გ. შალულარის „პოეტის ახალი წიგნი“ (16.XI). პირველი ეხება ბეჭისი ხარანაულის პოემას „ხეიბარ

თოჭინას“, მეორე—ლია სტურუას ლექსთა კრებულს.

ლ. სტურუაც და ბ. ხარანაულიც ვერლიბრის ნიჭიერი ოსტატები არიან უახლეს ქართულ პოეზიაში და, ბუნებრივია, მათ ნაწარმოებებს რეცენზირები დადებით შეფასებას აძლევენ. ცხადია, კრიტიკოსები რითმიანი ლექსის წინააღმდეგ არ ილაშქრებენ, მაგრამ აშკარად თავისუფალ ლექსს ანიჭებენ უპირატესობას, როცა აცხადებენ: „ზოგიერთი თანამედროვე პოეტის ლექსს რითმა მძიმე ბორკილივით ჰქიდია, სუნთქვის საშუალებას არ აძლევს აზრს, ზოგზე კი თუნგქის მსუბუქი ეფექტით ულარუნობს“ (გ. ასათიანი); ანდა: „ურითმო ლექსებს ზოგიერთი პოეტი იმიტომ კი არ წერს, რომ რითმა შემოაკლდა ან გარკვეულ ბგერათა რიგის ულერადობის შესაბამისი ბგერები ვერ მოუნახავს, არამედ იმიტომ, რომ რითმის ფორმალური მხარე საშუალებას არ აძლევს ზუსტად გადმოსცეს აზრის ან გაზრებული განცდის ნიუანსები. გარდა ამისა, მათ მიაჩნიათ, რომ რითმის მუსიკალური, სიმღერისათვის დამახასიათებელი ულერადობა ცოტათი ამსუბუქებს ღრმა აზრის ან ღრმა განცდის დიფერენცირებულ

მნიშვნელობას“ (გ. მაღულარია).

თუ რიტმული და რითმოვანი ლექსების მოხსელებად მაინც დამაინც უნიჭო პოეტებს ვიგულისხმებთ, მოტანილ ციტატებში სადაც თითქოს არაფერია, მაგრამ რას ერჩით, მეგობრებო, ჩვენს შესანიშნავ პოეტებს, რომლებიც შშვენივრად ახერხებდნენ და ახერხებენ ღრმა აზრისა თუ განცდის გამოხატვას რითმიანი ლექსით და რომელთაც რიტმი ან რითმა ხელს კი არ უშლის, პირიქით, ხელს უწყობს მეტი ემოციური ზეგავლენა მოახდინოა მკითხველზე!

ჩვენ შორისა ვართ იმ აზრისაგან, რომ ურითმო ლექსი ან ვერლიბრი ქართული პოეზიისათვის სრულიად უცხოდ და მიუღებლად მივიჩნიოთ, მაგრამ ისიც ვიცით, რომ ქართველი მეითხველი დღემდე რითმიან ლექსს უფრო ეწყობა, აიტაცებს, იზეპირებს და ჭირსა თუ ლენში იშველიებს მას.

ანგარიში უნდა გაეწიოს ლექსის მესამე სახესაც, რომელსაც თითქოს საშუალო ადგილი უკავია კლასიკურ ლექსსა და ვერლიბრს შორის. ასეთი ლექსი აგებულია არათანაბარმარცვლიანი ტაქტების მონაცელებაზე, რაც მეტრული კანონზომიერების სახეს არ ატარებს. თანამედროვე ქართულ პოეზიაში მას განსაკუ-

თრებით ხშირად მიმართავს მურმან ლებანიძე. სწორედ მ. ლებანიძის პოეზიაზე ღავირვება უდევს საფუძვლად ა. ხინთიბიძის წერილს „ფიქრები თანამედროვე ვერსიფიკაციაზე“ („ლიტერატურული საქართველო“, 5. VI). მკვლევარის აზრით, „ავტორისცული ტენდენცია — რაც შეიძლება, გაექცეს კლასიკურ სტილს. მართალია, აქცენტური მოწესრიგების ილუზიას ქმნის, მაგრამ პრინციპში ვერ სცილდება ტრადიციული ლექსწყობის ხერხემალს, მოწყვეტილი არ არის დადაარღვს ქართული მეტრიკისა“. ერთი სიტყვით, მ. ლებანიძე ძირითადად მაინც კლასიკური, ტრადიციული ლექსწყობის ნიაღაგზე დაგვას და არა ვერლიბრისა. ასეთია ამ წერილის ძირითადი დასკვნა.

გ. ასათიანმა, გარდა ზემოთ ნახსენები წერილისა, რომელიც პახარანაულის პოემას ეხება და ლია წერილის ფორმით არის დაწერილი, შარშან „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გამოიქვეყნა აგრეთვე ურცელი კრიტიკული სტატია „დიდი მოლოდინის“ სათაურით (იხ. 13, 20, 27 პრილის ნომრები). მას ქვესათაურად აქვს „კრიტიკული ჩანაწერები თანამედროვე პროზის გამო“. ერთგვარად ამ წერი-

დაის გაგრძელებაა „ჰუმანურობის პრობლემა დღევანდელ ქართულ პროზაში“, რომელიც შარ-შენგე ეურინალ „ცისკრის“ მცხვრენიამერში დაიბეჭდა.

ეს წერილები, როგორც თვათონ ავტორი შენიშვნას, ჩვეულებრივ მიმოხილვას არ წარმოადგენს. მისი აზრით, „გასული აზრლეული ქართულ მწერლობაში იყო ჰუმანური ინტერესების შემღვიწი გაღრმავების წლები“, და კრიტიკოსი ცდილობს გვიჩვენოს, თუ როგორ დგას ჰუმანურობის პრობლემა 60-იანი წლების ქართულ პროზაში.

მწერლობის რომელიმე მოკლე პერიოდის დამახასიათებელი ნიშნების შემჩნევა არც ისე ადვილია. რადგან ერთი პერიოდი მეორისაგან ჩინური კედლით როდია გამოჯნული და ესა თუ ის ნიშანი წინა პერიოდების წიაღშივე ისახება. ეს ითქმის მით უფრო ჰუმანიზმის შესახებ, ურომლისოდაც მწერლობა საერთოდ არ არსებობს. მიუხედავად ამ სიძნელისა, ვფიქრობთ, გ. ასათიანმა სწორად შენიშვნა ზოგიერთი დამახასიათებელი თავისებურება თანამედროვე ქართულ პროზაში ჰუმანიზმის პრობლემის გაშუქების მხრივ.

„სალიტერატურო კრიტიკის, არსებობა, — წერს გ. ასათიანი,

— ყოველგვარ აზრს მოკლებულია, თუ ის თავისი საგნის მთავარ თემას ვერ ჩასწევდა, სათანადოდ ვერ გაიაზრა მისი შინაარსი და მხოლოდ ლიტერატურული ფაქტების აღწერით ან დილეტანტური შემთასებლობით დაკმაყოფილდა. კრიტიკული აზროვნება... იწყება სწორედ იქ, სადაც თავდება მიმოხილვა და შეფასება, როდესაც კრიტიკოსი თვითონ დგება შემოქმედის, მაძიებლის როლში, ნათლად გრძნობს თავისი საქმის სიმძიმეს — ჭრამარიტებისაკენ მოძრაობის ყველა მტკიცნეულ სიმპტომს და სწორედ ამ ტკიცილით რწმუნდება, რომ მისი ხელობა უბრალო დამატება კი არა „მხატვრული“ ლიტერატურისა, არამედ რეალური საჭიროებით გაპირობებული ახალი ფსეულობის შექმნის ცდა“.

თვითონ გ. ასათიანის წერილები სწორედ ასეთი „ახალი ფსეულობის შექმნის ცდა“ და არცთუ წარუმატებელი ცდა. ამ წერილებში იგრძნობა ღრმა დაფიქრება ცხოვრებისა და ლიტერატურის მტკიცნეულ საკითხებზე, იგრძნობა დიდი შინაგანი კულტურა. ისინი ისევე ლალად და ინტერესით იყითხება, როგორც კარგი მხატვრული ნაწარმოები.

„დიდ პოლოდინში“ ავტორი აღნიშნავს, რომ „პოეზია საქართველოში არ თმობს საუკუნეების მანძილზე მოპოვებულ მდგრადარეობას, მაგრამ პრობლემათა მთავარი სიმძიმე 60-იანი წლებიდან მაინც პროზას აწვება“. პრობლემათა სიმძიმის ცენტრის პროზისაკენ გადანაცვლებას მოჰყვა 60-იან წლებში „დიდი გადასახლება“ პოეტებისა პროზაში. პოეტებმა, რომლებიც პროზის ენით ამეტყველდნენ, ახალი უღერადობა შესძინეს მას.

გ. ასათიანი მოკლედ, მაგრამ მკაფიოდ ახასიათებს ცალკეულ მწერლებსა თუ ნაწარმოებებს, გამოყოფს მათ დამახასიათებელ თავისებურებებს. კრიტიკოსის საყვარელი ხერხია შედატება-დაპირისპირება. ასე ერთმეორესთან შეპირისპირების გზით აჩის დახასიათებული, მაგალითად, მ. ელიოზიშვილის „ბებერი მეზურნეები“ და ა. სულაკაურის „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან“, თ. ჭილაძე და გ. გვეგშიძე, რ. ჭერიშვილი და ნ. წულეისკირი და სხვანი.

„დიდი მოლოდინის“ ნაკლია ერთგვარი სქემატურობა. რაკი ასევით დიდი და საინტერესო საუბარი წამოიწყო, კრიტიკოსს უფრის ვრცლად უნდა განეხილა თანამედროვე ქართული პროზის

თვალსაჩინო ნიმუშები. მეორეც-მას უყურადღებოდ არ უნდა დაეტოვებინა ისეთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, როგორიცაა ლ-მრელაშვილის „ყაბახი“, რ. გაფარიძისა და გ. ფანჯიკიძის რომანები და სხვანი. მაგრამ საერთოდ ამ წერილში იგრძნობა დიდი პროფესიული კულტურა, იგრძნობა ზრუნვა ქართული მწერლობის ბედზე. მიუხედავად იმისა, გავიზიარებთ თუ არა კრიტიკოსის ცალკეულ დებულებებს და მისეულ შეფასებებს, შეუძლებელია გულგრილი დავრჩეთ წერილში აღძრული მწვავე პრობლემების მიმართ, არ გავეოტაცოს მისმა შინაგანმა პათოსშა.

ამიტომ მე ვერ დავეთანხმები რ. მიშველაძეს, რომელმაც შარ-შან „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზევე (21. XII) პოლემიკა გაუმართა გ. ასათიანს და უარყოფითი შეფასება მისცა მის წერილს. ჩემი აზრით, რ. მიშველაძე ამ კამათში წვრილმანებს გამოედევნა და დავა დაუწყო გ. ასათიანს ისეთ ცალკეულ ფრაზებზე, რომლებიც ავტორს ჰიპერბოლურად ჰქონდა ნახმარი („უამთა შემაყამებელი თაობა“, „ბედნიერების შეალა“, „დრო პირველკლასელი მოწაფის მეფური დაუდევრობით შლის დაფაზე ყველა წინადღით წერ-

ტილგასმულ ჯაშე“ და სხვა).

ზოგჯერ ოპონენტი თავის კოლეგას ისეთ რამეს სდებს ბრალად, რაც მისი წერილიდან სულაც არ გამომდინარეობს. საყოველთაოდ ცნობილი ჰქოშმარიტებაა, რომ ქართული პროზა დარიბია ინტელიგენტთა სახეებით. ეს აღნიშვნა კ. ასათიანმაც, რომელმაც ამ მხრივ პირველ ცდაზე ი. ჭავჭავაძის აჩრილი და კესო მიიჩნია და თანაც დასძინა, შემდგომშიაც მხოლოდ რამდენიმე ინტელიგენტის სახე გამოიყვეთა მეტად შეკრთალ ფონზე. მათი ჩამოთვლა კრიტიკას არ მიუჩნევია საჭიროდ, რაღაც ამჯერად საკითხს სპეციალურად არ ეხებოდა. ჩ. მიშველაძის წერილიდან კი ისე გამოდის, თითქოს გასათიანს არ ახსოვდეს ან განგვძირებულებდეს ქართულ ლიტერატურაში დასატულ ინტელიგენტთა სახეებს (მაგალითად, კონსტანტინე სავარსამიძეს).

მომახილვითი ხასიათის წერილებიდან, რომლებიც შეაჩვანია უძრავი საქართველოს „ფურცლებზე“ დაიბეჭდა. ასესანიშნავია „კიდევ ერთი წერილი — ნუგზაარ წერეთლის „ქართული ახალგაზრდოւლი მწერლობის ზოგიერთი საკითხისათვის“. მასში უურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე 1972-73 წლებში გა-

მხედვეუნებული მხატვრული პრო-
დუქცია არის განხილული, მაგრამ
ძირითადად ყურადღება გამახვი-
ლებულია ახალგაზრდა მწერლე-
ბთან მუშაობის საორგანიზაციო
მხარეზე. ახალგაზრდა შემოქმე-
დთა ნაკლოვანი მხარეებს ალ-
ნიშვნისას ავტორი მხოლოდ ასე-
თი ზოგადი მსჯელობით იფარვ-
ლება: „იდეური და ნათელი ლექ-
სების ფონზე მანქც შევხვდებით
ხოლმე პრეტენზიულ, ფილოსო-
ფიური სენტენციებით შექმნილ
ლექსს, სადაც ახალგაზრდა ავტო-
რის პოზიცია ბუნდოვანია და სა-
თქმელიც ბოლომდე არ არის ნათ-
ქვაში. ასეთი პრეტენზი ექსპერი-
მენტები მკაფრად უნდა უკუვაგ-
დოთ“. აქმბებდა, კრიტიკა უფრო
კონკრეტული და ზუსტი ყოფი-
ლიყო, თორემ ასეთ ზოგად შენი-
შვენებს, როგორც ცნობილია, თა-
ვის თავზე არავინ ლებულობს.

გორც ვხედავთ, ამგვარი წერილების რიცხვი დიდია არ ყოფილა.

იშვიათად გვხვდებოდა აგრეთვე სალიტერატურო კრიტიკის ისეთი ფორმები, როგორიცაა ესეი, ლიტერატურული პორტრეტი, კრიტიკული დიალოგი.

გორგი შატერერაშვილის კოლორიტული პორტრეტი წარმოგვიდგინა ნიკა აგიაშვილმა თავის წერილში „შატერერანთ კარგი ბიჭი“. ესეისტური სტილით არის დაწერილი აკაკი გაწერელის პატარა, მაგრამ შთამბეჭდავი წერილი „ლექსი, როგორც საჩქმელი“, რომელიც ეხება ქართული ლექსის შესანიშნავ ოსტატს ზავით გახეჩილაძეს.

იმ კრიტიკულ წერილებსა და რეცენზიებს შორის, რომლებიც ცალკეულ ნაწარმოებებს ან წიგნებს ეხება, აღსანიშნავია ლ. კალანდაძის „ჭაშნიკი ერთი წიგნისა“ (ვ. ჭელიძის ლიტერატურული წერილების კრებულზე), შ. სულაბერიძის „ომგადახხილის პოზია“ (თ. ჯანგულაშვილის ლექსიზე), ტ. კვანჭილაშვილის „შემართება სიმართლისათვის“ (ლ. მჩელაშვილის „ყაბახზე“), ჯ. თითმერიძის „ერთი პატარა მოთხოვბა“ (ნ. ღუმბაძის „დიდროზე“), თ. წივწივაძის „მე ჩამატანეთ საქართველოს ციხის კედელში“ (კ. ჩარეკვიანის „რწმენის კედელზე“),

ლ. ალიმონაკის წერილი ა. აბულაშვილის ლექსიზე და სხვანი.

მისასალმებელია, რომ ვაზეთში მარტო კრიტიკოსების წერილები და რეცენზიები კი არ იძეჭდება. არამედ დროდადრო თავიანთი თანამოკალმების შემოქმედებაზე წერილებს აქვეყნებენ პოეტები და პროზაიკოსებიც. პროზაიკოსის წერილი მეგობარი მშერლის ახალ რომანზე ან პოეტისა — პოეტზე ხშირად კრიტიკოსის რეცენზიზე უფრო საინტერესოა, რადგან ცნობილია, რომ ერთი პროფესიის აღამიანებს უკეთ შეუძლიათ ისტატის თვალით შეაფასონ ნაწარმოები, შეამჩნიონ ერთმანეთის ნაკლიცა და ღირსებაც. შარშან „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა შ. მისულაშვილის წერილები გიორგი ქუჩიშვილსა და მირზა გელოვანზე, ნ. ჩახევას წერილი ზაფალა მრევლიშვილზე, ლ. სულაბერიძისა — ფრიდონ ხალვაშვილზე, ზ. ლორთქიფანიძისა — ალეკო შეგელის ლექსიბის წიგნზე, გ. გოგიჩაიშვილისა — სერგო კლდაშვილის თრ მოთხოვბაზე. ვრცელი და საინტერესო წერილი უძღვნა რ. ჯაფარიძემ მურმან ლებანიძის ბოლოდროინდელ ნაწარმოებებს. საგანგებო აღნიშვნის ღირსია ე. კვიტაიშვილის გულთბილი წერილი უდროოდ დალუპული მეგოლი უდროოდ დალუპული მეგო-

შარი პოეტის შოთა ჩანტლაძის
 ლექსებზე.

გაზეთში გარკვეული აღგიღი
 ეთმობოდა მკითხველთა მოკლე
 რეცენზიებსა და წერილებსაც,
 მაგრამ ჩვენ მათზე აჩ შევჩერდე-
 ბით, რადგან ამ მხრივ რაიმე გან-
 საკუთრებული და საგანგებოდ
 ალსანიშნავი არაფერია. ამჟამად
 ჩვენი განჩილვის სფეროს სცილ-
 დება აგრეთვე თეატრალური და
 კინორეცენზიები, მაგრამ გაყვრით
 მაინც უნდა აღნიშნოთ ამ სახის
 ასამდენიმე საინტერესო წერილი,
 მით უმეტეს, რომ ჩვენი ღრამა-
 ტურებებს შემოქმედება თითქმის
 მხოლოდ სპექტაკლებთან დაკავ-
 შირებით იცყრობს ხოლმე ყურა-
 დლებას და იქცევა კრიტიკული
 განსხის იბიექტად. გასულ წელს
 „ლიტერატურული საქართვე-
 ლოს“ ფურცლებზე გამოქვეყნე-
 ბული აჩვარი წერილებიდან
 აღსანიშნავია ლ. სულაბერიძის
 „შეხვედრა ფოთის თეატრში“ (ეხება ო. ჩხეიძის ახალი ტრაგე-
 დიას „გიორგის“ დადგმას), გ.
 გვარდიშვილის „ბეღინიერებას-
 თან გათანაბრება“ (ეხება ე. ყი-
 ფიანის „ცაში ასროლილი ჭუდე-
 ბის“ დალგმას მესხეთის თეატრის
 სცენაზე), გ. სანიკიძის „პოსე-
 თეატრში“, ლ. სანიკიძის „ერთობ-
 ლონის სასახლე“ (ეხება თ. ჭილა-
 ძის პიესას დადგმას რუსთაველის

ლივი გამარჯვება“ (ეხება თ. ჭი-
 ლაძის პიესას „ფურცლები საო-
 გახო ალბომიდან“ და მის დაფ-
 გმას ქუთასის თეატრში). საინ-
 ტერესო წერილებს შორის შეიძ-
 ლება დავასახელოთ აგრეთვე გ-
 ვერლშითელის „აყვავდა თუ არა
 ნუში?“ ა. წულუკიძის „ფიქრე-
 ბი ქართულ საოპერო თეატრზე“
 და ე. აბაშვილის „ქართული სა-
 ხვითი ხელოვნების ზოგიერთი
 საკითხი“.

ერთი სიტყვით, გასული წლის
 „კრიტიკული მოსავალი“ ჩვენს
 სალიტერატურო გაზეთში არცოუ
 ისე მცირე ჩანს. კრიტიკული
 პროდუქციის ხვედრითი წონის
 ზრდა უთუოდ თვალსაჩინა. მა-
 გრამ მოელს ამ პროდუქციას ერ-
 თი დიდი და საერთო ნა-
 კლი აქვს: ესაა ნაკლები
 კრიტიკული პათოსი და
 ჭარბი ქება-დიდება.

საქართვისა ითქვას, რომ შარ-
 შან მთელი წლის მანძილზე „ლი-
 ტერატურულმა საქართველომ“
 გამოაქვეყნა მხოლოდ ერთი წე-
 რილი (ვიმეორებთ, მხოლოდ ერ-
 თი!), რომელიც შხატვრულ ნაწა-
 რობებს უარყოფით შეუასებას
 აძლევს. ესაა აკაკი ბაქრაძის „მაც-
 თუნებელი წინასიტყვაობა და...
 რომანი“. მასში გაურიტიკებულია

აღ. კიუნაძის რომანი „იბერიის ლეგენდა“. მაგრამ საკითხავია, ნუთუ შარშან ან წინა წლებში ქართულ ლიტერატურაში მეტი არაფერი შექმნილა ისეთი, რომელიც მხატვრულად თუ იღებულა სუსტი იყო და მძაფრ, პირუთვნელ კრიტიკულ შეფასებას იშვახურებდა?

მეორე მხრივ, გაზეთის ფურცლებზე გმოქვეყნებულ წერილებში უხვად არის დახარჯული კომპლიმენტები და სახოტბო ეპითებები, რომლებიც ზოგჯერ აშეარად განაჭირებულია და მკითხველს დეზორიენტაციას იწვევს. როცა წერილი საიუბილეო ხსიობრისა ან გარდაცვლილ წერალს ეხება, მაშინ, გასავები მიზეზებს გამო, ნაკლოვანებებზე არავინ ლაპარაკობს, დადგებით მარტებია წინ წამოწეული. მაგრამ ყოველთვის ხოტბასა და გუნდრუქს კმევას მხოლოდ ზიანი მოაქვს ლიტერატურისთვის.

მაგალითად, მიხეილ ტიბერიაში ფუნქციონირებული რეცენზირტი ახალგაზრდა პოეტი გ. ჯულუნიძის ლექსებს ასე ახასიათებს: „გრ: ჯულუნიძის ლექსი თავისუფალია სიყალბისაგან, ამიტომ გვჯერა ყველაფერი, რასაც პოეტი წერს, — უბრალო. საუა, რაგამ პლატიკური სახეებით იგი აღადგენს საქართველოს

ლამაზ. შენებითა და ნგრევით, დარამატიზმითა და გამარჯვების სიხარულით აღსავს წარსულის სურათებს“.

გ. ჯულუნიძე ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტია და მას უთუოდ სკირდება თბილი სიტყვა ჩვენი კრიტიკისაგან, მაგრამ ასეთი აწეული, საზეიმო ტონით დაწერილი პანეგირიკი მას საჩვებლობას ვერ მოუტანს. ანდა რას ნიშნავს კრიტიკოსს ასეთი განცხადება: „გრიგოლ ჯულუნიძე იმ თაობას ეკუთვნის, რომელთაც, მართალია, ომის წლები სიზმარივით ახსოვთ, მაგრამ იმ დღეთა საშინელება ახლობელი ადამიანების დაკარგვით განიცადეს. მესსიერებს შემორჩენილი ეს ფაქტი იხრუება და მწიფებდება (!) პოეტთან ერთად“.

რეცენზიაში ერთი კრიტიკული შენიშვნაც კი არაა. საკითხავია, ნუთუ კრიტიკოსმა ერთი სტრიქონიც ვერ აღმოაჩინა პოეტის წიგნში, რაც შენიშვნას გამოიწვევთ და?

სამწუხაროდ, ამ მხრივ ეს რეცენზია იშვიათ გამონაკლისს როდი წარმოადგენს. ხშირად რეცენზენტები ერიდებიან თუნდაც მოკრძალებული ფორმით მეგობრული, საქმიანი შენიშვნები გაუზიარონ მწერალს. საჭმე ისეთ კურიოზიაშიდეც კი მაღის, რომ წერი-

ლი, რომელსაც გაკეთებული აქვს რუბრიკა „მკითხველის შენიშვნა“, სინამდვილეში არავითარ შენიშვნას არ შეიცავს (იხ. 16 მაჩტის წოდები).

დასასრულ, ერთი ნაკლიც უნდა აღინიშვნოს: გასულ წლებში შეიქმნა და გამოიცა ბევრი ნაწარმოები, რომლებიც ქართული მწერლაბის მიღწევად თუ არა, საყურადღებო მოვლენად მაინც უნდა ჩაითვალოს, „ლიტერატუ-

რულ საქართველოს“ კი მათ შესახებ ჯერჯერობით კრიტიკიც არ დაუძრავს, არ შეუფასებია ისინა. აი, სწორედ ეს გახლავთ გაზიეთის კრიტიკის განყოფილების ძირითადი ხარვეზი და საერთოდ ჩვენი თანამედროვე სალიტერატურო კრიტიკის არსებითი ნაკლი. ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის ბრძოლა უნდა გახდეს მომავალში ჩვენი კრიტიკის მთავარი საზრუნოვანო.



კავმინი

გადთა მოწის

1906 წელს მთელი ოჯახით
 მოსკოვში გადასახლების შემდეგ
 ვლალიმერ მაიკოვსკი ყოველთვის
 ოცნებობდა საქართველოში ჩამო-
 სვლაზე. მაგრამ ჯერ გიმნაზიაში
 სწავლამ, შემდეგ რეაქციით გარ-
 თულებულმა სიტუაციამ და ბო-
 ლოს ოჯახის მძიმე ეკონომიურმა

3. მაიაკოვსკის ურთიერთობანი საქართველოს თანამდებობა

პირობებმა საშუალება არ მის-
 ცეს განზრახვა სისრულეში მოე-
 ყვანა.

საქართველოში ჩამოსვლა მან
 მხოლოდ 1914 წლის მარტში შეძ-
 ლო თავის მეგობარ პოეტებთან,
 ვასილ კამენსკისთან და დავით
 ბურლიუკთან ერთად.

ამ პირველი სამახსოვრო ჩამო-
 სვლის დროს ვ. მაიკოვსკის ინი-
 ციატივითა და ხელმძღვანელობით
 გაიმართა დიდი ლიტერატურული
 საღამო თბილისის ოპერისა და
 ბალეტის თეატრში. პოეტს გულ-

გიორგი ციციშვილი

△ △

შერილი მეორე.

მა არ მოუთმინა, რომ ერთი დღით ჭუთაისში არ ჩასულიყო და მშობლიური ქალაქი არ მოენახულებინა. რუსეთში გადასვლის შემდეგ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ეს ერთადერთი შემთხვევა იყო მისა საქართველოში ჩამოსვლისა. ეტყობა, აქ დამყარებული მენშევიკური რეუშიში ნაკლებად იზიდავდა პოეტს. გარდა ამისა, საქართველოში შემოსვლის შემთხვევაში მას გარკვეული საფრთხეც იღოდა.

საყოველთაოდ ცნობილია, რა დიდი სიხარულით შეხვდა ვლადიმერ მაიაკოვსკი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას. ნახევარი თვეც არ იყო გასული, რაც მენშევიკებმა თბილისი დატოვეს, რომ მაიაკოვსკიმ გამოსცა პლატატი თხზი გრაფიკული სურათით, რომლებზეც ასახულია ეს მოვლენა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ვ. მაიაკოვსკის ინტერესი თავისი მეორე სამშობლოსადმი (როგორც იგი მას უწოდებდა) კიდევ უფრო გაიზარდა. 1921 წლიდან სიკვდილამდე (1930 წ.) ვ. ი. ი. ცხრა წლის განმავლობაში, იგი ოთხერ ჩამოვიდა საქართველოში, ქედან სამჯერ იყო თბილისში: 1924 წლის აგვისტოში, 1926

წლის თებერვალში და 1927 წლის დეკემბერში, ხოლო 1929 წელს იმყოფებოდა მხოლოდ ვაგრაში, რადგან თბილისში ჩამოსვლა სხვადასხვა მიზეზებისა გამოვერ მოახერხა.

ამ ჩამოსვლებმა, რომლებიც, პოეტის ენერგიული, ქმედითი და მუდავ საქმეს მოწყურებული ხასიათის გამო, ყოველთვის ნაყოფიერი და ორმხრივ სასაჩვებლო იყო, ვ. მაიაკოვსკი კიდევ უფრო მეტად დაკავშირა საბჭოთა საქართველოს, მის მწერლობას, ქართველ ინტელიგენციისა და მშრომელებს. პოეტმა ამ წლებში მრავალი ახალი მეგობარი გაიჩინა. იგი ვაეცნ ჩვენი რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურულ მიღწევებს და, თავის მხრივ, კიდევ უფრო შეაყვარა თავისი მჩქეფარე რევოლუციური შემოქმედება ქართველ ხალხს.

საქართველოში ყოფნისას იგი ხშირად გამოდიოდა ლექცია-მოხსენებებითა და საკუთარი ლექსების კითხვით ხალხმრავალი აუდიტორიის წინაშე უნივერსიტეტსა და მუშათა ცენტრალურ კლუბში, მწერალთა კავშირსა და ამავრევებასის კომუნისტურ უნივერსიტეტში, რუსთაველისა და ოქერის თეატრებში, სამხედრო ნაწილებსა და საკონცერტო დარბაზში. იგი აქტიურად მონი-

წილეობდა ობილისის პრესაში, სადაც ბეჭდავდა ახალ ნაწარმოებებს; ეთათბირებოდა ქართველ კოლეგებსა და უურნალისტებს, აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ცხოვრებაში. ერთი სიტყვით, ეწეოდა უაღრესად ნაყიფიერ, შრომატევად და ფართე მასშტაბის შემოქმედებითსა და პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას.

დიდად საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ვ. მაიაკოვსკის 1924 წელს ობილისში ჩამოსულის დროს, უნდოდა თვეისი პრესის „მისტერია-ბუფის“ დადგმა მთაწმინდის პლატოზე ფუნიკულიორის ზემო საღვურთან. ამაზევე ოცნებობდა დიდი ქართველი რეაქტორი კოტე მარჯანიშვილი, რომელიც გულწრფელი სიმპათით, ყურადღებითა და ინტერესით აღევნებდა თვალს ვ. მაიაკოვსკის შემოქმედებასა და საზოგადოებრივ საქმიანობას. მან რეასონაცელის თეატრის სარეპრეზუარო გეგმაში ვ. მაიაკოვსკის ეს ციესაც შეიტანა.

ირაკლი თოიძის მოწმობით, ვ. მაიაკოვსკი ფრიად დაინტერესებული იყო „მისტერიის“ დადგმის იდეით და დაწვრილებით ეკითხებოდა ხოლმე მას ესკიზებისა და მაკეტის ამბებს. ი. თოი-

ძე მაშინ „ლეფელთა“ წრეში შეღიოდა და, სხვა ქართველ „ლეფელებთან“ ერთად, ხშირად ხვდებოდა მაიაკოვსკის საქართველოს მწერალთა კავშირში, საღაც ისინი — ერთ პატარა ოთახში იკრიბებოდნენ და ცხარედ კამათობდნენ. იქ მაიაკოვსკიმაც წაიკითხა თავისი ლექსები.

უმდიდრესი და უძველესი ქართული ზეპირისიტყვიერების ცოდნა მეტად ძლიერი ფაქტორია, რომელმაც გარკვეული დაღი დაასვავ. მაიაკოვსკის მხატვრულებოეტიკური გემოვნების გამომუშავებას, ქართველი ადამიანის ბუნების წვდომას, ქართული ენის სტიქიონთან შესისხლხორცებას, ტრადიციულ ქართულ ფოლკლორულ სახეებში გარკვევას. დამოწმებულია, რომ ვ. მაიაკოვსკი ჩინებულად იცნობდა ქართული ფოლკლორის არაერთ ნიმუშს. ზეპირად იცოდა „არსენის ლექსის“ ადგილები და ხალხური ლექსი არსენა ჭორუაძის ვილზე. მთელი თავისი სიცაცხლის განძილზე ახსოვდა და ხშირად წარმოუთქვაში მრავალი ქართული ანდაზა, კაფრა. სხარტულა. ქართული ლექსის რიტმიკა, მახვილის თავისებური დას-

მა, რაც ლექსის განსაკუთრებულ პულსაციას ქმნის, ქართული პოეზიის მეტრიკა და მუსიკალობა სამუდამოდ აღიძეჭდა მის მეტ-სიერებაში. მაიაკოვსკის პოეტურ სმენაზე ამ ფაქტორებმა ძალიან დიდი გავლენა იქონიეს.

ავაკი ბელიაშვილი მოგვითხობს კ. მაიაკოვსკის ლიტერატურულ საღამოებზე, თბილისში რომ იმართებოდა. აქედანაც ცხადი ხდება, თუ რა კარგად იცოდა ვ; მაიაკოვსკიმ ქართული ზეპირ-სიტყვიერების ნიმუშები:

„მახსოვს ერთ საღამოზე, როდესაც მაიაკოვსკი აღტაცებით ლაპარაკობდა ქართული შაირის (ამ სიტყვის ხალხური შაირობის გაგებით) შესახებ, ერთმა ქალიშვილმა ადგილიდან ჰკითხა:

— თქვენ ქართული იცით? აბა, თქვით, რას ნიშნავს „მაკოცე“.

— მაგ სიტყვის მნიშვნელობა არათუ ვიცი, — უპასუხა მაიაკოვსკიმ, — არამედ პრაქტიკულად კარგად ვასრულებ.

— შაირი ხომ უწმაწურია ხოლმე, — შენიშნა მეორე ქალიშვილმა, — რად მოგწონთ და აქებთ ასე შაირობას?

— რადაა უწმაწური?! — თქვა მაიაკოვსკიმ და მაშენევ უასტინა ქართულად: „ვნახე შენი ახალური. ტატოში გააქვს ბრახა-ბრუნა!“.

ან კიდევ: „ნიკო, შენი საათიო, ხან ცსრა არი, ხან ათიო“. რაა აქ უწმაწური?“

ესლინ საინტერესოა პოეტ-აკადემიკოსის გიორგი ლეონიძის წერილი მაიაკოვსკის შესახებ, რომელიც, სხვათა შორის, მრავალი საყურადღებო დეტალია აღნიშნული: „მე მაიაკოვსკი ისეთი მასშობეს, როგორსაც მას ხატავენ მემუარისტები და ბიოგრაფები: ჯოზით ხელში იგი თავისი ფართო ნაბიჯებით კეცავს ქუჩათა ვერსებს, ხანდახან თავისთვის დუღუნებს ლექსებს. და კიდევ: მაიაკოვსკი ესტრადაზე. იგი აკელაზე საუკეთესო წამყითხველთაგან, რომელთათვისაც ოდესმე მომისმენია. მბრძანებლური, დამთრგუნველი ხმა. უბადლო გონებამახვილობა... როდესაც ჩვენ ერთმანეთს გავგაცნეს, ვფიქრობდი, თავდაჯერებული, უქმენი ხასიათის ადამიანს შევხვდებიმეთქი და ჩემი სასიამოვნო გაოცება გამოიწვია მისმა თავმდაბლობამ და რაღაც დიდმა ადამიანურმა სითბომ, რომელიც მის ხმაში უღერდა, ყოველ მის უესტს მსჭვალავდა. ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ბოეტის იმ ლექსებმა, სადაც ლაპარაკია ვნებათა სიშმაგნეზე და უწწიდვლო სინაზეზე, რაც ერთ დიდ ადამიანურ ხასიათში შეიჩყა..

ჩვენი შემდეგი შეხვედრა ქალაქებით, კრწანისის ბაღებში მოხდა, სადაც მხიარული კომპანია შეიკრიბა. მაიაკოვსკი ცოტას სკამდა, იგი უფრო თვალყურს აღვენებდა თავის მეგობრებს, ბევრსა და მხიარულად მუსაიფობდა, ზეპირად კითხულობდა ქართულ ლექსებს. მან გაიხსნა ბავშვობა, ქუთაისი, ბალდადი. თქვა, რომ ოცნებობს ინახულოს მშობლიური სოფელი და ძალიან გაეხარდა, როცა ვაცნობე, რამ ეკატერინე მეორისა და ვოლტერის მიმოწერაში მოხსენებულია ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ჯარის მიერ ბალდადის ციხე-სიმაგრის აღების ამბავი".

ქართველ მეგობრებთან ვ. მაიაკოვსკის ურთიერთობის გაჯეპის თვალსაზრისით მეტად საყურაღლებოა ცნობილი ქართველი მსახიობი ქალის ა. თოიძის მოვონება. ამ მოვონებიდან, სხვათა შორის, ისიც ჩანს, რომ ვ. მაიაკოვსკი ოვალყურს აღვენებდა და კარგად იცნობდა საქართველოს კინოსტუდიაში დაგმულ ფილმებს და ეს ინტერესი ქართული კინოსადმი სრულიადაც არ იყო შემთხვევითი: ვ. მაიაკოვსკი თვითონაც წერდა კინოსცენარებს, მონაწილეობდა ფილმებში. სწორედ საერთო საქმისადმი საყვა-

რულმა ღააძმობილა იგი გამოჩენილ ჭართველ რეჟისორ ნიკოლოზ შენგელასთან (თუმცა ივა მას ადრეც იცნობდა, შენგელაის ფუტურიზმით გატაცების პერიოდიდან) და მის მეუღლესთან — გამოჩენილ კინომსახიობ ნატო ვაჩანაქესთან.

„მაიაკოვსკი, — წერს ა. თოიძე, — ჩვეულებრივ, დიდ ყურადღებას იჩენდა ჩვენდამი, ახალგაზრდობისადმი... წარმოუდგენელი დატვირთულობის მიუხედავად, მას შეეძლო ყოფილიყო ძალზე ყურადღებიანი; არ იშურებდა თავის გულის სითბოს. მუდამ ზრდილი და თანაგრძნობიანი, იგი არ ემორჩილებოდა მრავალ პირობითობას არა-მარტო შემოქმედებაში, არამედ ცხოვრებაშიც და თამამად ამ-ხელდა მეშჩანობას, რომელიც ძალიან სძულდა“. ქართველი ახალგაზრდობისადმი ვ. მაიაკოვსკის ყურადღებიანობას, გულისხმიერებას, მის უანგარო შემწეობას არაერთი მისი ქართველი ნაცნობი აღნიშნავდა.

ვ. მაიაკოვსკი კარგად იცნობდა მოსკოვში მყოფ მრავალ ქართველს, მათ შორის ცნობილ მხატვრებს ირაკლი თოიძეს და სოლიკ ვირსალაძეს, კრიტიკოს-

სა და თეატრალურ მოღვაწეს სერგო ამაღლობელს. კინოეფი-სორებს მიხეილ კალატოზიშვილს და ლეო ესაკიას, პუბლიცისტ ვლადიმერ მაჭავარიანს და სხვ. ვ. მაიაკოვსკი, ა. თოიძის მოწმო-ბით, „ყველა მათგანის ამბავს დაწერილებით გამოიკითხავდა ხოლმე“.

ახალგაზრდა ქართველი ეჭვრ-ლებისადმი მაიაკოვსკის ყურად-ღებრიანულაზე ვოკერასჩობა გამო-ჩენილი ქართველი პოეტი ალიო მირცხულავაც. იგი წერს: „ჩვენ, ახალგაზრდა ქართველი პოეტე-ბი, შევხვდით ვლადიმერ ვლა-დიმერის ძეს მწერალთა სასახ-ლეში. მახსოვს, იმ შეხვედრაზე მე წაიკითხე ჩემი ლექსი „და-რიალი“. ვ. მაიაკოვსკი ყურად-ღებით მისმენდა. ლექსი მოეწო-ნა“. ამ საღამოზე ლექსები სხვა ქართველმა პოეტებმაც წაიკით-ხეს. მაიაკოვსკი ძალზე კმაყოფი-ლი დარჩენილა. „მას ხელთ ეპ-ყრა გზათ ნაყიდი ჩვენი ლექსე-ბის პატარა კრებულები, რომ-ლებიც ახალი გამოცემული იყო, ჩვენ ვკრძნობდით პოეტისა და დიდი გულის ადამიანის მზრუნ-ველსა და გულწრფელ ხელშეშ-ველებას“.

ცნობილია, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას აღლევდა ვ. მაია-კოვსკი თვის გამოსვლებს ფარ-

თო აუდიტორიის წინაშე, საღაც-რი კითხულობდა თვეის ნაწილ-მოებებს, გამოდიოდა მოხსენებუ-ბით და პასუხობდა დამსწრეთა შეკითხვებზე. საყურადღებოა, რომ ამ საღამოების ორგანიზა-ციაში დიდი ხნის მანძილზე ხე-ლმძღვანელ როლს ასრულებდა თევდორე იასეს ძე დოლიძე. ვ. მაიაკოვსკი მთელი გულით ენ-დობოდა მას და დარწმუნებული იყო, თ. დოლიძე არ დააღალა-ტებდა. იმ ხანად კი არაერთი დე-კადენტი და მეშჩანა ცდილობდა სკანდალი აეტება მაიაკოვსკის საღამოებზე, რათა „ჩაგდო“ რევოლუციური პოეტის ხალხთან შეხვედრა, ხელი შეეშალა მისი შემოქმედების პოპულარიზაციი-სათვის. ამ მხრივ თ. დოლიძისად-მი გამოჩენილი ხდიპა შემთხვე-ვითი არ იყო. წიგნზე „მისტე-რია-ბუფი“, რომელიც ვ. მაიაკო-ვსკიმ თ. დოლიძეს აჩუქა და რო-შელიც ახლა მოსკოვის ერთ-ერთ მუზეუმში ინახება. პოეტს ასე-თი წარწერა გაუკეთებია: „ჩემს მუდმივ მეგობარს ხელოვნებაშიც და საქართველოს მხრივაც“.

ქართველ სტუდენტებთან ვ. მაიაკოვსკის ურთიერთობის თვალსაზრისით არანაკლებ საყუ-რადღებოა შემღევი გარემოებაც: 1910 წლიდან ოქტომბრის რევო-ლუციამდე პეტერბურგის უნი-

ვერსიტეტსა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობდა რამდენიმე ათეული ქართველი სტუდენტი. მარტო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მათი რიცხვი ოცდაათს აღემატებოდა. ქვე იცემოდა ხელნაწერი უურნალი „ქართველი პოლიტექნიკოსი“, რომელშიც პირველი გამოქვეყნდა ვ. მაიაკოვსკის ლექსი „კოფტაფატა“. ეს გარემოება, ვ. მაიაკოვსკის მიერ თავისი ლექსის გადაცემა ქართველ სტუდენტთა უურნალში პუბლიკაციისათვის, მრავლასმეტყველია. ამის გამო საინტერესო მოვლენება აქვს ოცნენტ მ. გორგიძეს, რომელიც ქართველ მწერალ მიქელ პატარიძესა და გიორგი დოლიძესთან ერთად იმ ხანად პეტერბურგის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობდა და მათთან ერთად ხელნაწერ უურნალ „ქართველი პოლიტექნიკოსის“ სარედაქცია კოლეგიაში შედიოდა.

მიხ. გორგიძის გადმოცემით, 1913 წელს პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს ესტუმრა ვ. მაიაკოვსკი, რომელიც მ. პატარიძის ბინაზე (პეტერბურგის გარეუბან ლესნოიში) შეხვდა ქართველ სტუდენტებს. ამ სტუდენტებს შორის მრავლად იყვნენ მასი გიმნაზიელი ამხანაგები ქუთაისიდან.

„ჩვენ, — წერს მ. გორგიძე, — დიდხანს ვსაუბრობდით ხან ქართულ, ხან რუსულ ენაზე. ვივონებდით ქუთაისს, 1905 — 1906 წლების რევოლუციურ ამბებს, მოსწავლეთა დემონსტრაციებს, „მარსელიონზანი“ პროკლამაციების კითხვასა და გავრცელებას, მოსწავლეთა დასაშინებლად რეალური სასწავლებლის ეზოსა და გიმნაზიის წინ დადგმულ ზარბაზნებს..“

მაიაკოვსკიმ, სუდაკოვმა და პატარიძემ გაიხსენეს როგორ ატარებდნენ ისინი არდალებებს რიონის პირად, როგორ გადაცურავდნენ ხოლმე რიონს და როგორ ყვინთავონენ თეორი ხიდიდან გადახტომის დროს.. მაგრამ ყველაზე მეტად ჩვენ ვსაუბრობდით რუსულსა და ქართულ ლიტერატურაში თანამედროვე მოდურ მიმდინარეობათა შესახებ. დებარები ფრიად გაცხოველებულ ხასიათს ატარებდნენ, რამდენადაც სუდაკოვი კლასიკოსების მომხრე იყო და მათგრად ცკრიტიკებდა სიმბოლიზმსა და ფუტურიზმს... ბოლოს მიქელ პატარიძემ საწერი მაგიდის უჯრიდან ამოიღო ჩვენი ხელნაწერი უურნალი „ქართველი პოლიტექნიკოსი“, გადასცა იგი ვ. მაიაკოვსკის და უთხრა:

„გადათვალიერე, ვალოდია, ეს ჩვენი კოლექტიური ნაწილი“. მაიაკოვსკი დაინტერესდა, კუთხეში მდგარ პატარა მაგიდასთან განცალკევდა, წაიკითხა იგი დიდი ყურადღებით და გვითხრა, რომ ყურნალი ჩინებულია, მრავალფეროვანია და დიდი ინტერესთ იყითხებათ.

მეგობრული შეხვედრის სითბომ, ჩვენმა ლიტერატურულმა კამათმა, მოგონებებმა სიყმაწვილის შესახებ — ყოველივე ამან პოეტს ალუძრა სურვილი და ეტოვებინა რაიმე ჩვენი შეხვედრის სამახსოვროდ. მან მოინდომა ოვითონაც მიეღო მონაწილეობა ჩვენს ყურნალში და ის ჩვენი ყურნალის ფურცლებზე აღიბეჭდა მისი ლექსის ცამეტი სტრიქონი“. ასე გაჩნდა ვ. მაიაკოვსკის ცნობილი ლექსის „კოტა—ფატა“ პირველი პუბლიკაცია.

1914 წლის დასაწყისში გამოვიდა რუსი ფუტურისტების პირველი უურნალი, რომელშიც გამოქვეყნებული იყო ქართულ ხელნაწერ უურნალში პირველად დაბეჭდილი მაიაკოვსკის ლექსი, სრულიად უცვლელი სახით, მაგრამ ბოლოში ოთხი ახალი სტრიქონის დამატებით.

საბჭოთა პოეზიის დიდი ფუძემდებლის და ჩვენი ეპოქის უნიჭირებსი პოეტის ვ. მაიაკოვსკის

შემოქმედებაში საქართველოში, ქართველმა ხალხმა, მისმა მღიდარმა მხატვრულ-კულტურულმა ტრადიციებმა მრავალნაირი გამოვლენა ჰპოვა.

ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია პოეტის მიერ ქართულ თემაზე დაწერილი ლექსები, რომლებშიც მოჩანს ქართული სინამდვილისა თუ ბუნების სურათები, საქართველოს ისტორიისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ეპიზოდები, ეროვნულ-ეთნოგრაფიული ყოფის დეტალები, ხალხის სოციალური და ნაციონალური თავისუფლებისათვის ბრძოლის მომენტები.

ვ. მაიაკოვსკის ლექსებში ხშირადაა ჩაწინეტული ქართული ზნეჩვეულებების ანარეკლი, ქართული ანდაზები, შესიტყვებანი, იდიომური თქმები, სხვადასხვა ქართული ტერმინი, ქართული ყოფისათვის ნიშანდობლივ საგანთა და მოვლენათა აღმნიშვნელი სიტყვები, ტოპონიმიკური და გეოგრაფიული სახელები და მრავალი სხვა ნართაული თუ პირდაპირი დეტალი.

ქართველი ხალხის ინტერესების დაცვის გულწრფელი სურვილი მოჩანს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, 1920 წელს გამოცემულ ერთ-ერთ პლაკატზე მიწერილ



ଲ୍ୟେକସିପଶି, ସାରାପ ନିଗଳିକେଣାରା
ମିଏର ବାତମୁଦିଲି ମହୋଳଙ୍କେଣି
ଅକ୍ଷୁପାତ୍ରା ଲା ଫାରତଵେଳ ମେବିଶେ-
ବ୍ୟକ୍ତା ଅନ୍ତିକୁଳଙ୍କୁଳି ତେଲିକିପା
ସାରିକିରୁଲାଅ ଗ୍ୟାକ୍ୟୁଲ୍ପାନି.

საქართველოში საბჭოთა ხე-
ლისუფლების გამარჯვებით აღ-
ფრთვანებული პოეტი ამ ის-
ტორიულ მოვლენას სპეციალუ-
რი პლაკატითა და ლექსებით მიე-
სალძ.

საქართველოს პირველი, შედა-
რებით სრული და შთაგონებული
გახსენება მოცემულია 1922 წელს
გამოქვეყნებულ პირველი „მიუ-
კარს“, რომლის ერთ-ერთი თა-
ვი — „როცა ბიჭუნა ვიყავი“
ეძღვნება საქართველოში გატა-
რებულ დაუკიშყარ დღეებს, ქუ-
თაისისა და რიონის ოწერას.

ქართველი ადამიანი, როგორც
ლექსის ერთი პერსონაჟთაგანი,
პირტბ გამოყვანილი ჰყავდა თა-
ვის ლექსში „სევასტოპოლი ---
იალტა“ (1924 წ.), რომელიც მაი-
აკოვსკიმ თბილისში გადასცა და-
საბეჭდად „ზარია ვოსტროკას“
რედაქციას. თბილისშივე დაწე-
რილი ვ. მაიაკოვსკის ცნობილი
ლექსი „თამარი და დემონი“
(1924 წ.). ეს ჩინებული პოეტუ-
რი ნაწარმოები საქართველოს
სინამდვილით არის შთაგონებუ-
ლი.

განსაკუთრებული მხატვრული
ძალითა და შთავონებით გმოი-
რჩევა ამავე 1924 წელს დწერა-
ლი ფართოდ ცნობილი ლექსი
„ვლადიკავკავი—თბილისი“, რო-
მელიც საქართველოს თემისადმი
მიძღვნილ მაიკონსკის ნაწარმო-
ებთა შორის მართლაც ერთი
უშესანიშნავისია.

ამ ლექსში ავტორი თითქოს
გარდაისახება ხან ქართველ ვაჟ-
კაცად, რომელმაც ათეული საუ-
კუნეების წინ თავის ქვეყანას უმ-
შვენიერესი მიწა-წყალი დაუმკ-
ვიდრა და დარიალის ხეობის გა-
სალები ხელთ მისცა, ხან თავი
რუსთაველისა და თამარ მეფის
თანამედროვედ წარმოუდგენია,
ხანაც თავის თავს იმ მთევლ მებ-
რძოლად სახავს, ვინც საქართვე-
ლოსა და კავკასიის ხალხებს
თვითმმკრძალელობის კლანებისა-
გან იკავდა.

კლასიბრივი და სოციალური მოტივი აქ ნაციონალურს იქვემდებარებს და რუსი ხალხის შეიღლი ქართველი შშრომელებისადმი უდიდეს თანაგრძნობას, სიყვარულსა და სიმპათიას ამჟღავნებს.

ქართველი ხალხისა და თავისუფალი საქართველოსადმი სიკარულის აპოთეოზად უღერს

ვ. მაიაკოვსკის ცნობილი სტრი-
ქნები, რომლებშიც ლირიკული
გმირი ქართველი მშრომელი კა-
ცის სახით წარმოგვიდგება, კა-
ცისა, ვინც საქუთარი სისხლის
ფასად მოუპოვა თავის ჭაღარა
სამშობლოს თავისუფლება და
ზედნიერება:

Двадцать,
а может,
больше веков
волок угнетателей узы я,
чтоб только
под знаменем большевиков
воскресла
свободная Грузия.

Да,
я грузин,
но не старенькой нации,
забитой
в ущелье в это.
Я —

равный товарищ
одной Федерации
грядущего мира Советов.

ამ ლექსის ლირიკული გმირი,
ეროვნებით ქართველი, ისეთსა-
ვე მოქალაქეობრივ სიამაყეს
გრძნობს გულში, როგორსაც ლი-
რიკული გმირი საბჭოთა პასპორ-
ტზე დაწერილი ლექსისა. ეს
უკანასკნელი კი ეროვნებით რუ-
სია. ასეთი სიამაყე ახალ სოცია-
ლისტურ სინამდვილეზე ამოი-
ზარდა, იგი საბჭოთა მოქალაქის
ახლებური თვითშეგნებიდან.

შშრომელთა ახალი სახელმწიფოს
უძლეველობის რწმენიდან მომ-
დინარეობს და მაღალი ინტერ-
ნაციონალიზმითაა გაპირობებული.

ლექსში ჰეშჩარიტი შთავონე-
ბით არის გამოთქმული სურვი-
ლი საქართველოს ინდუსტრიულ
რესპუბლიკად გარდაქმნისა; პოე-
ტი ნატრობს იმ დროს, როცა სა-
ქარხნო დამღაზე „თბილისი“ იქ-
ნება ამოტვიფრული და ფრთმა-
ლი თვითმფრინავები თანასწორ-
უფლებიანი რესპუბლიკის დედა-
ქალაქს საქართველოს მთანეო-
თან დაკავშირებენ.

საქართველოს სიყვარული, მი-
სი ბუნებისა და ხალხის სიმუ-
ცენიერის ღრმა და ალალი განც-
და იგრძნობა ამ შესანიშნავი ლექ-
სის ცნობილ სტრიქონებში:

Я знаю:
глупость — эдемы и рай!
Но если
пелось про это,
должно быть,
Грузию,
радостный край,
подразумевали поэты.

თბილისში არის დაწერილი და
1924 წელს „ზარია ვოსტოკაში“
დაბეჭდილი ლექსი „საიუბი-
ლეო“, რომელიც მეტად საგუ-
ლისხმოა ვ. მაიაკოვსკის იმუამინ-
დელი განწყობილების, იდეალე-
ბის, თანამედროვეობასთან მისი

გავშირისა და რუს მწერლებთან
დამოკიდებულების თვალსაზრი-
სით. იდეურ-მხატვრულად ამ უმ-
ნიშვნელოვანეს ლექსში პალავ
გამომყდავნდა პოეტის დაუკე-
ძელი სწრაფვა საქართველოსა-
ცენ.

თბილისშივეა დაწერილი და
გამოქვეყნებული ლექსი „აჯანცე-
ბათა გუგუნით“. იგი ეძღვნება
ბაქოს გმირი კომისარების ხსოვ-
ნას. ინტერნაციონალიზმის სუ-
ლისკვეთებით აღსავსე და თავი-
სუფლების საქმის ერთგულების
გამომხატველ ამ ლექსში პოეტუ-
რად გვცოცხლებულია სტეფანე
შაუმიანისა და ალიოშა ჭაფარი-
ძის გმირული სახეები.

საქართველოში გატარებული
წლების. ქუთაისის დღეების მო-
გონებები ცოცხლდება ვ. მაია-
კოვსკის ლექსში „მექსიკა“ (1926
წ.). რომელშიც მექსიკური ეგზო-
ტიკა დაპირისპირებულია საქარ-
თველოს ზღაპრულ ბუნებათან.

საქართველოს სიყვარული, ზის
წინაშე მოვალეობის გრძნობა
მკაფიოდ არის გამოთქმული 1926
წელს დაწერილ ცნობილ ლექს-
ში — „საუბარი ფინისპექტორ-
თან პოეზიის შესახებ“. ეს ვ. მაია-
კოვსკის ერთ-ერთი უმნიშვნელო-
ვანესი ნაწარმოებია. პოეტისავე
სიტყვით რომ ვთქვათ, ეს არის

საუბარი „მუშათა მწყობრში
პოეტის ადგილზე“, რაც არსები-
თაღ, საბჭოთა პოეზიის მიზნებ-
სა და დანიშნულებაზე საუბარს
ნიშნავს.

საბჭოთა პოეზიის როლისა და
მნიშვნელობის ასეთი შთავონე-
ბული, ხატოვანი და ამასთან
მეტყველი განსაზღვრა, როგორიც
ამ ლექსშია მოცემული, პირდა-
პირ გასაოცარ ძალას იძენს. ამი-
ტომაც იქცა გვრცელებულ აფო-
რიზმად ვ. მაიაკოვსკის გრძნეუ-
ლი სიტყვები:

Поэзия —

та же добыча радиа.

В грамм добыча.

в год труды.

Изводишь

единого слова ради

Тысячи тонн

словесной руды.

Но как

испепеляюще

слов этих жжение

рядом

с тлением

слова — сырца.

Эти слова

приводят в движение

Тысячи лет

миллионов сердца.

ილია ჭავჭავაძისა და ივაკი წე-
რეთლის ესთეტიკის რემინიცენ-
ციები მოჩანს პოეტის დანიშნუ-

ლების მაიკოვსკისეულ გააზრების.

А, что
если я
народа водитель
И одновременно —
народный слуга?

მაგრამ „სამოციანელთა“ ესთეტიკა აქ ახალ, ეპოქის თანადროულ იდეურ საფეხურზე მაღლდება, რითაც სოციალისტური შეგნებულობის და კლასობრიობის ფორმას იძენს:

Класс
гласит
из слова нашего,
а мы
пролетарии,
двигатели нара.

ამ ლექსში გამოთქმული ვ. მაიკოვსკის ესთეტიკური შეხედულების თანახმად, სწორედ პოეტური სიტყვა უკვდავყოფს თანამედროვეობას.

აი, სწორედ ამ უბრწყინვალეს პოეტურ ნიმუშში, სადაც ასეთი შორსშეცვრეტელობით, ლრმა გააზრებით და მაღლი მხატვრულობით გადმოგვცა თავისი ესთეტიკური პრინციპები, ავტორმა, საქართველოსადმი თავისი მარადიული სიყვარულის ნიშნად, ჩაურთო თავისი გულწრფელი ღალადისის გამომხატველი სიტყვები, ეს შთაგონებული სიტყვე-

ბი, დღეს საქვეყნოდ არის ცნობილი:

«Я
в долгу перед вами...
багдадские небеса»...

საქართველოსადმი ვ. მაიკოვსკის განსაკუთრებული დამოკიდებულების გამომხატველია ის გარემოებაც, რომ თბილისის პრესაში პოეტმა პირველად გამოაქვეყნა მთელი რიგი თავისი ლექსები და ცალკეული თავები ჭერ კიდევ დაუმთავრებელი პოემებიდან. მაგალითად, ნაწყვეტი პოემიდან „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“, ნაწყვეტი პოემიდან „მფრინავი პროლეტარი“; ლექსები: „ვლადიკავკავი — თბილისი“, „აჯანყებათა გუგუნით“, „საიუბილეო“, „სერგეი ესენინს“, „ბაქო“, „ძერუინსკის ჭარისკაცები“ და სხვ.

საქართველოსთან ვ. მაიკოვსკის ურთიერთობაზე მსხელობას, ჩვენ უფლება გვაქვს ივლიშნოთ ქართული კლასიკური ლიტერატურის აშკარა გავლენა მის შემოქმედებაზე. მიუხედავად მისი პოეზიის რუსული ეროვნული ხასიათისა, იგი აშკარად განიცდის ქართული ენისა და ლიტერატურას ზემოქმედებასაც. ეს არის ლიტერატურათა ურთიერთ ზემოქმედების და ურთიერთგამ-

დიდრების მეტად ხილული და საგულისხმო მაგალითი.

როგორც უკვე აღნიშნავდით, ვ. მაიაკოვსკიმ არამარტო კარგდ იცოდა ქართული ენა, არამედ კითხულობდა კიდეც ქართული მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებს. იგი ბავშვობიდანვე გაეცნო ქართული ხალხური ზეპირისტყველებისა და მხატვრული ლიტერატურის უფრო თვალსაჩინო ნაწილობრივ განვითარებას და კარგადაც ახსოვდა ისინი. არის სრული საფუძველი ვამტკიცოთ, რომ მის ცალკეულ თხზულებებსა და შილობანად შემოქმედებაზე გარკვეული ზემოქმედება მოახდინა უ. რუსთაველის, დ. გურამიშვილის, ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლისა და ბესიკის პოეზიამ.

განსაკუთრებით ღიღი გავლენა მოახდინა ვ. მაიაკოვსკიზე გმოჩენილი ქართველი მგონისა და თავდაცემული რევოლუციონერის იროდიონ ევდოშვილის ცეცხლოვანმა პოეზიამ. ამ ღიღი, მაგრამ დღესაც ჭეროვნად შეუფასებელი მწერლისა და მოღვაწის რევოლუციური სულისკვეთებით გაუღვნილმა შემოქმედებამ პირველად აგრძნობინა ჭაბუკ მაიაკოვსკის თავისუფლებით შთაგონებული, მამაცური და მოწმოდებლური, მხატვრული სიტ-

ყვის ძალა. ი. ევდოშვილის რევოლუციური მგზნებარებით, მტრისადმი შეურიგებლობით და მძაფრი პუბლიცისტური პათოსით ილ-საგსე ლექსებმა თვალნათლივ დაანახა მაიაკოვსკის. თუ რა სასწაულის მოხდენა ძალუძა განმათავისუფლებელი მოძრაობის სამსახურში ჩამდგარ პოეზიას.

სწორედ ი. ევდოშვილი იყო ის პოეტი, რომელმაც 12-13 წლის ვ. მაიაკოვსკის პირველი მხატვრული გაკვეთილი მიაღებინა რევოლუციური ესთეტიკის სფეროში და ენერგიულად უბიძგა იმ საძნელო, მაგრამ დე-თილშობილური გზისაკენ, რომელმაც ჩვენი დროის უნიჭიერესი შემოქმედი რევოლუციური პოეზიის ერთგული განადა და ახლი ესთეტიკური პრინციპების გზაზე დააყენა. ჭაბუკი მაიაკოვსკი ცოცხალი მოწმე იყო იმისა, თუ რაოდენ აღაფრთოვანებდა 1905-7 წლების რევოლუციის დროს მასებს ი. ევდოშვილის ლექსები, როგორ უტოლდებოდენ ისინი ტყვიასა და მახვილს.

ი. ევდოშვილის რამდენიმე ლექსი ვ. მაიაკოვსკიმ ზეპირად იცოდა. (მაგალითად, „მეგობრებს“, „წითელი დროშა გავშალოთ“, იდგილები ლექსებიდან

„სიმღერა მაისის ღამეს“, „ყო-
რანს“, „ქარიშხალი“; დამოწმე-
ბულია, რომ ვ. მაიაკოვსკი იც-
ნობდა ევლოშვილის შემდეგ
ლექსებსაც: „ახალგაზრდებს“,
„თავისუფლება“, „გმირს“, „ძმე-
ბო, გავიდეთ ბრძოლის ველზე-
და“, „მუზა და მუშა“).

ვ. მაიაკოვსკის შემოქმედების
ავტორიტეტული მცოდნე, ცნო-
ბილი საბჭოთა კრიტიკოსი ვ. პე-
რცოვი ამტკიცებს, რომ სწორედ
ქართულმა ოკულურულ სიმღე-
რათა რიტმებმა წარმოშვეს ვ. მა-
იაკოვსკის ძირითადი რიტმი, რო-
მელიც პოეტის მიერ რიტმთა
საერთო ძიების პროცესში გაჩ-
ნდა.

ქართული პოეტური კულტუ-
რის, ქართული ლექსითური ბის
ზემოქმედებამ ვ. მაიაკოვსკიზე,
გარდა წმინდა რიტმული მხარისა,
განსაკუთრებით ორი მიმართუ-
ლებით იჩინა თავი.

პირველი, ეს არის საოცრად
ქმედითი, აქტიური და მრავალ-
ფეროვანი ქართული ზმნის გავ-
ლენით ვ. მაიაკოვსკის შემოქმე-
დებაში ზმნის საგრძნობი აქტივი-
ზაცია. ცნობილია, რომ თავისი
ფორმათა მრავალრიცხოვნობით,
მრავალფეროვნებით, წინადადე-
ბაში აქტიური როლით ქართული
ზმნა იშვიათი მოვლენაა მსოფ-
ლიოს ენათა შორის. ქართულად

მეტყველების ჩვევამ და ქართუ-
ლი ლექსალური ნიმუშების ბავ-
შობიდანვე ზეპირად ცოდნამ გა-
ნაპირობა ვ. მაიაკოვსკის მიერ
ზმნის აქტიური როლის „გადა-
ტანა“ რუსულ ენაშიც (პირველ
ხანგბში შეიძლება ქვეცნობიე-
რად, ინტენსიურადაც კი).

ვ. მაიაკოვსკის პოეზიაზე ქარ-
თული ლექსის გავლენის შეორე
მომენტი მეღავნდება პოეტის
რითმათა თავისებურებაში. რუს-
მა ჭკლევარებმა ადრევე მიაქ-
ციეს ყურადღება იმას, რომ
ვ. მაიაკოვსკი არ მისდევდა რუ-
სული პოეზიის ტრადიციას (ამ
ტრადიციის მიხედვით, ირითმე-
ბოდა მხოლოდ სიტყვათა მახვი-
ლის შემდგომი მარცვლები). იგი
რითმავს სიტყვის მახვილისწინა
ნაწილაქს, რაც ესოდენ დამახა-
სიათებელია ქართული ლექსით-
წყობისათვის. ამგვარად, ქართუ-
ლი ლექსითური ბის ნიშნეული სა-
ხე რითმისა გადავიდა პოეტის
ლექსებში, საღაც შეეგუა და
შეერწყა რუსულ რითმს. იმ
გზით შეიქმნა რითმის ახალი სა-
ხეობა, ესოდენ დამხასიათებელი
მაიაკოვსკის პოეზიისათვის.

რუსული საბჭოთა პოეზიის
მშვენებად ქცეულმა და ეპოქის
მაჯისცემის სწორუპოვრად გად-
მომცემმა მაიაკოვსკისეულმა ლე-

ქსებმა ქართულ ლიტერატურა-შიც დაიმკვიდრეს უსათუთესი ლექსილური ნიმუშებისა და შთა-მაგონებელი მაგალითის მნიშვნე-ლობა.

წინამდებარე წერილი ჩვენ იმის აღნიშვნით დავიწყეთ, რომ საქართველოსთან ვ. მაიაკოვსკის კავშირურობიერთობას პრინციპუ-ლი იდეურ-მხატვრული მნიშვნე-ლობა აქვს, როგორც სრულად ახალი შინაარსის, სოციალისტუ-რი შინაარსის მქონე ლიტერატუ-რულ ურთიერთობას, როგორც ამ ურთიერთობის ახალ სახეს. ამ წერილის დამთავრება კი იმას აღნიშვნით გვინდა, რომ ქართუ-ლი მწერლობის ვ. მაიაკოვსკის შემოქმედებასთან ორმხრივი მი-

მართების შესწავლის, ქართული პოეზიის მაიაკოვსკისადმი დამო-კიდებულების შესწავლის, თანა-მედროვე ქართული ლიტერატუ-რისათვის არანაკლებ პრინციპუ-ლი მნიშვნელობა აქვს, რამდენა-დაც, არსებითად, ეს არის საბჭო-თა ლიტერატურის სახელმძღვა-ნელო იდეურ-მხატვრული პრინ-ციპების პრაქტიკის ნათელყოფა, ლიტერატურულ საქმეში მათი მომარჯვებისა და პრაქტიკული ხორციელებისათვის ხელშეწყობა, საბჭოთა პოეზიაში მათი დამკვი-ღრებისა და გაძლიერებისათვის მხარის შემცველება.

ეს საქმე კი ჩვენი სალიტერა-ტურო კრიტიკისა და ლიტერა-ტურისტულნების უპირველესი ამოცანაა.



რესანზიები, მამხოლე ცურავე

„არა მჯერა არავითარი ნოვა-
ტორობა პოეზიაში (საერთოდ ხე-
ლოვნებაში), თუ იგი აშავე დროს
არ მოასწავებს ადამიანურობის
რაიმე ახალი კუთხის, ახალი ნაკა-
ლის მიგნებას.

თანაც, იქნებ, დღეს, ვიღრე
ოდესმე, გვმართებს უფრო მა-
ხვილი თვალი და ყური გვქონდეს
ადამიანურ ტკივილთა მიმართ“.

ეს სიტყვები კრიტიკოს ლავ-
როსი კალანდაძეს ეკუთვნის.

არ შეიძლება ამ სიტყვების და-
მწერს ადამიანზე არ შესტკიოდეს

პრიტიპოსის წიგნი

გული. კრიტიკოსი ყველაფერს ერ-
თი საზომით ზომავს: რაც არ უნდა
შეიქმნას ცისქვეშეთში—უდიდესი
რაკეტული მანქანები ან უმნიშვნე-
ლოვანესი მეცნიერული ოღონჩე-
ნები, —თუ ისინი ადამიანთა სამ-
სახურში არ ჩადგება, მას არ სწამს
ასეთი პროგრესი.

..იმ დღიდან პარე ათი წელი
გავიდა. მწერალთა კავშირის და-
რბაზში ცხარედ კამათობდნენ პო-
ეზიის საკითხებზე. ტრიბუნაზე
ერთმანეთს ცვლიდნენ ახალგაზრ-
და თუ ხანდაზმული მწერლები,



გურაშ ბათიაშვილი



კრიტიკოსები, იყო აზრთა სხვაობა, მტკიცება, სჯა. მოკამათში ვერა და ვერ თანხმდებოდნენ ზოგიერთ საკითხზე. ამ სჯა-კამათში გაიღია მთელი დღე, საღამო, ხანიც მოახლოვდა და ირაკლი აპაშიძემ, რომელიც სხდომას თავ-მჯდომარეობდა, დარბაზში აუწყა:

—ახლა კი დისკუსიაში ჩაერევა ქართული კრიტიკის მძიმე ორტილერია. სიტყვა ეძლევა ლავროსი კალანდაბეს, მოემზადება ბესამიონ ულენტი, —და დარბაზში ისეთი ლიმილით გადახედა, თითქოს ეუბნებოდა, „ა, ესენი და მთავრებენ ამ დასკუსიას, გვეტყვიან ვინ მართალი იყო და ვინ კიდევ საკუთარ გუდას ბერავდაო“.

ლავროსი კალანდაბის გამოსვლას ყოველთვის ყურადღებით ისმენ, რადგან იცი — იგი ობიექტური და ლოგიკურია. არ უყვარს ტრიპუნაზე საკუთარი თავმოწონებისათვის მჭევრმეტყველება, არც ბამბის ჩხრიალს ეცდება, ლაპარაკობს დინჯად და აუჩქარებლად, ხოლო როცა კამათის ცეცხლი მოედება და გონიერების სჯას ემოციაც მოეძალება, ლაპარაკში გურული კალც გაერევა. გრძნობთ, რომ ამ დროს იგი მეტად უშუალო და გულწრფელია, წრფელად, დაუფარავად არქმევს ყოველ საგნს თავის სახელს.

ქართული კრიტიკის ამ ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს რომ შესცემი, რატომლაც იმდინანი ხარ. იქნება იმის გამო, რომ მის და მისი თაობის გვერდით ქართული აზროვნების ჩინებული წარმომადგენლის, გერონტი ქიქობის სილუეტს დალანდავ ან იქნებ იმის გამოც, რომ იცი, რასაც იტყვის, ობიექტურობის გამოხატულება იქნება მხოლოდ. მისი ამგვარი ობიექტურობა, კეთილსინდაბიერება ყურადღების მაქსიმალურ დაძიშვილს გავალებს, გავალებს ან-გარიში გაუწიო მის სიტყვას.

დინჯი სჯა და ემოცია, გულწრფელი ობიექტურობა და საკვლევი მასალის ღრმა შესწავლისაკენ მისწრაფება ერთმანეთს შერწყმია ლავროსი კალანდაბის წიგნში „ლიტერატურული წერილები“.

ამ წიგნს მრავალი ღირსება აქვს, კრიტიკოსს შეუქრებია თითქმის ყველა წერილი, რაც მას ლიტერატურული მოღვაწეობის მანძილზე შეუქმნია და ერთ წიგნში გაუკრთანებია. ამგვარი კრიტიკოსს შედგენა კრიტიკოსს ერთგვარ ხიფათსაც უქალის და ი, რატომ: მოელი ცხოვრების მანძილზე იგი წერს მრავალ საკითხზე, ზოგჯერ მნიშვნელოვანზე, ზოგჯერაც ნაკლებ მნიშვნელოვანზე. საცი ხდება, რომ პრობლემა, რომელიც გუ-

შინ ღიარებული იყო და გარკვეული ინტერესსაც ბადებდა, დღეს უკვე მოძველდა, რადგან საკითხი თვით ცხოვრებამ გადაშეყვიტა, და აქლა უკველაფერი დღესავით ნათელია. და ის, რომ პრობლემისადმი ინტერესი შენერდა ან სულ გაქრა, ხშირად ქრიტიკოსსაც ვნებს, რადგან დღევანდელი მკითხველის ფსიქოლოგია სულ სხვაგვარად ალიქვამს მას, მაგრამ პრინციპი — „რა“ და „როგორ“ — მუდამ უცვლელი რჩება.

ლ. კალანდაძის წიგნის კითხვისას კიდევ ერთხელ რშმუნდები, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა პრობლემაზე წერ. მაგრამ არანაკლები და ზოგჯერ გადამშევეტი მნიშვნელობაც კი ენიჭება იმსა, თუ როგორ წერ. რამდენენერ ყოფილა, რომ ხარისხს გადაუზენია პრობლემა, შემოუნახავს იგი შთამომავლობისათვის მანამ, სანამ პრობლემისადმი ინტერესი კვლავ გაღვიყებულა.

ამიტომ ლ. კალანდაძის ამ საკვაოდ სქელტანიან წიგნს თვალს რომ გადაავლებ, გაგაოცებს კიდეც ავტორის გაპედულება დღევანდელ მკითხველს შესთავაზოს ათეული წლების წანათ დაწერილი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები; უფრო მეტიც. შესთავაზოს წერილები ისეთ ნაწარმოებებზე, რომელთა არსებობაც კი დაავიწყ-

და მკითხველს, რადგან მათ ვერ მოიკიდეს ფეხი. კითხულობ ამ წერილებს და ხედავ, თუ რის გამო არ დავკარგეთ მათში წამოჭრილი პრობლემებისაღმი ინტერესი. ლ. კალანდაძისათვის უცხოა პანეგირიკული ხასიათის წერილები.

ლ. კალანდაძის წიგნი ქართული საბჭოთა მწერლობის ერთი გვერდაულელი ფურცელია. ეს იმიტომ, რომ იშვიათია მწერალი, ვისაც საბჭოთა საქართველოში ემოლვაშეოს, რამე საყურადღებო, მნიშვნელოვანი შეექმნას და მასზე ლ. კალანდაძეს არამეტა არ დაწერის — რეცენზია. შემოქმედებითი პორტრეტი, საუბილეო წერილი თუ სხვა რამ. ამ წერილების ჩამოთვლა იგვეა, რომ ჩამოთვალო თითქმის ყველა მნიშვნელოვანი პოეტი თუ პროზაიკოსი, ვისაც ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე უმოლვაშია საქართველოში.

ა. გალაკტიონისადმი მიძღვნილი წერილების მთელი ციკლი. ეს წერილები შეაცავენ საინტერესო დაკვირვებებს, პოეტის შემოქმედების ცალკეული მომენტების ახსნის ცდებს. ზოგან თხზულებათა ანალიზს შეფარდება სკაბნის, მაგრამ ერთი წერილი „აკაკი და გალაკტიონი“ მეტად საყურადღებო დაკვირვების ნაყოფია. ამ წერილში ლ. კალანდაძემ მიუთითა გალაკტიონის ღიღ კავშირზე აკარს შემოქ-

მედებასთან, საკმაოდ დასაჭურებულად. გალაკტონის ლექსებზე დაყრდნობით ცხადყო გალაკტიონის ლტოლვა აკავისაკენ.

წიგნში შესულია აგრეთვე წერილები რუსული მწერლობის პრესინეალე წარმომადგენლებზე (ნეკრასოვი, გორი, შოლოხოვი და სხვ.). წერილები ხელოვნებაზე.

ღ. კალანდაძის კეშმარიტ ლიტერატურულ ალლოზე ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ იგი საქართველოში ერთ-ერთი პიოველი წერილს ჰემინგუეს „მოხუცა და ზღვაზე“. ღ. კალანდაძე იშვიათად განიხილავს ნაწარმოებს ემპირიულად. ივი ცდილობს ლიტერატურული პარალელების ღრმა ანალიზის მეობებით მივიღეს კეშმარიტ ჯაკენავდე, ცხადად წარმოაჩინოს ავტორის ნაწარმოები და თავისი პოზიციაც დაგვანახოს. მაის ერთ-ერთი ნიმუშია აღნიშნული წერილი. ერთი შეხედვით, უცემ შეიძლება უვნაურიც გაჩვენოთ. „მოხუცისა და ზღვის“ პარალელი ე. წინაშეილის „პალიასტომის ტბასთან“, მაგრამ ერთიკალი ისეთი ტაქტით. საკითხის ღრმა კვლევით მივვინიშნებს ამ ნაწარმოებების თავისებურებათა ზოგად ერთანობაზე. რომ კიდევ ერთხელ რწმუნდებით — მწერლებს, დედამიწის რომელ სარტყელშიც არ უნდა ცხოვრობდნენ ისინი, აერთიანებთ აღამანის ბეღზე 8. „კრატიკა“ № 7.

ფიქრი. ასც ჩემოვისა და გ. რჩეულიშვილის მოთხრობებში მონახული ანალიტიკი გეჩვენებათ მიუღებლად და უცხოდ.

წიგნში არას პოლემიური ხასიათის წერილები და, რაც მთავარია, ისევ და ისევ მწერლებზე დაწერილი, მათი შემომქმედების მიმომხილველი, შემფასებელი წერილები. ასე რომ, ამ წიგნის მეობებით მკონხველს შეუძლია მიახლოებით წარმოდგენა იქნიოს არა მშოლოდ ჩვენი დროის ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნების. არამედ ქართული საბჭოთა მწერლობის დონესა და მდგომარეობაზე საერთოდ.

რასაკვირველია, ძნელია და წარმოუღენელიც განიხილო ყველა ის წერილი, რომელიც კრიტიკოსს თავის წიგნში შეუტანია, მაგრამ რამდენიმე პრიბლების გამოყოფა ზოგადად მაინც დაგვანახებს იმას, თუ რა უშეხებს კრიტიკოსს, რაზე ფიქრობდა იგი წლების განმავლობაში. ცხადია, ესეც არ იქნება კრიტიკოსის ნალვაწის ამომწურავი, სრული შეფასება...

ფიქრები... ფიქრები...

ამას წინათ ცნობილმა რუსმა პოეტმა ევგენი ევტუშენკომ ასეთი რამ თქვა: „მშოლოდ იმ კრი-

ტიქოსებს ვცემ პატივს, რომელ-
 თა მუშაობაც ჩვენი საზოგადოე-
 ბის ფილოსოფიის ნაწილს შეად-
 გენს; გარდა ამისა, ნამდვილი
 კრიტიკა — ეს ლიტერატურაზე
 მსჯელობა როდია, იგი თვით არის
 ლიტერატურა.

ვფიქრობთ, ეს სავსებით სწო-
 რი შეფასებაა ნამდვილი კრიტი-
 კისა. ერთი უზუსტობა რომ არ
 იყოს დაშვებული. ცნობილი პო-
 ეტის მოსაზრებას უკრიტიკოდ
 მიიღებდა კაცი. კონკრეტულად,
 როცა იგი ამბობს, „ნამდვილი
 კრიტიკა ეს ლიტერატურაზე
 მსჯელობა როდიაო“, ამით, ვფიქ-
 რობთ, კრიტიკის ერთ-ერთ მთა-
 ვარ ამოცანას უგულებელყოფს.
 მაგრამ ეს ციტატა სულ სხვა რა-
 მის გამო გავიხსნეთ; კერძოდ,
 იმის გამო, რომ კიდევ ერთხელ
 გავუსვათ ხაზი ერთ გარემოებას
 — კრიტიკა თავისთვად არის ლი-
 ტერატურა. თუ კრიტიკოსი მა-
 ღალი ლიტერატურის დონეზე არ
 დგას, თუ თავიდ კრიტიკოსის მი-
 ერ შექმნილი პროდუქცია არ წარ-
 მოადგენს ნამდვილი ლიტერატუ-
 რის ნიმუშს, ძნელია მისმა სიტ-
 ყვამ გავლენა მოახდინოს. თა-
 ნამედროვე კრიტიკა ფონს ვერ
 გავა მხოლოდ ამა თუ იმ ლიტე-
 რატურული ფაქტისა თუ მოვ-
 ლენის შეფასებით, რაოდენ ზუს-
 ტიც არ უნდა იყოს ეს შეფასე-

ბა. ჩვენ კი ხშირად შეფასებას
 უფრო წინა პლანზე ვაყენებთ...

ლავროსი კალანდაძე ხშირად
 მსხელობს ლიტერატურაზე. ფიქ-
 რობს მასზე. კონკრეტულად რო-
 მელიმე მშერალზე წერისას იგი
 ერიდება გაღაუხვიოს თემას.
 „სხვა“ უფრო გლობალური სა-
 კითხებისათვის იგი სხვა დროს
 ირჩევს და წერს წერილს, რომელ-
 საც კრიტიკის ნიშნებიც ახასი-
 ათებს და ბელეტრისტიკისაც.

ლიტერატურის საკითხებზე სა-
 უბრისას კრიტიკოსი ირჩევს ამ-
 გვარ ფორმას: ბავშვობის მეგო-
 ბარი, რომელიც კარგა ხანია არ
 უნახავს, გამოუგზავნის წერილს.
 მოიკითხავს ოჯახის, ჯანმრთე-
 ლობის ამბავს, თითო-ორილა თა-
 ვის გასაჭირსაც შესჩივლებს და
 შემდეგ, თითქოს სხვათა შორის,
 ლიტერატურაზე ჩამოუგდებს
 სიტყვას /„სხვა რა? ისევ ჩვენს
 თავსამტვრევ საგანს მივუბრუნ-
 დები, მოგეხსენება, რომ ლიტერა-
 ტურას, განსაკუთრებით ქართულ
 ლიტერატურას, ისევ თავგადა-
 კლული ვადევნებ თვალს. რო-
 გორც ყოველთვის. იცი რა გით-
 ხრა?!/ და ასე იშევება ლიტერა-
 ტურაზე საუბარი. აღრესატი გერ
 წერს ასამდენიმე ზოგად, სტერე-
 ოტიპულ ფრაზას და შემდეგ თა-
 ვის გულისტკივილს' უზიარებსა
 კრიტიკოსს.

ან კიდევ: მის მეგობარს კარგა მოზრდილი თხზულება დაუწერია. თხზულება კრიტიკოსს არ მოსწონებია და ი. იმართება დიალოგი, რომელიც ავტორს „დღიურების“ სახით შემოუნახადს; თუმცა, ძქვე, ლ. კალანდაძე გვაფრთხილებს:

„შეიძლება, ძვირფასო მკითხველო. მთელი ეს ამბავი მოგონილიც იყოს შენს საინტერიგოდ. რომ როგორმე ყური დაგაგდებინო ჩემი სათქმელისათვის. ასეც რომ იყოს, ვფიქრობ. დიდი ცოდვა არაა“. ა.

უცელაფერი ეს იმისთვის უნდა მჟერალს. რომ წამოიწყოს საუბარი მწერლობის საკითხებზე. და იგი იყოს არა მშრალი, არა დამრიგებლური, არამედ საინტერესო ფორმით შემოთვაზებული მოსაზრებანი ლიტერატურის დანიშნულებაზე.

ზოგჯერ კრიტიკოსი მოქმედ პირებსაც კი გამოივინებს ხოლმე იმ თავისი პატარა „პიესისათვის“, რომელშიც ასევე ლიტერატურის შესახებ ლაპარაკობენ. იმ „პიესაში“ თვითონაც მონაშილეობს. როგორც თავგამოდებული დამცველი თავისი ლიტერატურული შეხედულებებისა. კიდევ არსებობს ფორმები, რომელთა მეოხებითაც ლ. კალანდაძე იწყებს საუბარს ადამიანის დანიშ-

ნულებაზე /ასე მაგალითად, „ეს მოხდა ნაღირობის დროს. ხუთი ვიყავით, ვისვენებდით მდინარის პირას. ერთმა თქვა: მირჩევნია ერთი დღე მეტი ვიცოცხლო, ვიდრე სიკვდილის შემდეგ ასი ძეგლი დამედგასო“/.

და მანც რა ამოცანას ისახავს ამგვარ შერილებში ლ. კალანდაძე? ეს ყველაფერი როგორც აღვნიშნეთ. არის ფორმა, რომლის მეოხებითაც კრიტიკოსი მკითხველს უზიარებს თავის მოსაზრებებს და არა მხოლოდ უზიარებს, იბრძვის კიდეც, რომ ლიტერატურის თაობაზე მკითხველს შთაუნერგოს ქწორი შეხედულება, რაღაც კარგად იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობის ფაქტორია— მკითხველს ასწავლო კარგისა და ცუდის გარჩევა. ასწავლო იცოდეს. თუ რა არის ნამდვილი ლიტერატურა და რა—არა! ხომ ფაქტია. რომ ჩემი ფართო მკითხველი ხშირად ლიტერატურულ სუროგატს უფრო ეტანება, ვიდრე ნამდვილი მწერლობის ნიმუშს.

ალბათ, ამითაა გაპირობებული ის, რომ ლ. კალანდაძე მკითხველის პრობლემასაც აღძრავს ერთ თავის წერილში, ესაუბრება მას ნამდვილ პოეზიაზე, უხსნის და

ასწავლის მის სიყვარულს, გაგებას; ზოგჯერ არარსებულ პიროვნებასაც კი ჩეაღურად წარმოგვიდგენს, მერე მას ოპონენტად დაისვამს და ეკამათება, რათა თეზისა და ანტითეზის შეპირისპირების მეონებით მკითხველი, უფრო ცხადად დაინახოს ავი და კარგი.

ამ წიგნში არის ერთი შერჩილი — „ბუტბუტებს მტკვარი“. ამ წერილშიც ასევე ლ. კალანდაძის ფიქრებია გამუღავნებული. ფიქრები ენაზე, ფაქტიურად ეს წერილი გამოძახილია აგავის ცრუმეცნიერული დასკვნებისა, რომლებიც ამ რამდენიმე წლის წინათ იძეჭდებოდა ცენტრალურ პრესში. ლ. კალანდაძე პოეტური ბუნების, პოეზიაზე შეკვარებული პიროვნებაა და მკითხველს ამ თვალსაზრისით უმუღავნებს თვის ფიქრს. პოეტური სიტყვის უდიდესი ძალის მეონებით იგი ერთხელ კიდევ ადასტურებს ენის ფენომენის უკვდავ მნიშვნელობას ერის სულიერ ცხოვრებაში.

იყო კრიტიკოსი, ეს იმას ნიშნავს, რომ იყო საზოგადო მოღვაწე და საზოგადოების საკირბოროტო საკითხებში უმაღლერი, დააჩქრო საზოგადოებში მომწიფებული რომელიმე პროცესის განვითარება, ან კიდევ პირიქით — შეკამათებოდა კოლეგებს, უმაღლ და თავაზიანად მიეთითებინა მათს შეცდომებშე, განემარტა, რომ ისინი ცდებიან.

— ხმამაღლა თქვა იმის შესახებ, რომ ეს პროცესი არაფერს კარგს არ მოუტანს საზოგადოებას. აი, ამით იქცევა ხოლმე კრიტიკა საზოგადოების ფილოსოფიის მატრიცებლად, მის მკაფიოდ გამომხატველად. ამ შემთხვევაში კრიტიკას, ალბათ, უფრო მეტი მისია აკისრია, ვიდრე პოეზიას, პროზას, დრამატურგიას.

თავისი ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე ლ. კალანდაძეს არაერთხელ ჰქონია შემთხვევა, ელაპარაკნა საზოგადოებრივი ცხოვრების სატკივარზე, გვერდში ამოსდგომოდა და გამოხატვებინა რომელიმე კარგი წამოწყება, ან კიდევ პირიქით — შეკამათებოდა კოლეგებს, უმაღლ და თავაზიანად მიეთითებინა მათს შეცდომებშე, განემარტა, რომ ისინი ცდებიან.

„ლიტერატურულ შერილებში“ რამდენიმე პოლემიკური ხსიათის შერილია შესული. ლ. კალანდაძემ შეიძლება თავიდან ბოლომდე უარი თქვას რომელიმე ავტორის მოსაზრებაზე, საკმაოდ დამაჯერებელი კონტრარგუმენტიც წამოაყენოს, მაგრამ არასოდეს ეცდება იაფი ხერხებით. ნიშნისმოგებით მკითხველი გააცინოს და ამით უღირსპესოს მოკამათე. ესეც ხომ ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია პიროვნების,

შექმნის „შინაგანი კულტურისა-როგორ არა ჰგავს ეს პოლემიკა იმას, ახლა რომ იმართება ზოგ-ჯერ ჩვენი უურნალ-განეფების ფურცლებზე და სინამდვილეში საბრალდებო აქტებს უფრო ჩა-მოჰყავს, ვიდრე შექმნალთა დია-ლოგს, საზოგადო მოღვაწეთა ჭი-რისუფლურ ლაპარაკს ამა თუ იმ პრობლემაზე.“

ლ. კალანდაძე ეკამათება გ. ხუ-ხაშვილს ანა კალანდაძის იმ ლექ-სების თაობაზე, რომელიც ამ 15-16 წლის წინათ დაუსტაბავს პო-ეტს. ჩვენთვის ცხადი ხდება, რომ იმ დროს ახალგაზრდა კრიტიკო-სის ზოგიერთი მოსაზრება, მარ-თლაც. მცდარია და იგი უსამარ-თლოდ საყვედლურობს პოეტს, რო-ცა აკრიტიკებს მის ლექსებს. „ღრუბლები“, და „ზედაზნის

ტყეებზე ციმციმებს ვენერა“, მაგ-რამ ლ. კალანდაძე ტაქტითა და წმინდა ლიტერატურული არგუ-მენტირებით მიუთითებს მის გა-მო.

ლ. კალანდაძე ეკამათება აკად. აკაკი შანიძეს „ვეფხისტყაოსნის“ 1183-ე სტრიქონის მეორე ტაქ-ტის „ამა ორთა კიდევგანთა აზრი არა არ იქნების“ თაობაზე, საყუ-რადღებოა აგრეთვე მისი პოლე-მისტური პათოსით დაწერილი წერილი ლიტერატურისა და ხე-ლოგნების ფუნქციის გამო გან. „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურ-ცლებზე გაშლილი დისკუსიის შესახებ.

„ლიტერატურული წერილები“ მისი ავტორის თვალსაჩინო კრი-ტიკულ-ლიტერატურული მოღვა-წეობის ერთგვარი შეჯამებაა.



„შინაგანი რჩდენის“ მონოგრაფიული

განვითარებულის აირვალი ხდა



ლალი ავალიანი



განხორციელებულია ცისფერ-ყანწელთა ლიტერატურული ჯგუ-ფის იდეურ-ესთეტიკური ნააზ-რევისა და მხატვრული შემოქმე-დების მონოგრაფიული შესწავ-ლის პირველი ცდა — გამოვიდა ნელი დუმბაძის წიგნი.

„ქართული სიმბოლი-
ზმი“.

„ცისფერი ორდენი“ ისტორიის კუთვნილებად იქცა. მას ირგვლივ ერთხანს გამეფებულ დუმილსაც მოექმ ბოლო: ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში გამოჩნდა და რამდენიმე მომცრო ნარკვევი, გვიფის მოღვაწეობის ამა თუ იმ ასპექტს რომ ეხებოდა. ყოფილი ცისფერყანწელების: ტ. ტაბიძის, ვ. იაშვილის, ვ. გაფრინდაშვილის, გ. ლეონიძისა და სხვათა პოეზიის მონოგრაფიული შესწავლითაც ნაწილობრივ წარმოჩნდა „ცისფერი ორდენის“ ავ-კარგი.

ზემოხსენებული ნაშრომები მა-ინც ვერ აქვებენ იმ ხარვეზს, რაც ნაშროვილად შეინიშნება წვენს ლიტერატურისმცოდნეობაში: XX საუკუნის 20-იანი წლების ქართულა სალიტერატურო დაგუფებანი დღემდე არ გამხდარა მონოგრაფიული კვლევის საგანი. ეს კი უთულდ საშური საქმეა, რათა უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის ეს ურთულესი მონაკვეთი „თეთრ ლაქად“ არ დარჩეს შემდგომი თაობებსათვის.

მომავალში უთულო მეტი ყურადღება მიექცევა XX საუკუნის რევოლუციამდელი ქართული მწერლობის კვლევასაც. ამ მხრივ

სამაგალითო და მისაბაძია გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის სამტო-მიანი ფუნდამენტური ნაშრომი, «Русская литература XIX — начала XX в.» (1890—1917), M., 1968, 1971, 1972; რომელიც ბოლო წლების საჭიროა ლიტერატურისმცოდნეობის მნიშვნელოვანი შენაძენია.

სავსებით კანონზომიერია, რომ „ცისფერი ორდენის“ შეფასებისას, ჩვენი ლიტერატურისმცოდნეობა დღეს უარს მდგრად 30-იანი წლების კრიტიკის ერთგვარად დაუნდგელ ტონზე და პირუთვნელ, დაზიანებულ მსაჯულად გვევლინება.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ნელი დუმბაძის ნაშრომის გამოქვეყნება თავის-თავად მისასალმებელი ფაქტია.

დასაწყისშივე შევნიშნავ, რომ 10-20-იანი წლების რთული ლიტერატურული პროცესის „სისტემაში მოყვანა“ იმთავითვე მრავალ დაბრკოლებას შეუქმნიდა მკვლევარს. გავითვალისწინოთ საარქივო მასალის სიმცირე და ცისფერყანწელთა პერიოდიკის სრული კომპლექტების უქონლობაც, იმდროინდელი კრიტიკული აზროვნების ნაწილობრივი გადაფასება თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეთა მიერ...

სწორედ ამიტომ, არც იყო მოსალოდნელი, რომ ცისფერყანწელთა ჯგუფის მონოგრაფიული შესწავლის პირველი ცდა უნაკლი იქნებოდა.

უწინარეს ყოვლისა, შევეხები ავტორის მიერ გამოყენებულ კრიტიკულ თუ მემუარულ ლიტერატურას.

ცისფერყანწელთა ჯგუფის შესახებ ასებული თანამდებობები კრიტიკული ნაშრომების სიმცირის კვალობაზე მოსალოდნელი იყო. რომ მკვლევარი გამოწვლილვით შეისწავლილა ამ წყაროებს, გულდასმით გაეცნობოდა აგრძოვე მემუარულ ლიტერატურასაც. რაც შეეხება 10-20-იანი წლების სალიტერატურო კრიტიკას, ამ პერიოდის ყველა მკვლევარი დამეთანხმება, რომ ნელი ღუმბაძე მისთვის საინტერესო უმრავ მასალას მიაგნებდა იმდროინდელ პრესაში.

ამ მხრივ ნაშრომში ყველაფერი რიგზე არ არის. ცისფერყანწელთა ჯგუფის, ცისფერყანწელი პოეტების თეორიული თუ მხატვრული პროფესიის კვლევას სათანადო სიღრმესა და ძალმოსილებას მიანიჭებდა მირიან აბულაძის, გურამ ასათიანის, გიორგი მარგველაშვილის, თამაზ ჩხერიელის, ალექსანდრე ტურკოვის

ცალკეული წერილების გათვალისწინება¹. დავით კლდიაშვილის, სერგო კლდიაშვილის, ნინო ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, შალვა დემეტრაძის, ანდრე ბელის, ბორის პასტერნაკის, ილია ერებნიშვილისა და სხვათა მოგონებები კი დაეხმარებოდა მკვლევარს ჯგუფის ისტორიის ზოგიერთი საკითხის დადგენაში, ხოლო „ცისფერი ორდენის“ დახსიათებას მეტკოლორიტს შესძენდა.

უურნალ „ცისფერი ყანწების“ გამოსვლის ქუთასისა თუ თბილისის მრავალი გაზეთი გამოეხმაურა, ავტორი კი სრული დაუკმებდობით აცხადებს: „ცისფერი ყანწების“ გამოცემას ფ. მახარაძის დასახელებული წერილის გარდა, ოფიციალური გამოხმაურება არ მოჰყოლიაო“ (გვ. 87). ამ: მოსაზრების გასაბათილებლად ლ. შენგელაისა, თ. ჭუმბურიძის, „სტუდენტის“, „ისარის“, „Mian“-ისა და სხვათა წერილების, დ. კასრაძისა და კ. მიქელაძის ლექცია-მოხსენებების გახსენებაც კმარა. არც 20-იანი წლების კრიტიკა გამხდარა მკვლევარის საგანვებო

¹ ცხადია, ავტორი ვერ გაეცნობოდა გრიგოლ ხერხეულიძის, გალინა ფურიავასა და სხვათა უახლეს საინტერესო ნაშრომებს.

უურაზღვების ობიექტი. ავტორი სრულად უაუღებელყოფს დიდმნიშვნელოვან საკითხს — ცისფერყანწელთა ჯგუფისა და 20-იანი წლების სხვა სალიტერატურო დაგუფებების ურთიერთშემომართებას; 30-იანი წლების მდიდარი კრიტიკული პროდუქციიდან კი მხოლოდ ბ. ბუაჩიძის წერილებს ეხება.

აღნიშნული ლიტერატურის გათვალისწინება, მიღროინდელი ჰერიონიების გულზაგულ ჩხრეკა უთუოდ გაამდიდრებდა ნაშრომში და ცასფერყანწელთა ჯგუფის ისტორიასაც უფრო სრულყოფილად წარმოგვიღებდა.

ნაშრომში უგულებელყოფილია „ცისფერი ორდენის“ მოღვაწეობის ბევრი ღირსსაცნობი ეპიზოდი: ჯგუფის საჯარო გამოსვლები, მისი მცდელობა უურნალ „ცისფერი ყანწების“ მესამე ნომრისა და ამავე სახელშიდების ყოველკორეული გაზეთის გამოცემისათვის: ავტორი არ იცნობს შ. აფხაძის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტს ჯგუფის თვითლივიდაციის შესახებ და ა. შ.

წყაროთა უგულებელყოფის კიდევ ერთი მაგალითი: კიტა აბაშიძისა და ცისფერყანწელების სიახლოების დასტურად მკვლევარს მხოლოდ შ. აფხაძისა და კ. ნადირაძის მოვლენები მოაქვს;

მაგრამ შეუძლებელია მათი ურთიერთობის სათანადო წარმოჩენა იმდროინდელი პრესის მონაცემების, დავით კლდიაშვილის მემუარების („ჩემი ცხოვრების გზაზედ“) პირველი პუბლიკაციის და რაც მთავარია, თვით კიტა აბაშიძის წერილის „გონის მოდით!“ (გაზ. „ჩევნი მევობარი“, 1916, № 15; „ცხოვრება და ხელოვნება“, თბ., 1971) გაუკვალისწინებლად.

შესავალში ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ფრანგულ და რუსულ სიმბოლიზმს, ეხება სიმბოლიზმის ესოეტიკასა და ფილოსოფიურ საფუძვლებს. მეორე თავი „სიმბოლიზმი ქართულ ლატერატურაში“ მოიცავს შემდეგ ქვეთავებს: 1. „ცისფერი ყანწების“ ორი იული წარმომადგენერის საკითხებისათვის . („საკითხებისათვის“ ერთ-ერთი იმ კორექტურულ შეცდომათაგანია, ასე უბად რომ არის გაბნეული ნაშრომში), 2. „ცისფერი ყანწების“ ორგანიზაცია, პრესა, 3. ცასფერყანწელთა შემოქმედება (პ. იაშვილი, გ. გაფრინდაშვილი, ტ. ტაბიძე, კ. ნადირაძე, ს. კლდიაშვილი, შ. აფხაძე, ს. ცირკებიძე, შ. კარმელი). ბოლო თავს — „სოციალისტური რეალიზმის გზით“ — ერთვის „მოკლე დასკვნები“. ავტორი გულდამით აანალი-

ზეპს ცისფერყანწელთა ჭგუფის თეორიულ წანამძღვრებს (გვ. 54-81), მაგრამ სულ რამდენიმე ფურცელს უთმობს მათ ორგანიზაციასა და ბეჭდურ გამოცემებს (გვ. 82-91). ცისფერყანწელი პოეტების თეორიულ-მხატვრული ნაზრევის ერთმანეთისაგან გამოცალევებულად განხილვამ (გვ. 92-206) დაქუცმაცა, აღსაქმელად რთული გახადა „ცისფერი ორდენს“ საერთო კონტურები.

ნელი დუმბაძის უეჭველ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ჭგუფის ქართველი იდეური წინამორბედების წარმატებით დაგვირგვინებული ძიება. მხედველობაში მაქვს არჩილ ჯორჯაძისა და კირა აბაშიძის ეროვნულ-პოლიტიკურ და ესოოტიკურ შეხედულებათა ზეგავლენის ჩვენება ცისფერყანწელთა იდეურ-მხატვრული მრწამსის ჩამოყალიბებაზე.

ავტორი ააშეარავებს ცისფერყანწელების პოლიტიკური იდეალების უნიათობას, მათი ესთეტიკური შეხედულებების დეკადენტურ არს. მკვლევარი სრულიად სამართლიანად მიიჩნევს. რომ „ცისფერი ორდენი“ მოლოდ უცხოური სიმბოლიზმის მიბაძვით არ შექმნილა, იგი ითვალისწინებს „ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ისტორიულ და პოლიტიკურ მდგომარეობას, რომელ-

მაც განაპირობა დეკადენტური მიმდინარეობის წარმოშობა მეოცე საუკუნის დასაწყისში“ (გვ. 49). ფასეულია ნაშრომი იმითაც, რომ ნელი დუმბაძე თვალსაჩინოს ხდის სიმბოლიზმის ანტირეალისტურ, ანტიპუმანისტურ ბუნება. რისთვისაც უხვად იშველიებს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებისა და პროგრესული მწერლების მოსაზრებებს.

სიმბოლიზმის, როგორც იდეალისტური მსოფლმხედველობის კრიტიკას ხელი არ უნდა შეეშალა ავტორისათვის ჭგუფის პოზიტიური მხარის გამომზეურებაში.

„ცისფერი ორდენს“ ავტორის უცხლი შეფასება უპირატესად ნეგატიურია, ნაკლებადაა გათვალისწინებული მისი მხატვრული მიღწევები; არ არის გამოკვეთილად ნაკვენები „ცისფერი ორდენის“ (და არა ცალკეული პოეტების) გადახრები ორთოდოქსული სიმბოლიზმის პოზიციიდან.

ზოგჯერ რეცენზენტი წიგნის ავტორს უსაყვედურებს, რატომ არ გაქვს განხილული და შესწავლილი ესა თუ ის საკითხო, მაშინ, როდესაც ამგვარი საკითხების კვლევა სრულიადაც არ შეადგენდა ავტორის მიზანს. ამგვარ ცოობილებათა ასარიდებლად

შევეცდები, ერთი მხრივ, მკვლევარის მიზანდასახულება გავითვალისწინო, მეორე მხრივ, წარმოვაჩინო — წარმართავს თუ არა ავტორი კვლევას თავისი მიზანდასახულების შესაბამისად.

როგორც შესავლიდან ჩანს, სარეცეპზიონ ნაშრომი ცისფერყანშელთა სალიტერატურო დაგვუფების მონოგრაფიული შესწავლის. ქართული სიმბოლიზმის სპეციფიკის, მის ეროვნულ თავისებურებათა დადგენის ცდას წარმოადგენს (გვ. 4).

ქართული სიმბოლიზმის სპეციფიკის დადგენისათვის მკვლევარს უნდა გაეთვალისწინებინა იმდროინდელი ქართული პოეზიის მდგრამარეობა.

ილიას მოკვლამ, ხოლო 1915 წელს აკაკისა და ვაჟას გარდაცვალებამ მოამთავრა ერთი ბრწყინვალე პერიოდი ქართული პოეზიისა, „მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“. ქართულ პოეზიაში თითქოს გამეფდა მყუდროება ქარიშხლის წინ. ძველი გზით სიარული აღარ ხერხდებოდა, ახლის გამკვალავი კი ჯერ არავინ ჩანდა. ილიასა და აკაკის გავლენისაგან თავის დაღწევა ადვილი არ იყო. რეაქციის წლებში ქართულ პოეზიაში მოშრავლენენ ეპიკონები, უნიათ მიმბაძველები, რომლებმაც დამ-

დაბლეს, დააქვეითეს ქართული კლასიკური ლექსი.

რა თქმა უნდა, შეცდომა იქნებოდა 10-იანი წლების ქართული პოეზიის მთლიანად, ხელაღებით, ნეგატიურად შეფასება. მაგრამ საქმე ის არის, რომ მიმბაძველობა ნამდვილად, აშკარად შეინიშნებოდა იმდროინდელ ქართულ პოეზიაში.

ყოფილი ცისფერყანშელი კოლაუნადირაძე იგონებს: „გვწარდა, რომ არსებითად სწორ გზას ვაღებით, რომ ქართული ლექსის ფორმა და მისი აღნაგობა დაკინებას განიცდიდა, რომ აკაკი წერეთლის მიერ სავსებით ამოწურული ქართული ლექსის აკაკისებური წყობა გადაიქცა შტამპად, შაბლონად, რომ აკაკის ეპიკონება დაუკარგეს ქართულ ლექსის სილამაზე და უღერადობა, გაუტრალიეს, დაუყრუეს იგი. ქართული ლექსი გახდა გემოვნების დაცემისა და საოცარი ჩამორჩენილობის მაჩვენებელი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს რუსთაველი უფრო თანამედროვე პოეტი იყო, ვიდრე აკაკის მიმბაძველ პოეტთა ლეგიონი“ („ლიტერატურული საქართველო“, 1967, № 40).

სხვა საკითხია, რომ სწორედ ამ დროისათვის იძენდა ბრწყინვა-ლებას ს. შანშიაშვილის, ა. აბა-

შელის, ი. გრიშაშვილის პირველი პოეტური ცდები. და რაც მთავარია, ამ დროს უკვე ქმნიდა გალაკტიონი, რომელიც ყოველთვის განზე იღგა 10-20-იანი წლების სამწერლო დაჯუფებებისაგან. ის „მარტო“ იყო და ამ „სიმარტივეში“ მოიპოვა XX საუკუნის ქართული პოეზის მეუფის, ქართული ლექსის დიდი რეფორმატორის სახელი.

ეჭვი არ იწვევს ცისფერყანწელთა ღვაწლიც; მათ ღრმად ჰქონდათ გაცნობიერებული იმდროინდელი ქართული პოეზის გარკვეული წილის ეპიკონზმი და უსუსურობა. ქართული ლექსის განახლებისათვის მათ სიმბოლიზმს მიმართეს.

ნელი დუმბაძის ნაშრომში ცისფერყანწელთა ღვაწლი უფრო ობიექტურად წარმოჩნდებოდა, ავტორს იმდროინდელი ქართული პოეზის მდგომარეობა რომ გაეთვალისწინებინა.

მონოგრაფიის ავტორი უგულებელყოფს ცისფერყანწელთა საარაკო ძმობა-მეგობრობას.

პ. იაშვილი წერდა: „ცისფერი ყანწები“ ერთი პოეტია. ამაშია მისი ძალა. შვიდი წელიწადი გაფელით ჩევენ გაუძლებელ საქართველოში, რაღვან სიყვარულის გარდა ვიცოდით ერთმანეთის პა-

ტივისცემა“ („ბარბიკალი“, 1924, № 1).

განა საგანგებო ყურადღების ღირსი არ იყო ის ფაქტი, რომ „ცისფერი ორდენის“ მოპაექრენიც კი ქედს იხრიდნენ მათი ურყევი სიმტკიცის წინაშე? ცისფერყანწელებს „ერთმანეთი უყვართ. ერთმანეთს აფასებენ, ახალისებენ, გულს უკეთებენ, ეხმარებიან და ეს კი მეტისმეტად საჭიროა მწერლისათვის. ...ჩევნი აზრით, ეს ერთი დიდი ფაქტორთაგანია „ყანწელების“ არსებობისა. ...ისინი მაინც მაგარნი არიან და იქნებიან თავისი შინაური ინტიმით“ („მნათობი“, 1926, №5-6).

მკვლევარი ერთგან შენიშნავს: „ცისფერი ყანწების“ შემოქმედების ნათელი მხარეა... ქართული პოეზის განახლების, ქართული კულტურის წინსვლისათვის გზების დაუცხრომელი ძიებაო“ (გვ. 239); მაგრამ ეს განცხადება ლიტონ ფრაზად რჩება, რადგან ნაშრომში ცისფერყანწელთა ადრინდელი პოეზის განხილვისას „ქართული პოეზის განახლებისათვის გზების დაუცხრომელი ძიება“ არ ჩანს: ავტორისეული ანალიზი რდენ ნეგატიურ სურათს წარმოგვიჩნენ.

ავტორს საგანგებოდ უნდა გა-

პოეტეთა ცისფერყანწელთა ჯგუ-
ფის განსაკუთრებული როლი იმ-
დროინდელ სალიტერატურო და-
ჯგუფებში. აյი „ცისფერი ორ-
ცენტრის“ პრინციპული „მტრე-
ბიც“ კი აღიარებდნენ მათ მხატ-
ულულ მიღწევათა ძალმოსილე-
ბა? პრილეტარული მწერლობის
წარმომადგენელი შ. დუდუჩია
წერდა: „ლექსის ტეხნიკის გამშ-
ვების უმაღლეს ხარისხიან-
დის აუკვეთეს სიმბოლის სტეპშა. ...
მათი პოეტური შემოქმედების
გამსხვეულებას მშვინიერი ტეხნი-
კა — უდაო ფაქტია. თავისი ელა-
სტრუქტი ტეხნიკით სიმბოლის-
ტებმა „მოაგაღოვეს“ თითქმის
ყველა პ. ეტები. ... სიმბოლიზმის
გავლენას ვერ ააცდა ურც ერთი
პოეტი, ვერც ერთი ჯგუფიონ“
(ვაჲ. „კომუნისტი“, 1923, № 84).

ცისფერყანწელი პოეტების ბე-
ვრი ადრინდელი ლექსი თუ „ო-
რია“ ერთვარი „პოზია“, გამი-
რთლებული ტ. ტაბიძის „ნიღაბის
აპოლოგიით“. ავტორი არ ითვა-
ლის შინებს ნიღაბმომარჯვებული
ცისფერყანწელის „ოინეპს“,
ამიტომაც მისი მიმართება ცის-
ფერყანწელთა თვორიული თუ
მხატვრული პროდუქციისაგადი
ნშირად ზედმეტად სწორხაზოვა-
ნია.

მოხსენიების ღირსი იყო უთუ-

ოდ ცისფერყანწელთა გულითადი
მეგობრობა რუს პოეტებთან, მა-
თა შემოქმედებითი თანამშრომ-
ლობა ქართულ-რუსული კულ-
ტურული ურთიერთობის განმტ-
კიცებისათვის.

ცისფერყანწელთა ძმობას მო-
ნოგრაფიის ავტორმა, სრულიად
დაუსაბუთებლად, გამოიყლო ერ-
თობ კოლორიტული ფიგურა —
„ადრინდელი“ გიორგი ლეონიძე.
მართალია, პოეტი „ცისფერი ორ-
დენს“ მოვიანებით, 1918 წლი-
დან მიემბრო, მაგრამ „ბაქტრიო-
ნის“ რედაქტორის იმეამინჭელი
თეორიული შერილებისა თუ ლე-
ქსების გაუთვალისწინებლობა ცა-
სიფერყანწელთა „ჯგუფური პორ-
ტრეტის“ გამოუსწორებელ ხარ-
ეზად მამჩინია.

ნაშრომის მიხედვით შეიძლება
შეიქმნეს შთაბეჭდილება, რომ
„ცისფერი ორდენი“ მაშინ ერ-
თადერთი დეკადენტური ჯგუფი
იყო საქართველოში, ხოლო სხვა
შეწერლების შემოქმედება კი რე-
ალიზმის ტრადიციული გზით მი-
ემართებოდა. დეკადენტიზმით გა-
ტაცება ხომ საერთო სენი იყო იმ
ეპოქისა! მკვლევარი ამაზე არა-
ფერს გვეცნება.

ნაშრომში გვხვდება ცალკეუ-
ლი ხარვეზები. კერ საღავო მოსა-
ზრებებს შევეხები:

1. ნაშრომის უდიდესი ნაწილი

ნუეფცაის ერთგვარ დაგვიანებულ
მარტოლთან. მასში იგრძნობა ქა-
ლური ფსიქიკით აღქმული სო-
ლოვონისეული ფილოსოფია
ეროსისა, ხოლო ვათვის მისტიკუ-
რი „მუდმივი ქალურობის“ თეო-
რიის გვლენა, სიყვარულის, რო-
გორც „ყოვლადერთიანობის“ აღ-
ქმის საჭიროება“ (გ. მერკვილაძე).

ასეთი გზული ექსკურსი იმი-
სათვის დაგვეირდა, რომ გვეჩვე-
ნებინა: „დარიანული“ ლექსები
ყველა შემთხვევაში სერიოზული
კვლევის ობიექტია. წინამდებარე
ნაშრომის ავტორი კი მათ „ევას
მოდგმის დამდაბლებული, ცხო-
ველურ ინსტრუქტორდე დაუცანილი
სურეილების“ გამოხატულებად
(გვ. 97), „წმინდა პორნოგრაფიულ
ლექსებად“ (გვ. 109) მიიჩნევს და
ვახხილვის ლიტერატურულ თვლის.

2. გვხვდება მეორე უკიდურესობაც: კოლაუნ ნაღირაძის ტიპი-ურ ურბანისტულ ლექსში „ავზნიანი ქალაქი“, რომელშიც ავტორი სარკს უხდის „სიმახინჯის ესთეტიკას“, მცვლევარს „კაბიტალიზმს კონკრეტული კრატიკა“ დაუ-ნახავს (გვ. 152).

3. ხშირად მკვლევარი ამა თუ
იმ ნაწარმოების კონკრეტულ იღე-
ულ-მხატვრულ ანალიზს (რაც
ცისფერყანწელთა იმპრონიქთელ

პოეზიაში გარკვეულ სიძნელეებს უკავშირდება) ფაქტიურად თავს არიღებს და ამგვარი განცხადებებით კმაყოფილდება: „მთელი ეს-კიზი (ს. ცირეკიძისა — ლ. ა.) ...მკითხველისათვის გასაიდუმლობული და ბუნდოვანია“ (გვ. 165); „ძნელია წარმოიდგინო ქარვისფერი ლოცვა. ბუნდოვანია აგრეთვე სტრიქონი — „მიიღე ჩემგან საალერსოდ ეს მინანქარი“ (გვ. 174) — ეს პასაჟი შ. აფხაიძის ლექსი „Santa Marria“-ს ეხება; „აგრეთვე ლექსები (შ. აფხაიძისა — ლ. ა.) „ოიკაგამა“ (მართლწერა დაცულია. ლ. ა.) და „სოლო სიონში“ ბუნდოვანი ლექსებია“ (გვ. 175); „შ. აფხაიძის ლექსი „ლოთისმშობელი პროსპექტზე“ რებუსის ჩინებული ნიმუშია“ (გვ. 175); პ. იაშვილის „ფარშავანგები ქალაქში“ დატვირთულია სახეებით, რომლებიც ძნელი გასაშიფრავია, ბუნდოვანია“ (გვ. 98); პ. იაშვილის „წითელი ხარი“ „დატვირთულია ბუნდოვანი სახეებით, რომლებიც აპნელებს აზრს, იდეას. ყველაფერი ეს აპნელებს პოეტის უშუალო კონტაქტის დაღვენას თემასთან, საერთოდ სინამდვილესთან (?)“ (გვ. 107).

ამბობენ, „პოეტური ნაწარმოები უთუოდ წააგავსო შიფრით ნაწერს“ (კ. გამსახურდია). ზემო-

ხსენებული ლექსების „გაშიფრვა“ კი აუცილებელიცაა და შესაძლებელიც.

4. ცისფერყანწელები ჭეშმარიტი პატრიოტები იყვნენ, ფრანგი სიმბოლისტებისაგან განსხვავებით, მათვის უცხო არ იყო ეროვნული ტკივილი, მაგრამ არამართებულია მოსაზრება: „თვითმკვლელობა და ლოთობაც კი მათს პოეზიაში დაკავშირებულია მშობლიური ქვეყნის ბედუქულმართობასთან“ (გვ. 239). თვითმკვლელობისა და ლოთობის კულტი ხომ საერთო კომპონენტებია სიმბოლისტური პოეზიისა!

5. არადამაჯერებელია „ცისფერი ყანწების, სახელწოდების ავტორისეული გააზრება: „ცისფერი — რომანტიკული, ოცნება დამოუკიდებელი, ძლიერი სახელმწიფოს აღდგენაზე“ (გვ. 90). „ცისფერი“ — „არ ამ ქვეყნიური“, მიღმური ფერია. ის ცისფერყანწელთა ტრანსცენდენტურისაკენ სწრაფებს უნდა უკავშირდებოდეს და არა მათ ეროვნულ იღეალებს.

ნაშრომში მოიძევება ცალკეული უზუსტობანი და ფაქტობრივი შეცდომები: არტურ რემბოს „მთვრალი ხომალდის“ თარგმანს ავტორი პ. იაშვილის ნაცვლად ტრაბიძეს მიაწერს (გვ. 25); 32-ე გვერდზე ვკითხულობთ: „ლიტერატურული დაგგუფების „პარნა-

შისა „წარმომაზგენელი შ. ბოდ-ლერი საბოლოოდ სიმბოლიზმი მიეკავდა“. 1867 წელს გარდაცვლილი პოეტი 70-80-იან წლებში ჩამოყალიბებულ ფრანგულ სიმბოლიზმს ვერ „მიეკავლებოდა“: მცვლევარის „გამოანგარიშებით“, უურნალ „ცისფერი ყანწების“ პირველი ნომერი 1916 წლის მარტის დამდეგს გამოსულა (გვ. 82). უურნალის პირველი ნომრის გამოცემის ნამდვილი თარიღის (28 თებერვალი) დასადგენად ქუთაისისა და თბილისის იმდროინდელი გაზეთების „მეგობრის“, „სამშობლოს“, „სახალხო ფურცლისა“ და „საქართველოს“ გადათვალიერება იქმარებდა; ცალკე თავს უძლვნის ავტორი ცისფერ-ყანწელთა პრესას (გვ. 82-91), მაგრამ „ცისფერი ორდენის“ პერიოდიკის მიმოხილვას კი არა, მისი ყველა ბეჭდური გამოცემის ჩამოთვლასაც კი ვერ ახერხდა. მაგალითად, გაზეთებს „ბათქორიონსა“ და „რუბიკონს“ საერთოდ არ ასახელებს: ავტორი წერს, რომ 1912-13 წლებში პ. იაშვილი „ოქროს ვერს“ რედაქტორობდა (გვ. 92). ამ უურნალის რამდენიმე ნომერი 1913 წელს გამოვიდა. უმართებულია განცხადება, „საქართველოში დაბრუნებულ პაოლო იაშვილს პირველი იმპერიალისტური ომით დანგრე-

ული (?! სამშობლო დახვდაო“ (გვ. 98). ყურს ერთირება უხეორო ფრაზები: „შემთხვევითი არ არის ის, რომ ლექსი იწყება და მთავრდება ვრუბელთან და პოდლერთან ვალერიან გაფრინდაშვილის ინტიმური ურთიერობით“ (გვ. 111); „ეს არის აღიარება „წმინდა ხელოვნების“ სამსახურისა, საითკენაც ტიციან ტაბიეს უბიძეგბდა სინამდვილესთან შეურიგებლობა, აწმყო ცხოვრებასთან კონტრასტი (თუ კონტლიქტი? — ლ. ა.)“ (გვ. 131).

უსამართლობა იქნებოდა, რომ ნაშრომში გაბნეული უამრავი კორექტურული შეცდომისათვის პასუხისმგებლობა მხოლოდ ავტორს დაკისრებოდა. თუმცა შეცდომაც არის და შეცდომაც: როცა გვხდება „შემოქმედბა“ (გვ. 187), „ინსტუიცია“ (გვ. 188), „მთვარია“ (გვ. 29) და მისთანანი, ეგ არაფერი; მაგრამ რა ვუყოო „შ. მორეასს“, „პ. უელსს“, „რ. დაბაიზერს“ (გვ. 20-21), „კოსმოპოლიტიკურს“ (გვ. 81), „სკარპიონს“ (გვ. 38), „ზოლოტორუნცს“ (გვ. 38, — „ზოლოტორესაცნოს“ ნაცვლად!), რამდენჯერმე განმეორებულ „ირრეალურს“ (გვ. 158, 190, 191) და სხვ.? არის

შეცდომები რუსულ ენაზე დამო-
წმებულ ციტატებშიც.

დაბოლოს, კიდევ ერთი საკით-
ხი. მკვლევარის აზრით, „ცისფერი
ყანწები“ არ წარმოადგენდა მარ-
ტორდენ სიმბოლიზმის ნაირსახე-
ობას. იგი ეკლექტიზმის გზას ად-
გა, იმ დროისათვის ფართოდ გავ-
რცელებულ თითქმის ყველა იზ-
მებს ენათვესავებოდა“ (გვ. 238).
თავისთვის ამ მოსაზრების საწი-
ნააღმდეგო იქნება არაფერი
გვქონოდა, ავტორს თვალნათლივ
რომ წარმოეჩინა სხვადასხვა
„იზმების“ კვალი ცისფერყანწე-
ლთა თეორიულ თუ მხატვრულ
ნაწარმოებებში. ცისფერყანწელ-
თა ეკლექტიზმი ხომ იმთავითვე
იყო შენიშნული: „ეს ის ხალ-
ხია, რომელიც ათი წლის განმავ-
ლობაში ოცნებობდნენ ლიტერა-
ტურული სკოლის შექმნაზე და
დღემდესაც ვერ შემოფარგლეს
თავის იდეოლოგიური და ესთე-
ტიკური არე და დღესაც პიბრი-
დულ ...მდგომარეობაში არიან
Credo-s მხრივ“ — შერდა გაზ.
„ტრიბუნა“ 1923 წელს.

ძნელია ვილაპარაკოთ „ცისფე-
რი ორდენის“ მტკიცე და ერთიან
იდეურ-ესთეტიკურ მრწამსზე,
მწყობრ მსოფლმხედველობაზე:
საქართველოში ცისფერყანწელთა
ჯგუფმა უფრო ბრწყინვალე პოე-
ტური ნიჭით, გულითადი ინტიმი-
თა და უანგარო მეგობრობით დაი-
მკვიდრა მდგომარეობა, ვიდრე ჩა-
მოყალიბებული, დასაბუთებული
თეორიული სისტემითა და მისი
შესაბამისი პოეტური პროცეს-
ციით.

ზემოთქმული „ცისფერი ორ-
დენის“, როგორც ლიტერატუ-
რული ჯგუფის სისუსტეზე მეტ-
ყველებს. ჯგუფის ამ თვალსაზ-
რისით შეფასება „ქართული სიმ-
ბოლიზმის“ ავტორს არ უცდია.

წინამდებარე ნაშრომი პირველი
ცდაა. უთუოდ გასათვალისწინე-
ბელია მასალის კვლევის სირთუ-
ლეც. მაგრამ ცისფერყანწელთა
ჯგუფის პოეტური მემკვიდრეობის
ყოველმხრივი, უფრო საფუძვლია-
ნი შესწავლისთვის გადადგმული
ეს პირველი ნაბიჯი საგულისხმოა
და მნიშვნელოვანი.



გ ა ძ ღ მ ღ მ ღ ა ...

„მეოცე საშპნის ქართული ლირიკის ისტორიიდან“ (კრებული II). კრებულში დაბეჭდილია გ. გაჩეჩილაძის, გ. მარგველაშვილის, ზ. აბზიანიძის, გ. კალანდაძის, მ. გვეტაძის, ა. ვახაძის და გ. ხერხეულიძის წერილები. მათში გ. ტაბიძის, ი. გრიშაშვილის, პ. კალაძის, გრ. აბაშიძის, ლ. ასათავანის, მ. მაჭავარიანისა და სხვათა ლირიკული ნაწარმოებების ანალიზის შუქქენაზენებია ქართული საბჭოთა ლირიკის განვითარების ზოგიერთი ხაყურადღებო ტენდენცია.

წიგნი გამოცემულია „მეცნიერების“ მიერ. თბილისი, 1973 წ. რედაქტორი — ბ. ულენტი; ტირაჟი 900 ცალი, ფასი 1 მანეთი და 14 კაპ.

ქართული ლირიკის ისტორიისადმი მიძღვნილი პირველი კრებული გამოვიდა 1971 წელს, სახელმწოდებით — „მეოცე საშპნის ქართული ლირიკის ისტორიის ნარკვენები“. მასში განხილული იყო ქართული რევოლუციამდელი ლირიკის ძირითადი ტენდენციები, სოციალისტური რეალიზმის დამკვიდრება ქად. „ტრიტია“ № 7.

რთულ პოეზიაში; აქევე დაბეჭდილი იყო მონოგრაფიული გამო-კვლევები გამოჩენილ ქართველ პოეტებზე.

* * *

რევაზ ჯაფარიძე. „აწონილი სიტყვა“ (კრიტიკული წერილები). მწერლისა და პუბლიცისტის რ. ჯაფარიძის ამ წიგნში შესული წერილების უმეტესობა პოლემიკური ხსიათისაა. ისინი შეეხება ლიტერატურისა და კრიტიკის, ხელოვნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალურ საკითხებს. ნაწილი წერილებისა პირველად ქვეყნდება.

წიგნი გამოცემულია „საბჭოთა საქართველოს“ მიერ. თბილისი, 1973 წელი. რედაქტორი — ჯ. ლვინჯილია, მხატვარი — დ. ღუნდუა. ტირაჟი 20.000 ცალი, ფასი 1 მანეთი და 5 კაპ.

* * *

შოთა რევიზვილი. „ასთეტიკური რევიზიონიზმი და

მარქსისტული ესთეტიკა“ (მონოგრაფია). ნაშრომი შედგე-
ბა ოთხი თავისაგან: თანამედრო-
ვე ესთეტიკური რევიზიონიზმი; პ.
მარქსისა და ფ. ენგელსის ბრძო-
ლა რეალიზმის თეორიის შესამუ-
შავებლად; პ. მარქსისა და ფ.
ენგელსის ესთეტიკური შეხედუ-
ლებები; პ. მარქსისა და ფ. ენ-
გელსის ესთეტიკური შეხედულე-
ბები 1849 წლის შემდეგ.

ფილოლოგიის მეცნიერებათა
ღოქტორის შ. რევიზიონის ამ მო-
ნოგრაფიაში ნაჩვენებია თანამედ-
როვე ესთეტიკური რევიზიონიზ-
მის პოლიტიკურ-კლასობრივი ხა-
სიათი და დასავლეთის საზოგა-
დოებაზე მისი მავნე ზემოქმედე-
ბა.

წიგნი გამოცემულია „საბჭოთა
საქართველოს“ მიერ. თბილისი,
1973 წელი რედაქტორი — გ. ბერ-
ძენიშვილი, მხატვარი — ტ. შეყი-
ლაძე. ტირაჟი 2.000 ცალი; ფასი
1 მანეთი და 87 კაბ.

* * *

თენციზ ბუაჩიძე. „გოგო-
ლი, დოსტოევსკი, ტოლს-
ტოი“ (ნარკვევები). პროფ. თ.
ბუაჩიძის ამ წიგნში გამოქვეყნე-
ბული ნარკვევები შეეხება მე-19
საუკუნის რუსული კრიტიკული

რეალიზმის დიდი წარმომადგენ-
ლების შემოქმედებას.

წიგნი გამოცემულია „მერანის“
მიერ. თბილისი, 1973 წელი. რე-
დაქტორი — ე. ქარელიშვილი,
მხატვარი — ს. ცინცაძე. ტირაჟი
3.000 ცალი, ფასი 34 კაბ.

* * *

ლევან ასათიანი. „ლიტე-
რატურული ცერილები, ნარ-
კვევები“ (კრებული). წიგნი შე-
დგება სამი თავისაგან: ლიტერა-
ტურული წერილები, ნარკვევები
ქართული ფელეტონის ისტორი-
იდან და ნარკვევები.

ცნობილი ლიტერატურისმცოდ-
ნისა და კრიტიკოსის ლ. ასათია-
ნის ამ წიგნში გამოქვეყნებულია
მისი რჩეული წერილები და ნარ-
კვევები. აქ მკითხველი გაეცნობა
ქართული ლიტერატურისა და
ურნალისტიკის ისტორიის სა-
კითხებს, რუს და ქართველ მო-
ღვაწეთა შემოქმედებით პორტ-
რეტებს, დოკუმენტურ ნარკვე-
ვებს.

წიგნი გამოცემულია „მერანის“
მიერ. თბილისი, 1974 წელი. რე-
დაქტორი — გ. მარგველაშვილი,
ტირაჟი 3.000 ცალი, ფასი 1 მა-
ნეთი და 28 კაბ.

* * *

გურამ გვერდითელი — „წერილები თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე“ (კრიტიკული წერილები). კრიტიკოსი ამ წიგნში თანამედროვე ქართველ მწერალთა შემოქმედებასა და ცალკეულ ნაწარმოებებს მიმოიხილავს. აქ შესულია აგრძელებული წერილები. ამ სტატიების უმეტესობა გამოქვეყნებულია პერიოდულ პრესაში.

წიგნი გამოცემულია „მერანის“ მიერ. თბილისი. 1973 წელი. რედაქტორი — ე. ქარელიშვილი, მხატვარი — გ. კალაძე. ტირაჟი 2.000 ცალი, ფასი 84 კაპ.

* * *

ნოდარ ნათაძე — „დროთა მიჯნაზე“ (გამოკვლევა). ნაშრომი შეიცავს ოთხ თავს: ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოტივი სასულიერო და საერო მწერლობაში; ადამიანი და საწუთო „ვეფხისტყაოსანში“; ძღვეალური ადამიანი. ხასიათის პრობლემა „ვეფხისტყაოსანში“; ადამიანის იდეალი რუსთაველამდე და მის დროს. წიგნს ახლავს აგრძელებული წინასიტყვაობა და ფართო შესავალი.

წიგნი გამოცემულია „საბჭოთა საქართველოს“ მიერ. თბილისი, 1974 წელი. რედაქტორი — მ. წიკლაური, მხატვარი — გ. წერეთელი. ტირაჟი 3.000 ცალი, ფასი 86 კაპ.

* * *

ჯანსელ დვინჯილია. „პროტიპული წერილები“. ჯ. ღვინჯილის პვლევის საგანს თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესი შეადგენს. ეს წიგნიც ჩვენი დღევანდველი ლიტერატურისა და კრიტიკის აქტუალურ მოვლენებს ეხება. ნაშრომში ავტორი აანალიზებს მ. ლებანიძის, შ. ნიშნიანიძის, ო. ჭილაძის და სხვათა შემოქმედებას.

წიგნი გამოცემულია „საბჭოთა საქართველოს“ მიერ. თბილისი, 1974 წელი. რედაქტორი — ნ. კანდელაკი; ტირაჟი 2.000 ცალი; ფასი 61 კაპ.

* * *

რევაზ მიშველაძე — „პროტიპული მონოლოგები“ (კრიტიკული წერილები). წიგნი ეძღვნება ლიტერატურისა და კრიტიკის პრობლემებს. აქვე დაბეჭ-

დილია პოვტებისა და მწერლების შემოქმედებითი პორტრეტები.

წიგნი გამოცემულია „საბჭოთა საქართველოს“ მიერ. თბილისი, 1973 წ.; რედაქტორი — დ. ციგროშვილი, მხატვარი — ტ. შეკილაძე. ტირაჟი 3.000 ცალი, ფასი 1 მანეთი და 20 კაბ.

* * *

ანა ღვინიაშვილი — „საზო მგელაძე“. მწერალ ა. ღვინიაშვილის ეს ნაშრომი უმთავრესად მისი ავტორის მოგონებებისა და შთაბეჭდილებებზეა აგებული.

წიგნი გამოცემულია „განათლების“ მიერ. თბილისი, 1973 წელი, რედაქტორი — ალ. გაბესკირია, მხატვარი — თ. კარბელაშვილი. ტირაჟი 2.000 ცალი; ფასი 10 კაბ.

* * *

„სოციალისტური ღიტერატურის მხატვრული ცორმის პროგლემები“. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მ. გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინატიტუტმა ამ სახელწოდებით გამოსცა ორტომეული, რომელშიც შევიდა ცნობილი ლიტერატურისმცოდნების ს. ბოჩაროვის,

ნ. გეის, ნ. ღრაგოშირეცაიას, ე. ერმილოვის, ლ. კიცელევის, ვ. კოჯინოვის, მ. კურგინაინის, ა. მიასნიკოვის, პ. პალიევსკის, ი. პილგაეცაიას, ი. ელსბერგის, მ. გრიშმანიას უაღრესად იტულური პრობლემებისადმი მიძღვნილი ნაშრომები.

პირველი ტომის ორ დიდ ნაწილში („შესწავლის საპექტები“ და „მხატვრული ფორმა და სინამდვილე“) ათი, მეორე ტომში კი („მხატვრული ნაწარმოების შინაგანი ლოგიკა და მხატვრული ფორმა“) შვიდი გამოკვლევა-სტატიაა დაბეჭდილი. ამ ორტომეულის ცენტრალური თემებია: სოციალისტური რეალიზმის მხატვრული ფორმა და სინამდვილე; შინაგანი ლოგიკა და განვითარება ლიტერატურული ნაწარმოებისა, მისი ფორმისა; ორტომეულში განხილულია სოციალისტური რეალიზმის მხატვრული ფორმის აღმოცენებისა და განვითარების ზოგადი ესთეტიკური და თეორიულ-ლიტერატურული საკითხები და კონკრეტულად გაანალიზებულია ამ სახის საეჭიპო ნაწარმოებები.

* * *

„ღიტერატურა და თანამედროვეობა“, № 12. საკავშირო

გამომცემლობა „ხუდოფესტვენ-ნაია ლიტერატურამ“ გამოსცა ამ ცნობილი სერიის მეთორმეტე კრებული, რომელშიც შევიდა 1972 წელს საკავშირო სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული საუკეთესო სტატიები. სარეაქციო წინათქმაში კვითხულობთ:

„ეს კრებული თავისებური კოლექტიური „ანგარიშია“ ჩვენი კრიტიკისა, თუ როგორ ასრულებს იგი სკაპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებას ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ, როგორ ამაღლებს მომთხოვნელობას ნაწარმოებთა იღეურ-ესთეტიკური მხარე-ებისადმი, რამდენად დროულად, ღრმად და სწორად აყენებს იგი თვით ცხოვრებიდან გამომდინარე ჩვენი ლიტერატურის განვითარების ახალ, არსებით საკითხებს, როგორ ავთარებს და სრულყოფს საკუთარ მეთოდოლოგიას, რამოენავ სერიოზულად და ჩა-ორმავებით აანალიზებს საბჭოთა კავშირის ხალხთა მწერლობაში მიმდინარე პროცესებს; მათ შემოქმედებით ურთიერთხემოქმედებასა და ურთიერთგავლენას“...

წიგნი სამ ნაწილადაა დაყოფილი. პირველ თავში („თანამედ-

როვეობის პრობლემები და მრავალეროვანი ლიტერატურული პროცესი“) ქვეყნდება წემყვანი კრიტიკოსების, ლიტერატურისტების, მკვლევარების (ლ. ნოვისენკო, ვ. ნოვიკოვი, ლ. იაკიმენკო, ვ. ოსკოცკი) სტატიები, რომლებიც ეძღვნება ვანვითარებული სოციალიზმის ეპოქაში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს, მათ შორის თვით კრიტიკისთვის ნაშანდობლივ კანონზომიერებებს.

მასვე ნაწილში დაბეჭდილია სტატიები თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური, რევოლუციის პირობებში ლიტერატურის აღვალა და როლზე (ფ. კუზნიცოვა, ე. სტარიკოვა, ი. კუზმიჩევი, გ. ცურიკოვა, ა. ბუჩისი, ი. კრამივი, ვლ. ოგნევი).

მეორე ნაწილში („წიგნი — კრიტიკა — ცხოვრება“) განხილულია რ. ბაბაჯანის, მ. ქაზაძის, ი. მელეჟის ნაწარმოებები, რომლებსაც სახელმწიფო პრემია მიენიჭათ, აგრეთვე უკანასკნელი წლების სხვა თვალსაჩინო თხზულებები. მათ განყოფილებაში დაბეჭდილი სტატიების ავტორები არიან — გ. ბაკლანოვი, ვ. ვატშენკო, ა. კაგანი, მ. პარხომენკო, ვ. ივანოვი, ვ. ბარანოვი. ქვევა დაბეჭდილი ვ. ხმარის სტატია, რომელშიც დასაბუთებულადა გა-

კრიტიკებული ს. ბაბაევსკის რო-
მანი „თანამედროვენი“.

კრებულის შეორე ნაწილს ეწო-
დება — „ნაწარმოებები, რომ-
ლებშეც კამათობენ“. აქ კრიტი-
კოსები ვ. სოკოლოვი, მ. სინელ-
ნიკოვი და მწერალი ი. ტროფიმო-
ვი იხილავენ ამ უკანასკნელის მი-
ერ ბოლო წლებში შექმნილ ნა-
წარმოებებს.

კრებულის მესამე ნაწილში და-
ბეჭდილია ს. მაშინსკის სტიტია „
ოქტომბერის კიბილი პი-
რისპირ“ (საცნობარო-ბიბლიო-
გრაფიული საქმის თაობაზე“).

ჩვენი ლიტერატურულ-კრიტი-
კული პროცესებით დაინტერეს-
ებულ კვეთა პირს, განსაკუთრე-
ბით კი პროფესიულ ლიტერატო-
რებს დიდ დახმარებას გაუწევს
საგანვებო განყოფილება „ბიბ-
ლიოგრაფიის საკითხები. წლის
ლიტერატურული ქრონიკა“.

* * *

„პონტიესტი — 72. ლიტე-
რატურულ-თეორიული გამო-
კვლევები“. „ნაუკამ“ გამოსცა
ლიტერატურულ-თეორიულ გამო-
კვლევათა ახალი კრებული, რო-
მელშიც აქტუალური პრობლემე-
ბი განხილულია „სოციალური,

ისტორიული სინაშდვილისა და
თანამედროვე იდეოლოგიური
ბრძოლის კონტექსტში“. აქ და-
ბეჭდილია: ლენინური პრემიის
ლაურეატის, აკად. მ. ხრაპენკოს
„სემიოტიკა და მხატვრული შე-
მოქმედება“, ი. ბარაბაშის „ალ-
გებრა და პარმონია“ (სტრუქტუ-
რალიზმის მეთოდოლოგიის კრი-
ტიკა), კ. ლოლგოვის „რ. ინგარ-
დენის ლიტერატურის ფენომენო-
ლოგია“, ი. ელსბერგის „ლიტე-
რატურა-ბუნება-კულტურა“ (პო-
ლემიკა ურბანიზაციის ბურჟუა-
ზიულ აპოლეგიტებთან), მ. ბახ-
ტინის „სიტყვის ხელოვნება და
ხალხური კულტურა სიცილისა
(რაბლე და გოგოლი)“, ვ. კოფი-
ნოვის „ლიტერატურის ისტორიი-
ს აგების პრინციპების გამო“, ა.
ლოსევის „ლოგიკა სიმბოლოსი“
(საუბარია სიმბოლოს, როგორც
შემეცნების კატეგორიის დიალექ-
ტიკაზე), პ. ფლორენსკის „აგე-
ბულება სიტყვისა“ (პუბლიკა-
ცია).

* * *

„პასუხისმგებლობა მომა-
ცვის გამო“. „სოვეტსკი პისა-
ტელმა“ გამოსცა ცნობილი ლიტე-
რატურისტის კლასიკური და
თანამედროვე ლიტერატურის

შევღევარის, დობროლიუბოვის სახელობის პრემიის ლაურეატის ევგენია კნიბოვიჩის ლიტერატურულ-კრიტიკული ნაწარმოებების კრებული „პასუხისმგებლობა მომავლის გამზ“, რომელშიც შევიდა სტატიები: „როცა ლენინს კვითხულობთ“, „ბრეხტ-თეორეტიკოსის არქივიდან“, „მხატვარი და ისტორია“, „ფრანც კაფკა“, პაინტის მანი და საბჭოთა კავშირი“, „რემარკის უკანასკნელი რომანი“, „თომას მანი ფაშიზმის შესახებ“ და სხვ. ე. კნიბოვიჩი მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის პოზიციებიდან ანალიზებს მე-20 საუკუნის დასავლეთ ეკრონის ურთულეს მოვლენებს, იძლევა თანამედროვე რევიზიონისტული ლიტერატურული შეხედულებების კრიტიკას.

* * *

„საშაულის გზებზე...“ გამომცემლობა „ხუდოესტვენნაია ლიტერატურამ“ დაბეჭდა ცნობილი კრიტიკოსისა და ლიტერატურისტცოდნის ლ. იაკიმენკოს წიგნი „საუკუნის გზებზე. საბჭოთა ლიტერატურის ძეგლუალური საკითხები“. მ. გორკის ადრეული ნაწარმოებებიდან დღევანდელი მწერლების სულ უკანასკნელი დროის ნაწარმოებებამდე — ასე ვრცე-

ლია წიგნში განხილული მასალა. გამოკვლევის ცენტრშია ორი საკვანძო პრობლემა: თანამედროვე ეპთის (პირველ რიგში — რომანი) და მხატვრული მეთოდი. საბჭოთა რომანის კონცეფციის კვლევის პროცესში ავტორი ეკამათება მ. კუზნეცოვს, კ. სიმონოვს, გ. გაჩევს, ვ. კოჟინოვს. ლიაკიმენკოს წიგნში სხვადასხვა ასპექტით გაანალიზებულია პ. კუუბერგის, ი. რითხეუს, ი. მელეჯის, თ. გორჩარის, ს. კურილოვის, ა. მუხთარის, ა. კეშოვკოვის, გ. ხოჯერის, ჩ. აიტმატოვის, ს. კურილოვის და სხვათა ნაწარმოებები.

შემოქმედებითი მეთოდისა და კვლევის შეთოდოლოვის პრობლემებთან დაკავშირებით მსჯელობისას მკვლევარი მიუღებლიდ მიიჩნევს სოციალისტურ რეალიზმში რომანტიზმის დამოუკიდებლად არსებობის იდეას. იგი მხარს უჭერს თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის მეთოდის ერთიანობას და მისი ფორმებისა და შესაძლებლობების ნაირსახეობას.

* * *

„პიბერნეტიკა პუმანიტარულ მეცნიერებებში“. სსრკ

მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული „კიბერნეტიკის“ კომპლექსური პრობლემის სამეცნიერო საბჭოს კიბერნეტიკის ფილოსოფიურ საკითხთა სექციამ გამოსცა ბ. ბირიუკოვისა და ე. გელერის მონოგრაფია „კიბერნეტიკა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში“. წიგნში განხილულია სხვადასხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებაში კიბერნეტიკის გამოყენების მეთოდოლოგიური საკითხები, გაშუქებულია კიბერნეტიკის ლოგიკურ-სემიოტიკური პრობლემები. ადამიანის ფსიქიკის, კულტურისა და ხელოვნების კვლევის კიბერნეტიკული ასპექტები.

გამოცემის ანლავს სპეციალური ლიტერატურის ვრცელი ბიბლიოგრაფია.

* * *

„მწერალი, ხელოვნება, დრო“. „სოვეტსკი პისატელმა“ გამოსცა კონსტანტინე ფედინის კრიტიკულ-ესეისტური, პუბლიცისტური, მემუარული, ეპისტოლარული ნაწარმოებების კრებული. ესაა ამ კრებულის შესაშე, შევსებული გამოცემა. კრებული შესდგება ხუთი დიდი განყოფილებასგან: „მარადიული თანამგზავრები“, „თანამედროვენი“, „შრომა მწერლისა“, „განვლილი გზა“, „საუბარი ხელოვნებაშე“.

მკითხველი გაეცნობა კ. ფედინის სტატიებს რუს, საბჭოთა, უცხოელ კლასიკოსებსა და თვალსაჩინო თანამედროვე მწერლებზე (პუშკინი, გოგოლი, ჩერნიშველი, ტოლსტოი, ბლოკი, გორქი, გოეთე, შილერი, ჰიუგო, ფრანსი, როლანი), მოგონებებს ალ. ტოლსტოიზე, ალ. ფადეევზე, ნ. ტიხონოვზე, ი. ერენბურგზე, მ. ზოშჩენკოზე, მ. პრიშვინზე და სხვ. ძევება კ. ფედინის სტატიები სტეფან ცვაიგზე, ბერტოლდ ბრეხტზე, ანრი ბარბიუსზე, პალდორ ლაქსენბურგზე, კ. ივაშკევიჩზე... თეატრის, მუსიკის, მხატვრობის თვალსაჩინო მოღვაწეებზე.

* * *

„აღამიანი და ომი“. „სოვეტსკი პისატელმა“ გამოსცა ა. ბოჩაროვის წიგნი „აღამიანი და ომი (სოციალისტური ჰუმანიზმის იდეები ომის შემდეგ ომზე შექმნილ პროზაში)“. წიგნის პირველ ნაწილში ნაჩვენებია ომზე-შექმნილი საბჭოთა რეალისტური, პროზის ჰუმანისტური საფუძლები, შეორე ნაწილში — ამ თემაზე შექმნილი ნაწარმოებების მხატვრული შილწევები და გამოცდილება. თავის ვრცელ გამოკვლევაში იგტორი ვრცლიად და საფუძლიანად აანალიზებს მრა-

ვალერივან საბჭოთა პროზაში შექმნილ ნაწარმოებებს — გ. ბერძენიშვილის, გ. ბაკლანოვის, მ. შოლოხოვის, კ. სიმონოვის, ჩ. იოტმატოვის, მ. სლუცკისის, ო. გონჩარის, გ. ბიკოვის, ა. ადამოვიჩის, მ. ბირჩეს, პ. კუუბერგის, ი. ბრილის და სხვათა ნაწარმოებებს.

* * *

„რიტმი, სივრცე და დრო“...
სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკური ისტორიის სამეცნიერო საბჭოს ვიზით ლენინგრადში გამოვიდა ნაშრომების კრებული „რიტმი, სივრცე და დრო ლიტერატურასა და ხელოვნებაში“ (სარედაქციო კოლეგია: ბ. ეგოროვი — პასუხისმგებელი რედაქტორი, ბ. მეილახი, მ. საფაროვი).

კრებულის პირველ განყოფილებაში დაბეჭდილია ბ. მეილახის წერილი „რიტმის, სივრცისა და დროს პრობლემები შემოქმედების კომპლექსურ შესწავლაში“; მეორე განყოფილებაში პრობლემები განხილულია მხატვრული შემოქმედების ცალკეულ სახეებთან — ლიტერატურასთან (პროზა, პოეზია), თეატრთან, არქიტექტურასთან, მუსიკისთან, კინემატოგრაფიასთან მიმართებაში. მესამე განყოფილებაში იგი-

ვე თემები განხილულია საბუნებისმეტყველო-მათემატიკური შეცნიერებების ასპექტში. კრებულში შესული სტატიების ავტორები არიან ცნობილი მეცნიერები: ა. ლოსევი, მ. კაგანი, ე. ეტკინდი, ვ. ივანოვი, ნ. ფორტუნატოვი, ტ. მოტილიოვა, ვ. მარტინოვი და სხვ.

* * *

„მხატვრული და მეცნიერული შემოქმედება“. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკური ისტორიის სამეცნიერო საბჭოს მხატვრული შემოქმედების კომპლექსური შესწავლის საბჭოს გრიფით გამომცემლობა „ნაუკს“ ლენინგრადის განყოფილებაში გამოსცა შრომათა კრებული „მხატვრული და მეცნიერული შემოქმედება“. კრებულის რედაქტორი და წინათქმის ავტორია ბ. მეილახი. წინათქმას მოსდევს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, სკპც ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორის პ. ფედოსეევისა და მწერალ დანიელ გრანინის წერილები მხატვრულ და მეცნიერულ შემოქმედებათა კომპლექსური კვლევის საგანზე. კრებულში მისაღები დაბეჭდილია.

სამ განყოფილებად. საერთო საკითხები; ხელოვნება და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი; შემოქმედება და კიბერნეტიკა. სტატიების ავტორები არიან სსრკ მეცნიერებათა იყადემის აკადემიკოსები ბ. კედროვი და ი. ლიფშიცი (ფიზიკა), აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მ. ვოლკენშტაინი (ბიოლოგია), პროფ. მ. გერასიმოვი (ანთროპოლოგია), პროფ. მ. იაროშევსკი (ფიქტოლოგია), პროფ. ბ. ბირიუკოვი (ფილოსოფია), კომპოზიტორი ე. დენისოვი, კრიტიკოსები და ლიტერატურისტი მცოდნები: ბ. მეილახი, ი. სოროკინი, ჭ. გერშკოვიჩი, ბ. ჩუნინი, სცენარისტი ი. რუდი და სხვ.

* * *

„სხვადასხვა შანრის ლიტერატურულ ნაწარმომავალთა რედაქტირება“. ასე პქვია საკავშირო გამოცემლობა „ვისშია შკოლს“ მიერ პროფ. ნ. სიკორსკის რედაქტორობით გამოცემულ ავტორთა კოლექტივის შრო-

მას, რომელიც დამხმარე სახელმძღვანელოდაა დაშვებული ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სახწავლებლის ჟურნალისტიკის ფაკულტეტებსა და განყოფილებებზე.

სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში დახასიათებულია ლიტერატურის ძირითადი ქანტები და სახეობები, მეორე ნაწილში გაშუქებულია მასობრივი პოლიტიკური, მეცნიერულ-პოპულარული საცნობარო-ენციკლოპედიური ლიტერატურის, სახელმძღვანელოების რედაქტირების თავისებურებები. მესამე ნაწილი ეხება როგორც თანამედროვე, ისე კლასიკური ლიტერატურული ნაწარმოებების რედაქტირების პრინციპებსა და ამ სფეროში არსებულ მდიდარ გამოცდილებას გვიზირებს. ბუნებრივია, რომ მწერლობის ორგანოების და ყველა ჟურნალ-გაზეთის სალიტერატურო ნაწილების თანამშრომლებისათვის თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით წიგნის ეს ნაწილია განსაკუთრებით საგულისხმო.

СОДЕРЖАНИЕ АЛЬМАНАХА «КРИТИКА»

№ 7, 1974 г.

«Ум, честь и совесть нашей эпохи». Воплощение образа коммуниста в современной художественной литературе. Отчет о Всесоюзном творческом совещании писателей и критиков, состоявшемся с 23 по 27 апреля 1974 г. в г. Тбилиси. Печатаются выдержки из выступлений: В. Озерова (Москва), Ф. Кузнецова (РСФСР), М. Ибрагимова (Азербайджанская ССР), И. Дзеверина (Украинская ССР), А. Шарифова (Казахская ССР), А. Бучиса (Литовская ССР), В. Санги (Южно-Сахалинск), А. Сафонова (Москва), Л. Кайумова (Узбекская ССР), М. Прилежаевой (Москва), Г. Асатиани (Грузинская ССР), И. Чегрикова (Белорусская ССР), В. Фоменко (Ростов-на-Дону), В. Гросса (Эстонская ССР), С. Данилова (Якутская АССР), А. Чепурова (Ленинград), И. Тарба (Абхазская АССР), А. Агаджанова (Туркменская ССР), Н. Шундика (РСФСР), Б. Олейника (Украинская ССР), Л. Якименко (Москва), Р. Тедати (Осетинская АССР), П. Зеиле (Латвийская ССР), В. Катаева (Москва), Т. Ростиашвили (Тбилиси), З. Баллояна (Армянская ССР), А. Межирова (Москва), И. Стаднюка (Москва), Д. Грачина (Ленинград), К. Абукова (Дагестанская АССР), Б. Васильева (Москва), Ф. Мугамедова (Таджикская ССР), Х. Корбу (Молдавская ССР), Г. Абашидзе (Грузинская ССР). Печатаются также мнения грузинских писателей — участников форума: Т. Буачидзе, Н. Думбадзе, Р. Маргiani, Н. Киласониа.

Литература и жизнь. Бежанишвили Р. Некоторые вопросы развития грузинской прозы. Статья Н. Разбор новых романов: Отара Чилаадзе — «Шел по дороге человек» (изд-во «Мерани», 1973 г.); Реваза Джапаридзе — «Тяжелый крест» (изд-во «Мерани», 1973 г.); Абхазова Н. Погрешности одного романа. Критический анализ романа В. Гозалишвили «Время мудрости и любви» (часть I, изд-во «Ирыстои», 1973 г.).

Критические заметки о критике. Чумбуридзе З. Больше пафоса! (о критике на страницах газеты «Литературули Сакартвело» за 1973 г.).

В семье единой. Цицишвили Г. Взаимосвязь В. Маяковского с Грузией. Статья Н.

Обзоры. Рецензии. Батиашвили Г. Книга критика (о книге Лавросия Каландадзе «Критические статьи», изд-во «Мерани», 1972 г.); Авалиани Л. Первая попытка монографического изучения «Голубого ордена» (о книге Нелли Думбадзе «Грузинский символизм», изд-во «Сабчота Аджара», 1973 г.).

Вышли в свет. Короткие аннотации новых книг советских критиков, литературоведов.

ঘোষণার বি

„ჩვენი უძოშის გონიერა, ღირსება და სიცდისი“ შესრულეთა და პრიტიპოსტა სრულიად საკავშირო უმოქმედებითი თაობირის ანგარიში	3
თაობირის მონაზილეთა გამოხვაურება:	
1. გუაჩიქი	36
2. დებბაკი	37
3. მარგიანი	39
4. პილასრინია	40
ლიტერატურა და ცხოვრება	
როსტომ გევანიშვილი ქართული პროზის განვითარების ზოგიერთი საკითხი.	
წერილი მეორე	48
ნებისმიერ აფხაზება. ერთი რომანის ხარვეზები	70
პრიტიპული შენიშვნები პრიტიპაზე.	
ზერაბ ჭავჭავაძე. მეტი პათოსი!	78
კავშირი გულა გორის.	
ბიორბი ციციშვილი. ვ. მაიაკოვსკის ურთიერთობანი საქართველოსთან. წერილი მეორე	95
რმუნების გიგანტი გიგანტი.	
გურამ გათიაშვილი. კრიტიკოსის წიგნი	110
ლალი ავალიანი. „ცისფერი ორდენის“ მონოგრაფიული შესწავლის პირველი ცდა	117
გ ე რ ვ ვ დ ე ...	129
Содержание альманаха «Критика» № 7 1974 г.	139

გამომცემლობის რედაქტორები —
ცირა ინჯირელი, ნინო აჩალქაში

ყდა — თთარ ჯიშვარიანისა
ტექნიკურაქტორი — თამარ გამზორის



გადაეცა ასაწყობად 21. V.74. ხელმოწერილია დასაბეჭდალ 19.VII.74.
აქცენტის ზომა $60 \times 841/16$ საბუჭი № 1, ნაბეჭდი თაბაზი 8,14.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 6,58
შეკვ. № 1950. უე 00412. ტირაჟი 3000.

ფასი 50 კაპ.

საქართველოს კა ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინი ქ. № 14.

Типография Изд-ва ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

ບົດເສດ 50 ກີບ.